ანგელოზი

ლიტერატურული ჟურნალი
№3. 2016

საოჯახო არქივიდან
ათასი დრო –
„დიმიტრი ყიფიანი და მისი თანამოკავშირენი"

ეროვნული

რევაზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი

* * *

„მწერლობა მაინც სხვა არის, ნამდვილი მწერლობა. მას ყოველთვის თან ახლავს ღვთიური შუქი, რომელშიც ხარობს, ჯეჯილიც, შვლის ნუკრიც და ჩვენი სულიც“.

რევაზ ინანიშვილი

მხატვარი: დავით ჭაბუკაშვილი

დავით ჭაბუკაშვილის
ნამუშევრები

ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები:
თამარ გაბროშვილი, დავით ჭაბუკაშვილი, ანზორ სიფრაშვილი,
მზია ხეთაგური, გიული ჩქარეული,
მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის 124-ე საჯარო სკოლა.

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტებია:
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22;
ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900



ანეული

№ 3. სექტემბერი. 2016 წელი

ლიტერატურული ჟურნალი

ჰე, მამულო...

მზია ხეთაგური თუ სამაჩაბლოს ვერ დავიბრუნებთ 3

პოეზია

მზია ხეთაგური 4

თემურ ჩალაგაშვილი 8

პროზა

ანზორ სიფრაშვილი სოფლის ბოლოს ნაპოვნი ხმალი 10

სალომე გოგოლაძე Terra nostra *(ჩვენი მიწა)* 13

მაია სეხსვაძე ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრები 16

პოეზია

თამარ ნასრაშვილი 19

მთამეჭდილომა

ლეილა ქიტოშვილი-სახლხესიშვილი საოჯახო არქივიდან ათვლილი დრო 20

პოეზია

გიული ჩქარეული 27

მაია ხახიძე 29

საოჯახო არქივიდან

ზეინაბ ლომჯარია „ცისფერყანწელი“ ივი ყიფიანი 31

ეუმილარი

ივანე ჯაფარიძე შეხვედრა გიორგი ოჩიაურთან 36

ლიტერატურული კრიტიკა

გულნაზ გვალია ჯუბა ღებელის ლირიკა 40

პოეზია

გარსელი 43

ოთარ-თოროლვა ანატოლელი-თილილაური 45

ინტერვიუ მწერალ ქაჯლინ სიბარძესთან

„დღეს ჩვენ ყველა დიდი ღირებულების გაუგონარი ნიველირების ხანაში ვცხოვრობთ“..... 47

ჯემგეი ჯიმფარიანი უჩვეულო დღე 51

პოეზია

თამარ მეტრეველი 53

თეონა მეტონიძე 54

ალექსანდრე ჭალანდაძე - 100

ლეზა გოჩაოვა-ხვიჩია კაცი – ლეგენდა 55

თარგმანი

ულიამ გატლერ იეტსი ლედა და გედი (თარგმნა რუსუდან ღვინეფაძემ) 57

მსაფრეთმა

თამარ მაიმმელაშვილი ძვალზე ფერწერის საიდუმლო 58

პოეზია

თენგო ხესიშვილი 59

მცირე პროზა „ანეულის“ თეატლომზე

ხატია ჭანიშვილი გა(უცხო)ება 60

მარიამ ჭემგუარიძე სამირა 64

იაგო თვალაგეიშვილი გემის კურსი ჯერაც უცვლელია 66

მოგონებები

ლელა ანჯაფარიძე ბიძაჩემი ზურაბ ანჯაფარიძე 71

ISSN 1987-9717

ჟურნალი-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეული“

ჟურნალ „ანეულთან“ ახლებული
redaqciis kolegia:

თამარ მიქაძე
ლეილა ქიტოშვილი –
სახლთხუცესიშვილი
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
თამაზ ხმალაძე
ივანე ჯაფარიძე
ჯუბა ღლებელი
ჯუმბერ ჯიშკარიანი

მთავარი redaqtori

თამარ შაიშმელაშვილი

პასუხისმგებელი redaqtori

სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს avtori

ბიოხბი ზუსებიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გოჩა სოზიაშვილი

გარეკანზე: დავით ჭაბუკაშვილის ფერნული ნამუშევარი

redaqciis telefoni: 551 00 50 58

redaqciis ინტერნეტფოსტა: aneuli@mail.ru

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალებზე პასუხისმგებელია avtori

ჰე, ძაძილო...

მზია ხეთაბუჩი

თუ სამაჩაბლოს ვერ დავიბრუნებთ...

სამაჩაბლოში სხვა საქართველო,
სხვა სურნელება და სხვა ხიბლია,
მაჩაბლის ენა, გამორჩეული,
ქართული ჯიშის ხსნა-სამხილია!

სხვაგან თუ მტარვალს ხმალი ზარავდა,
აქ, წმინდა ენით, დროც – მახვილია!
სამაჩაბლოა ჩვენი მარაბდა,
სხვა დანარჩენი – მოძახილია!

დაკარგულია მაჩაბლის სახლი,
თვით მაჩაბელიც დაკარგულია,
ქართულ ენაზე ტყვიების დახლით,
ბგერები ცაში გაფანტულია!

ზღვად ასაღებენ სხვა ქვეყნის რუებს,
შავ ზღვას კი მარად შავ ზღვად უვლია...
თუ აფხაზეთი ვერ დავიბრუნეთ,
მაშ, სამაჩაბლოც დაკარგულია!

მზე გულში სხივებს ვერ გაიხუნებს –
ცხინვალი ჩვენი საგანძურია!
თუ სამაჩაბლოს ვერ დავიბრუნებთ,
მაშ, საქართველოც დაკარგულია!

 პოეზია

მზია ხეთაბუჩი

დ რ ო

დრო წმინდანია, — დრო არ მაშინებს,
დრო მიერთგულებს, დრო გადამარჩენს,
დრო შემიბრალებს, დრო დამამშვიდებს,
დრო გამომიტანს დროის განაჩენს.
დრო გადამაჩვევს შენი ხელების
უეცარ სითბოს, უეცარ მახეს,
თავდავიწყებით და მოფერებით
ჩუმად წარმოთქმულ შენს ძვირფას სახელს.
დრო დაგვირიგებს, დროვე წაგვართმევს
დროის ჟღარუნა სათამაშოებს,
დრო დაგვაბნელებს, დრო გაგვანათებს,
დრო შეგვაერთებს, დრო დაგვაშორებს.
ჩვენს ნასახლარზე ნახირს აძოვებს,
ჭორსაც, მართალსაც — დრო აგვარიდებს,
დრო ერთნაირად გადაასწორებს
საფლავის ბორცვებს და პირამიდებს.
დრო გრიგალივით მოედინება,
თითქოს უნდა, რომ ჯავრი იყაროს...
დრო აღარ ითმენს... მომეცი ნება,
ასე უდროოდ რომ შეგიყვარო!

წლებგამოვლილი სიმღერა

შენს მოღუშულ წარბებს ახლა ისე ვუმზერ,
თითქოს ორი გაბუტული მთა არის...
თუმც სიბერე მოგვერია, მაგრამ თურმე
სიყვარული არის, თურმე, მთავარი!
თმაში ხელი ვეღარ ცურავს და თვალებიც
ვერ ამჩნევენ ხელებს, ასე საფერებს
თითქოს ცაში დაიკარგნენ ვარსკვლავები,
თითქოს ეს ცაც წლებმა გაასხვაფერეს...
უუტკბესი, უუტკბესი ზღაპარია
ამ სიცოცხლის სიყვარულით ცდუნება,
სიყვარული ისევ ისე მთავარია,
უმთავრესი — მისი შენარჩუნება!

უფლების უფლება

თქვენ გაქვთ
უფლება, იყოთ პირფერი,
მე — პირფერობის არ მაქვს უფლება!
თქვენ გაქვთ სურვილი, იყოთ პირველი,
მე ეგ სურვილი არ მეუფლება!
თქვენ გაქვთ უფლება თვალის დახუჭვის,
რომ ვერ ამჩნევდეთ ერის ფორიაქს...
მე — გასანთლული თოკის მარყუჟით,
დამყვება დროის ეიფორია!
თქვენ გაქვთ უფლება, კვლავ ხელუხლებლად,
თქვენი ცოდვებიც ჩემკენ მოთოხნოთ,
თუმც მაგ უფლებით, არ გაქვთ უფლება,
საკუთარ თავთან ზავი მომთხოვოთ!
ხმას ნუ იღებო — ნუღარ მაფრთხილებთ —
ჩანჩქერი ჭაში არ იშრიტება...
დადგება დრო, და ნიღაბ-სამხილებს
ფეხქვეშ დაგიყრით ჭეშმარიტება!
თქვენ გაქვთ უფლება დღისით და მზისით
აქებდეთ ცრუთა გამოსარჩლებას,
მაგრამ დამსაჯოთ სიმართლის თქმისთვის,
მზად იყოთ ენის ამოსაგლეჯად!
თქვენ გაქვთ უფლება, არ აღიაროთ,
რომ ღალატია უკანდახევა,
მკერდზე წიგნივით გადამიაროთ
„საშიში“ ფურცლის ამოსახევად!
სიტყვის შოლტებით ჯერ არ გშორდებით,
ჯერ ფიცი ჩვენი არ დადებულა!
დღემდე მკლავთ, მაგრამ ჯერ არ მოვკვდები,
რადგანაც, ჯერ არ დავბადებულვარ!
კაშკაშა ცაში და უფრო მაღლა,
ვერ მომწვდებიან ავი სულები...
თქვენ გაქვთ უფლების უფლება, მაგრამ
მე მაქვს უფლება თავისუფლების!

* * *

ვიღაც მორწმუნეობს,
ვიღაც პოეტობს...
ვიღაც მორწმუნეა,
ვიღაც — პოეტი.

ნუ გამიმეტებ...

ნუ გამიმეტებ ჩემი სახლისთვის,
რომლის კედლებიც თავად შევლესე
და სიმყუდროვის შესაქმნელად
თვალის დაღლამდე დავეძებდი
მზეგამძლე ფერებს.
იქ ახლა სხვისი სიტყვა დედოფლობს, –
და ჩემ საყვარელ შამპანურის
გრძელფეხა ჭიქებს,
უდიერად ყრის ნიჟარაში...
ნუ გამიმეტებ ჩემი სახლისთვის,
იმ ჭერისთვის, იმ კედლებისთვის,
პოეზიის ფილტვებით რომ
მაფრთხილებდნენ
უჟანგბადობის მოახლოებას...
ნუ გამიმეტებ იმ სახლისთვის –
იქ ხალიჩაა, რომელზედაც იეროგლიფებს
მხოლოდ ჩემთვის გასაგები სიყვარულით
გამოვსახავდი.
ნუ გამიმეტებ იმ სახლისთვის,
მშობლიური რომ იყო ჩემთვის...
იქ ჩემი კვალი საგულდაგულოდ
იშლება და
ჯერაც ცოცხალს, მძიმე წიგნებში
და ძველმოდურ ფოტოალბომში
მასაფლავებენ.
ნუ გამიმეტებ იმ სახლისთვის,
სადაც შენთვის მოქარგული ბალიშებიდან,
ერთი მაინც, ჩემს მოსახრჩობად
გამოადგებათ,
როს წვეულებით გალაღებულებს,
ეზედმეტებათ ჩემი ფარფატი
ოთახებს შორის.

ო თ ა ხ ი

დილით ისევ ვახელ თვალებს,
თითქოს ვაღებ ფანჯრებს,
და შემოდის დილის ნაცვლად
სასიკვდილო ორგია...
ვებრძვი დილას და ყურს ვადებ
უსიცოცხლო მაჯებს,
დილა ზეწარს ცივად მაფენს
და ოთახი – მორგია...

სიბერე იცი, რა არის?

სიბერე იცი, რა არის? –
ირგვლივ რომ მხოლოდ ქვებია,
იმ ქვებს არ გესვრის არავინ,
რადგან სამიზნე – სხვებია!
სიბერე იცი, რა არის? –
ბრძოლას რომ აზრი არა აქვს,
და როცა შეკვრა კამარის
სიზმრადაც გაცლის არაქათს!
სიბერე იცი, რა არის? –
გაღმა რომ გიჯობს გამოღმას,
როცა გრძელდება ზამთარი,
როცა ნატვრის ხეც გამოხმა!
სიბერე იცი, რა არის? –
თითქოს არ იყო, რაც იყო.
როცა გზა იცი, სამარის
და მტერიც ლუკმას გაგიყოფს!
სიბერე იცი, რა არის? – ქვიშადაცლილი საათი,
როცა არ ახსოვს არავის
შენი ხმა და მისამართი!

ისე, როგორც მინდოდა...

აღმართებით დავეძებდი მეციხოვნეს,
დაღმართები ცრემლად ჩამომიგორდა...
მაგრამ მაინც, მაგრამ მაინც ხომ ვიცხოვრე,
ხომ ვიცხოვრე ისე, როგორც მინდოდა!

სულ არაფრის, სულ არაფრის, თურმე, მცოდნე
ბედს მივდევდი, ის კი სხვაგან მირბოდა...
მაგრამ მაინც, მაგრამ მაინც ხომ ვიცხოვრე,
ხომ ვიცხოვრე ისე, როგორც მინდოდა!

ზღაპრულ დევებს, გველეშაპებს შევებრძოლე,
ქარებს ვდიე ფაფარაყრილ მინდორთან...
ახლა ვფიქრობ, ნეტავ მართლა თუ ვიცხოვრე,
თუ ვიცხოვრე ისე, როგორც მინდოდა?

რა ვიცოდი, თუ სამყარო ასე ყრუა,
თუ დრო ასე დაუნდობლად მიჰქროდა...
მე ვინ მომცა ან ის ბედი, ან ის ჭკუა,
რომ მეცხოვრა ისე, როგორც მინდოდა!

ხანდახან

ხანდახან უნდა მოგაყენონ შეურაცხყოფა...
ხანდახან უნდა გულგრილობით გადაგიარონ...
ხანდახან უნდა მოგანატრონ ქვეყნად არყოფნა
და საჭირო დროს საჭირო ხმით არ გაღიარონ!
ხანდახან უნდა დაგეწიოს ისრით წარსული
და თუ გადარჩი, სხვისი ცოდვაც
მუნჯივით ზიდო...
ხანდახან უნდა იწყებოდე გზის დასასრულით,
ხანდახან უნდა ამჯობინო
სასჯელი – ჯილდოს!
ხანდახან უნდა გაიყინო სიმხურვალეში
და უნებლიე შეცდომებიც გიქციონ ასად,
მონანიების ცრემლი დაგცდეს სისხლად
თვალებში,
ამპარტავნებამ რომ არ გძლიოს
აროდეს,
არსად!
ხანდახან...
უნდა...
მოგაყენონ...
შეურაცხყოფა!

მანამდე მოკვდი, ვიდრე მოგკლავენ...

მანამდე მოკვდი, ვიდრე მოგკლავენ,
ვიდრე ცოდვაში გახვევ ცოდვიანს...
არ დაელოდო დღეებს მოწყალეს,
ისწავლე ჩქარა, რაც არ გცოდნია!
ისწავლე მარტო დარჩენით ტკბობა –
სხეული სულთან გზას რომ ასცდება...
ისწავლე შიში და მისი ნდობაც,
უკან დახევით დროის გასწრებაც!
მანამდე მოკვდი, ვიდრე სიზმრები
მადლიან ფერებს დაგამადლიან,
და ვიდრე მზეში გაყრილ ისრებით
დაგაღამებენ დილაადრიან...
მანამდე მოკვდი, ვიდრე მოკვდები,
ვიდრე სხვა ქუჩით დადის მკვლელობა,
თან წაიყოლე უცხო ბოდვებით
შენთვის ჩვეული დამრიგებლობა.
მანამდე მოკვდი, სანამ იმ კდემას,
შხამი არ წასცხო დროის გველობამ...
ვაი, რომ ნებით არავინ კვდება,
და მოკლულია ეგ თვითმკვლელობაც!
...მანამდე მოკვდი, ვიდრე მოგკლავენ!

* * *

ვერა, ვერ ჩავჯექი ვერცერთ განრიგში,
ჩარჩო ვერ მოვირგე, ვერც ვერა ნიღაბი...
ვერც ჩემმა თითქმის სიკვდილმა
დაამწუხრა ვინმე,
ვერც თითქმის სიცოცხლემ...
ვერც სიბრძნემ მიშველა,
ვერცა სიბრიყვემ...
არასოდეს ვყოფილვარ საჭირო დროს
საჭირო ადგილზე,
არასოდეს ემთხვეოდა ჩემი ნიჭი
მათ უნიჭობას,
ჩემი უნიჭობა – მათ ნიჭიერებას!
ვერა,
ვერ მოვირგე ვერცერთი საუკუნე!
სამაგიეროდ,
ძურწა ბალახივით მეტმასნება
საუკუნეობრივი უვიცობა!

თ ო კ ი

შენი პერანგი ქარში ფრიალებს,
თოკზე თავდაღმა ჰკიდია, შრება...
მკლავებგაშლილი კვლავ სატრფიალოდ
ქართან შეხებით დაეძებს შვებას!
ხან ჩემკენ იწევს, ხან ჯამბაზივით
უცხო ილეთით მიიწევს გან-გან...
მალე შენს პერანგს წვიმის ემბაზი,
ვით ცოცხალ სხეულს, სათუთად განბანს.
ჩემგან მოვლილი და ნაფერები,
სხვა აივნისკენ დაბმული გარბის...
იქვე, კუთხეში, ტოკავს ფერები
მისთვის ოდესღაც ძვირფასი კაბის.
ღამდება... ცრემლებს თოკივით ვაბამ,
ნედლი ეჭვებით ფილტვებს ვიხრჩოლებ...
შენი პერანგი და ჩემი კაბა
საცაა, თავებს ჩამოიხრჩობენ!

ჯუბა ღუბელი

ჩემი მზია ხეთაგური

მე ეს ქალბატონი მიყვარს...

არ ვიცი, როგორ, რა სიტყვებით, რა დითირამბებით იწყებენ წერას ძვირფას ადამიანებზე, მე კი პირდაპირ ასე დავიწყებ –

მე მიყვარს ჩემი მზია ხეთაგური...

მზია ხეთაგური – თანამედროვეობის გამორჩეული პოეტი, პროზაიკოსი, მეზღაპრე, დრამატურგი, მუსიკოსი, თეატრალი, საზოგადო მოღვაწე და დიდი მეგობარი...

ყველა ადამიანი ინდივიდუალურია ურთიერთობებში, ყველას თავისი წილი სითბო და სიყვარული აქვს, მე ჩემი მზია მყავს, რომელიც ჩემშია, ჩემი პოეზიის ხერხემლის ერთი მალაა და ვერც წარმომიდგენია ჩემი სამყარო, ჩემი აურა, ჩემი გარემოცვა ამ დიდი სახის და სახელის გარეშე... ამ პატარა წერილს არ შევავსებ მისი შემოქმედების, ლიტერატურული ეტიუდების ანალიზით, დახასიათებით... ამის მეტი რა ჰყავს შემოქმედს...

მე მის იმ „სხვა რამეზე“ მინდა ვისაუბრო, რასაც ადამიანობა, სიკეთის ქმნა, მოყვასის სიყვარული ჰქვია და რაც ჩემთვის ყველა შემოქმედებაზე მაღლა დგას...

შეიძლება იყო ჰეროდე, მაგრამ გძულდეს სამყარო, შეიძლება იყო ნერონი, მაგრამ შენი ლექსებივით წვავდე ქალაქებს...

მზია ხეთაგური ყველა თავისი ზღაპრის, მოთხრობის, ნოველის, ლექსის და პიესის პერსონაჟია. ის თავადაა ის ხეტიალა, სხვისი ჭირი ღობის ჩხირი რომ არ ჰგონია, თავადაა სარდაფში მიმალული ნახატების ავტორიც და პროტოტიპიც, თავადვეა თავისივე „თოკზე“ გაკიდული კაბა, რომელიც მარადიულად ისწრაფვის გვერდით გაკიდული პერანგის – ანუ უსასრულო და დაულეველი სიყვარულისკენ!

რა არ უნახავს (ქება-დიდება თუ ჩინ-მედლები), სად არ ყოფილა (საბჭოეთი თუ უცხოეთი), ცხოვრების რა ზიგზაგები არ გაუვლია, რა ეტაპები არ ჰქონია, რა ეშაფოტებზე არ მდგარა, მაგრამ არასოდეს გასცდენია ზღვარს ადამიანობისა, თავმდაბლობისა, სიკეთის ტარებისა და მოთმინების ძლევისა...

თუ გინდა ერთგული, პირში მთქმელი, პირდაპირი და გვერდში მდგომი ადამიანი გყავდეს, – მზია უნდა გყავდეს; თუ გინდა შენს წიგნს შემქები, შენიშვნების მომცემი, სრულყოფილი რედაქტორი ჰყავდეს – მზია უნდა იყოს; შენს პოეზიას, შენს ლექსებს პოპულარიზაციას ვინც გაუწევს – მზია იქნება.

რამდენი ფილმი გადაგვიღია ჩემი ტელევიზიაში მუშაობის დროს გალაკტიონზე მისსავე სახლ-მუზეუმში, სადაც ქალბატონი მზია მუშაობდა, ვინ არ გვყოლია ჩაწერაზე – ჯანსუღი და მურმანი, ლია სტურუა და ანა... სხვა, მისი თანამედროვეც ბევრი. ის კი ჩუმად, თავისთვის იჯდა და გვისმენდა, თითქოს ვინმეზე ნაკლები წვლილი ჰქონოდა შეტანილი გალაკტიონის არქივის მოვლაში, მისი სახლის პატრონობაში, მისი პოპულარიზაციის საქმეში... ყავით და ნამცხვრით გვიმასპინძლდებოდა, რეკვიზიტებს გვიმზადებდა, თან გვყვებოდა და ერთი საყვედურიც არასდროს დასცდენია – ორიოდე სიტყვას თუ არ მათქმევინებთ, ისე მაინც მახსენეთო...

ჰქონდა საშუალება, მაგრამ არ შეუძენია მატერიალური ქონება, შეეძლო კარიერის მაღალ საფეხურებზე სიარული, მაგრამ არ მოუსურვებია... ახლა კი თვითონ უქონელს, შეუძლია ფული გიშოვოთ, დახმარება აღმოგიჩინოთ, გაყიდოს და მოგცეთ, მოიკლოს და შეგავსოთ... მის გვერდით, როგორც კარგ ვაჟკაცთან, იმედიან საყრდენთან, ისე იგრძნობთ თავს, ამასთანავე, მიუხედავად ასაკისა, მოიხიბლებით მისი ქალური მშვენიერებით, სილამაზით, მისი ცეკვით, სიმღერით...

გული მწყდება, რომ მზია ხეთაგური მაინც არ არის ხმამაღლა დაფასებული, რომ მის შემოქმედებაზე არ კეთდება გადაცემები, მაგრამ ვინ ახსოვთ ახლა, ვის ახსენებენ... ხანდახან თუ „წამოკრავენ“ ხელს კლასიკოსებს, ისიც თავიანთი თავის გასაპიარებლად, თორემ გალაკტიონსაც არავინ ახსენებდა, ცოცხალი რომ იყოს...

კიდევ კარგი, რომ მზია მოესწრო იმ დროს, სადაც აფასებდნენ მწერალს, შემოქმედს, იცოდნენ მისი სიტყვის, მისი შემოქმედების მნიშვნელობა ხალხისთვის, ქვეყნისთვის, ზნეობისთვის, ადათისთვის...

ახლა ეს ყველაფერი აღარ შედის დღევანდელობის გამოწვევათა, გლობალიზაციის პრიორიტეტთა ნუსხაში...

მზიამ მაინც გაკვალა თავისი გზა, თავისი ორიგინალური ბეჭედი აქვს მის სტილს, მის ხელს, მის ხედვას და მადლობა უფალს, რომ ჯერ კიდევ მხნედ არის, ჯერ კიდევ შეუძლია შესძახოს სამყაროს – „თუ ფეხის შედგმა შეჰბედე მწვერვალს, მაშინ სიკვდილიც დროებითია“-ო...

ასეთია ჩემი მზია ხეთაგური, ასე ლამაზად, ჯანმრთელად და დღეგრძელად ამყოფოს ზეციერმა!

პოეზია

თემურ ჩალაბაშვილი



მოლოდინი

თუ ვიცოცხლე,
კიდევ თუკი,
ცოტა ვარ და
გავბევრდები
და ძველებურ სიჭაბუკით
ზეცას
ჩამოვაბერდები.
მქონდა ბევრი
სიხარული,
გულის დარდი,
ცოტა მეტი,
თან ვცხოვრობდი
სიყვარულით,
სულში მენთო
ნათლის სვეტი.
მე ბუნებით
დარდიმანდი,
ხან თავნება,
ხან ასკეტი,
აღარა ვარ
ძველის ლანდი,
არც ნაკლები და
არც მეტი...
...დაე, თვითონ გადაწყვიტოს,
თუ ვარ მისგან გასამეტი...

* * *

გასატანი ჩემი გავიტანე ლელო,
გულმაც გაიარა, უკვე გასავლელი...
როგორ მოგეფერო, ჩემო სანატრელო,
იცი, შენ გეკუთვნის თვით სიცოცხლე ჩემი.
ბევრი კარგი ვნახე, ბევრიც განსაცდელი,
ვინ რა იცის ხვალის, ცოტა დამრჩა კიდევ,
რომ ველოდი ადრე, იმას დღესაც ველი,
ერთი კაცის ცოდვა ერთმა კაცმა ვზიდე.
არც არაფერს ვნანობ, არც არაფერს ვითხოვ,
ისე მიდის მდორედ ამ ცხოვრების დღენი,
როცა მსურდეს, მაშინ, მაშინ მომაკითხოს,
ბოლოს მაინც უნდა ჩამოვართვათ ხელი.
გასატანი ჩემი გავიტანე ლელო,
და მჯეროდა ძმობის მარადიულ ფიცის...
სულ მინდოდა ჩემი ბილიკებით მევლო,
ვინც დამბადა, იმან დღე წასვლისაც იცის...
.....
გასატანი ჩემი გავიტანე ლელო...

პარადოქსი

ვერავინ გეტყვის,
რა არი,
ვერც ვერვინ გეტყვის,
ვინაა,
ადამიანი ქვა არი,
ადამიანი რკინაა...

ჩემი ჩალაბაშვილი

უფალი, რა თქმა უნდა, სულ იყო ჩემში, მაგრამ პოსტკომუნისტური თაობისთვის ღმერთი ქვეცნობიერად არსებობდა... მთელი თავისი არსით იესო ქრისტე მერე, დამოუკიდებლობის დაწყებიდან შევიცანი და მის გარდა არც რამ არსებობს ჩემთვის დედამიწაზე...

მანამდე კი იყვნენ რაიკომის მდივნები, მინისტრები, 1-ლი მდივნები, მაგრამ ყველაზე დიდი ავტორიტეტი ქართველი მწერლები და მწერლობა იყო, ყველაზე დიდი და ლამაზი სასახლე მწერალთა სასახლე (ახლა რომ მწერლის სახლად გადააქციეს) გახლდათ მაჩაბლის 13-ში, სადაც დღემდე თავდახრილი და პირჯვრის გადაწერით შევდივარ...

თითქმის არცერთი თანამედროვე მწერლის წიგნი და ნაწარმოები არ გამორჩენია ჩემს თვალს და გულს, ვეცნობოდი დიდიდან პატარამდე, რაც კი ახალი გამო-

დიოდა, ყველას ავტობიოგრაფიას და შემოქმედებას, ვყიდულობდი და ვკითხულობდი, რის საშუალებასაც დრო და ფული მაძლევდა...

დროის უქონლობის გამო არ ვუყურებდი ბავშვობაში მულტფილმებს და დიდობაში ფილმებს, რადგან არც ისე ნიჭიერი ვიყავი, გაკვეთილები თუ სალექციო მასალა ერთი წაკითხვით მესწავლა, მაგრამ თუ სადმე გადავაწყდებოდი სატელევიზიო გადაცემას მწერალზე, შემოქმედზე, იქ იყო ჩემი შვება, ჩემი სულის ნავსაყუდელი...

ასე შემოვიდა ჩემში იმ დროისთვის სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ ცნობილი პოეტი – თემურ ჩალაბაშვილი.

მისი პირველი წიგნი – „მზე მამულის კვამლში", პატარა ცისფერი გარეკანით ახლობელმა მაჩუქა ზედ ასეთი წარწერით – „სახსოვრად მანჩოს, ეს პოეტი ჩემი ნათესავია"... იმ დღიდან უფრო მახლობელი და შინაური გახდა ჩემთვის პოეზია, ცოცხალი პოეტი, რომლის წიგნიც ხელში მეკავა და რომლის ყველა გვერდს საოცარი, სამშობლოსა და მამულის სიყვარულის სურნელით გაჟღენთილი სტრიქონები ამშვენებდნენ...

მერე იყო სამხედრო სამსახური, რუსეთში სწავლის 4 წელი (ილიას 4 წელი), რევოლუციური საქართველო, აფხაზეთი, სამაჩაბლო, სამოქალაქო ომი, უშუქობა, უპურობა და პოეზიაც სადღაც მინავლდა.

მაგრამ სულ მახსოვდა ის ლექსები და ის პოეტი... და ერთ დღესაც, სამების ახალგაზრდულ ცენტრში გამართულ ჩვენი საერთო მეგობრის საღამოზე მე მას შევხვდი...

ბატონმა შოთა ტოგონიძემ წარუდგინა ჩემი თავი – თემო, ნახე ვინ უნდა გაგაცნოო. ჩემი ახალი გამოცემული წიგნი ვაჩუქე და მორცხვად დავემშვიდობე...

აზრადაც არ მომსვლია, რომ ამ სქელტანიან წიგნს უბრალოდ მაინც გადაფურცლავდა... იმდენი ხალხი, იმდენი ახალგაზრდობა ეხვია თავს, ჩემთვის და ჩემი წიგნისთვის სად უნდა მოეცალა...

დილის 8 საათზე დამირეკა, ეს რა დაგიწერია, სადა ხარ, მოდი, უნდა ჩაგეხუტოო... პატარა აღარ ვიყავი უკვე, მაგრამ ბავშვივით გავწითლდი, გავთბი, საქართველო და დედამიწა ერთი-ასად შემიყვარდა...

თავის მეგობარ მხატვართან დამპატიჟა სოლოლაკში, დავლიეთ და დავიწყეთ – ძმობა, მეგობრობა, ერთმანეთთან ყოფნა ჭირსა და ლხინში...

იმ დღიდან მოყოლებული მიყვარს ეს უნიჭიერესი და გულიანი პოეტი, მიყვარს მისი მონაგარი, მისი არაჩვეულებრივი გეტა, პოეტის ნამდვილი მეუღლე, მისი მშობლები და მისი თავისად წარმოდგენილი სამშობლო...

ბევრგან ვყოფილვართ, ბევრგან გვიმოგზაურია ერთად და გვერდი-გვერდ ვწოლილვართ. მახსოვს, ერთხელ მთელი ღამე როგორ ჰქონდა მძინარეს ჩემი ხელი გულთან მიხუტებული, ბევრი მოფერება და სითბო მახსოვს, მაგრამ მაინც ვერ გავუშინაურდი, ვერ დავუახლოვდი ისე, თემო დავუძახო. ის უფრო მეტია ჩემთვის, ვიდრე ძმა და მეგობარი, ის ჩემთვის ზეცას მზერა მიბჯენილი პოეტია, თანამედროვეობის დიდი და გამორჩეული შემოქმედი... ამიტომ მივმართავ ბატონობით და მიყვარს, როგორც კაცს უნდა უყვარდეს კაცი, ძმას – ძმა, მეგობარს – მეგობარი...

იშვიათად მეგულება დღეს მაღალი რანგის მწერალი ასე გარშემორტყმული ახალგაზრდებით, ის მათთან ერთად ცხოვრობს, მისი გამოზრდილ-დაკვალიანებულები არიან, რამდენს თავშესაფარი მისცა, რამდენმა იცხოვრა მის ისედაც პატარა ბინაში და იპოვა თავშესაფარი... ლუკმას უყოფს და გულსაც, არავის არაფერს არ ამადლის და უხარია მათი წარმატებები, უხარია მათი ლექსის ყველა კარგი სტრიქონი...

თავისზე ასაკიანი და სახელმოხვეჭილი ხელოვანების პატრონიც გახლდათ... მან უპატრონა კიტა ბუაჩიძეს, ნაზი კილასონიას... ახლაც ყურებში ჩამესმის მისი ხმამაღალი შეყვირება ქალაქის მერიისა და კულტურის სამინისტროს მაღალჩინოსანთა მიმართ – სად გადაკარგეთ მიხეილ ქვლივიძე, როგორ ვერ გამოძებნეთ მისთვის ადგილი ქალაქში, განა იმიტომ დაწერა ლექსი – კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს, რომ თქვენც გადაგეკარგათო.

რაჭაში ვიყავით მიწვეულები, გვარიანად შეზარხოშებულს ტელეფონზე დაურეკეს. ისმოდა ხმა – „თემო, მიშველე, მეუღლე გარდამეცვალა, არც საფლავის და არც ქელეხის ფული არ მაქვსო". გვიანი იყო, მაინც დარეკა მერიის წარმომადგენლებთან, ნახევარ საათში მოგვარებული იყო საქმე. აღარც ახსოვდა მეორე დღეს, აღარც მე მახსოვდა. მერე გაგვახსენდა, იგივე ტელეფონის ხმამ სამადლობელოების კორიანტელი რომ გამოუშვა...

რამდენი ასეთის გახსენება შემიძლია, ეს მარტო მე, ახლა სხვებმა რამდენი იციან, თემურს ხომ სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულის გარეშე ერთი წუთითაც არ შეუძლია სიცოცხლე...

ჰოდა, ამ სიყვარულით, ამ კაცობით, პოეზიის მადლით ამყოფოს უფალმა ძალიან დიდხანს ჩვენი და ჩვენი ქვეყნის გულის გასახარად!..

მე კი, ჩემი მხრივ, არც ისე ადრე დაწერილ ამ პატარა ლექსით მოვეფერები:

თემურ ჩალაბაშვილს

სრა-სასახლეთა უჩვევი,
ჯვარი რომ უზის ნიკაპთან,...
დადის თბილისის ქუჩებში,
ჩემი თაობის ნიკალა...
დაჩოქილს მამა-დავითზე,
ვაჟას საფლავის ლიბოსთან,
ვხვდები ლექსებით ღამისმთევ,
ჩემი თაობის ფიროსმანს...
მოდის და ლექსით სულშეშლილს,
უფლის ნათელი მოჰყვება,
დადის თბილისის ქუჩებში,
ჩემი თაობის ბოჰემა!..

ჯუბა ღებელი

პროზა

ანზორ სიფრაშვილი

სოფლის ბოლოს ნაპოვნი ხმალი

საღამოობით ჩვენი სოფლის ბიჭები ფეხბურთს, ფრენბურთსა თუ „გრძელ ვირს“ ჩვეულებრივ სოფლის ცენტრში, სკოლის ეზოში თამაშობდნენ, მაგრამ წინა დღეს სკოლის დირექტორმა ყარაული სარდიონა მკაცრად დატუქსა და იმანაც ალაყაფის კარს დიდი კლიტე დაადო. სხვა რა გზა იყო, ბიჭებს სათამაშოდ სხვა ადგილი უნდა აერჩიათ და მათაც, მზე რომ გადაიხარა, სოფლის ბოლოს მიაშურეს, არხის პირას, სადაც კარგა ვრცელი მინდორი კლანჭა ბალახსა და ნარ-ეკალს დაეფარა. ადრე აქ ალიზისთვის აყალო მიწას ჭრიდნენ და ამიტომაც ფართო, წყალჩამდგარ ორმოებს შორის პატარა ადგილი ძლივს გამონახეს, თუმცა ხუთკენჭაობას რა ისეთი ცხენის გასაჭენებელი მინდორი სჭირდება: ექვსი-შვიდი ნაბიჯი აქეთ, ექვსი-შვიდი ნაბიჯიც იქით, შუაში პატარა ორმო და ხუთი მრგვალი კენჭიც ხელში – ისვრი და იმის მიხედვით, თუ რამდენი ჩავარდება, ან „მეფე“ გახდები, ან „ვეზირი“, სულაც ერთის თუ მეორის „ვირი“, რომლებსაც, თუ მეხუთე მოთამაშე თავს გამოიდებს, ივაჟკაცებს, ხუთივე კენჭს ორმოში ტყაპანს მოადენინებს და „ბრძოლას“ გამოაცხადებს, „დიდი მბრძანებელი“ და არანაკლებ „დიდი მრჩეველი“ ზურგზე მოახტებიან და საომარი შეძახილებით ერთმანეთს დაეტაკებიან.

ოთხი ბიჭი მოეყარა თავი: ყინწავასოს, ვაჟამაწანწალას, ოსტატათენგიზასა და ჭურონოდარას.

რადგან თამაშს ხუთი კაცი სჭირდებოდა, იქვე სოფლის მაღაზიასთან მცხოვრებ ნასყიდავახოს შეუარეს, მაგრამ ის სახლის უკან, ლეღვების ჩრდილში თავის მიერვე მოხლაფორთებულ მაგიდაზე თეთრ მაისურებს საღებავით ნომრებს აწერდა და სათამაშოდ არ ეცალა, თუმცა ის კი მოახერხა, რომ თავის მეზობელ პორკლეგოგიას გადასძახა, რაც იმისმა დედამ, ნიღნიღა თამარამ, დიდი ამბით შეიცხადა და შვილს დაუტატანა: სახლში წვეთი წყალი აღარა გვაქვს, „ტაჩკაში“ ვირი შეაბი, ზედ „ბოჩკა“ დაადგი და პეპოანთწყაროდან წყალი ჩამოიტანეო.

პორკლეგოგიამ ბიჭებს გამოხედა, მერე ხელები გაშალა, მხრები აიჩეჩა, ქვედა ტუჩი გადმოაბრუნა და ბებერ სახედარს ზურგზე კეხი დაადგა.

სამაგიეროდ, ყვინჩილაგურო შემოუერთდათ და მალე ნარ-ეკლისგან ის ადგილიც მოასუფთავეს, სადაც ზოგს „უმაღლესი თანამდებობა“ უნდა მოეპოვებინა, ზოგს მისი „მრჩევლის“, ზოგიც მათი „რაში“ თუ „ბედაური“ გამხდარიყო.

რაკი რკინიგზის სიახლოვეს მრგვალი და თანაც ფერადი კენჭების მეტი რა ეყარა, ახლა მხოლოდ ხელისგულისოდენა სათამაშო მოედნის შუაგულში დაახლოებით ერთი მტკაველის სიგანისა და სიღრმის ორმოს ამოჭრაღა დარჩა, რომელშიც ექვსი-შვიდი ნაბიჯიდან ნასროლი კენჭები თავისუფლად ჩავარდებოდა.

ყვინჩილაგურო ბარის მოსატანად გაიქცა, ბიჭებმა კი სათამაშო ადგილის მოსუფთავება განაგრძეს, ქვებისგანაც გაწმინდეს და წელან დარჩენილი ეკლებიც მოშორებით გადაყარეს.

ყვინჩილაგურომ ძალაყინი და ბარი მოიტანა, ლომი ბიჭებს მიუგდო, თავად კი ბარი აიღო და მონიშნულ ადგილზე სატერფულს მთელი ძალით დააწვა.

ძალაყინის აღებას ბიჭები ერთმანეთს ეცილებოდნენ, ან აქ დასაზარებელი რა იყო: ყველა მათგანი ხომ მშობლებთან ერთად სულ პატარაობიდანვე შრომობდა და მიწას ეჭიდებოდა: ბარავდნენ, თოხნიდნენ, თიბავდნენ, რწყავდნენ... მიწასთან ურთიერთობა შრომასთან ერთად მუყაითობას მოითხოვდა, ცოდნას, პატიოსნებას, ხოლო ყველა ერთად – სიყვარულს.

ჰოდა, ამ, ჯერაც სკოლის მოსწავლე ბიჭებს, მიწაც უყვარდათ, შრომაც, მუყაითნიც იყვნენ და პატიოსნებაშიც „ფრიადი“ ეწერათ, მერე რა, რომ საკლასო ჟურნალში „სამიანი“ უფრო მეტი ერიათ, ვიდრე „ოთხიანი“, „ხუთიანზე“ ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

ჰოდა, როგორც ვამბობდი, ყვინჩილაგურომ ბარის წვერი მიწას დააჭირა და ფეხი მიაშველა: აყალო, რბილი მიწა იყო, თან წინა დღეს ეწვიმა და წესით, ბარისპირი ნიადაგში ღრმად უნდა ჩასულიყო. თქვენც არ მომიკვდეთ, ბარის წვერი მხოლოდ ოდნავ ჩაიმალა და გაჩერდა.

ყვინჩილაგურომ დაუნაცვლა და ბარი ისევ მთელი ძალით დაჰკრა მიწას. ისევ ამაოდ.

მესამედ ბარი მაღლა ასწია, მცირე ხანს ჰაერში გააჩერა, თითქოს ძალა უნდა მოიკრიბოსო, და მთელი ძალით დაუშვა მიწისკენ. გაისმა რკინის რკინაზე დარტყმის ხმა და ბარის პირი ოდნავადაც აღარ ჩავიდა მიწაში.

– ბიჭოს! – შესძახა ყინწავასომ, – უყურე შენ! მიწაში რაღაც რკინაა და ის არ უშვებს.

– პალო იქნება, – დაასკვნა თენგიზაოსტატამ, – ალბათ ვიღაცამ ჩაასო და მერე დაავიწყდა.

– ეგ არაფერი, ახლა სხვაგან ამოვთხრი, – დაამშვიდა ყვინჩილაგურომ მეგობრები და ნახევარი ნაბიჯის მოშორებით კვლავ სცადა ორმოს ამოღება, მაგრამ ბარისპირს ისევ რკინა დახვდა.

– შეხედეთ, კაცო, ისევ პალოს წავაწყდით, – წეღანდელი ვერსია გაიმეორა თენგიზაოსტატამ, მაგრამ ჭურონოდარა დაეჭვდა:

— იქაც პალო, აქაც პალო, რა, ბაზარია?

— მაშ რა უნდა იყოს? — ჰკვირობდა ვაჟა მაწანწალა, ყინწავასომ კი პირველისგან მარცხნივ, მტკაველის სიგრძეზე დაჰკრა ფეხი:

— აბა, აქა ვცადოთ. ვაა, რა რკინაა აგეთი, კაცი გაგიჟდება პირდაპირ. აბა, ცოტა მარჯვნივ...

როცა ბარი იქაც რკინას წააწყდა, ბიჭები ერთმანეთს პირდაღებულნი შეაჩერდნენ.

— იქნებ ამოგვეთხა რა, ჰა, ეგ ოხერი რკინა თუ რაც არი? — შესძახა ყინწავასომ, მერე ბარის დაკრულ ადგილებს დააკვირდა და დაფიქრდა:

— ეე... არა, პალოები არ უნდა იყოს. რაღაც ბრტყელი რკინა უფრო ჩანს.

— თანაც ჯვრის ფორმისა, — შეაწია თენგიზაოსტატამ, ვაჟა მაწანწალამ კი დასძინა:

— ანდა მრგვალი.

— ამდენ ლაპარაკს სჯობია ამოვთხაროთ,— თქვა ჭურონოდარამ და ყვინჩილაგუროს ხელში სწვდა: — მომე ბარი აქა.

— რათა რა, მე ვერ ამოვთხრი?

— და ყვინჩილაგურომ მიწის მოთხრა დაიწყო, რის საშუალებასაც ბარი აძლევდა.

ამასობაში ჭურონოდარამ მოშორებით დაჰკრა ძალაყინი და როცა იქ რკინა აღარ დახვდა, მეგობრებს ნიშნისმოგებით გადახედა, მაგრამ მალევე შეჩერდა — ამოთხრილ მიწას რამდენიმე ძვალი ამოჰყვა.

ყვინჩილაგურო კი თხრას განაგრძობდა და სულ მალე მიწიდან მშვენივრად შენახული, მკლავზე უფრო გრძელი და კარგა მძიმე ხმალი ამოიღო.

— შეხედეთ, ბიჭებო! აბა, ვის გინახავთ ასეთი რამ? — შესძახა მან და ხმალს, რომელსაც მიწის ნამცეცები შერჩენოდა, ხელით გასუფთავება დაუწყო.

— აგე, მეც რა ვიპოვე! ადამიანის ძვლებია! — გაიძახოდა არანაკლებ გაოცებული ჭურონოდარა და ადამიანის თავის ქალას, კიდურებისა და ნეკნების ძვლებს იქვე გვერდიგვერდ ალაგებდა.

მართლაც, საკვირველი რამ იყო და ბიჭები დამუნჯებულნი შეჰყურებდნენ, როგორც ძველ საბრძოლო იარაღს, ისე, ვინ იცის, რომელი საუკუნის ადამიანის ნაშთებს.

ხუთკენჭაობა ვიღას ახსოვდა!

გონს პირველი ისევ ყვინჩილაგურო მოეგო:

— ვინ იცის, იქნებ ეს ხმალიც მაგას ეკუთვნოდა? — ივარაუდა და ძვლებისკენ გაიხედა,— ალბათ ბრძოლაში შეეწირა მტერს და აქ სასწრაფოდ დამარხეს, ხმალიც თავით დაუდეს...

— ნამდვილად აგრე იქნება,— დაუდასტურა ყინწავასომ,— შეიძლება აქ სხვებიც მარხია... ხალხს უნდა შევატყობინოთ.

— რად გინდა, რომ ყველას გავაგებინოთ,— იუარა თენგიზაოსტატამ, — მოვლენ, დაუწყებენ სინჯვას, გადაატრიალებენ, გადმოატრიალებენ, წაიღებენ, მერე კი სადმე მიყრიან... რამდენი ამისთანა ძვლები ამოყარეს მთავარანგელოზის ეკლესიასთან...

— მაშ, რა ვუყოთ?

— რა ვუყოთ და ნახეთ, ეს ვიღაცაა, მართლა მტერს მოუკლავს, შუბლი გახვრეტილი აქვს, — ყინწავასომ თითი დაადო თავის ქალას შუბლზე, იქ, სადაც, მართლაც, ემჩნეოდა მრგვალი ნახვრეტი, — ჰოდა, მადლია სასაფლაოზე გადავასვენოთ და ადამიანურად დავმარხოთ.

— ეგრე ვუყოთ, — დაეთანხმა ყვინჩილაგურო, — მამაჩემი დურგალია, კუბოს შევაკვრევინებ, ძვლები შიგ ჩავალაგოთ და ზევით, ეკლესიასთან, ძველ სასაფლაოზე დავმარხოთ.

— მერე კი ჭიქაც წავუქციოთ, — წამოიძახა ჭურონოდარამ.

— შენ სულ ჭიქის წაქცევა და აწევა გელანდება, — გააქილიკა ყინწავასომ მეგობარი.

— რა, არ იმსახურებს რო? კაცი მტერს შეაკვდა, ვინ იცის, თავადაც წინ რამდენი გაიძღოლა! ნამდვილად ეკუთვის ადამიანური დამარხვა.

მართლაც, მეორე დღეს სოფლის მცხოვრებნი გაკვირვებულნი უყურებდნენ, ოთხ ბიჭს როგორ გაედო მხარზე მომცრო კუბო და სოფლის ზევით მიჰქონდა, სადაც ძველისძველი ეკლესია გადმოდგარიყო და ალაზნის ველს გადმოჰყურებდა. მარტო ხნიერი კაცები და ქალები კი არა, სოფლის ახალგაზრდა გოგოებიც გამოსულიყვნენ, ერთმა მათგანმა კი, იმერეთიდან გამოთხოვილმა თათიამ, ხელში რომ ერთი წლის ბიჭი ეჭირა, პატარა კალათით მცირე სანოვაგე და დოქით ღვინოც კი გამოუტანათ.

წინ ყვინჩილაგურო მიდიოდა და გაწმენდილგაპრიალებული ხმალი ისე აღემართა, როგორც ლაშქრის წინ დროშისმტვირთველებს სამეფო ალამი მიჰქონდათ ხოლმე, ან მღვდლებს მაღლა აწეული ჯვარი ეკავათ. დანარჩენ ოთხს კუბო მხარზე შეედგა და თავის ტოლ ბიჭებს, რომელთაც ხმლის პოვნის ამბავიც შეეტყოთ და ადამიანის ძვლებისაც, შეცვლა–შეშველებას არ ანებებდნენ.

როდესაც ეკლესიასთან ავიდნენ და წინასწარგათხრილ საფლავს მიაშურეს, წინ მღვდელი შემოეგებათ, რომელსაც საფლავი უკვე ეკურთხებინა და ახლა წირვის გადასახდელად სრულად შემოსილი იცდიდა.

ბიჭებმაც მცირე ხნით შეისვენეს, მერე კი, ვიდრე კუბოს მიწაში ჩაასვენებდნენ, ძვლებს ის ხმალი ზედ დაადეს და როგორც მიცვალებულზე იციან, „მიდამოსთვის გამოსამშვიდობებლად და თვალის გადასავლებად“ მაღლა ასწიეს.

ასწიეს, ჰაერში გააჩერეს და რატომღაც მოეჩვენათ, რომ მანამდე მსუბუქი კუბო, ისე დამძიმდა, თითქოს შიგ ნამდვილი მიცვალებული იყო ჩასვენებული...

...როგორც კი ხმალი გულზე დაადეს, შაქარა შეტოკდა, თვალი გაახილა და მაღლიდან მთელს ალაზნის ველს გადახედა. რა ლამაზი იყო ტიალი! რა დროს ახლა სიკვდილი იყო!

მართალია, ასიოდ კაცი საქვაბეებთან შეებრძოლა მტერს, მაგრამ გინდ ხუთასიც რომ ყოფილიყვნენ, ურიცხვ სპარსელს რას გაუმკლავდებოდნენ!

მეტი კი რა გზა იყო: მეფემ რაც ჯარის შეკრება მოახერხა, თბილისის მისადგომებთან განალაგა, თავადებმა ბევრი გადამალეს, რუსის ლაშქრის იმედიც არავის ჰქონდა.

აკი შემოუთვალათ კიდეც მეფემ: თქვენი სოფლები თავად დაიცავითო. აბა, ასეთ დროს მეფის სიტყვას როგორ ეღალატება? ხალხს ისე უყვარს, ისე, რომ... ისიც სულ ხალხში ტრიალებს, ხან ვის უნათლავს ბალღს, ხან ვის... უბრალო გლეხის სადილსაც

არ თაკილობს, ამას წინათ არ იყო, ვაქირზე რომ ამოიარა და ხეზე ასულმა ქალმა ქლიავი გადმოაყარა, სპარსელი მეგონე და ვერ გიცანიო. რამდენი იცინა მეფემ... შაქარა შეღერებული ბიჭი იყო მაშინ და მეფის ამალას შორიახლოს აედევნა, კარდანახამდე მიჰყვა...

ჰოდა, მტერი მოდიოდა, მოიწევდა, გველეშაპივით მოიგრაგნებოდა... მართალია, ძირითადი ჯარი მტკვრის ხეობას ამოჰყვა და თბილისისკენ გაემართა, მაგრამ კარგა მოზრდილ რაზმს კახეთისკენაც გადმოეხვია და წინამინდორით წამოსულიყო... გზა-გზა ნაცარ-ტუტად ექცია ხორნაბუჯი, ყარაღაჯი, ხირსა, ბოდბისხევი... მოდიოდნენ ეს წყეული სპარსელები, კიოდნენ, ყვიროდნენ, ხმლებს აელვარებდნენ, ერთ-ორ ზარბაზანსაც მოაგორებდნენ... მანამდე აქაურებს ზარბაზნები არ ენახათ, თუმცა ვერც ამან შეაშინათ... სპარსელები კი ძარცვავდნენ, ხოცავდნენ, ატყვევებდნენ...

სოფლის ბოლოს დახვდა შაქარა ოციოდ თავისავით უშიშარ ბიჭთან ერთად. გაკვირდნენ სპარსელები: ესენი ადამიანები არიან თუ ქაჯებიო, შეშინდნენ კიდეცა და უკან გაბრუნებაც დააპირეს, განსაკუთრებით შაქარას გაურბოდნენ, რომელიც მგელივით იბრძოდა, ხან აქ ეკვეთებოდა მტერს, ხან იქ და ვინ იცის რამდენი ურჯულო ყიზილბაში ჩამოაგდო ცხენიდან, რამდენს თავბედი აწყევლინა... ბოლოს ერთმა წითურწვერა სპარსმა ესროლა თოფი და...

ახლა მიხვდა, რა მწარედ სტკენია ნატყვიარი...

მაგრამ მოიცა! ეს რა ხდება, სად არის, რაში წევს? განა სოფლის ბოლოს არ დაეცა და ის ხმალი, რომელიც ახლა აგერ გულზე ადევს, განა ხელიდან არ გაუვარდა? შუბლგახვრეტილი ხომ იმ საღამოს იქვე დამარხეს სოფლის დედაკაცებმა იმ ოც ბიჭთან ერთად, რომელთაგან ერთიც არ გადარჩენილა ცოცხალი?

მაშ, აქ რა უნდა? სად არის? რა დრო გასულა მას შემდეგ?

ეს ხომ ჩვენი ეკლესიაა, სოფლისა, აგერ რამდენი საუკუნე რომ დგას და არაერთხელ ხელახლა ააშენეს? შორს ჩვენი ალაზანი მოჩანს, იმის იქით ლეკის მთები... ყველაფერი ისევ ისეა, თუმცა არც არი ისე... ესენი კი ვინ არიან, ვინც პატივი დასდეს და უკურთხებელი, ნაჩქარევად გათხრილი საფლავიდან აქ, ეკლესიის ეზოში გადმოასვენეს? ეს ხმალიც მათ ხომ არ დაადეს გულზე? ჩანს რომ ვაჟკაცები კვლავაც იზრდებიან საქართველოში! ხოლო რაკი ზარი რეკავს, მტერიც აღარსად უნდა იყოს, მაშ, ისევ თავისუფალნი და ლაღნი არიან ქართველები!

გმადლობ, ღმერთო!... იდიდოს შენი სახელი!..

...რამდენიმე წამით დამძიმებული კუბო უცებ ისევ დამსუბუქდა. ბიჭებმა ძირს დაუშვეს და ახლად ამოთხრილ, მოსწორებულ მიწის გროვაზე დადეს. და ვიდრე სუდარას გადააფენდნენ და სახურავს დაახურავდნენ, ყვინჩილაგურომ გამოსამშვიდობებლად ერთხელ კიდევ დახედა.

ხმალი კვლავ ძვლებზე იდო, თავის ქალას კი იქ, სადაც თვალების ადგილას ცარიელი ფოსოები შავად მოჩანდა, ორი სველი ლაქა ეტყობოდა.

ყვინჩილაგუროს გაუკვირდა, მაგრამ არაფერი უთქვამს, იფიქრა, მომეჩვენაო, კუბოს სახურავი დააფარა და მეგობრებთან ერთად საფლავში ფრთხილად ჩაუშვა...

საქველმოქმედო საღამო – „ანეულის“ დასახმარებლად!

მომღერალმა ნაზი სარჯველაძემ „კავკასიურ სახლში“ საქველმოქმედო კონცერტი გამართა და ასე გამოხატა თანადგომა ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულისადმი“, რომელიც შემოწირულობებით გამოიცემა. ნაზი სარჯველაძემ 29 მაისს 10 რომანსი შეასრულა. რეპერტუარში იყო ქართული და რუსული რომანსები, აგრეთვე ოსური, ბერძნული, სომხური სიმღერები.

ნაზი სარჯველაძეს ფორტეპიანოზე აკომპანიმენტს უწევდა გიორგი ცაბაძის სახელობის მუსიკალური სკოლის პედაგოგი თინათინ ონაშვილი; გიტარისტი – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მდივნის იაკობ მანსვეტაშვილის მემკვიდრე – დავით ცერცვაძე.

ნაზი სარჯველაძის რომანსებმა დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა, არაჩვეულებრივი იყო იაკობ მანსვეტაშვილის ტექსტზე შესრულებული „სიმღერა თბილისზე“.

არაერთი საქველმოქმედო კონცერტისა და ლამაზი საღამოს ინიციატორი, ნაზი სარჯველაძე, ამავდროულად, გადაცემას უძღვება ტელეკომპანია „ახალ საქართველოში“, რუბრიკით – „საინტერესო ადამიანები“.

სალომე გოგოლაძე

სალომე გოგოლაძე დაიბადა 1972 წ. 30 მარტს თბილისში. 1999 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისი ნაწარმოებები პერიოდულად გამოიცემოდა და იბეჭდებოდა ქართულ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში: „ლიტერატურა და ხელოვნება“, „მწერლის გაზეთი“, „ნუგეში“. 2010 წელს გამოიცა მისი წიგნი – „თამაში მარგალიტებით“, სადაც შესულია რომანი „მტერი ჩემი“, მოთხრობები, ლექსები და წერილები. ამჟამად იგი იმყოფება ემიგრაციაში, იტალიაში და ნაყოფიერად ეწევა შემოქმედებით საქმიანობას. მის ნაწარმოებებში დიდი ადგილი ეთმობა ქართველ ემიგრანტთა პრობლემატიკას.

გთავაზობთ ლიტერატურულ კონკურსში „ემიგრანტის წერილი – 2016“ გამარჯვებულ მოთხრობას (მეორე ადგილი).

Terra nostra

(ჩვენი მიწა)

ქალაქში წვიმდა. სადგურთან ახლოს, ალდო მოროს მოედანზე შადრევანი უზარმაზარი მარმალილოს ლარნაკზე ბუჩქივით გადმოედინებოდა. ბაღში მაღალი პალმის ხეები მარაოსავით შლიდნენ მწვანე ტოტებს და მზის ათინათებს ეთამაშებოდნენ. ასფალტზე მტრედების გუნდი ირეოდა და კუთხეში, „კარდონის“ ყუთზე გაშხლართულ, თავთით აბგაამოჩრილ ზანგის ჭრელპერანგა კაცს ლამის, ზედ ასკინტლავდნენ. მტრედებიც კი ადამიანებზე თამამად დააბიჯებდნენ აქ.

ქუჩის გადაღმა დიდი ბაღია, სადაც ხუთშაბათობით ქართველების ტევა არაა. საბრალო ერის შვილები, ისე უმწეონი ჩანან ამ „მწარე ევროპის“ ფონზე, როგორც ტყის ბინადარნი ვოლიერებში. თავისუფალ დროს, როცა გამოდიან იქვე, ქვის სკამებზე სხდებიან, უმეტესობა ქალბატონია, შუახნის ასაკისა. ზოგი მოხუციც ურევია. სამოსზე მიხვდებით, რომ აქაურები არ არიან, რაღაცნაირი, ფემინური ჩაცმულობა აქვთ, ზედმეტად ქალურ ნაკვთებს რომ უსვამს ხაზს. ხანდახან მეშინია მათთვის თვალებში ჩახედვისა, რომელშიც დიდ ტკივილთან ერთად მტანჯველი მონატრებაც ერთვის, რომელსაც ვერავინ გაიგებს და მიხვდება, გარდა მათივე მსგავსისა. რატომღაც მეც შიში მიპყრობს და ვფიქრობ – დრო რომ გავა, ალბათ მეც ასეთი თვალები მექნება, ორმოსავით ცარიელი, შიშნარევი და მსუსხავი.

ქართველი კაცები შორიახლოს დგანან, უმეტესად უსაქმურად, ჯიბეში ხელჩაწყობილნი, მხრებში აწურულნი. ალბათ, ვიღაცის ქმრები, ვიღაცის შვილები და ვიღაცის სატრფოები, ისევ ქართველი ქალის იმედად. ერთი მხრივ, ეს დიდი თავგანწირვაცაა ქალისათვის, აქ, იშვიათია მათი საქმე, ზოგიერთნი არაფერს ერიდებიან, არც ცუდს არც კარგ საქმეს, ოღონდ თავი გაიტანონ უცხო ქვეყანაში.

იტალიელები „ნამდვილ ქართველებს“, მგონი, არც იცნობენ, ყველა მათგანი – თაღლითი, მატყუარა და გაქნილი ჰგონიათ. მოდი და გაამტყუნე, ქართველი კაცის „პატივდებული ხელობა“ უცხოობაში სწორედ ეს გამხდარა, რომელსაც ასე სამარცხვინოდ გაურბოდა ძველად ქართველი.

დროთა განმავლობაში, ერთი-ორი სიტყვა მეც ვისწავლე იტალიურად და თავგამოდებით ვცდილობ, ავუხსნა უცნობსა და ნაცნობს – თუ, ვინ ვართ, საიდან მოვედით და როგორია ჩვენი ქვეყნის კულტურა და ისტორია. ვეუბნები – უხსოვარი დროიდან ცივილიზებულ ერად ვითვლებით. სახელგანთქმულნი ვართ ჩვენი მწერლობითა და უძველესი არქიტექტურული ნიმუშებით. – მათი რეაქცია ნული, იტალიელს სულ ფეხზე ჰკიდია ეს ამბავი და, ცოტა არ იყოს, განაწყენებულს ხმაში ბზარი მეპარება, როცა ვხვდები, რომ არაფერი იციან ჩვენს შესახებ ერთი რამის მეტი, რომ ქართველები მიმოფანტულნი არიან მთელს ევროპაში, კაცები საშიშები არიან, ხოლო ქალები კი საუკეთესო მოსამსახურეები და მათი ბებია-ბაბუების იაფი მომვლელები. ამიტომ, როგორც გინდა მოიხმარე ეს, მეტად უცნაური ნაცია, თავისი ზნითა და ტრადიციით, რომ გამიჯვნია მსოფლიოს.

ევროპა მრუში ქალიაა. ასეა აღწერილი უხსოვარ ლეგენდაში, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ შეიქმნა ეს კონტინენტი. მითი გადმოგვცემს – თუ როგორ მოიტაცა ხარად ქცეულმა ზევსმა ფინიკიის მეფის, აგენონის ქალიშვილი ევროპა, გაიტაცა ზღვით, დღევანდელ კუნძულ კრეტაზე, გააუპატიურა იგი და შემდეგ კი მისგან ეყოლა შვილები. მას თაყვანს სცემდნენ, როგორც ქალღმერთს. სწორედ ამ ქალის სახელი დაერქვა ევროპის კონტინენტს. ეს მოკლე მიმოხილვა მეუბნება იმას, რომ ქვეყანა, რომელმაც მიმასპინძლა, არცთუ ისე გულშემატკივარი იქნებოდა ჩემი ქართული სისხლისა და ხასიათისა, ჩემი რელიგიისა და ჩემი ღმერთისა, რომელსაც უხსოვარი დროიდან ეწირებოდნენ ქართველები.

როგორც იქნა, დიდი ლოდინისა და წვალების მერე, ვიშოვე სამსახური, ერთმა ქართველმა დამდო პატივი, მანამდე ჩემი ნათესავი ქალი, მისსავე სამსახურში მმალავდა, დიდი ტანსაცმლის კარადაში შეყუჟულს, ცოტა არ იყოს და უხერხულად კი ვგრძნობდი თავს, მაგრამ რას ვიზამდი. მე ახლა ერთი ჩვეულებრივი „ბადანდე“ ვარ. ოჯახი, რომელმაც მომცა სარჩო-საბადებელი და მომცა თავშესაფარი, მკაცრი დედინაცვალი აღმოჩნდა. დილიდან დაღამებამდე მუხლჩაუხრელად ვშრომობ და მხოლოდ საღამოობით ძლივს მივათრევ დაქანცულ სხეულს ლოგინამდე. ამ ბოლო დროს, სულ ჩემი სოფელი მესიზმრება, მეჩვენება, რომ იქ ვარ, გაზაფხულია, ხეები ყვავიან და მათ სურნელსაც კი ვგრძნობ. როგორ მონატრებით ვეფერები მიწის ყოველ გოჯს და ვტირი სიხარულისგან. გაღვიძებულს ბედნიერების განცდის შეგრძნება დამყვება მთელი დღის განმავლობაში.

ცენტრალური ზონიდან არცთუ ისე შორსაა ჩემი სამსახური. სახლიდან ზღვა და პლაჟი მოჩანს, დილაობით შორიდან თვალს ვადევნებ, როგორ ირეკლავს ხოლმე იგი ზურმუხტისფერ ზედაპირზე მზის სხივებს და როგორ დაფარფატებენ თოლიების გუნდები ზღვის ტალღებში. ხანდახან უზარმაზარი ხომალდი გამოჩნდება, როგორც ოცნების ლურჯი ფრინველი და ნარნარად მიირწევა მძინარე ვეშაპის მკერდზე. მე, ფიქრებით მივყვები ამ ხომალდს შორს, ძალიან შორს, სადაც ჩემი სამშობლოს ცისფერი სანაპირო მელოდება.

ჩემს სენიორას აივანზე საუცხოო მცენარეები დაურგავს, საერთოდ აქ, ეს ტრადიციად არის მიჩნეული, წელიწადის თითქმის ყველა დროს ჯერანები ყვავის სახლის აივნებზე. ვარდისფერი, თეთრი, წითელ ბუტკოგაშლილნი – საუცხოო სანახავია. სურვილი მიჩნდება, რომ ოდესმე ჩემი სახლის აივანზე, რომელიც არ მაქვს, ამგვარ ბაღს გავაშენებ, მერე დილაობით დავჯდები მოქანავე ზურგგადაგდებულ სკამზე და გავიხსენებ უცხო ქალაქს, როგორც გამარჯვებული მრავლისმნახველი მოგზაური დალაშქრულ ქვეყნებს.

სინიორა დორას რომ ჰკითხო, გული არაფერზე სწყდება ცხოვრებაში ერთი რამის გარდა, რომ საუკეთესო წლები მხოლოდ ჯიბეგაფხეკილ კაცს შეალია, რომლის მიმართაც სულ ჰქონდა დაუცხრომელი ეჭვი და ვნება, ახლა კი ძველ დროს, რომ იხსენებს, გულდათუთქული მაძლევს რჩევას, – „არამც და არამც სიყვარულს არ აჰყვე და გულის ხმას არ დაუჯეროო. ისეთი ადამიანი მოძებნე, ვისაც შენი ფასი ეცოდინებაო!“- ალბათ მართალია ჩემი სინიორა, მაგრამ გულს ვერ უბრძანებ და, ჩემი აზრით, არც მაინცდამაინც სიმდიდრეშია ბედნიერება.

ზაფხულობით, როცა ქალაქში გაუსაძლისი სიცხე და ბუღია, ყველა რჯულის ადამიანი ზღვის ნაპირს აწყდება. მე იშვიათად დავდივარ სანაპიროზე. ჩემი სინიორა მოხუცია, თუმცა, ეს არ შეუშლიდა ხელს, საწოლს რომ არ იყოს მიჯაჭვული, სულ ფრენით ჩავიდოდა ზღვის ნაპირზე, გაიშხლართებოდა სილაზე და თავის დამჭკნარ ძუძუებს მცხუნვარე მზეს მიუშვერდა ნებიერა, სიამის კატასავით. ახლა კი, მხოლოდ მის ბებრულ კვნესა-ურვას ვიზიარებ და ვისმენ ამბებს, თუ როგორ დადიოდა საღამოობით ვილაზე საცეკვაოდ და ვისკის წრუპვითა და ტანგოს ცეკვით ირთობდა თავს.

ჩემს სინიორას სამი ქალიშვილი ჰყავს, ყოველ კვირას მოდიან რიგრიგობით განკუთვნილ დღეებში დედის სანახავად. მოვლენ, ცივად გადაკოცნიან, მოიკითხავენ, ჭამა-სმის საკითხს გაარკვევენ, ერთორს დაიჩივლებენ, შვილებზე, ოჯახზე და მალევე გარბიან. მე, თითქოს ვერ მამჩნევენ, არ ვარ, მერე, როგორც იქნება, გავახსენდები მათაც იმიტომ, რომ დედას საპირფარეშოში მოუნდება გასვლა და ცივი ხმით დამიძახებენ:

– vieniMaria prendi seniora il banio! – და გულდასმით დაუწყებენ ყურებას ჩემს მოძრაობას. ვინიცობაა და არა სწორად გავუწმინდო, ვინიცობაა და ვატკინო, ღმერთმა, ნუ ქნას და იმ დღეს „არ ქნა“ მთელი სანათესაო გებულობს, რომ საბრალო ქალბატონ დორას რაღაც ისეთი ვაჭამე, რომ კუჭის შეკრულობა დავმართე. იწყება მერე გაუთავებელი რეკვა და სწავლება, რომ ამისათვის კარგია შავი ქლიავის ჩირი, კივი, თხლად მოხარშული პასტინა და, არამც და არამც, მსუყე და გემრიელი სპაგეტი ან სუგო.

„ლამაზი ხარო! – ერთ დღეს შეამჩნია ჩემმა სინიორამ და გაკვირვებულმა მითხრა: „როგორ, არავინ არა გყავს?,“ – არა-მეთქი გავუქნიე თავი. „non hai ne suno! – თუმცა, მივხვდი, რომ არ დამიჯერა. – „მამა მია!“, – შემოირტყა თავში ხელები და მაღლა ახედა ცას. „შენს ასაკში უკვე სამი შეყვარებული მყავდა გამოცვლილი. მე და ჩემი მეუღლე გვიან შევხვდით ერთმანეთს, როცა ვნებები მოლეული გვქონდა. ორმოცს ვიყავი მიახლოებული, მე გათხოვება მინდოდა, მას კი ცოლის შერთვა სჭირდებოდა და ასე შევქმენით ოჯახი. „კი, მაგრამ, სიყვარული?!.. – ვუთხარი გაკვირვებულმა და თვალები გამიფართოვდა. „ხო, სიყვარული კი მერე, მერე მოვიდა გვიან“, – მითხრა ღიმილიანი სახით.

– საერთოდ კი, იცოდე, ქალი ყვავილია, რომელიც მამაკაცმა უნდა მორწყას, რომ დიდხანს იხაროს. მე არ მესმის თქვენი, ან რაში გარგიათ ასეთი სიცოცხლე. „mama mia! non kapisko niente!“ – თქვა და გადაბრუნდა.

მეც ბევრი რამ არ მესმოდა ამ ჩემი ყოფისა, რა უნდა მეთქვა ჩემი სინიორასათვის, როცა გადასაკარგავში წამოსულს, საკუთარ ბედს შეჭიდებულს, მხოლოდ, ღმერთის იმედად მყოფს, ამ ქვეყნად არაფერი მებადა ჩემი უბრადრუკი სამშობლოს მეტი. სადაც ფეხის დასადგმელი ადგილიც არ დამრჩენოდა, არათუ, ვინმე გულშემატკივარი.

აქ, დრო ისე მიდის, როგორც საფლავში მწოლიარესათვის ერთი საუკუნე. ჩემს მკვდარ სხეულს ხანდახან ჩემივე ხელის შეხებით ვაცოცხლებ. ქალი ვარ, სიყვარული მწყურია, მე კი ისე ლამაზი ვარ ახლა, როგორც არასოდეს, კერტებდაბერილი, აბრეშუმის კანიანი, ღამღამობით როცა უძილობა ამიტანს, წარმოვიდგენ, რომ ის მოვიდა. ის, რომელიც უნდა მოვიდეს და დააგვიანდა, ცხელ ტუჩებს დიდი ხანია დაავიწყდათ კოცნის გემო და მხოლოდ მარილიანი ცრემლი თუ მბანს. სიცივეატანილი ვკანკალებ და ვერ ვთბები, ერთი თხელი

საბნის ამარა დარჩენილი, ვდგები და რაც მაბადია, ყველაფერს ვიცმევ და მშურს მანდ დარჩენილი ქალებისა, რომელთაც ღამღამობით შეუძლიათ გახელდნენ სასურველი მამაკაცის მკერდზე. ესეც ერთი გაუმხელელი ტკივილია, რომელზეც არავის საუბრობს, ჩუ-მეთქი, აქ არავინ საუბრობს. მხოლოდ თვალის სიღრმეში თუ ჩახედავ მათ, მიხვდები – რა უბედურია ახალგაზრდა ქალი უსიყვარულოდ და უსამშობლოდ. ამ „უდაბნოში“ მშრალ, უსახო დღეებს ობის გემო აქვთ, კედლებიდან კი, თითქოს ამოლესილი სიცივე მომშტერებია. მე სხეულით ვარ აქ, სული ისევ იქ დადის, ჩემი თბილი სამშობლოს ქუჩებში დააბიჯებს და ეფერება, როგორ ეფერება ყველა კუთხესა და კუნჭულს. მე თითქოს ამ მიწის ნაგლეჯი ვარ და ვერაფრით ვიხშობ ტკივილს, რომელიც სადღაც გულის სიღრმიდან ამოდის და ხმის იოგებთან მეჩხირება.

მოვიხედე და სამი წელი გასულა, ერთადერთი, შიში რაც მაქვს, ისაა, რომ უცხო მიწაზე არ ამომხდეს სული. ხო, აქ ასეთი აზრები ხშირია. მიწა ჩემი სამშობლოს მიწა, პატარა ნაჭრის ტომსიკაში მაქვს გამოკრული და ყველგან თან დამაქვს ჩანთით. ამას წინა, ქალაქში რომ გავედი, კარაბინიერები ყველა უცხოელს ჩხრეკდნენ, განსაკუთრებით კი „კლანდესტინებს, უსაბუთოებს აჩერებდნენ. ალბათ, რაიმე შემთხვევა თუ მოხდა, ან ძარცვა, ან მკვლელობდა. ასე მწარედ მაშინ დაგვერევიან ხოლმე. ვკანკალებ და მეშინია, ხელი არ დამავლონ და იქ, არ გამამწესონ, „სადაც ჯერ არს“. უეცრად, მესმის ზუგს უკან ხმამაღალი ხმა და სისხლი მეყინება.

– salve, prendere documenti! – ჩემ წინ აბჯარასხმული, წელში რეზინისხელკეტიანი შუახნის კარაბინიერი დგას და თეთრ ხელთათმანს ისწორებს. ჩანთა გავხსენი და ვითომ საბუთებს დავუწყე ძებნა, ფეხი არ მოუცვლია, იდგა და მიყურებდა, ცივი გამომეტყველებით. უცებ ჩანთიდან ჩემი პატარა თეთრი ტომსიკა გადმომივარდა, სადაც ქართული მიწა მქონდა სათუთად გამოკრული. მაშინ გაუფართოვდა თვალები, ხელი სტაცა, ეგონა, თუ რაიმე ნარკოტიკულ ნივთიერებას, უფრო, კოკაინს თუ ვმალავდი, ტომსიკა გახსნა და ხელზე გადმოიყარა.

– ce cosa? – რა არის ესო? – მკითხა გაკვირვებულმა.

– qvesta, terra nostra,Giorgana! – ვეუბნები, ჩვენი მიწაა-მეთქი, ქართული მიწა. ვხედავ, უფრო უფართოვდება თვალები და ხან მე მიყურებს, ხან მიწას და ვერაფრით ხვდება, რატომ დამაქვს ჩვეულებრივი მიწა, ასე გამოკრული, როცა ის ყველგან თავზესაყრელია. მგონი, იფიქრა, რომ ვერ ვიყავი მთლად დალაგებული და ამ საკითხს მარტო ის ვერ გადაწყვეტდა. გადარეკა რაციით და აცნობა, რომ დაკავებულია ქალბატონი, რომელსაც ჩანთაში აღმოაჩნდა ჩვეულებრივი მიწა, არის უსაბუთო, ფსიქიკური გადახრები არ აღენიშნება. გარდა იმისა, რომ მთელი მონდომებით ცდილობს, დაიბრუნოს ნივთმტკიცება.

იქიდან კი ისმის სიცილნარევი პასუხი – „დღეს ასეთი ქალბატონები ხუთი დავაკავეთ, ეს ქართველების ერთ-ერთი ფანდია, რომლითაც ცდილობენ, შეცდომაში შეგვიყვანონ. ისინი ამით უფრო დიდ საიდუმლოს მალავენ, რომელსაც ჩვენ აუცილებლად მივაკვლევთ, კოდური სახელია „terra nostra“....

– რა უცნაური ერი ხართო ეს ქართველებიო, თქვენ არავის გავხართო! არც ევროპელები ხართო, არც აზიელებიო! – მითხრა ერთხელ ბებიას შვილმა საერიომ. – ეს დამწერლობა თქვენია თუ რუსებისგან ისესხეთ?

– ჩვენია, ბატონო, თქვენ გეშლებათ. ესაა, უხსოვარი დროიდან რაც შემოგვრჩა და ვამაყობთ ამით, საერთოდ, რა იცით ჩვენს სამშობლოზე, საქართველოზე?

„კი, ვიცი, სტალინი, შევარდნაძე და კიდევ, ხოო, მედეა! მედეა ვიცი, ის ლეგენდაც ვიცი, სადაც ჩანს რომ, თქვენ ქართველ ქალებს შვილის მოკვლა შეგძლებიათ“.

– არა, არა დაუჯეროთ ევრიპიდეს, სინიორ, ევრიპიდემ ბერძნების დასაცავად დაწერა ეს სამარცხვინო ნაწარმოები, რომელიც აგერ, საუკუნეებია ჩირქს გვცხებს ქართველ ერს. მედეა ამას ვერ იზამდა, ვერა, იმიტომ, რომ ქართველი ქალები შვილებს არ ვკლავთ, პირიქით, მათთვის ვეწირებით.

– არ ვიცი, არ ვიცი, მაგრამ ევრიპიდესი მე მჯერა. – თქვა დამაჯერებელი სახით.

ამ გაცხარებულ კამათში კი ბებია დორას საპირფარეშოში მოუნდა და ცივი ხმით დაიჩხავლა.

– volio far pipi! – თქვა და დამთავრდა მედეას და ქართველი ქალების დამცველის როლის თამაში.

ბებია წავიყვანე ისევ მედეაზე ფიქრმიცემულმა. მოხუცმა ბიდეში ჩაარაკრაკა და კმაყოფილსახიანი მომიბრუნდა და მითხრა:

– თქვენ, ქართველ ქალებს ყველას გაქვთ დამთავრებული მოხუცების მოვლის სკოლაა? – აი იქ დამთავრდა ყველაფერი და უცებ გამოვეთიშე ევრიპიდესა და მედეას. მწარედ, ძალზედ მწარედ გამეცინა და თავი დავუქნიე სახეგაბადრულ მოხუცს.

– კი, რა თქმა უნდა, ამას ჩვენ თითქმის ბავშვობიდან გვასწავლიან.

– bravi, molto bravi qvesti Giorgani! – დამიდასტურა მან და უკანალი მომიშვირა საცვლის ამოსაწევად.

რატომღაც ბებიაჩემი გამახსენდა, აკანკალებულხელებიანი, თბილსახიანი მოხუცი, რომელიც ეზო-ეზო ისე დააბიჯებდა, თითქოს ეშინოდა ხიდან ნაადრევად ჩამოცვენილი ფოთლები არ გაესრისა. მერე კი, ბებიაჩემის გახსენებაზე, ის ეკლესია გამახსენდა, ძველი დაფხავებული, ჩვენი სოფლის ეკლესია, რომელიც ძლივს იდგა ფეხზე ქარში და წვიმაში და თოვლი მის გუმბათოვან სახურავს დაუნდობლად აზიანებდა. რაღაცნაირად, მეტკინა გულის სიღრმეში და თვალზე მომდგარი ცრემლი სასწრაფოდ მოვიწმინდე, ცალი ხელით რომ ვინმეს არ დაენახა.

ბებია დორა მზით განათებულ აივანზე გავიყვანე. აივნიდან კი ვხედავდი, როგორ იკლაკნებოდა საავდროდ გამზადებული ზღვის ტალღები შემოდგომის რუხი ცის ქვეშ. „რა შორსაა ჩემი სამშობლო და რა ახლოა უფალი ჩემთან!“.. – გავიფიქრე გულში და ცას ავხედე, როგორც უკანასკნელ თავშესაფარს.

მაია სეხსვაძე

ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრები

* * *

უცხო ენიდან ქართულად ტექსტების თარგმნისას განსაკუთრებული ძალით შევიგრძნობთ ქართული ენის სიმდიდრესა და მადლს. ხშირად მთელი ფრაზის ერთი სიტყვით გადმოცემა სავსებით შესაძლებელია. უამრავი მაგალითს შემიძლია მოვუხმო საკუთარი თუ სხვათა თარგმანებიდან, მაგრამ, ნათქვამის მჭევრმეტყველ ნიმუშად, ვფიქრობ, ეს ერთიც კმარა: სიტყვა „მზეკაბანი". გიორგი ლეონიძის თქმით, „მზეკაბანი ჰქვია ყანაზე მზიანი ნიავის გადაცურება-გადალივლივებას". ალექსანდრე ღლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში" კი ვკითხულობთ: „ყანას რომ ქარი უქრის, აღელვებს და სხვადასხვა ფერს იღებს, ამას ჰქვია მზეკაბანი"; „ნიავის შექროლებით მრავალფერად აბიბინებული ყანა". იგი ფშავურ-კახური დიალექტიზმი ყოფილა. ჩემი ნება რომ იყოს, მას სალიტერატურო ენას მივაკუთვნებდი და განმარტებით ლექსიკონშიც მივუჩენდი ადგილს.

* * *

რამდენი უმსჯელიათ ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისაზე" ლიტერატურათმცოდნეებს. ცდილობდნენ, გამოეცნოთ ავტორის პოზიცია. ვის თანაუგრძნობს ის, მეფე ერეკლეს თუ სოლომონ ლიონიძეს, რუსეთთან შეერთების მომხრეა თუ მოწინააღმდეგე, თუ უბრალოდ საკითხს სვამს და ჩვენ გვიტოვებს განსჯისათვის. ზოგი ასე ფიქრობდა, ზოგიც — ისე.

თუ გავიხსენებთ იმას, რომ ლექსს „საფლავი მეფის ირაკლისა", ერთი შეხედვით, პოეტის ღირსეული წინაპრის შესხმად და მისი არჩევანის გამართლებად რომ მოჩანს, თავდაპირველად „საფლავი ივერიისა" ერქვა, — მერე შეუცვლია სათაური, ჩანს, ცენზურის რიდით, — ვფიქრობ, ეს გამოცანაც გამოიცნობა. სათაური ივერიის დასამარებაზე, მისი მზის ჩასვლაზე მიანიშნებს აშკარად.და აჰა, პასუხიც დასმულ კითხვაზე.

რამდენ გასაღებს ინახავენ ტექსტების ვარიანტები! რამდენ საიდუმლოს ხდის ფარდას მათი საგულდაგულო კვლევა!

* * *

გრიგოლ ორბელიანი პეტერბურგში შეხვედრია და პირად გაუცვნია რუსების მიერ დამორჩილებული შამილი, შამილა, როგორც თავად უწოდებდა. ძველი მტრები ერთმანეთს გამოლაპარაკებიან. ერთ პირად წერილში პოეტი ამ ეპიზოდსა და საუბარს იხსენებს:

„შამილა გავიცან პეტერბურღში; კარგი დარბაისელი კაცი ყოფილა. მაგრამ ძალიან გაოცებული იყო ყოვლითა მით, რასაცა ჰხედავდა. — მითხრა, კნიაზო, დიდად ვჰსწუხვარ, რომ ვერ ვნახე თქვენი ნათესავნი ქალები, რომ ბოდიში მომეთხოვაო (თავის ყოფილ ტყვეებს — დავით ჭავჭავაძის სახლობას და მათ ამალას გულისხმობდა — მ. ც.); ეხლა ვჰხედავ, რასაც ნაკლულოვანებაში იყუნენ ისინი, მაგრამ როგორ მოვიფიქრებდი, რომ კაცები ასე განცხრომით ჰსცხოვრებენ, როგორც აქაო! — დიდის სიმწარით მიამბო, რომ მიღალატეს ყოველთა მათ, ვინცა იყუნენ დაახლოებულნი ჩემთან და ვინცა ჩემს მფარველობას ქვეშე და ჩემის მოწყალებით ჰსცხოვრებდნენო! იმათვე ამიკლეს სრულებით, ასე რომ ეს თეორი ჩოხა ბარიატინსკიმ მიწყალობაო. და ამ გუარი მრავალი მელაპარაკა."

ვაჟკაცობისას ამბობდნენ...

* * *

ტრაგიკულმა აღსასრულმა დიმიტრი ყიფიანი, რომლის სახელს დიდი ეროვნული საქმეები უკავშირდება, წმინდანის შარავანდედით შემოსა. მის ეკლიან შუბლზე, გალაკტიონის არ იყოს, მართლაც, უფრო ძლიერი და მშვენიერი მზე გამობრწყინდა.

დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა ანტისამთავრობო დემონსტრაციად გადაიქცა. „საშვილიშვილო სამარე" მთაწმინდაზე გაითხარა. აკაკიმ მას თავისი ლექსი-შედევრი „განთიადი" უძღვნა.

დიდი მამულიშვილის ღვაწლი ხშირად აღუნიშნავთ მჭევრმეტყველურად. რად ღირს თუნდაც ილიას სიტყვები, დიმიტრი იყო ჩვენი ხუროთმოძღვარი და ჩვენ მისი კალატოზებიო.

ორიოდე სიტყვა მის შთამომავლებზეც უნდა ითქვას.

ამბობენ, ბუნება შვილებზე ისვენებსო. თუ ეს წესია, მასაც, როგორც ყველა წესს, გამონაკლისი გააჩნია. ისეთი შვილებიც ვიცით, ცნობილი მშობლებისათვის ბევრად რომ უჯობნიათ. დიმიტრი ყიფიანის შთამომავლობა კი გამონაკლისთა გამონაკლისია. ამ შემთხვევაში ბუნებამ არათუ შვილებზე, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებზეც არ დაისვენა. ამის დასტურია ჩვენი თანამედროვე მისი მეექვსე თაობა. ღირსშესანიშნავი მათ შორის მწერალი და მეცნიერი თამარ მიქაძეა, რომელმაც სულ ახლახან მშვენიერი ფოტოალბომი უძღვნა ღირსეულ წინაპრებს. ისინი თითქმის უკლებლივ ცნობილი პიროვნებანი იყვნენ: მწერალები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი... დიმიტრი ყიფიანის შთამომავლობა, შეიძლება ითქვას, ერთი დიდი თანავარსკვლავედია ქართული კულტურის ცაზე, რომელიც ქვეყნის მსახურების, ზნეობისა და ღირსების ორიენტირად უნდა მოვიაზროთ.

უნდა დაიწეროს ყიფიანების საგა. ყიფიანები ელიან თავიანთ გოლზუორთის.

* * *

ივანე წიკლაურის ცნობილმა მოზრდილმა ლექსმა „სიზმარში მკითხის ამბავი“ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. მისი ლირიკულ გმირი დაბერების მიზეზებს გვიხსნის და თანაბარწილად ჩამოთვლის ყველა დიდ ჭირსა თუ ლხენას, რაც კი ცხოვრების გზაზე შეხვედრია. მკითხველს ხიბლავს და აფიქრებს მისთვის ერთგვარი ის სიახლე, რომ თურმე ძლიერი პოზიტიური განცდებიც ისეთსავე გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქო-ფიზიკურ სიჯანსაღეზე და ისევე უმოკლებს დღეს, როგორც უარყოფითი. ქართველი პოეტის მიერ ამ ლამაზ ლექსში გამოთქმული თვალთახედვა ზუსტად ემთხვევა თურმე სტრესების თეორიის ავტორის, კანადელი მეცნიერის ჰანს სელიეს სამეცნიერო დასკვნებს სიბერეზე სტრესის ზემოქმედების შესახებ, რაზეც ჩვეული ოსტატობით მოგვითხრობს ლევან ბრეგაძე თავის წერილში „პოეზია და მეცნიერება“.

ჩემი დაკვირვებით, მსგავსი დატვირთვის უნდა იყოს შოთას ორი აფორიზმიც:

„ჩქარად ეცეს, ვერ გაუძლებს, კაცი ლხინსა მეტისმეტსა“ და „სიცხე სწვავს, ყინვა დააზრობს, წყლულნი ორჯერვე სტკივიან“.

* * *

მრავალი წლის მანძილზე საბჭოთა რეჟიმს თავგარიდებულ ქართველ ემიგრანტებს სამშობლოსთან მიახლების ლამის ერთადერთ საშუალებად აქაური შემოქმედებითი კოლექტივების საზღვარგარეთული ტურნეები ესახებოდათ. ამ მხრივ ქართული ნაციონალური ბალეტი, ხალხში სუხიშვილების ანსამბლად ცნობილი, ყველაზე მადლმოსილი იყო. არგენტინაში, ბუენოს-აირესში მისი გასტროლების მომლოდინე აკაკი პაპავას ზედმეტი მღელვარებისგან გული გაუსკდა – მიცვალებულს ხელში კონცერტისთვის ნაყიდი ბილეთების მთელი დასტა ჰქონდა ჩაბღუჯული. გრიგოლ რობაქიძეს ამ ამაღელვებელმა შთაბეჭდილებამ შეაქმნევინა შესანიშნავი ესსე „ქართული გენია, როკვით განფენილი“. ახლახან გამოვაქვეყნე მწერალ აკაკი ბელიაშვილის ერთი პირადი წერილი საფრანგეთში გადახვეწილი ძმის, რუსთაველის კოსმოლოგიის მკვლევარის ლადოსადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „ახლა ამ წერილს რომ ვწერ, ცრემლები მომდის. მე მიამბეს, რომ შენ თურმე სულ გდიოდა ცრემლები, როდესაც ჩვენი ანსამბლის სპექტაკლებს უცქეროდი. მეც ვტიროდი, როდესაც ამას მიამბობდნენ“.

ვინ იცის, რამდენი კიდევ ქართველი...

* * *

სადაურსა სად წაიყვანო...

გაახსენდება ალბათ ყველას, ვინც კი უკეთილშობილესი ნიკო ბაგრატიონ-მუხრანელის, იგივე ნიკო ბურის შორეულ აფრიკაში, ტრანსილვანიაში გამგზავრებისა და საბრძოლო თავდადების საარაკო თავგადასავალს გაეცნობა.

თავდაპირველად მეგობარს, ნადირობის დიდ მოყვარულ კოლა ორბელიანს შეუთავაზებია მისთვის ლომებზე სანადიროდ ცხელ ქვეყნებში წასვლა. „წარმომიდგა ტარიელი მთელი თავისი ვაჟკაცობითა და გამბედაობით. მე უკვე შემეძლო ვყოფილიყავი მისი პროტოტიპი“, – გვიყვება იგი მემუარებში. გაგახსენდებათ „ამბავი ლომ-ვეფხვის დახოცვისაც“, როცა წაიკითხავთ, ამ ძალგულოვანმა კაცმა იქ ტარიელივით როგორ მოკლა ვეფხვი და ჯილდოდ მოკლული ვეფხის ტყავი მიიღო.

მისი უცხოეთში ყოფნისას ინგლის-ბურების ომი ატყდა და ის მოხალისედ გამწესდა ბურების დასახმარებლად.

ვფიქრობ, მისი ეს, ერთი შეხედვით, აუხსნელი, უჩვეულო გადაწყვეტილება და ნაბიჯი საუკუნეებგამოვლილი ეროვნული ენერგიისა და მარად უჭკნობი ქართული მხედრული სულის გამოვლინება უნდა იყოს. მიზეზთა გამო და, სავალალოდ ჩვენდა, საკუთარ სამშობლოში უასპარეზოდ, უფუნქციოდ დარჩენილი თავადაზნაურობის ბრწყინვალე წარმომადგენელი შორეთში, დაჩაგრული აფრიკელი ბურების დასაცავად დაიხარჯა, იქ მიიდრიკა თავი.

* * *

ხშირად გავმხდარვართ მოწმენი ამა თუ იმ მოღვაწის დაკრძალვის ადგილის შესახებ გაცხარებული სჯა-ბაასისა. ერთი ასეთი შემთხვევის გამო ჩემმა ძვირფასმა, აწ გარდაცვლილმა მეგობარმა მითხრა, რა მნიშვნელობა აქვს, სად დაკრძალავენ, სადაც არ უნდა მიუჩინონ სამარე, ის ადგილი გახდება წმინდათაწმიდაო. ჭეშმარიტად! რითია, მაგალითად, მთაწმინდაზე ნაკლებ საკრალური სტეფანწმინდის მიწა, სადაც დიდებული ყაზბეგი განისვენებს?!

* * *

„გასაკვირია, როგორ გართობთ, შემახსენოთ სიახლოვე ჩემი აღსასრულისა, დიდი ხანია ცნობილია ჩემთვის, რომ უკვდავი ადამიანები არ არსებობენ და არც იარსებებენ, ვინც უფრო ხნიერია, ახლოს არის აღსასრულთან. ეჰ, ყოველთვის რომ ასე იყოს, ბედნიერები იქნებოდნენ ადამიანები“, – წერდა დიმიტრი ყიფიანის თანამეცხედრე ნინო ჭილაშვილი ერთ ნაცნობ მანდილოსანს. როგორც ჩანს, წერილის ადრესატი უტაქტოდ ახსენებდა ხოლმე ასაკს ხანდაზმულ ქალბატონს.

წავიკითხე ეს და საფრანგეთის სამეფო კარზე მყოფი საბას მოსწრებული პასუხი გამახსენდა ლუი XIV-ისადმი: როცა მას ქართველმა ელჩმა გამოჯანმრთელება მიულოცა, ხელმწიფემ დაიჩივლა, ადვილი საქმე არ არის, სამოც წელს გადასცილდეო. „თქვენი უდიდებულესობა ისე მოხდენილად ატარებს ამ ასაკს, ყველა ისურვებდა ამ თქვენს ასაკში ყოფნასო – გაუმხნევებია ელჩს „მეფე მზე“.

ორი ღირსეული ადამიანის ღირსეული პასუხი.

.

* * *

ზაქარია ჭიჭინაძის ცხოვრება არის მკაფიო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება უკვდავყო თავი კაცმა ისე, რომ არც დიდი მწერალი იყო და არც დიდი მეცნიერი. ეს ორივე თავისთავად, ცხადია, ადამიანის უკვდავების საფუძველია, მაგრამ თურმე უამისოდაც შეიძლება მთაწმინდის ბინადარი გახდე – უბრალოდ უშურველად უნდა დაიხარჯო, ქვეყნის სიყვარულით დაიწვა და სხვას გზა გაუნათო.

* * *

ბედი თუ უბედობა მარტო ადამიანებს როდი სდევთ. ისინი კულტურის ძეგლებზეც ვრცელდება. ბედნიერი შემთხვევისა თუ უჩვეულო პიროვნებების

წყალობით თუ გამხდარა ბევრი მათგანი ჩვენთვის ცნობილი. გავიხსენოთ „ხელმწიფის კარის გარიგება“, „დავითიანი“, ბარათაშვილის შემოქმედება, ფიროსმანის ნახატები, მათი აღმოჩენისა და პატრონობის ისტორია. თუ არა ექვთიმე თაყაიშვილი, მირიან ბატონიშვილი, ილია ჭავჭავაძე, ძმები ზდანევიჩები, ეს შედევრები შეიძლება სამუდამოდ გამქრალიყვნენ ჩვენთვის და ვერ დაემკვიდრებინათ კუთვნილი ადგილი ქართულ კულტურაში.

ამ დიდებულ ადამიანთა სამოქალაქო გმირობა საყოველთაო აღტაცებას იმსახურებს. მათთან ნამდვილად ვალში ვართ.

* * *

ცისფერყანწელთა ორდენი განსაკუთრებული ფენომენია არა მარტო მისი როლით ქართული ლიტერატურისა თუ კულტურის ისტორიაში. ეს არის ჯგუფი საოცარი, ლამის ძმური, ნათესაური სიყვარულით გაერთიანებული ადამიანებისა. მიძნელდება უარყოფითი კონოტაციის კლანი თუ კასტა ვუწოდო მას, მაგრამ მისი წევრები, მართლაც, კლანურ-კასტური ერთიანობით არიან გამორჩეულნი. თითოეულ მათგანს, ბუნებრივია, საკუთარი ხელწერა, სტილი თუ პოეტიკა გამოარჩევს, მაგრამ ამ თვალსაზრისით ისინი ტყუპისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს, ერთ სულ და ერთ ხორც არიან. ასე ჩანს ყოველ მათ სტრიქონში, პოეტურსა თუ პროზაულში, პუბლიცისტურსა თუ ესსეისტურში. ეს უნიკალურ მოვლენა ქართულ კულტურულ სინამდვილეში, ვფიქრობ, ცალკე კვლევის საგანი უნდა გახდეს.

* * *

ვინ არ დამწვარა ნინო ჭავჭავაძის სიყვარულით?! რამდენი ლექსი დაწერილა, რა ქება-დიდება და ხოტბა არ შეუსხამთ მისი სილამაზისა და სათნოებისათვის. მასზე გულშევარდნილი გრიგოლ ორბელიანისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „პეტერბურღიდან ისპაანამდის“ გაგიჟებულნი ყოფილან თურმე მისი ტრფობით მამაკაცები. თვით სპარსეთის შაჰსაც კი განუზრახავს მისი მოტაცება. და მაინც არც ერთ შესხმასა და მიძღვნას არ მოუხდენია ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება, როგორიც 1832 წლის შეთქმულების მასალებში ელიზბარ ერისთავის ერთ ჩვენებას. ის აჯანყების სამზადისს იხსენებს:

„...მამუკა (ორბელიანი – მ. ც.): კარგია,და ამასთანავე, გავაკეთოთ ბალი და მოვიწვიოთ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები, აქ, ნიშნის მიღებისთანავე, დავიწყოთ აჯანყება და ამოვხოცოთ ყველა ჩინოვნიკები, მაშინ ნახავთ, როგორც ვიმოქმედებო.

გიორგი (ერისთავი, დრამატურგი – მ. ც.): ქალები ძალიან შეშინდებიან, მამუკა, წარმოიდგინე, რომ როდესაც შენ გამძვინვარებული ხარ, ამ დროს მოდის შენთან ნინა ალექსანდროვნა, გონწასული ეცემა შენს წინაშე მუხლებზე, მაშინ როგორ მოიქცევი.

მამუკა: ეხ, ჩემო ძმაო, მე ამ სცენას ვერ გავუძლებ და მის მკლავებში გავეხვევი.

მე: მე მკლავებში კი არ გავეხვევი, მე მას სილას ვტკიცავ. აქ ჩვენ დავიწყეთ ხუმრობა და სიცილი, ამით დავასრულეთ საუბარი...“

დოკუმენტური პროზის მშვენიერი პასაჟი.

* * *

გრიგოლ რობაქიძე თავის უკანასკნელ სატრფოს გიტა შტრახვიტცს ერთ პირად წერილში შეახსენებს ჩინურ სიბრძნეს: „უსაქმურობით დაკავდი და ყველა საქმე შენთან მოვაო“, „გველის პერანგში“ კი მწერალი ამბობს: „განა სიზარმაცე ცუდია?! ქვეყანა რომ ისუნთქო, საჭიროა ოცნება“. მსგავს რეფლექსიებს ვხვდებით როსტომ ჩხეიძის წიგნში „ქება სიზარმაცისა“. მოცალეობის შესხმაა უელსელი პოეტის უილიამ ჰენრი დეივისის ამავე სახელწოდების ლექსი. დროის სიმბოლიკას, მის ფილოსოფიური გააზრებას გადავაწყდი ო. ჰენრის ნოველაში „ხალიფა, კუპიდონი და საათი“. დიდი ნოველისტი აქ დიდ ფილოსოფოსადაც წარმოჩნდა...

* * *

ბრწყინვალე ორღანისტის, ქალბატონ ეთერ მგალობლიშვილისაგან გამიგონია, ჩვენთვის კარგად ნაცნობი მუსიკალური ჰიტები და შლაგერები (კლასიკურ ნაწარმოებებს გულისხმობდა) სულაც არ განეკუთვნებიან მათი ავტორების საუკეთესო ნიმუშთა რიცხვსო. სხვებთან შედარებით ისინი შესასრულებლად უფრო ადვილნი არიან და ამიტომაც ჰპოვეს ასეთი გავრცელება და აღიარებაო. მას, როგორც მაღალი რანგის, უაღრესად განსწავლულ, მსოფლიო დონის მუსიკოსს, ცხადია, დაეჯერება. ალბათ, იგივე შეიძლება ითქვას უცხოურ ლიტერატურულ ნაწარმოებებსა და მათ ავტორებზე. უმრავლეს შემთხვევაში, ჩვენ ვიცნობთ და შედევრებად ვაღიარებთ მხოლოდ იმ ტექსტებს, რომელთა თარგმნაც უფრო ადვილია, სათარგმნელად უფრო რთულნი კი ჩვენთვის უცნობნი რჩებიან, თუმცა მხატვრული დონით შეიძლება ბევრადაც აღემატებოდნენ მათ. დღევანდელ მთარგმნელთა და გამომცემელთა თავდადება ამ მიმართულებით, ვფიქრობ, კიდევ ბევრ უცნობ შედევრს შეგვახვედრებს.

* * *

ეფესში ექსკურსიაზე წაგვიყვანეს. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არქეოლოგიურმა გათხრებმა. უეცრად ანტიკურ სამყაროში, ძველ ბერძნულ ქალაქში ამოვყავით თავი. გიდი იმდროინდელი მოქალაქეების ცხოვრების ნირსა და წესჩვეულებებზეც გვიყვებოდა. მისი ერთი პიკანტური მონათხრობი განსაკუთრებით ჩამრჩა გონებაში. ქალაქში ცელსიუსის ცნობილი ბიბლიოთეკის გვერდით საროსკიპო ყოფილა. ეს ორი შენობა ერთმანეთს ფარული გვირაბით უკავშირდებოდა. ბიბლიოთეკაში მისული მამაკაცები ჯერ თურმე შესვლის დროს აფიქსირებინებდნენ მომსახურე პერსონალს მკითხველის ბარათზე, აიღებდნენ წიგნებს და იწყებდნენ კითხვას, მერე გვირაბით საროსკიპოში გადადიოდნენ და იქ ერთობოდნენ. ერთი სიტყვით, სულიერ-ხორციელ სიამოვნებას თითქმის ერთდროულად ეძლეოდნენ. ბოლოს იმავე გვირაბით ბიბლიოთეკაში ბრუნდებოდნენ, მკითხველის ბარათზე ახლა უკვე გამოსვლის დროს ჩაანიშნინებდნენ და შინისკენ გაემართებოდნენ. ეს ბარათი თავის მთავარ დანიშნულებასთან ერთად ერთგვარი ალიბის ფუნქციასაც ითავსებდა – ცოლებთან თავის გასამართლებლად ადგებოდათ ის მამაკაცებს. ეფესელი მოქალაქეების ამ „მოხერხებულობამ“ ჩვენი ექსკურსანტები ბევრი

აცინა და დიდად გაახალისა. მე კი, რა ვქნა, ვერ გავიღიმე, თუმცა იუმორის ნაკლებობას არ ვუჩივი, არც მორალისტი ვარ – არ მიყვარს ასეთი ხალხი. წიგნებში თუ იყო საქმე.

* * *

ლიტერატურულ პარალელებზე ბევრი იწერება. რამდენიმე დაკვირვებას მეც გაგიზიარებთ.

ფიცჯერალდის ნოველას „მანიაკს“ რომ ვთარგმნიდი, სულ ვაჟას „ალუდა ქეთელაური“ და ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“ მახსენდებოდა. ალბათ, განსხვავება ბევრად მეტია იმ მსგავსებაზე, მე რომ შევნიშნე. მსგავსება კი აი რაშია: მეტოქე თუ მტერი მასთან ბრძოლაში ერთგვარად ისე შეიძლება შეგიყვარდეს თუ შეითვისო, რომ მისმა სიკვდილმა სასოწარკვეთამდე მიგიყვანოს. თუმცა რა ჰქვია ამ განცდას, ძნელი სათქმელია, არის კი ის მართლა სიყვარული ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, თუ სხვა რამ ეთქმის. სულისშემძვრელია ფინალი ნოველისა, სადაც მთავარ გმირი, ამქვეყანად ეულად შთენილი ქრენშოუ თავისი ცოლ-შვილის გარდაცვლილ მკვლელს დასტირის.

გარკვეული ასოციაცია აღმიძრა ასევე ო. ჰენრის ნოველის „ნემეზიდა და ტკბილეულის გამყიდველის“ თარგმნამაც. ამჯერად ნიკო ლორთქიფანიძის „დადიანის ასული და მათხოვარი“ და მწერლის ეს შესანიშნავი სიტყვები გამახსენდა: „გამხმარ თხას, დაკოჭლებულ ცხენს, ჩახმახდამტვრეულ თოფს ფასი ეკარგება: ადამიანს კი ერთი და იგივე ფასი აქვს ყოველთვის და ყველგან, იმერეთის მეფობას არგუნებს თუ დანელიას მეღორედ გააჩენს უფალი...“ ორივეგან შეყვარებული მამაკაცის დაცინვაა თავკერძა ლამაზი ქალისაგან.

თამარ ნასიაშვილი

* * *

ნუთუ გამშვიდებს მარტოსული
ქალის პროფილი,
სევდაჩაღვრილი უთქმელობის ფერთა გენია,
ერთადერთობით სუყველასგან უარყოფილი,
მწვანე თვალები, სასწაულებს რომ მოელიან.
გადავიღალე, შენც ხომ უწყი ესე, უფალო,
ყურს ვეღარ ვუგდებ ქარის წუხილს,
ვერ ვიზიარებ,
იქნებ ჩემს ყოფნას და არყოფნას კენჭი ვუყარო,
ახლა, როდესაც აღარ გელი, – გამომიარე...

* * *

სად გაქრა აპრილის იდილია...
ქარი დამეკარგა თავის ეტლით,
ულექსოდ ყოფნა ხომ სიკვდილია...
უსიყვარულობაა – ასჯერ მეტი...

პოეზია

* * *

ოღონდ ნუ მკითხავთ ნურაფრის მიზეზს,
მე ამ ღრუბლებში დახრჩობა მელის,
უფორმო თვალი შლეგურად მიმზერს,
მშველის ტკივილი დამსხვრეულ ხელის.
როგორ მაგონებს ეს შემოდგომა,
ანგელოზების მონუსხულ მზერას,
არ ვითხოვ შველას, არც თანადგომას,
არც მლიქვნელური ღიმილის მჯერა...
მე მენატრება ღრუბლის მანტია,
გადატეხილი მტკივა ბალახი
და რაც სიწმინდე უფრო მეტია...
კიდეც ბევრია გადასალახი...
ხვალ დამახჩობენ, ვიცი, ღრუბლები...
რადგან ამგვარი მერგო მისია,
მე ასეთ სიკვდილს ვეერთგულები...
არაფრის შეცვლა არ შემიშლია...

* * *

ის დროა, ზღვა რომ მზეს ეთხოვება
და მონატრება ამტვრევს ჯებირებს,
ეს დღეც მე შენით მემახსოვრება,
და მახსოვრობა გამაძლებინებს.
გზა დამეკარგდა, ვეღარ ვიპოვე
ჩემი ოცნების ლურჯი კარავი,
ზღვაო, შენ ერთმა გამომიგლოვე,
თუ აღარ მოვა ჩემთან არავინ.

* * *

ეს არც ლექსია და არც წერილი...
არ მინდა დავრჩე მსხლების ჩეროში,
სადღაც შუაში ვარ გაჩხერილი –
არც იუდა ვარ, არც ანგელოსი.

ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუცესიშვილი

საოჯახო არქივიდან ათვლილი დრო

თამარ მიქაძე – „დიმიტრი ყიფიანი და მისი შთამომავალნი“

22 ივნისს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა წარდგინება ფოტოალბომისა „დიმიტრი ყიფიანი და მისი შთამომავალნი“.

ალბომში შესულია ექსკლუზიური მასალა მდიდარი საოჯახო არქივიდან,რომელიც მოიცავს 6 თაობის ფოტოებს, წერილებს, ღია ბარათებს, მოსაწვევებსა და სხვა.

მათ უმრავლესობას პირველად გაეცნობა დაინტერესებული მკითხველი.

პროექტის ავტორია დიმიტრი ყიფიანის პირდაპირი შთამომავალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი – თამარ მიქაძე; შემდგენლები – თამარ მიქაძე, სოფიო ისაკაძე.

რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე; დიზაინერი – ციცი ბოდოკია; დამკაბადონებელი – იოსებ კაპანაძე; ალბომი გამოსცა „სპეკალმა“ და დაისტამბა „დამანში“.

გთავაზობთ ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუციშვილის შთაბეჭდილებას ამ უნიკალურ ალბომზე.

„ადამიანი უკვდავია იმიტომ, რომ სული
აქვს მომადლებული, სული, რომელსაც თანაგრძნობის,
თავგანწირვისა და ამოცნობის უნარი შესწევს“

უილიამ ფოლკნერი

ივლისის ბოლოა, ცხელა, უსაშველოდ ცხელა... წინ მცხუნვარე აგვისტოა ჩასაფრებული... რა უნდა ქნა... გარდა იმისა,რომ ფეხი აუწყო და თვალი მოუხუჭო ბუნების მარადიულ კანონზომიერებას... ჰოდა,მეც ასე ვიქცევი,საოჯახო საქმეებთან ერთან საწერ მაგიდაზე დაწყობილ,ჩემკენ მომზირალ წიგნებს გავცქერი და ხანგამოშვებით, განწყობის მიხედვით ვფურცლავ, ვფიქრობ... მალე, არ ვიცი, რატომ, უპირატესობას სქელტანიან, მოზრდილ გამოცემას ვანიჭებ და წარმოსახვებით, შთაბეჭდილებებით იმდენად ვივსები, რომ ვჯდები და ისე, ჯერ უმისამართოდ, შემდეგ კი გააზრებულად ვიწყებ წერას; ჯერ არ ვიცი, რომ ამას ზაფხულისა და ჩვენს ქვეყანასა და მსოფლიოში არსებული პრობლემების გამო ერთ თვეს მოვანდომებ, ბოლოსკენ გასვლა გამიჭირდება, ბევრ ამბავს გამოვტოვებ, რის გამოც გული დამწყდება, მაგრამ, რომ იტყვიან, თავს ზემოთ ძალა მაჩერებს და ყველაფერს ისე ვტოვებ, როგორც არის...

მეცხრე კლასში ვიყავი (53-ე საშ. სკოლის), როდესაც ჩვენმა საყვარელმა პედაგოგმა (საქართველოს დამსახურებულმა მასწავლებელმა) თამარ ბურჯანაძემ აკაკის შემოქმედების მიმოხილვას, გარკვეული დრო მის ლექსს „განთიადი“ დაუთმო; ჩვენზე არა მარტო ლექსის შინაარსმა და რიტმმა მოახდინა შთაბეჭდილება, არამედ იმ ადამიანის ბედმა,ვისაც ეს ლექსი ეძღვნებოდა; დარწმუნებული ვარ, ჩვენი წინა და მომდევნო თაობებისთვის ეს იყო ის ლექსი, რომელიც პატრიოტულ, ეროვნულ სიმებს შეგიტოკებდა, აგიჟღერებდა და მერე ისე მოიწამლებოდი,რომ მთელი სიცოცხლის,ცხოვრების მანძილზე გაგყვებოდა...

ასე შემოვიდა დიმიტრი ყიფიანის პიროვნება ჩემში. შემდეგ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლისას ჩემს შთაბეჭდილებას რაღაც შტრიხები შეემატა, და სულ ეს იყო...

მაშინ ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ გავიდოდა წლები, დიდი დრო და მე (სრულიად შემთხვევით, ალბათ, კანონზომიერად...) ბედი დიდი დიმიტრის შთამომავალს, მეექვსე თაობის წარმომადგენელს — მწერალს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ქ-ნ თამარ მიქაძეს შემახვედრებდა და, რაც მთავარია, მასთან ერთად მომიხდებოდა ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულში“ თანამშრომლობა... ქ-ნ თამარისგან საჩუქრად მივიღებდი ძალზე საინტერესო და საჭირო წიგნს „იოსებ ბაქრაძის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (2007 წ.) და მინიატურულ პროზას (50 მინიატურა) „ძალიან პატარა ქალაქში“ (2014წ.) – ბევრს ვისიამოვნებდი, ვიცინებდი და მოვინიშნავდი არაჩვეულებრივ მინიატურებს: „ბრავისიმო“, „გადაუხდელი დაბადების დღე“, „გრეტა და ოსტატი“, „ვერცხლის კბილები“, „იღბლიანი ტარანტელა“, კაკლის ხე და ბებიაჩემის და ელისაბედი“,„ის,რაც არ იყიდება“,„კრედო“,„ვენერა მუხურჩიდან“, „უტელევიზოროდ – უსამართლოდ“, თითქმის, ყველას.. რა თქმა უნდა,ვიცოდი,რომ 2009 წელს გამოსცა ფოტოალბომი „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თუმცა იგი ნანახი არ მქონდა და დაწვრილებით არც ის ვიცოდი, თუ

რანაირი, ვისი ხაზით შთამომავალი იყო იგი ჩვენი საფიცარი დიდი ქართველისა...

სიტყვა გამიგრძელდა... ზემოთ ნახსენები სქელტანიანი წიგნი სწორედაც ქ-ნ თამარის ახლახან გამოცემული (2016 წლის მაისი) ფოტოალბომი გახლდათ: „დიმიტრი ყიფიანი და მისი შთამომავალნი“ (მასალები 6 თაობის საოჯახო არქივიდან), „ვუძღვნი ნიკოლოზ ისაკაძეს, ჩვენს ტკბილ დედაშვილობას“ – ვკითხულობთ თავფურცელზე (მოიცავს 326 გვერდს); ალბომში წარმოჩენილი წინაპრები, პიროვნებები ნამდვილად იმსახურებდნენ, წლების მანძილზე, თამარ მიქაძის მიერ გაწეულ შრომას, გარჯასა და უძილო ღამეებს. ეს კი იმის საწინდარია, რომ მომდევნო თაობებს ექნებათ მშვენიერი გამოცემა, რომელშიც ფოტომასალებთან ერთად XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის საინტერესო, საჭირო ეპისტოლარულ მემკვიდრეობასაც გაეცნობიან. ნახავენ, თუ როგორ ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ ისინი ეპოქის მაჯისცემას, სამშობლოს სიხარულსა თუ მწუხარებაში. მჯერა, წიგნიერი საზოგადოება გულგრილი არ დარჩება ამ მასალის ხილვისას.

„...შესაფერისი პატრონობაც ესაჭიროებოდა ასეთ მდიდარსა და მრავალფეროვან საოჯახო არქივს და ღირსეული გამომზეურებაც...“ – წერს წიგნიალბომის რედაქტორი, ბ-ნი როსტომ ჩხეიძე და არ შეიძლება, მას არ დაეთანხმო. აქვე დავამატებდი, ეს ალბომი ღირსეული ქართველების ღირსეული გამომზეურებაა! ამ „საქმეში“ დიდი წვლილი მიუძღვით თამარის მშობლებს; დედას – ფილოლოგს, თბილისის რესპუბლიკური სამედიცინო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს, ქ-ნ ლალი პატარაიას (1926-2005წ.), რომელიც დიმიტრი ყიფიანის უფროსი ვაჟის, ნიკოლოზ (ნიკო) ყიფიანის უფროსი ქალიშვილის – ელისაბედ (ვეტა) (1876-1943წ) ყიფიანის შვილიშვილი გახლდათ; მამას – ბ-ნ გივი მიქაძეს (1924-2008წ.), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს დამსახურებულ პედაგოგს, რომელიც წლების მანძილზე ნათესავებში ეძიებდა გაფანტულ მასალას და ასე ნელ-ნელა მოუყარა თავი ყიფიანის არქივს. ალბომში შესულია მისი ერთ-ერთი საინტერესო წერილი „ათონის ივერთა მონასტრის ქართული სიძველენი“.

როგორც ქ-ნ თამარის მონათხრობიდან ვიცი, საოჯახო არქივის „პატრონად“ თავიდანვე იგი მოიაზრებოდა და რაოდენ სასიხარულოა, რომ მხრებზე შედგმული საგვარეულო ტვირთი ფინიშამდე ღირსეულად მიიტანა, მიუხედავად ოჯახური ტრაგედიისა.

დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის დამსახურებისამებრ ხაშურის მუნიციპალიტეტმა გადასცა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მედალი. დღეს ხაშურის მუნიციპალიტეტში შედის სოფელი ქვიშხეთი, რომელიც თავისი ადგილმდებარეობით, კლიმატით, ტრადიციებით კვლავაც ისევე მომხიბვლელი და მიმზიდველია, როგორც საუკუნის წინ, როდესაც დიმიტრი ყიფიანმა დაასრულა სწავლა, შევიდა სახელმწიფო სამსახურში და გადაწყვიტა, სახლი აეშენებინა. სწორედ ქვიშხეთში უყრის საძირკველს სახლის მშენებლობას, რომელიც შემდგომში საინტერესო შეხვედრისა და თავყრილობების სასურველი ადგილი ხდება.

ელისაბედ (ვეტა) ყიფიანის უმცროსი ქალიშვილი, ელისაბედ (დოდო) სულხანიშვილი (1914-1945) თავის წერილში „სოფელი ქვიშხეთი წარსული და აწმყო“ წერს: „დიმიტრი ყიფიანმა დაასახლა ქვიშხეთში და ბეკამში თავისი ბიძები და ბიძაშვილები, რომელთა შთამომავლები ცხოვრობენ ეხლაც იქ, მისთვის შრომისა და ცოდნის გარეშე არ არსებობდა არაფერი და ეს შრომა და ცოდნის სიყვარული მან ჩაუნერგა არა მარტო მისი ოჯახის წევრებს, არამედ ბიძაშვილებსა და ნათესავებს და საერთოდ, ყველას, ვისთანაც ურთიერთობა ჰქონდა. მისი მეოხეობით ყველა მისმა ნათესავმა მიიღო უმაღლესი ცოდნა ჯერ თბილისში და შემდეგ პეტერბურგში... ყიფიანებს სტუმართმოყვარე ოჯახი ჰქონდათ, აივანზე, რომელიც მთელ სახლს გარშემო უვლიდა, იდგა დიდი შორსმხედვარი ხელსაწყო, იმ დროს რკინის გზა მხოლოდ ხაშურამდე აღწევდა, ხაშურის შემდეგ მიმოსვლა ფაეტონების საშუალებით ხდებოდა. დიმიტრი გაიხედავდა და თუ შეამჩნევდა მომავალ ფაეტონს, მაშინვე დაუძახებდა თავისიანებს: „მოემზადეთ, სტუმრები მოდიან“ და სტუმრებს სუფრა გაშლილი ხვდებოდათ... სტუმრებს შორის, როგორც დედაჩემის გადმოცემით ვიცი, ხშირად იყვნენ აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, უმიკაშვილი, რაფიელ ერისთავი და სხვა. სტუმრებს შორის იყო აგრეთვე, ნ. ბარათაშვილი, რომელიც ჩამოდიოდა თავის დასთან, რომელიც იყო გათხოვილი სუმბათაშვილზე... უნდა აღინიშნოს, იმ დროს, ქალებს თეატრში თამაში საძრახისად ჰქონდათ მიჩნეული, სწორედ დ. ყიფიანის შვილმა ელენე ყიფიანმა, მარიამ ყიფიანმა და ეფრო კლდიაშვილმა პირველად ჩაუყარეს საფუძველი ქალების მოღვაწეობას თეატრში. განსაკუთრებით მინდა შევჩერდე დიმიტრი ყიფიანის ჰომეოპათიურ მკურნალობაზე. ლიტერატურის მუზეუმში ინახება დავთარი, რომელშიც იგი აღნიშნავდა გვარს, სახელს, დაავადებას, დანიშნულ მკურნალობას და შედეგს. ეს დავთარი შეიცავს საკმაოდ მრავალი ავადმყოფის რიცხვს, ვისთვისაც დიმიტრის აღმოუჩენია დახმარება. საერთოდ, ის არ ზოგავდა არაფერს და ყოველნაირად ეხმარებოდა ქვიშხეთის მცხოვრებთ, ვისთვისაც მას „ჩვენ ქოლგას“ უწოდებდნენ“.

თავად ელისაბედ (დოდო) სულხანიშვილი არ გათხოვილა (მიუხედავად იმისა, მას უწერდნენ ლექსებს, ხატავდნენ). ის ხშირად ჩადიოდა ქვიშხეთში და დაჰფოფინებდა იქაურობას. ზრუნავდა იქაურ მეზობელ ბავშვებზე, აკითხებდა წიგნებს, უსასყიდლოდ ასწავლიდა რუსულ და ფრანგულ ენებს. მასთან ინახებოდა არქივის დიდი ნაწილი, რომელიც

შემდეგ მან მიქაძეების ოჯახს გადასცა.

ვფიქრობ, დროა, აღვიდგინოთ **დიმიტრი ყიფიანის (1811-1887)** ბიოგრაფიული დეტალები; დიდი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ფსევდ. „ბაქარ ქართლელი“. XIX საუკუნის 30-90-იან წლებში ყველა მნიშვნელოვანი წამოწყების მოთავე, ინიციატორი, თუ აქტიური მონაწილე. მის სახელს უკავშირდება საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება, პროფესიული ქართული თეატრის შექმნა, ეროვნული ჟურნალისტიკის ჩამოყალიბება, თბილისის სათავადაზნაურო - საადგილმამულო ბანკის დაფუძნება, ქართველთა შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელმძღვანელობა და სხვა. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს იგი იყო თბილისის და ქუთაისის გუბერნიების საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის პირველი (XIX საუკუნეში ერთადერთი) ქართველი ქალაქის თავი. მისი ლიტერატურული მოღვაწეობიდან აღნიშვნის ღირსია თარგმანები. თავის დროზე მნიშვნელოვანი იყო შექსპირის პირველი თარგმანი „რომეო და ჯულიეტა“, ასევე თარგმნა მოლიერი, ბომარშე და სხვა ავტორები. თარგმნიდა: რუსულიდან, ფრანგულიდან, გერმანულიდან, ფლობდა ლათინურ ენასაც.

მან ერთადერთმა აღიმაღლა ხმა და ქვეყნის დატოვება მოსთხოვა ეგზარქოს პავლეს, მას შემდეგ, რაც მან შეაჩვენა ქართველი ერი. ამის გამო, ის ჯერ გადაასახლეს სტავროპოლში, შემდეგ კი ვერაგულად მოკლეს. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში.

2007 წელს წმინდა სინოდმა იმსჯელა დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის ერის წინაშე დამსახურების შესახებ და დაადგინა: დიმიტრი ყიფიანი შერაცხილ იქნეს წმინდანად და ეწოდოს წმინდა დიმიტრი (ყიფიანი) სამშობლოსათვის წამებული. მისი ხსენების დღედ დადგინდეს 26 აპრილი (ახ. სტ.), 14 აპრილი (ძვ.სტ.).

დიმიტრი ყიფიანის ციტირებულ გამონათქვამებში მთელი სისავსით ჩანს მისი პიროვნება: „თუ ჩემი სამსახური სასარგებლო იქნება, პირველ რიგში იგი სასარგებლო უნდა იყოს ჩემი სამშობლოსთვის“. „რაც შენ სასიქადულოდ გეგულებოდეს ან დედმამისგანვე ნაღვაწი და შემუშავებული, რა კაცობა იქნება და ერის შვილობა, რომ ჩვენ ავითვალისწუნოთ“. „რაც განგებას შენთვის გზა დაუწესებია, თქმა არ გაბედო – დავიღალე, ვეღარ ვიტვირთო, თორემ თუ ერთი შეჩერდი, დაიტბორები და ტბორს ხომ იცი, ხავსი და შმორი ეკიდება“. „ერთი რამ დაბეჯითებით ვიცი, ვერავინ ვერასოდეს ეღირსება იმას, რომ ჩემი საქციელის გამო ჩემი ცოლი და ჩემი შვილები გაწითლდნენ“. „პატიოსანი კაცის სახელის მეტს ვერაფერს ვუტოვებ ჩემს შვილებს და სანამ ეს ჩემზეა დამოკიდებული, ამ სახელს არ გავცვლი არც ჯამაგირზე, არც ჩინებსა და არც ორდენებზე“... ეს სიტყვები არ აღმოჩნდა ლიტონი, იგი მართლაც რომ მთელი არსებით ემსახურა სამშობლოს, საკუთარ ხალხს, მეობას და თავისი ცხოვრების მაგალითით არა მარტო შვილებს უწინამძღვრა, არამედ სწორედაც თავის თანამედროვეებს. შემდეგ კი, რა თქმა უნდა, მომდევნო თაობებს, რომლებიც, მიუხედავად ყველაფრისა, სწორედ მიხვდნენ მის ნაანდერძევს.

და თუკი დღესაც რაიმე პატრიოტულია ჩემში, ამაში მისი დიდი ღვაწლიცაა და უნებურად ქალბატონი თამარ მიქაძისაც, რომელმაც დღევანდელ გაუცხოებულ, ხელჩაქნეულ ყოფაში, თავი მოუყარა ასეთ უნიკალურ მასალას და კიდევ ერთხელ შეგვიძახა, რომ სამშობლო ერთადერთია და რომ ჩვენი წინაპრების სისხლი ტყუილად არ დაღვრილა!

დიმიტრი ყიფიანის პიროვნული თვისებების პორტრეტს შესანიშნავად ავსებს მისი და მისი მეუღლის პირადი ნივთების ფოტოები (288, 289 გვ); მოვიხიბლე დიმიტრი ყიფიანის უცნობი ფოტოთი, რომელიც პირველად ქვეყნდება (16 გვ). მასზე დიმიტრი 2 მშვენიერ ქალბატონთან ერთადაა გადაღებული – ახალგაზრდა, წარმოსადეგი, ჭკვიანი, ემოციური გამოხედვით.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა, ვინ იყო დიმიტრი ყიფიანის რჩეული, მისი უღლის გამწევი; კარგად შემონახული ფოტოდან ჩიხტიკოპით დამშვენებული მშვენიერი ქართველი ქალის პორტრეტი შემოგხედავთ – ქართული ნუშისებრი თვალებითა და ჭკვიანი, დინჯი მზერით – ეს გახლავთ ნინო იაგორის (გიორგის) ასული ჭილაშვილი (1827-1902 წ), რომელსაც დამთავრებული ჰქონდა სმოლნის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი. მისი მამა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს მინისტრთა კომიტეტში ჰყავდათ გათვალისწინებული. ნინო ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ მოგონების ავტორია. დიმიტრისთან ერთად იყო „თბილისის მუსიკალური საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. კარგად უკრავდა როიალზე, მონაწილეობდა თეატრალურ წარმოდგენებში. გარდაიცვალა ქვიშხეთში; დაკრძალულია მეუღლის გვერდით მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დიდი სითბოთი და პასუხისმგებლობის გრძნობით, უშუალობითაა გაჟღენთილი ოჯახის წევრების ერთმანეთთან მიწერილი ბარათები; მოვიყვან ნიკო ყიფიანის წერილს მამისადმი (დიმიტრისადმი) თბილისიდან პეტერბურგში. 1882 წლის 5 მაისი.

„ძვირფასო, საყვარელო მამა! ჩემს ბოლო ტელეგრამაში გწერდი, რომ ბანკის არჩევნების შესახებ შეგატყობინებდი წერილობით. ახლა მოგახსენებ დაწვრილებით. ყრილობა ჩატარდა თეატრში. როგორც კი მივედი იქ, გალერეაში შემომეხვივნენ: ალექსი კვალიევი, დიმიტრი აბაშიძე, რატიევი, გაბაევი, მაგალოვი, ანდრონიკოვი – სულ 40-მდე კაცი და დამაყარეს კითხვები შენზე. აინტერესებდათ, სად იყავი და დათანხმდებდი თუ არა ბანკის მმართველად წარდგენის კენჭისყრაზე. მაიძულეს შენთვის გამომეგზავნა ტელეგრამა, თან ყველანი წამოყვნენ ტელეგრაფთან, რომელიც იქვე გალერეასი იყო მოთავსებული. მეორე დღეს, ვერ მივიღეთ რა შენგან

ეს არჩევნები და შემდგომ გაუგზავნა ფინანსთა მინისტრს. ამის შემდეგ გავრცელდა ხმა იმის თაობაზე, რომ შენი კანდიდატურაც უნდა გამოცხადებულიყო. შეიქნა საშინელი აღელვება და ითქვა, რომ ახლო მომავალში ჭავჭავაძის მოუწევდა მმართველის ადგილის გაყოფა. ასე იყო ეს ყველაფერი. ახლა იქნება არჩევნები გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობაზე, დასახელებულია ილია ჭავჭავაძე, რომელიც უკვე 2-ჯერ მოითხოვეს. დასახელებულია ასევე, ივანე მუხრანსკი და დავიტ სუმბათოვი. გუბერნიის კრება ამგვარად იყოფა 3 პარტიად“.

პასუხი, ალექსი კვალიევმა ხელმეორედ გამოგიგზავნა ტელეგრამა. თავადაზნაურობიდან იყო 175 ადამიანი. შეიმჩნეოდა აშკარა აღელვება ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ერთნი ბრალს სდებდნენ მას ფულის გაფლანგვასა და გაყალბებაში, მეორენი, მესამენი – სხვაში და სხვაში... ნახევარი დღე გავიდა დაძაბულ კამათში. სამეთვალყურეო კომიტეტი ბრალს სდებდა ჭავჭავაძეს კოტე ტატიევის მამულთან დაკავშირებულ საბანკო დოკუმენტების გაყალბებაში. შემდგომ ამისა, თავადაზნაურებმა ერთხმად მოითხოვეს ამ საქმის ახსნა თავად ტატიევისგან. ტატიევი გამართულ ქართულ ენაზე ნახევარი საათი ბრალს სდებდა ჭავჭავაძეს, ასევე დავით აბალოვს და ანტონ ფურცელაძეს, რამეთუ მათ შეცდომა დაუშვეს და გააყალბეს ტატიევის დოკუმენტები, რის შედეგადაც, ჭავჭავაძემ დირექტორატის და სამეთვალყურეო კომიტეტის გვერდის ავლით უარი უთხრა ტატიევს ფულის გაცემაზე. ამ გამოსვლის შემდეგ იქ მსხდომთა უმავლესობა დაეჭვდა ჭავჭავაძის მხრიდან ბანკის საქმეების მიმართ ზერელე მიდგომაში. ხალხი ახმაურდა. დარბაზი სავსე იყო, თუმცა ბანკის ხმის უფლება ჰქონდა მხოლოდ 175 ადამიანს. ადგა რა ტატიევის საპასუხოდ, ილია ჭავჭავაძემ, თავისი სიმართლის დასამტკიცებლად, ისაუბრა შეუჩერებლად ზუსტად, 4 სთ და 10 წთ, მისთვის ჩვეული მჭერმეტყველებით, ბრწყინვალე ქართულ ენაზე. მან გაამტყუვნა სამეთვალყურეო კომიტეტის წევრები. დაამთავრა რა სიტყვა, დაიმსახურა მქუხარე ტაში, რითიც დაამარცხა მომჩივანი და შეიძლება ითქვას – სუფთა გამოვიდა წყლიდან“.

ყოველივე ამის მერე, მეორე დღეს იყო თავმჯდომარის არჩევა. ჭავჭავაძის ამ ბრწყინვალე სიტყვის მოსმენით აღფრთოვანებულმა, ვთხოვე დავიტ სუმბათოვს, არ წაეკითხათ შენი და ვასო მაჩაბლის ტელეგრამა, რომ არ გამოცხადებულიყო შენი კანდიდატურა. ყველა ერთხმად ყვიროდა: ჭავჭავაძე, ჭავჭავაძე... მან მადლობა გადაუხადა საზოგადოებას არჩევის გამო. სამეთვალყურეო საბჭომ გაასაჩივრა

დიმიტრის სამი შვილი ჰყავდა: ნიკოლოზი, ელენე და კოტე. ელენე ენებისა და მუსიკის მცოდნე, თეატრის მოყვარული, მუსიკის მასწავლებელი იყო; სამწუხაროდ, ეს კეთილშობილი პიროვნება ადრე გარდაიცვალა. გარდაცვალების შემდეგ მას სოფრომ მგალობლიშვილმა ლექსი მიუძღვნა.

კონსტანტინე (კოტე) ყიფიანი (1849-1921) ცნობილი მსახიობი, ქართული რეალისტური სამსახიობო სკოლის ფუძემდებელი გახლდათ. მწერალი, პუბლიცისტი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე. მან შეადგინა და გამოსცა „რუსულ-წართული“, „ასტრონომიული“, „ზოოლოგიური“, „მინეროლოგიური“ და სხვადასხვა ტერმინთა და ტექნიკურ სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. „ბ-ნი ყიფიანი საკმაოდ ღონიერი ნიჭითა და ნიჭის გარდა დახელოვნებული არტისტიც არის. ნიჭი და ხელოვნება განუყრელი და-ძმანი არიან და აუცილებელი საჭიროებაც არის კარგი არტისტისთვის. სამართალი ითხოვს, ვთქვათ, რომ ძალიან იშვიათად შეგვხვედრია, ბ-ნ ყიფიანს ეს ერთიანი ზემოქმედება არ მოეხდინოს თავისდა სასახელოდ, ჩვენდა სასიამოვნოდ!“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ. კრ.ტ.3, თბ.1953. გვ 53-54).

საინტერესოა, კოტეს მამისადმი ქვიშხეთში მიწერილი წერილი 1882 წლის აპრილში: „ჩემო საყვარელო ძვირფასო მამა!... თითქმის ერთი თვე ქვიშხეთში ყოფნისას, არქეოგრაფიული კომისიის აქტებით დავკავდი. ბევრი საინტერესო რამ შემხვდა გრიბოედოვზე. ბევრი ისეთი რამ, რაც მკითხველთა სამყარომ არ იცის. გამაკვირვა დავით ერისთავმა, როცა ტფილისში წაიკითხა ლექცია გრიბოედოვზე, არ უხსენებია იმის მეათედიც კი, რაც მე ეხლა ვიცი. მოვაგროვე ყველა საჭირო მასალა გრიბოედოვზე და თავისუფალ დროს შევუდგები მათზე მუშაობას, რომელიმე ჟურნალში დავბეჭდავ ან ცალკე წიგნად გამოვცემ. ეს შთამომავლობისთვის ძალიან საინტერესო იქნება. გრიბოედოვი, თურმე, ისეთი დახვეწილი დიპლომატი ყოფილა, ცოცხალი

რომ ყოფილიყო – ბისმარკი ამასთან ჰერიჰა! – სად მოვიდოდა. სხვათაშორის, კავკასიის შესახებ შენ სტატიის ორ სათაურს შევხვდი, აი ისინი: „მამულების მდგომარეობა საქართველოში“ და „რუსი ინვალიდი რედაქტორი“ (I-1844წ, გვ28, 83-93; II-1861წ, 248).

უფრო ვრცლად შევჩერდები დიმიტრის უფროს შვილზე.

ნიკოლოზ (ნიკო) ყიფიანი (1846-1905წ.) – კრიტიკოსი, პუბლიცისტი, მეცნიერი, გამომცემელი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. წერდა შემდეგი ფსევდონიმებით: „ნ. დიმიტრაძე“, „მუჟიკი“, „ნიკოლა ვეტნინვარი“. მამამ შვილებს საუკეთესო განათლება მისცა. 13 წლის ასაკში ნიკო გარდა მშობლიური ენისა შესანიშნავად ფლობდა: რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ ენებს. 1868-1869 წლებში სტუდენტურ მრელვარებაში მონაწილეობის გამო გარიცხეს უნივერსიტეტიდან და დაუწესეს მუდმივი მეთვალყურეობა. 1866 წ. მან პირველმა თარგმნა ფრანგულიდან ქართულად საფრანგეთის სახელმწიფო ჰიმნი „მარსელიოზა“, სიტყვები და მუსიკა ეკუთვნის რუჟე დე ლილის.

70-იან წლებში იწყებს ვექილობას; მსახურობდა ნაფიც მსაჯულად, ადვოკატად, ქართულ პრესაში „დროება“, „კვალი“, „მოამბე“, აქვეყნებდა კრიტიკულ, ლიტერატურულ, პუბლიცისტურ წერილებს. 1879 წელს წიგნად გამოსცა არსენას ლექსი, რითიც სათავე დაუდო საქართველოში სახალხო წიგნების გამოცემის საქმეს. იმავე წელს გამოაქვეყნა „ქართული პოეზიის ნიმუშები და გარჩევა“, აგრეთვე, წერილი ფერეიდნელი ქართველების მდგომარეობის შესახებ. 1905 წელს ბრიუსელში ფრანგულ ენაზე გამვოიდა მისი წიგნი „ორი დიდი ქართველი ქალი მეფე თამარი და დედოფალი ქეთევანი“.

ქართული საადგილმამულო ბანკის იდეა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიმიტრი ყიფიანს ეკუთვნოდა; როდესაც ილია ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა, სხვა მოწინავე პიროვნებებთან ერთად, მას ნიკოც ამოუდგა მხარში. 1890 წელს, დაავადებული ნიკო საზღვარგარეთ წავიდა და იქ დარჩა. ცხოვრობდა – საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, ჰოლანდიაში, საბოლოოდ, ბელგიაში დამკვიდრდა, იყო ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორი, სადაც დაარსა პოლიგლოტთა კათედრა. გარდაიცვალა ბრიუსელში, დაკრძალულია იქვე. გასაკვირი არაა დიმიტრი ყიფიანისა და ნინო ჭილაშვილის უფროსი ვაჟის ასეთი ერუდიცია, განათლება, საქმისადმი პედანტური დამოკიდებულება, ენების ცოდნა, შინაურებისა და ახლობლების, მეგობრების მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, უკიდეგანო სულგრძელობა და სწორედაც ამის გამო მიკვდება გული... ჩემთვის ის საოცარი, ფანტასტიკური ადამიანი ჯერ და მერე მამაკაცი, რომელსაც შეეძლო დაეთმო, თვალი დაეხუჭა, მოეთმინა, თავი დაემცირებინა, თითქმის, ყველას წინაშე – სიყვარულის გამო, ფანატიზმამდე მისული გატაცების გამო, რაც ჩემთვის (ალბათ, ბევრისთვის) მიუღებელია; საკუთარი წარმომავლობის, გვარიშვილობისა და ერუდიციის მიმართ ზედმეტად თავმდაბლური დამოკიდებულებით (იქნებ კეთილშობილური აღზრდის გამო?!), ხოლო მეუღლის, ანასტასია მიხეილ ერისთავის ასულისადმი (1858-1920) უაღრესად მიმტევებლური, თითქმის, მონური მორჩილება – სიყვარულისთვის! ნეტავ იცოდეთ, ამ გადმოსახედიდან როგორ მწყდება გული თითოეული მისი ნაბიჯისა, თუ ტასოსადმი მიწერილი ბარათების გამო. ეს ბარათები ხომ მთელი სისავსით გვიხატავენ ნიკო ყიფიანის შინაგან, სულიერ მდგომარეობას, მისი შერყეული ჯანმრთელობის თანდათან გაუარესებასა და ტრაგიკული დასასრულის არცთუ უსასრულო მიზეზებს... ის ხომ დიდებული მამა იყო, თავისი გოგონების მოსიყვარულე. ამის დასტურად, შეძლებისდაგვარად მოვიყვან მაგალითებს.

ნიკოს წერილი ქალიშვილებისადმი, 1895 წელი, 26 აპრილი: „ჩემო ძვირფასო, საყვარელო, მშვენიერო მეგობრებო: ვეტუნია, ვარუნია და ნუცუნა, სამივეს ერთნაირად და მთელი გულით გწერთ. მალე, ჩემს საყვარელ და უძვირფასეს მეგობრებს ცალ-ცალკე და დაწვრილებით მოგწერთ... ანტონ ფურცელაძის მიერ გამოგზავნილი წიგნები მივიღე და გადაეცით, რომ მთელი სულითა და გულით მადლიერი ვარ, განსაკუთრებით, მისი „ბრძოლა საქართველოს მოსაპოვებლად“ და მისი დრამისათვის, რომელიც მე წავიკითხე დიდი სიამოვნებით. მალე მასაც მივწერ. ...რამდენი ვეხვეწე დედათქვენს რომ გამოეგზავნა ჩემი წიგნი მამაჩემის შესახებ, რომელიც, მისი თქმით, დიდი ხნის წინ დაიბეჭდა. ნუთუ ამის ჩემთვის გამოგზავნის საშუალება არ არსებობს?

აგრეთვე, უკიდურესად მჭირდება სხვა წიგნებიც: ბარათოვის ქართული თხზულებები, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, „ვეფხვისტყაოსანი“, დიმიტრი ბაქრაძის ისტორიული ბროშურები, არჩილიანი (შოვნა თუ შეიძლება) და ა.შ. ეს ყველაფერი არ ღირს ძვირი და კრედიტითაც შეიძლება გამოტანა, მითუმეტეს, თუ ეტყვით, რომ ეს წიგნები უცხო მხარეში მცხოვრები ქართველისთვისაა, რომელიც მოწყურებულია ჰქონდეს ქართული წიგნები და განზრახული აქვს გააცნოს იგი მთელ ქვეყნიერებას.

საინტერესოა ნიკოს წერილი კოტესადმი: „ძვირფასო კოტიკო, ვჩქარობ მოგწერო, რომ გაზეთებში დაბეჭდილი სტავროპოლის პროცესი არავითარ შემთხვევაში არ მისცე დედას წასაკითხად. იქნებ მან აქამდე ვერ მოასწრო წაკითხვა. არათუ დედას, არამედ მეც, რომ არ წამეკითხა უკეთესი იქნებოდა. შეიძლება გაგიჟდე იმ აზრისაგან, რომ მკითხველი – სტრეპეტოვის ჩვენება შეიძლება მართალი იყოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მისი ჩვენება სიცრუეა და ყველაფერი სხვაგვარად ხდებოდა. კვირას ჩამოვალ თქვენთან. აქედან წამოვალ შუადღის სამგზავრო მატარებლით, ე.ი. ქვიშხეთში ვიქნები კვირას დილით. ბავშვებს უთხარი. გკოცნით ყველას.

კარგი იქნებოდა არ მიგეცა პროცესი წასაკითხად ნინოსათვისაც და საერთოდ, კარგად შეგენახა, რათა არ ჩავარდნოდა ხელში მაგ. ვეტას და არ მოეყოლა რომელიმე მათგანისათვის (დედისათვის, ნინოსათვის, ბავშვებისთვის) მკვლელობის წვრილმანების შესახებ. ძალიან ძნელი იქნებოდა საკუთარი ყურით მოგესმინა ყოველივე წვრილმანი, საკუთარი თვალებით დაგენახა მკვლელი... მე ნამდვილად შევიშლებოდი... და ეხლა არაფრით არ შემიძლია ჩემი აზრების ამ წვრილმანებიდან გადმოტანა. შენი ნიკ. ყიფიანი". წერილში ჩანს, როგორ ცდილობს ნიკო ყიფიანი, ყველას აარიდოს ტკივილი, სტრესი და დარტყმები თავად მიიღოს (ლ.ქ).

მოხმობილი ბარათების შინაარსი მრავლისმეტყველია და თუ ამას დავუმატებთ მეუღლესთან მიწერილ ბარათებს, იმ მეუღლესთან, რომელმაც 3 მცირეწლოვანი ბავშვი ქმარს შეატოვა და თავად ვიღაც გენერალს გაჰყვა რუსეთში, სადაც კიდევ 2 ვაჟი შეეძინა... არა მგონია, გასაკვირი იყოს ნიკო ყიფიანის ნევრასთენია, რა თქმა უნდა, მამის მკვლელობამ დაღი დაასვა, რაც კარგად ჩანს კოტესადმი მიწერილ ბარათში, თუმცა მიმაჩნია, რომ ტასო ერისთავი მის საბედისწერო ქალად იქცა.

ჩემი დასკვნები უფრო დამაჯერებელი რომ გახდეს, საამისოდ კიდევ მოვიხმობ ციტატებს.

,,ყველაფრის მიუხედავად ჩემთვის მუდამ ძვირფასო ტასო, ახლა მივიღე შენი წერილი, დათარიღებული 17 ნოემბრით და ეგრევე ვჯდები საწერად, რომ ყველა შენს პუნკტს ვუპასუხო. პირველ ყოვლისა, ძალიან ცდები, პირფერობად რომ მიიჩნევ ჩემს სიტყვებს, ისინი გულის სიღრმიდანაა ამოხეთქილი უბედურების ჟამს. ასეთია ჩემი რწმენა. ცოდვაა შენიც მხრიდან, ასე გული მატკინო მე, ადამიანს, რომელსაც 5 წელი უბედურების მეტი არა მინახავს რა... აი, კურიოზიც, შენ ამობობ, რომ შენს შესახებ შეგიძლია თქვა, რომ ფორიაქიანი პიროვნება ხარ. შემდეგ კი დასძენ, რომ ესეთი შენი პირდაპირობა, ზიზღი ყოველგვარი სიცრუის, ტყუილისა და უსამართლობის მიმართ არ არის საკმარისი შენს წარსადგენად. საქმეც იმაშია, რომ ამ თვისებების მატარებელ პიროვნებას ვერანაირად ვერ დაერქმევა ულირსი... ჩვენს სიცრუის დროში თვითონვე დგები რჩეულ პიედესტალზე შენი სიმართლის, ყველანაირ სიცრუესთან ბრძოლის გამო. მართალი არ არის, მე შენ ყოველთვის ნათელ და კარგ პიროვნებად გთვლიდი. ...შენ ცდები, როცა ფიქრობ, რომ ყველას სძულხარ, რომ რაღაც დანაშაულის გამო შენზე იყრიან ჯავრს. ეს შენ მხოლოდ გეჩვენება. არავის არ აქვს იმის საბაბი, რომ შენ გაგამტყუვნოს. თვითონ ქმარი არაფერში გამტყუვნებს, სხვა ვინღამ უნდა თქვას რაიმე. შენ სუფთა და გულწრფელი ხარ, ქრისტეს ცრემლივით, ეს არის ჩემი სიტყვა, არა ფრაზა, არამედ დასკვნა. წმინდა მოხუც ჩემს მამას ასე ვწერდი: ტასოს არაფერი დანაშაული არ მიუძღვის. ის გულწრფელი პიროვნებაა და მიყვარს იგი და პატივს ვცემ მას, როგორც სხვას არავის. ...მან

კი მიპასუხა გული მტკივა, რომ დავკარგეთ ასეთი პიროვნება – ამას ამბობდა მამა. ...შეიძლება გულთან ახლოს მიიტანო ქალთა გამონაგონი? მე ვერასოდეს ვიფიქრებდი მამაჩემზე რამე შეუფერებელი მეთქვა. მე ის ძალიან მიყვარდა და დიდ პატივს ვცემდი, წმინდანად აღვიქვამდი ლამის. როგორც მასზე ვერაფერს ვიტყოდი, იგივე შეიძლება ითქვას შენზე, ადამიანზე, ყველაზე უფრო პატივს რომ ვცემ ამ ქვეყნად, რადგან მიყვარდი ყველაზე მეტად. რომ ვთქვათ, რომ ის ბატონი უბედურია, არაფერ შუაშია. ვინ-ვინ და მე მაგის მთქმელი არ ვიყავი. სასაცილოა ჩემს ბაგეთაგან არ წამოსულა ისეთი სიტყვები, რომელთა წინააღმდეგი მთელი ცხოვრება ვიყავი: მხოლოდ და მხოლოდ ისაა დამნაშავე" ვინც რა უნდა თქვას, ჩემზე... სულაც, რომ ბანდიტი ვარ... სიტყვაზე, ერთის თქმა არ შეიძლება, მე პირფერი არ ვარ, არასდროს შემიცვლია სახე. მე არ მჭირდება მამაჩემის საფლავის ან შენი და ბავშვების დაფიცება, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა. და მაინც, ვიფიცებ, არასოდეს მისადილია ვარლამთან და მსგავსიც არაფერი მითქვამს. მე გული მტკივა და მწყინს, რომ შენ თუნდაც 1 წუთით დაუშვი მსგავსი რამ. ნუთუ ასეთი ცუდი შეხედულებისა ხარ ჩემზე, როგორ უსამართლოდ ღრმად უპატივცემულოდ მექცევი! ბავშვებს ვტოვებ ლოლიას პატრონობის ქვეშ და კოსტიას ცოლ ნინასთან იცხოვრებენ ქუთაისში, სადაც ალბათ მეც ჩავსახლდები სტავროპოლიდან დაბრუნების შემდეგ. გოგონებზე არ იწუხო, ისინი კარგად გრძნობენ თავს. ის, რომ მამაჩემმა უზრუნველყო ისინი, მართალია".

წარმოდგენილი ამონარიდები, თუ თავად წერილები, მცირე ნაწილია იმ ბარათებისა, რომლებსაც

ალბომში საპატიო ადგილი უკავია; ესაა ერთ-ერთი საშუალება, რათა ამ გადმოსახედიდან დავინახოთ, შევაფასოთ ახალგაზრდების სიყვარულით შექმნილი ერთი ქართული ოჯახის რღვევის პროცესი, რომელშიც, რატომღაც, ნაკლებად ჩანს თავად ნათესავების, გარშემომყოფების აზრი და დამოკიდებულება შექმნილი მდგომარეობის გამო, თუნდაც ნიკოსადმი თანადგომა.

...და განისვენებს ნიკოლოზ ყიფიანი სამშობლოდან შორს, რამდენიმე ათასი კილომეტრით დაშორებულ ბრიუსელში, ისეთივე მარტოდ, როგორ მარტოდაც იცხოვრა ამ ქვეყანაზე, რატომ მოხდა ასე, რატომ?? აი, კითხვა, რომელიც დიდხანს შემაწუხებს და რომელზეც პასუხი ყოველთვის პირობითი იქნება.

ნიკოს საყვარელი, არაჩვეულებრივი ოქროს გოგოები კი შესანიშნავი ქალბატონები დადგნენ:

ელისაბედ (ვეტა) ყიფიანი-სულხანიშვილისა (1876-1943) – ღვაწლმოსილი პედაგოგი, რუსული ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის სკოლებში. შიო არაგვისპირელის მუზა... ლიტერატურის მუზეუმში ინახება მწერლის მისდამი უპასუხოდ მიწერილი წერილები. მისი მეუღლე გახლდათ ბოქაული გაბრიელ სულხანიშვილი. ჰყავდა 4 შვილი, მისი შვილიშვილებიდან (რა თქმა უნდა, ყველანი სასახელონი არიან) ცნობილ კინორეჟისორს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატს, ბ-ნ გურამ პატარაიას გამოვყოფდი...

ნინო (ნუცა) ყიფიანი (1877-1921) – იურისტი, პოლიტიკური მოღვაწე. დაამთავრა ბრიუსელის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1900-იანი წლების საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო, რისთვისაც დააპატიმრეს. 1907 წელს მას აეკრძალა რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ყოფნა და საზღვარგარეთ გააძევეს (თბილისის გენერალ-გუბერნატორის სპეციალური განკარგულებით). ცხოვრობდა ბელგიაში, შემდეგ იტალიაში, მუშაობდა ბელგიის საელჩოში. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში, სადაც ტუბერკულოზით დავადებული აღესრულა. დაკრძალულია ქვიშხეთში, ყიფიანების კარის ეკლესიის გალავანში. მისი მეუღლე ალექსანდრე ბაგრატიონი სამხედრო პირი გახლდათ, რომელიც პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა ისე, რომ ქალიშვილის – თამარ (ჯოია) ბაგრატიონის დაბადებას ვერ მოესწრო. ჯოიას შესახებ ძალზედ საინტერესო ისტორიას, რომელიც ვრცლადაა წარმოდგენილი, გაეცნობით ალბომში.

ბარბარე (ვარო) ყიფიანი (1879-1965) – ცნობილი ფსიქოფიზიოლოგი, საზოგადო მოღვაწე. თბილისის წმინდა ნინოს სასწავლების დამთავრების შემდეგ 90-იანი წლების დასაწყისში დასთან, ნინო ყიფიანთან ერთად, მიემგზავრება ბელგიაში, შედის ბრიუსელის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებშივე იწყებს სამეცნიერო მოღვაწეობას. 1904 წელს ბრიუსელში ჩასულა ცნობილი ქართველი მწერალი ეკატერინე გაბაშვილი, რომელიც შეხვდა ვაროსა და ნინოს, გაუცნია მათი პროფესორი, უკრაინელი ქალი, გავრად როტეიკო... როტეიკომ მოაწყო უნივერსიტეტთან არსებულ თავის ლაბორატორიაში, რის შემდეგ ბარბარემ შეძლო სწავლის გაგრძელება. იმ პერიოდში ის პარალელურად იკვლევდა კუნთებზე შაქრის მოქმედებისა და გავლენის პრობლემებს. კითხულობდა ლექციებს ფსიქოფიზიოლოგიაში, თან როტეიკოს ხელმძღვანელობით გამომავალი ჟურნალის „ფსიქოფიზიოლოგიური მიმოხილვა“ მდივანია. 1904 წელს ბრიუსელში შემდგარ მეექვსე კონგრესზე ბარბარეს მოხსენების შესახებ გამოჩენილი ფიზიოლოგი ივანე თარხნიშვილი წერდა: „ღმერთო ჩემო, ნუთუ იმ დღეს მოვესწარი, რომ კონგრესზე ქართველი ქალის ხმასაც გავიგონებდი!“ ბარბარემ დიდი ამაგი დასდო ქართული კულტურის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ 1910-იან წლებში დაბრუნდა საქართველოში, მსახურობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბოლშევიზაციის შემდეგ ხელისუფლებისაგან შევიწროებული იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამშობლო. გაემგზავრა ბელგიაში, სადაც სამუდამოდ დარჩა. 1916 წელს მაისში ბრიუსელში შემდგარ საერთაშორისო კონგრესს დაუდგენია, მოეწყო ისეთი სახის მუზეუმი, რომელშიც ექსპონირებული იქნებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის მიღწევები. მუზეუმის ქართული განყოფილების თავმჯდომარედ აურჩევიათ ბარბარე ყიფიანი (გარდაცვლილია ბრიუსელში, დაკრძალულია იქვე).

საინტერესოა, ვინმე ხომ არ ყოფილა ბელგიაში ნიკო და ბარბარე ყიფიანების საფლავების მოსანახულებლად? ან იტალიასა და ფლორენციაში იმ პანსიონებისა და საცხოვრებელი სახლების სანახავად, რომელშიც ნინო ყიფიანი იმყოფებოდა?.. ამ კუთხით შესაძლოა, საინტერესო კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტი გაკეთდეს..

წერილს ბატონი როსტომ ჩხეიძის სიტყვებით დავასრულებ: „კვლავაც მაცდურად გადახსნილა ყიფიანების საოჯახო არქივი. კიდევ არაერთ საგულისხმო ფურცელს ინახავს, ამ ალბომში რომ არ მოხვედრილა მისი განსაზღვრული აღნაგობისა და მოცულობის გამო, მაგრამ უსათუოდ დაამშვენებს სხვა გამოცემებს... შთამომავლობის მდინარება ხომ გრძელდება და გრძელდება“... იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა!

ტროპარი: მხედარო, ახოვანო, ქრისტეს ღმრთისაო და კაცო ზეციესაო, მზრუნველო, დაუცხრომელო და მფარველო ივერიისაო, სიყვარულისათვის მოყვასისა თავისა დამდებელო, წმინდაო მოწამეო დიმიტრი, სამშობლოსთვის წამებულო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის!“

ბიული ჩქარეული



„ცა ბნელი იყო ნახევრად გამტკნარებული ტკივილით და სითბო შენი გულისა ირგვლივ ყველაფერს სწამლობდა“, — ტარიელ ხარხელაურის ეს ლექსი აქვს წამძღვარებული ქალბატონი გიული ჩქარეულის ლექსების ახალ კრებულს — „დრო უშენობით სავსე“, რომლის თითოეული სტრიქონი ამ ტკივილითა და გულის სითბოთია სავსე.

ამ განცდით ჩატარდა წიგნის წარდგინება სამების ახალგაზრდულ ცენტრშიც და სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის გიმნაზიაშიც...

ბევრი ითქვა ქალბატონი გიულის მოღვაწეობაზე, მის უანგარო ქველმოქმედებაზე, სალონ „ნოსტალგიაში“ გამართულ ულამაზეს საღამოებზე. პოეტის ფიქრი ხომ სამშობლოს და მის ადამიანებს დასტრიალებს.

„გიულის ლექსები საოცრად გვანან მას, იქიდან უხვად გადმოდის ავტორის შინაგანი სითბო, შინაგანი ადამიანობა. ის სადაც უნდა იყოს, ყველგან საკუთარი მიწის ძახილი ესმის, ფიზიკური სამშობლოს დაკარგვით მან სულიერი სამშობლო აღმოაჩინა:

„დაეკიდა ცრემლი წამწამს,
ხელისგულზე მიწას მისწვდა,
უცხო მიწის მადლის არ მწამს,
უხმოდ კვნესის ჩემი მიწა“... — ეს სიტყვები კი ერეკლე საღლიანს ეკუთვნის, რომელმაც გიული ჩქარეულს „სიკეთით განმანათლებელი“ უწოდა.

მართლაც, მხოლოდ კეთილ გულს შეუძლია იმ წრფელი სიხარულის ზეიმად ქცევა, რაც გიული ჩქარეულის ამ კრებულშია განფენილი, — სიხარულის, სევდის, ტკივილისა და სიყვარულის დიდი ზეიმი!

გთავაზობთ გიული ჩქარეულის რამდენიმე ლექსს.

ცხოვრება ლაბირინთია

ცხოვრება ლაბირინთია,
ხშირად ჭირს იქ გზის გაგნება,
სწორი სავალის ძებნაში
დრო სანთელივით გადნება.
სანამ ბოლოში გამოხვალ,
უამრავს შეგყრის სანახებს,
ტკივილსაც ნახავ შენს წილხვედრს,
უფალი ცრემლსაც განახვებს.
თუ ფეხი გადაგიბრუნდა —
გაგიმეტებს და დაგკარგავს,
მინდვრის ყვავილთა სანაცლოდ,
საფლავს ეკლებით დაქარგავს,
გორგალის წვერს თუ მიაგენ,
დაშალე სითბოდ, სიკეთედ,
ჩათვალე — შთამომავლობას
სავალი მოუპირკეთე.

ჩემთან უკვე გაზაფხულდა

ქარო, ნეტავ რატომ დაძრწი,
რისთვის მიმტვრევ კარებს?
თუმცა ვხედავ — როგორ გაწვიმს,
თავს ვერ შემაბრალებ.
ჩემთან გული ამღერდა და
კვლავ სიყვარულს ითხოვს,
შენთან გრძნობებს დასცინიან,
თვალებს ცრემლით მითრობ...
ჩემთან უკვე გაზაფხულდა,
სულში ჰყვავის ია,
შენთან გრძნობდა გადახუნდა,
ყვავილს ფესვში ჰყინავს,
შენთან — ვხედავ, სცივა ყვავილს,
არის დაზაფრული,
ჩემთან გულსიც ია ჰყვავის,
მღერის გაზაფხული...

გენაცვალეთ

წუხელ ლექსი წავიკითხე –
„გენაცვალე“,
გულში შვებით გავიფიქრე
გენაცვალე,
სულში გრძნობაც ამიტირდა
გენაცვალე,
ნეტავ რატომ დამიძვირდი,
გენაცვალე,
ანდა გული რად გაცივდა,
გენაცვალე...
თურმე ბევრი შეგძლებია,
გენაცვალე...
უცხო სიტყვაც შეგრევია,
გენაცვალე,
უცხო ტომიც შეგრევია,
გენაცვალე.
თურმე შორით უფრო გტკივა,
გენაცვალე,
უშენობით სულსაც სცივა,
გენაცვალე,
მონატრება ზღვადა ღელავს,
გენაცვალე,
უცხო სიტყვა ხანჯლად ელავს,
გენაცვალე,
გეფერებით, ქართველებო,
გენაცვალეთ,
სითბოს დაცლას არ ველოდოთ,
გენაცვალეთ, მტერს უგულო არ გეგონოთ,
გენაცვალეთ –
ეს სიტყვა ხომ ჩვენ გვეკუთვნის,
გენაცვალეთ,
მოდით, მასთან ვიმეგობროთ,
გენაცვალეთ,
თორემ უცხოთ სულ შეგვცვალეს,
გენაცვალეთ.
ვინც პირველად შენ წარმოგთქვა,
გენაცვალე,
მე იმ ქართველს, ქართულ გულში
ვენაცვალე,
გენაცვალეს ჩაღვრილს სულში
ვენაცვალე,
ვინც ამ სიტყვას შემაგებებს –
ვენაცვალე,
სიტყვას თბილად მონაფერებს
ვენაცვალე,
ვინც სამშობლოს დაიფიცებს,
ვენაცვალე,
ვინც სულს ლოცვით დაიმშვიდებს,
ვენაცვალე,
ვინაც ძმას მტრად არ იგულებს –
ვენაცვალე.
ვინც დაწერა გრძნობით ლექსი
„გენაცვალე“,
მეც ამ ლექსით სიყვარულში
ვენაცვალე.

დრო იწყებს ათვლას

ჩემო ნისლიანო მთებო,
ქვებზე მომღერალო თერგო,
ექოს მოყოლილო ხმებო,
წილში უთქვენობა მერგო.
ბედმა გამიტყუა შორეთს,
ნატვრა დამაბედა თქვენი,
ვუსმენ უცხოთ მიეთ-მოეთს,
არ მყავს აქ ნუგეშისმთქმელი.
ღრუბლებს ვემგზავრები ფიქრით,
წუთით ჩავიმუხლებ მტკვარზე,
მერე უღელტეხილს იქით
დეკა მომეხვევა მხარზე.
ვიგრძნობ ჩემი მთების სუნთქვას,
მზერით უფსკრულს ვწვდები ძირში...
ბედო, ნუ ხარ ცივი, გულქვა,
ლამაზ ოცნებებს ნუ მიშლი...
ჩემი მთა-ჭიუხის ნატვრას
აქ ნუ დამიმიწებ, ბედო,
დრო კი უკვე იწყებს ათვლას,
ღმერთო, შენს მეტს ვიღას ვენდო...

მაია ხახიძე

დავჯდები ახლა და ღმერთს მივწერ წერილებს

დავჯდები ახლა და
ღმერთს მივწერ წერილებს,
მთვარე კი ამაღამ წერილებს წაიღებს.
ან, როგორ ვიარო ქვევიდან ზევითკენ,
არადა, ვივლიდი, იქითკენ, ზეცისკენ.
— ჩვენთან არს ღმერთიო!..
მზეცა და ბადახში...
პოეტის ფიქრები, მთებისკენ, ცათა შინ!
დავჯექი უკვე და
ღმერთსა ვწერ წერილებს,
ცა ზეფირონივით დაისში გერილობს,
ნაფერი ფიქრები ფიქრებში ფრიალებს,
ფურცელი თითებში ტრიალებს, წრიალებს.
— ნეტარ არიან მორწმუნენიო!..
ნეტარის კარი და სტრიქონთა შრიალი,
თენდება ცისკარი ციალით, კიალით...
ამაღამ ღმერთსა ვწერ გულსავსე წერილებს,
მთვარე მოვა და წერილებს წაიღებს,
უფალთან მინდოდა, აქედან, ზევითკენ,
ვერ ავიჭერი... იქამდე... ზეცისკენ!..

ამაღამდელი

გულებს დაგიკრეფ ამაღამ,
მთვარეს გაგიშლი ჭილოფად,
თან სამოთხეში დაგმალავ,
თან დაგიამებ ჭრილობას.

ღამიერია ეს ღამე...
გესმის? — მღერიან, გადაღმა...
წამებს დავითვლი შენამდე,
გულებს დაგიკრეფ ამაღამ.

წუხელ შევღებე ფიქრები შინდით

ეს გული, ვფიცავ, ქართულია და,
ეს ლაჟვარდები მოჩარდახული
ო, ეს ზღაპარი სულის ლავრაა,
შენამქარული და მოხატული.

ალალზე მოველ მე ამ ფიქრებში,
ვინ დამირწია ფაზისის ხიდი?
მე კი ვიცოდი იმ ჩემს ხილვებში,
კარებთან ჯერაც ჰყვაოდა შინდი.

ბუსნარი წვეთავს, მთის პეიზაჟი,
მზის უპეებში მიცოცავს ბინდი,
შემოღამდა და ფიქრების პაჟი,
გამომეცხადა ისეთი მშვიდი...

ჩამოვჯექი და ვმღერი მდუმარე,
გული გამითბა თოვლში, წვიმაში,
ფიქრო, რად მიყვარს ეს არე-მარე,
ია და ვარდი ქართულ მიწაში.

აი, მივყვები ბილიკებს მთაში
და მეჯოგისა მაჩერებს ხელი...
გამოვიხიზნე ნელი-ნელ ხვატში,
აბგაში მიზის თიკანი ჭრელი.

მე ეს ქართული მიხმობს, მეძახის,
გაჩენის დღიდან რომ მაჟრიალებს,
ქარი ვაკავე გაშლილი მკერდით
და სიყვარული ისევ ტრიალებს.

წუხელ შევღებე ფიქრები შინდით,
წუხელ მესიზმრა ის მამელუქი,
ჰოდა, ვუმზერდი ისეთი ხიბლით,
ცა გადაიხსნა, ფიქრის ურუქი...

შეხვეული მაქვს გული ისევ და,
ფოთოლცვენების გამოხდა ჟამი,
ვიღაცა დაწერს ლექსებს თავიდან,
ქართული სული, ტრფობა — აზნანი.

ლურჯი გალობა

ჩამოუშლია ლურჯი მთები
კავკასიონს, ცისფერ სამრეკლოს,
ვით ანგელოსის ყელსაბამი,
დაისის თმები...
გალავანთან კი მიმჯდარიყო
მოხუცი ერთი და ქრისტესისხლას
არიგებდა თავისი ნებით...
.....
ჭრილობა რაა,
როცა გფარავს თვით ალავერდი,
ვაზი, ნაჟური, კოკურა მთვრალი,
ჭიშკართან ხარობს ცისფერი ვარდი,
ძეწნამ ჩამაწნა ცოდვაც და მადლიც.

წარსულს ჩაბარდა თიბათვის წვიმა,
რძისფერი ნისლი, ცურივით სავსე,
სული გამთბარა, ნაღველი წინა
და ალაზანი თაფლივით მასვეს.

კავკასიონი... ლურჯი გალობა...
ცისფერი მთების ბორი ღრუბლები
საკუთარ მკერდში შემოღამება,
საკუთარ ფიქრში ფიქრი ულევი.

ჩამოუშლია ყელს ცეცხლაქარი,
მზე დაიბინდა მზესუმზირებში,
ღამე ჩამოდგა ისეთი წყნარი...
წავალ, წავედი მე ჩემს სიზმრებში!

რა ფერის ხარ ნეტავ, გულო

რა ფერის ხარ, ნეტავ, გულო,
ძარა-ძარღვით მოხატულო,
საბან-გობან-არტახებით,
უბე-წნულში მონამულო.

ტოტინობ და ცხელი კალო,
შემოამტვრევს, მგონი, კარებს,
შემომხედე შავთვალთვალო,
შეაღამდა მთვარე მარეკს...

და გამითბე პეშვით ლოდი,
სუროსავით ძარღვიანო...
ყური უგდე, გულო, შრიალს,
მე როდესაც ვნაღვლიანობ.

რად აჭკნება ფიქრებს ხორცი,
რად აგლიჯეს პერანგს ღილი,
უჩემობა რად გჭირს მორცხვი,
მე გაჩუქებ, გულო, ღიმილს...

გულმა გული, გულით გულო,
დრო-ჟამივით დაღალულო,
მარტოდმარტო ხეტიალობ...
ვინ დაგისხა ძველი ღვინო?

რა ფერის ხარ, რა ფერის ხარ,
რა ფერის ხარ, ნეტავ, გულო?!

შენით გავათბე ეს იანვარი

შენით გავათბე ეს იანვარი...
ფიქრით შევღებე ყველა დაისი,
ამ უთენია თვალს მიკრავს მტკვარი,
წამწამზე ნეტარ მიზის თბილისი.

ხარფუხში ქარი დანავარდობს
და გადმოსდგომია ვერეს აისი.

ხავერდის ზეცა, ცა — ანდამატი,
ეს სიყვარული და სატკივარი,
მთვარის აღაპი, ტრფობა, ვარაყი,
აზარფეშები, დუქანი, თარი...

მე ვარ კალამი, შენ — ანჩისხატი,
ჩემი თბილისის ვარ საზანდარი.

აქ, მეიდანზე დედას პურები...
თქარათქური და აბანოს ბური...
იქ, მთაწმინდაზე ბრწყინავს მაისი,
მარადისობა, სიბრძნის საბრძნისი.

შენით გავათბე ეს იანვარი...
წამწამზე ნეტარ მიზის თბილისი,
ზამთარი გადის ისევ ფიქრებში,
მაისის მერე მოვა ივნისი...

ცოტაც და მალე გადაიზამთრებს,
მზისფრად შეღებავს თბილისს,
ივლისი...

ზეინაბ ლომჯარია

„ცისფერყანწელი“ ივი ყიფიანი

(კულტურულ-საზოგადოებრივი გარემო)

პირველ რიგში: ვალერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, უკანა რიგში: პაოლო იაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ივი ყიფიანი, რაჟდენ გვეტაძე (ფოტო ლიტერატურის მუზეუმის არქივის საკუთრებაა)

სულის ძახილი

საღამოს ფიქრები

„როცა დაქროდა ლურჯი ზეფირი
 და ათასფერად ყვაოდა ზეცა,
  მაშინ ვიხილე სატრფოს მზე-პირი,
   ბუნებამ ლხენა გამიასკეცა.
    წამით შევხედე, წამსვე გამიქრა,
     ვნებიან თვალით დამითრო გული
      და ვითა სფინქსმა სიტყვა არ მითხრა,
       სიტყვა არ მითხრა ცეცხლით ვნებული.

. . . . . .

წლები გაფრინდნენ ელვის სიმალით,
 დილის ნისლივით გაქრა დღეები,
  გრძნობა დამეწვა გეენის ალით,
   სულში გავზარდე შავი ტყეები.
    სატრფო გამიქრა ვით მოჩვენება,
     შავ უკუნეთში მარტო დამტოვა.
      ვეღარ ვიხილე იგი შვენება,
       სიცოცხლის ველზე ობლად დამტოვა“.

ასე გამოქვეყნდა გაზეთში „მეგობარი“ (1915, №62, 13 დეკემბერი) ეს ლექსი, რომლის ავტორია „ცისფერყანწელთა“ ორდენის მივიწყებული წევრი – ივი ყიფიანი.

ამთავითვე უნდა განვაცხადო: პოეტის შესახებ ცნობების მოპოვება ჭირს, რადგან უკვე წლებია დალუქულია საქართველოს მწერალთა კავშირის არქივი.

ჟურნალში „განთიადი“ (1991 №10) იროდიონ ერემეიშვილმა გამოაქვეყნა (გვ. 148-153) პოეტის რამდენიმე ლექსი და ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალი: „ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში 1911 წელს შეიქმნა ახალგაზრდა მთარგმნელთა წრე, რომელშიც შედიოდნენ; ი. ყიფიანი, ვ. ნოზაძე, დ. ბერეკაშვილი, ლ. ელიაშვილი, ალ. ჭირაქაძე და სხვ. ...სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, შემდეგ იურიდიულ ფაკულტეტზე. 1911 წ. ქუთაისში გამოსცა მოთხრობათა კრებული (გადმოკეთებული), 20 გვერდიანი... პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს სამეცნიერო წრემ პროფ. ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეადგინა ბიბლიოგრაფია 1852-1910 წლების მანძილზე გამოსული ქართული ჟურნალ-გაზეთებისა. ამ ბიბლიოგრაფიის შედგენაში მონაწილეობდა 25-ზე მეტი სტუდენტი, მათ შორის ივანე ყიფიანიც. წიგნი დაისტამბა 1916 წელს, რომელიც შეიძინა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ...“ – ავტორი ამ ცნობების მოხმობისას წყაროს არ უთითებს.

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ არქივში დაცულია მწერალთა კავშირის წევრთა ანკეტები, შევსებული 1934 წელს. ივი ყიფიანის მიერ საკუთარი ხელით შევსებულ ანკეტაში ვკითხულობთ: დაბადების თარიღი – 1893, სოციალური წარმოშობა – აზნაური, ლიტერატურული დაჯგუფება – ყანწ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ცნობარში (თბ., 2012) მისი დაბადება-გარდაცვალების შესახებ მითითებულია (გვ. 191): 1893-1948 წლები.

ივი ყიფიანის ლექსები: „სონეტი“ (1916, თებერვალი), „ზამთარი“ (1916, დეკემბერი) გამოქვეყნდა ჟურნალში „ცისფერი ყანწები” (რედაქტორი: პაოლო იაშვილი). ჟურნალის გამოქვეყნებამდე და

შემდგომაც მისი ლექსები იბეჭდებოდა ქართულ გაზეთებსა და ჟურნალებში: „მეგობარი“, „სახალხო საქმე“ „ტრიბუნა“, „მეოცნებე ნიამორები“, კრებულებში: „ჩანგი“ (1916), „ახალი პოეზიის ანთოლოგია“ (1919) და სხვ.

ჟურნალი „შვილდოსანი“ (1920, რედაქტორი: სანდრო ცირეკიძე) აქვეყნებს თანამშრომელთა სიას: შალვა ამირეჯიბი, ალი არსენიშვილი, შალვა აფხაიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ლადო გუდიაშვილი, ნიკოლაი ევრეინოვი, პაოლო იაშვილი, შალვა კარმელი, სერგო კლდიაშვილი, გიორგი ლეონიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ნინო მაყაშვილი (ტიციან ტაბიძის მეუღლე. ზ.ლ.), არჩილ მიქაძე, ნიკოლო მიწიშვილი, კოლაუ ნადირაძე, სერგეი სუდეიკინი, ტიციან ტაბიძე, ივანე ყიფიანი, გრიგოლ ცეცხლაძე, გრიგოლ ჯაფარიძე (ფსევდონიმი: გრიგოლ ჯაფარი; ჟურნალის „ცისფერი ყანწები“ მხატვრის, ლადოს და სახალხო მხატვრის, უჩა ჯაფარიძეების ძმა. ზ.ლ.).

ივი ყიფიანის რედაქტორობით გამოიცა გაზეთები: 1. „Арлекин“ (1920); აქ გამოქვეყნდა კონსტანტინე ბალმონტის ლექსი „С молниеем“ (№15, 16 ოქტომბერი, გვ. 11) და 2. „Театр Арлекин“ (1920). გარდა ამისა, ივანე ყიფიანი არის ავტორი ფანტასტიკური ხასიათის რომანისა „ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ” (1936); იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულ ამ წიგნში იოსებ გრიშაშვილის მიერვე ჩადებულია კარლო მელაძის (1911–1938 დახვრიტეს) რეცენზია სათაურით „სიბრძნე სიცრუე ყიფიანისა“, გამოქვეყნებული გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ (1937, №6); რომანი ბიბლიოგრაფიული იშვიათობა იყო ჩემი მოწაფეობის (60-იან) წლებში;

გიორგი ყიფიანი, მინადორა არსენიშვილი, მათი ვაჟი ნიკოლოზ (კოლია) ყიფიანი (ექიმი-პროვიზორი) (ვასაძეების არქივი)

ლიტერატორის გურამ გვერდწითელისა და მწერალ გურამ ფანჯიკიძის თაოსნობით ერთ წიგნად გამოიცა (1987) ალექსანდრე აბაშელის „ქალი სარკეში“ და ივანე ყიფიანის „ამონი“. ივი ყიფიანს ახსენებენ მოგონებებში: სერგო კლდიაშვილი, ნინო მაყაშვილი -ტაბიძე, კოლაუ ნადირაძე, სანდრო შანშიაშვილი, ლადო ჯაფარიძე...



ივი ყიფიანის ლექსის ერთი სტროფის ფაქსიმილე. 28 სექტემბერი. 1942 წ. (ვასაძეების არქივი) იბეჭდება პირველად.

ივანე ყიფიანის წინაპრები ცხოვრობდნენ სოფელში სახელწოდებით – წყნორი (ტყიბული). დიდ ბაბუას, კაციას ჰყოლია ორი ვაჟი: ტარიელი და ბიჭია. ტარიელის ვაჟს, გიორგის ცოლად შეურთავს არსენიშვილის ქალი – მინადორა.

მათი შვილები იყვნენ: ნიკოლოზი (კოლია), ივანე (ივი), სილოვანი, ვასილი, ლიდა, გალინა, ელენე, თამარი: „ცხელ ანდამატით შეჯაჭვული რვანი და-ძმანი“ (ივი ყიფიანი, ლექსი „ტირილი ღამეში”, 1921 წ.). ყიფიანებს ჰყოლიათ დეიდა, რომელიც ცხოვრობდა სოფელში – ძმუისი (ტყიბული). ეს ჩანს ივი ყიფიანის ერთი ლექსიდან, რომელიც მიძღვნილია დისწულის, თენგიზ ანდროს ძე ფურცელაძისადმი:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის ნათელა ვაჩნაძის (ავტორია მონოგრაფიისა „Давид И. Арсенишвили. Эскизы к творческому портрету, ТГУ, 1990) ცნობით, ყიფიანები და არსენიშვილები: ალი („ცისფერყანწელი”), დავითი, მარგარიტა, თამარი, ალექსანდრე, შოთა – იყვნენ ბიძაშვილ-მამიდაშვილები. ეს ცნობა დამიდასტურა ალი არსენიშვილის (1892 – 1939) დის, მარგარიტას ქალიშვილმა, პროფესიით ჰიდროლოგმა, დოდო (საბუთით: ზეინაბ) არსენიშვილმა (დაიბადა 1936 წ.) – ექიმის, მურმან იაშვილის (1934 – 1995) მეუღლემ – ჩემთან საუბრისას მან ბრძანა, რომ მის ბაბუას, ილია ალექსანდრეს ძე არსენიშვილს (გარდაიცვალა მეორე მსოფლო ომის წლებში) ჰყავდა და – მინადორა, დედა – ყიფიანებისა, ხოლო ილია არსენიშვილის მეუღლე, პრისკილა აბზიანიძე ბიძაშვილად ერგებოდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, გიორგი აბზიანიძის (1907-1976) მამას – ნიკოლოზს.

პაოლო იაშვილის შვილიშვილის, მერაბ ნიჟარაძის საოჯახო არქივში ინახება გიორგი აბზიანიძის „მოგონება პაოლო იაშვილზე“, სადაც იგი წერს: „პაოლო იაშვილს ხშირად ვხედავდი ჩემი ახლო ნათესავის, პაოლოს განუყრელი მეგობრის, ცნობილი „ცისფერი ყანწელის“ ალი არსენიშვილის ბინაზე... ალი არსენიშვილს ცოლად ჰყავდა პაოლოს დეიდაშვილი ფროსიკო აბაშიძის ქალი (სავანიდან)...“

აბზიანიძეების შესახებ ერთ სამგლოვიარო განცხადებაში (გაზ. „სამშობლო“, 1916, №320, 27 მარტი) ვკითხულობთ: „ეკატერინე ისაიას ასული, სარდიონ, ივლიანე და ნიკო დიანოსის ძენი და ტარასი სარდიონის ძე აბზიანიძეები იუწყებიან გრიგოლ აბზიანიძის გარდაცვალებას“.

ამ ოჯახის შვილი იყო, აგრეთვე, იოსებ დიანოსის ძე აბზიანიძე-კოლეგიის რეგისტრატორი, მსახურობდა (იხ. „Кавказский календарь“, 1902, გვ. 164) ქუთაისის ქალაქის მმართველობაში (ქალაქისთავი: დავით არჩილის ძე ლორთქიფანიძე. ზ.ლ.) ბუჰხალტრად.

სარდიონ აბზიანიძის შვილიშვილების ზეინაბ აბზიანიძისა (დ. 1935 წ. პროფესიით – ფიზიკოსი) და ნინო (ნონი) თურმანიძის (დ. 1938. პროფესიით - ექიმი) ცნობით, სარდიონის შვილები: ლადო (ფინანსისტი), ტარასი (ფიზიკას ასწავლიდა სემინარიაში), ალექსანდრა, ვერა, ელისაბედი (არქიტექტორი) – ბიძაშვილები იყვნენ ლიტერატორის გიორგი აბზიანიძისა, ხოლო არსენიშვილები – მათი მამიდაშვილები. ეს ცნობები დამიდასტურა, აგრეთვე, იოსებ დიანოსის ძე აბზიანიძის შვილიშვილმა, გია ვალერიანის ძე აბზიანიძემ (დ. 1927 წ.). გარდა ამისა, ბატონმა გიამ მიამბო, რომ მის დეიდას, მარიამ დავითის ასულ კერესელიძეს ეტრფოდა კიტა აბაშიძის ვაჟი – გია (1899 – 1924 დახვრიტეს ბოლშევიკებმა) და სახელი სწორედ მის პატივსაცემად დაარქვეს. კიტა აბაშიძის შვილიშვილის, ლიტერატორის გიორგი (აგი) ერეკლეს ძე აბაშიძის (დ. 1934 წ.) ცნობით, სახელი – გია – აბრევიატურაა და იგი ასე უნდა გაიხსნას: გიორგი ივანეს (კიტას ნათლობის სახელია. ზ. ლ.) ძე აბაშიძე.

კიტა აბაშიძე ხშირად იცავდა და მფარველობდა „ცისფერყანწელებს“ იმ თავდასხმებისა და სკანდალებისაგან, რომელსაც ახალგაზრდა პოეტებსა და მწერლებს სოციალ-დემოკრატიული („ესდეკების”) პარტიის წარმომადგენლები უწყობდნენ (იხ. კიტა აბაშიძე „გონს მოდით“ გაზ. „ჩვენი მეგობარი”, 1916, №15).

მარიამ დავითის ასულ კერესელიძის მამიდა, სალომე იოანეს ასული იყო მეუღლე კიტა აბაშიძის უახლოესი მეგობრის, პუბლიცისტის, მთარგმნელის, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ქუთაისის კანტორის მმართველის, იაზონ თომას ძე ბაქრაძის (1869-1937 დახვრიტეს ბოლშევიკებმა), რომელიც ერთ კერძო წერილში (21.03.1916) პუბლიცისტს, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარეს გიორგი ზდანოვიჩს მოუთხრობს ერთი ასეთი სკანდალის შესახებ (გურამ ჭოხონელიძის პუბლიკაცია იხ. ჟ-ი „კრიტერიუმი” 2001 №3, გვ 119-120); ამ სკანდალს იხსენებს, აგრეთვე, მწერალი დავით კლდიაშვილი (იხ. მისი „ჩემი ცხოვრების გზაზე”, 1961, გვ. 223-224) – „ცისფერყანწელი” სერგო კლდიაშვილის მამა.

ჟურნალ „ცისფერი ყანწების” მხატვარი ლადო ჯაფარიძე (1887-1981) იგონებს, რომ რედაქტორმა პაოლო იაშვილმა „ცისფერი ყანწების“ ყველა მონაწილეს აჩუქა ჟურნალის (1916წ. გაზაფხული) სახელობითი ეგზემპლარი: გარეკანზე თვალსაჩინო ადგილას სტამბურად დაბეჭდილი სახელითა და გვარით (ჯაფარიძე ლადო, წარსულის გახსენება იხ. ჟ-ი „კრიტიკა“, 1976, №3)“. ასეთი ეგზემპლარი უძღვნია პაოლოს კიტა აბაშიძისთვის, რომლის გარდაცვალების გამო „ცისფერი ყანწების“ თავკაცი (ლადო ჯაფარიძის გამოთქმაა. ზ. ლ.) წერდა: „Вся эстетическая Грузия в продолжении последних пяти месяцев была обращена взорами к больному Кита Абашидзе, смерть которого вызвала такой глухой болезненный стон в наших серцах <. . . >, ушел от нас человек в трех лицах: - князь, эстет и социалист! И на его похоронах <. . .>, были искренние, но ординарные слова о свободе и о



თამარ ყიფიანი (ვასაძეების არქივი)

нем. И только молчали мы, им облассканные, им образованные, молчали, боясь нарушить церемониал похорон измученного гражданина. Но молодая Грузия скажет свое достойное слово и над могилой высокого и озаренного друга“ (Паоло Яшвили, „Литературное кольцо Грузии 1917 г.“ იხ. გაზ. „Республика“, 1918, 3 იანვარი).

აქ მოტანილი ინფორმაციები, ვფიქრობ, ამდიდრებს „ცისფერყანწელთა“ კულტურულ-საზოგადოებრივ გარემოს.

ახლა ისევ ყიფიანებს დავუბრუნდეთ: ივი ყიფიანის და – თამარი (1908-1978) – ლიტერატორებისთვის და ჩვეულებრივი მკითხველისთვისაც ცნობილია, როგორც მთარგმნელი. მან გადმოაქართულა აპულეიუსის „ოქროს ვირი“ და ლიონ ფოიხტვანგერის „გოია“. თამარი სწავლობდა ქუთაისში, უმაღლესი განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გალაკტიონ ტაბიძე ერთ კერძო წერილში (20-იანი წლები) მეუღლის, ოლღა ოკუჯავასადმი წერს: „Наш Вася совсем потерял голову. Носится с Тамарой и ничего более знать на свете не хочет...“(იხ. ტაბიძე გ. თხზ. ტ. 12, 1975, გვ. 527). ოლია ოკუჯავას დეიდაშვილის, ვასილ მაქსიმეს ძე კიკვაძის განმარტებით, ამ წერილში ნახენები – ვასია – არის ოლღას უმცროსი ძმა, ვასილ სტეფანეს ძე ოკუჯავა (1908-1968). რაც შეეხება – თამარს: „მწერალთა სასახლის ბიბლიოთეკაში მუშაობდა თამარა, ყიფიანის ქალიშვილი. სრულიად შესაძლებელია, რომ გალაკტიონს არაერთხელ მოეკრა მათთვის თვალი“ (იხ. ზარნაძე გიზო, გალაკტიონი, ოკუჯავები და სხვები, თბ.; 2004, გვ. 36-37).

საქართველოს მწერალთა კავშირის არქივში ინახებოდა ცნობა (გაცემული: 26.09.1958), რომელიც ადასტურებდა, რომ თამარ გიორგის ასული ყიფიანი მსახურობდა (1931-1933 წწ.) საქართველოს მწერალთა კავშირის ბიბლოთეკის გამგედ. ცნობას ხელს აწერენ: მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველი, იროდიონ ქავჟარაძე და მწერალთა არქივის გამგე, ნინო კლდიაშვილი.

თამარი 1934 წლიდან ცხოვრობდა ლენინგრადში, სწავლობდა უცხო ენათა ინსტიტუტში, მსახურობდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში კავკასიური ფონდების გამგედ.

ქართველ მწერალთა ერთ ჯგუფთან ერთად გალაკტიონი იმყოფებოდა (10.06 - 25.06. 1934 წელი) ლენინგრადში. აქ, ხელოვნების აკადემიაში ჩატარდა (15.06) პოეტის შემოქმედებითი საღამო, რომლის მომწყობ-მონაწილეთა შორის იყვნენ იმჟამად, იქ მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი მეცნიერები: ილია ვეკუა, ვიქტორ კუპრაძე, გიორგი წერეთელი, სერგი ჯიქია, ვარლამ და კარპეზ დონდუები, იოსებ და კიტა მეგრელიძეები, გრიგოლ და ელენე ჩხიკვაძეები, შალვა ხიდაშელი, მიხეილ ჩხაიძე, გ. ბალავაძე, თამარ ყიფიანი, შალვა სიხარულიძე და სხვ. (იხ ლორთქიფანიძე იოსებ, გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, 1968, გვ. 181-182).

თამარმა საკუთარ თავზე იწვნია ლენინგრადის ბლოკადის საშინელება. მისი ჩანაწერები, სათაურით „ბლოკადის რვეული“ (თბ. 2010), მეორე მსოფლიო ომის უმძიმესი პერიპეტიების გარდა, შეიცავს ლიტერატორებისა და ლიტერატურის ისტორიკოსთათვის მნიშვნელოვან ცნობებს: ომის დაწყების წინ თამარს ლენინგრადში სტუმრობდა შალვა დემეტრაძე (1907-1971) – ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის თხზულებათა კრებულების შემდგენელი და გამომცემელი, აგრეთვე, აქ მოთხრობილია ვარლამ და კარპეზ დონდუების ცხოვრების დეტალები ომის წლებში და კიდევ ერთი საინტერესო ცნობა: აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კავკასიური კაბინეტის სწავლული მდივანი, ბორის ტიხონის ძე რუდენკო (ბლოკადისას შიმშილისაგან გარდაიცვალა), რომელიც ქართულ ენას ფლობდა და გამოცემული ჰქონდა რუსულენოვანი მკითხველისათვის ქართული ენის გრამატიკა, რუსულად თარგმნიდა ნოდარ ციციშვილის (გარდაიცვალა 1658 წ.) „შვიდ მთიებს“.

თამარი დაქორწინდა 1945 წელს. მისი მეუღლე ეპიფანე იოსების ძე ვასაძე (1899-1987), პროფესიით ბიოლოგი, მსახურობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სასოფლო-სამეურნეო და

მინადორა ალექსანდრე ასული არსენიშვილი შვილებთან, რძლებთან და შვილიშვილებთან ერთად; უკან – ივი ყიფიანი (ვასაძეების არქივი)

ზოოვეტერინარულ ინსტიტუტებში. მათ შვილებს: ნანას (დაიბადა 1946 წ. პროფესიით – ფილოლოგი) და შიოს (დაიბადა 1947 წ. პროფესიით – გეოფიზიკოსი) მადლობის ვუხდი ყიფიანების ოჯახს ფოტოების მოწოდებისათვის.

ივი ყიფიანს საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია. მისმა ახლო ნათესავმა, ზემოთ დასახელებული ბიჭია ყიფიანის შვილთაშვილმა ნანი გრიგოლის (ტუხის) ასულმა ყიფიანმა (დაიბადა ქუთაისში 1937 წელს. ცხოვრობს თბილისში) ჩემთან საუბარში ბრძანა, რომ ვანიჩქა (ასე უწოდებდნენ შინაურები) სიცოცხლის ბოლო წლებში ცხოვრობდა სოფელში, უყვარდა განმარტოება საკუთარ ეზოში ცაცხვის ხის ქვეშ, ცალი მხარე პარალიზებული ჰქონდა, სავარაუდოდ, ინსულტის შედეგად.

გაზეთში „ტრიბუნა“ (1921, №48, 15 ოქტომბერი) გამოქვეყნდა ივი ყიფიანის ლექსი „შევარდნებს (ანაზდეულათ)“. იგი მიძღვნილია საქართველოს ტანმოვარჯიშეთა საზოგადოების „შევარდენის“ (1918-1923) წევრებისადმი, მაგრამ ლექსის თარიღის გათვალისწინებით – ამ დროს ქვეყანაში ბოლშევიკური რეჟიმია ფეხმოკიდებული – ვფიქრობ, აქ ყველა გულანთებული ქართველი უნდა იგულისხმებოდეს. წერილს ამ ლექსის ბოლო სტროფით დავამთავრებ:

ათასი სალამი შევარდენ რაინდებს,
სილამაზისათვის დე, მუდამ იწვოდეთ
და თუ საქართველოს მტერი არ დაინდობს,
გმირულ სიცოცხლესთან სიკვდილიც იცოდეთ!

16. 09. 2016წ.

ივანე ჯაფარიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის
პრემიების ლაურეატი



საქართველოს სახალხო მხატვარი, სსრკ და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ხალხთა მეგობრობისა და ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენების კავალერი, ჩარგლის საპატიო მოქალაქე, რუსეთის სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საპატიო დოქტორი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრი, პროფესორი გიორგი ოჩიაური დაიბადა 1927 წლის 10 იანვარს დუშეთის რაიონის სოფელ შუაფხოში, პედაგოგისა და ფოლკლორისტის, ალექსი ოჩიაურისა და ნათელა ბალიაურის ოჯახში. 1953 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი. იყო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, ქანდაკების ფაკულტეტის სამხატვრო კლასის ხელმძღვანელი; გოგი ოჩიაურს ეკუთვნის როგორც მონუმენტური ფიგურები, ასევე მცირე ზომის ქანდაკებები („ვაჟა-ფშაველა“ (1972), „შენ ხარ ვენახი“ (1964), „ქალის ტორსი“ (ადლერი, 1969), „სიცოცხლის ხე“ (ტექსელი, 1977), „რეკვიემი“ (1981-1985); „დიდების მემორიალი“ (1985), „აჯანყება“ (1953), „ზღვა“), წიგნის ილუსტრაციები, პორტრეტები და გრაფიკული ნამუშევრები. მას გაფორმებული და დასურათებული აქვს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ანა კალანდაძის, გრიგოლ აბაშიძის, გიორგი ლეონიძის, ვაჟა-ფშაველას, გურამ რჩეულიშვილის, გაბრიელ ჯაბუშანურის, გიგი ხორნაულის, რაბინდრანატ თაგორის, ვოლფგანგ ბორჰერტის, ავეტიკ ისააკიანისა და თინათინ ოჩიაურის წიგნები.

არის დამდგმელი მხატვარი ფილმისა „ალავერდობა“; ავტორია სამენოვანი წიგნისა – „ევროპული ქანდაკების ბუნებისათვის“ (2002).

იყო „1998 წლის საუკეთესო ადამიანი“ (აშშ), საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1991-1992), საქართველოს პარლამენტის წევრი.

გოგი ოჩიაური 1953 წლიდან მონაწილეობს რესპუბლიკურ, საკავშირო და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში. მისი ნამუშევრები დაცულია) თბილისის ეროვნულ მუზეუმში და სხვადასხვა კერძო კოლექციებში.

ძვირფასო მკითხველო! 2017 წლის 10 იანვარს ბატონ გოგი ოჩიაურს დაბადებიდან 90 წელი უსრულდება. შესანიშნავ ხელოვანს ვულოცავთ ამ საიუბილეო თარიღს და მსურს ჟურნალ „ანეულის“ მეშვეობით გაგრძელებებით შემოგთავაზოთ ბატონ გოგი ოჩიაურთან 20 წლის წინათ ჩაწერილი საუბრის ტექსტი, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო აქამდე არ გამოქვეყნებულა. ვფიქრობ, ბატონი გოგის საუბრიდან ფშავ-ხევსურეთის შესახებ არაერთ საინტერესო ამბავს შეიტყობთ.

შეხვედრა გიორგი ოჩიაურთან

დაბადებული ვარ სოფლის მასწავლებლის ოჯახში. ჩემი მშობლები ფშავში გადმოსახლებული არხოტელები იყვნენ. ამა – სოფლის მასწავლებელი, დედა – დიასახლისი. ფშავში გავიზარდეთ, არხოტთან ურთიერთობა არ მიგვიტოვებია, ნათესავები იქ დაგვრჩა და მშობლების ყველა ძვირფასი ურთიერთობა. აქამდე არხოტთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს.

ორი სალოცავის ყმა ვარ. ერთი პატრონი არხოტში გვყავს „მჯაჭველი ხმელის გორისაო“ და ფშავში გვყავს „ლაღიახსარი“. არცთუ უბრალო ამბავია, ასეთი პატრონები რომ გვყავს. აი, ამ ორი ხატის ყმა გავიზარდე, ძირითადად, ფშავში – ხევსურულ ოჯახში. ვაჟა-ფშაველას ჩარგლიდან 18 კილომეტრია ჩვენს სახლამდე, ამასაც აქვს მნიშვნელობა. იქ, ადგილზე როცა ცხოვრობ, ვაჟა-ფშაველას ფენომენი არ არის უცხო მათთვის; ეს ჩვეულებრივი, ერთი დაბეჭდილი მოლექსეა და მის ასეთ განსხვავებულობას ისინი არ გრძნობენ, თუმცა ზეპირად იცოდნენ, ისევე, როგორც თავის მოლექსეებზე.

ხუთი წლისა მოვხვდი თბილისში, საბავშვო ბაღში. ბესიკის ქუჩაზე ვცხოვრობდით და იქვე იყო ჩემი საბავშვო ბაღი, მერე სკოლაც. ეს ჩემი მიგნება არ არის, მაგრამ ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველაფერი, რაც შემდეგ უნდა შექმნა, ან როგორც შემდეგ უნდა იცხოვრო, ბავშვობაშია საფუძველჩაყრილი. ეს ჩემთვის ძალიან უბრალო, მარტივი ჭეშმარიტებაა. დღემდე განსაკუთრებით მგრძნობიარე ვარ ჩემი ბავშვობისადმი, დღემდე ბავშვობით ვცხოვრობ, ყველა მოგონება ჩემს ბავშვობას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ უმამულო, გაჭირვებული ოჯახი ვიყავით, გადმოსახლებული ამ მხარეში და მერე მასწავლებელს

რა უნდა ჰქონოდა, თბილისშიც გვიჭირდა, მაინც ყველაზე ბედნიერი ბავშვობის მოგონებები მაქვს.

ძალიან დიდი საჩუქარი მქონდა ღვთისაგან, რომ იქ დავიბადე და გავიზარდე. ხანდახან, ახლა განსაკუთრებით, ხშირად ვაწყდები ხოლმე რაღაც დიდი სიამაყის გრძნობას საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, რომ დაიბადა ქალაქში. მეამაყება, ძალიან მეამაყება, რომ იქ დავიბადე. ჯერ ერთი, ზღვის დონიდან ასე მაღლა, მერე არაგვისპირზე, მერე ფშავში, მერე არხოტელი ვარ და ღარიბ სახლში დავიბადე (ეს, რა თქმა უნდა, არასერიოზულად, მაგრამ ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ბაგაში დავბადებულიყავი, როგორც ქრისტე). მე და ჩემმა ძმამ (დეიდაშვილი გვყავდა კიდევ, შემდეგ დაიღუპა) ბავშვობა იქ გავატარეთ, სახლში შემოვდიოდით ღამე, ძილისათვის. ომის წლებში ჯერ კიდევ მოწაფე ვიყავი; 7 კლასი თბილისში დავამთავრე, ომი რომ დაიწყო, 1941 წელს. ხუთი წელი შემდეგ დავრჩი მთაში – ხევსურეთში, ბარისახოში ინტერნატია და იქ. ოჯახს უკვე აღარ შეეძლო ჩვენი თბილისში რჩენა. ჩემი და – ეთნოგრაფი, ასპირანტურაში იყო და ერთადერთი ის ცხოვრობდა აქ, ჩვენ ყველანი დავრჩით მთაში და ეს 5 წელი გავატარე ბარისახოში, ხევსურ ახალგაზრდებში, ბავშვებში. ამან ძალიან დიდი რამ შემძინა, სერიოზულად შევეხე ცხოვრებას. ჯერ ეს გაჭირვება, ომის დრო და მერე, ხევსურეთი ალიან მკაცრი იყო ჩემთვის.

თბილისში მაინც მხიარული ბავშვობა მქონდა, ქუჩის ბიჭი ვიყავი ფაქტობრივად და თამაშში გავატარეთ დრო. იქ, მთაში ძალიან სერიოზულ პირობებს შევხვდი, ჩემთვის მოულოდნელად. იქ ბავშვებიც სხვანაირები იყვნენ, ბევრად უფრო მწიგნობარნი, განათლებულნი, ვიდრე აქ, ჩემს კლასში, სადაც ვიზრდებოდი. ღრმად ჰქონდათ შეგნებული ცხოვრების მიზანი, რისთვის სწავლობდნენ, რატომ. ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. თვითონ არასოდეს მქონია არაფერი მიზანი, უბრალოდ მინდოდა, კაპიტანი თუ რაღაც გამოვსულიყავი და იქ პირდაპირ დილემის წინაშე დავდექი – რა მინდა, რისთვის ვსწავლობ? იქ, ეს, თითქმის ყველას ჩამოყალიბებული ჰქონდა და ძალიან მნიშვნელოვანი გახდა ეს ჩემთვის. დღეს ასე აქტიური ნიშანი მოქალაქეობისა – რა პოზიციაზე დგახარ, ეროვნულზე თუ არაეროვნულზე, იქ, სადაც გავიზარდე, აი, ამ ბავშვებში, გამორიცხული იყო ეს პოზიცია კითხვის ქვეშ დამდგარიყო.

ჩემს ბავშვობაში, ომის წლებში, მოწმე გავხდი ხევსურეთზე ხელისუფლების ძლიერი ძალდატანებისა. კოლმეურნეობა არ იყო, მაგრამ ხევ სურეთის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულება არ იყო მთლად კეთილგანწყობილი, რადგან 1921 წელს ხევსურეთი მტრულად შეხვდა, 1924 წელს კი აჯანყდა. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით გადაწვეს სოფლები. სხვათა შორის, ჩემდა მოულოდნელად, შემდეგ გავიგე, რომ ახალგაზრდა



გიორგი ოჩიაური

კოტე ლესელიძე მონაწილეობდა იმ ბრძოლებში, როგორც ბაქოს საარტილერიო სკოლის კურსანტი და ერთადერთი ჭრილობა შუბლზე, იქ ჰქონდა მიღებული. ეს მისმა თანამებრძოლმა, პოლკოვნიკმა შინჯიაშვილმა მიამბო.

1937-ში, ქვლივიძე იყო ასეთი პროვოკატორი, რომელიც შემდეგ გამომძიებელი გახდა, ამოვიდა ხევსურეთში და ხევსურებს ფიცი დაადებინა. ნელ-ნელა გამოარკვია, იყვნენ თუ არა ხევსურები ბაგრატიონების ერთგულები (ხევსურეთი ხომ თავისუფალი მხარე იყო და მეფეს ემორჩილებოდნენ, ისიც მხოლოდ სამხედრო ბეგარით. ყოველთვის, ყველა მზად უნდა ყოფილიყო დაძახებაზე სამშობლოს დასაცავად. სამშობლოს დაცვა, მეფის ლაშქარში წასვლა და ერთგულება ღირსების საქმე იყო. კანონები დეზერტირობაზე არ არსებობდა საქართველოში) და აი, ამ პროვოკატორმა შეადგენინა სიები, ვინ არიან ბაგრატიონების, ირანში მყოფი ბატონიშვილის ერთგულები, ყველა დაიჭირეს და დახვრიტეს. ეს დიდი ტრავმა იყო ხევსურეთისათვის. იქ რომ 41-ში სწავლა დავიწყე, ეს ახალი ამბავი იყო, ჯერ კიდევ ტრავმირებული იყო ხევსურეთი და მათდამი დამოკიდებულებაც სხვა იყო, ჯარში არ მიჰყავდათ, არ ენდობოდნენ და მოწმე ვიყავი ხალხის ნელ-ნელა გადაგვარების, როგორ ჩაითრიეს თანდათან ჩემი მეგობრები ინფორმატორებად, როგორ ჩხრეკდნენ ჩემს კარადებს. ბავშვი ვიყავი, მაგრამ ჩემი „დედი ძმა“ – ლადო ბალიაური ახალგაზრდა მწერალი, პოლიტიკური პატიმარი იყო და ალბათ, ჩათვალეს, რომ მე, ბავშვს რაღაცა შეიძლება მქონოდა. არ ვიცი, რას ეძებდნენ,

მაგრამ ჩემი ტოლი მეგობრების ეს მეთვალყურეობა ყოველთვის შემაწუხებელი იყო. ასეთ სიტუაციაში, ომის წლები, გარდა ნადირობისა, მუდმივი მეთვალყურეობის, გაჭირვებისა და არსებობისათვის ბრძოლის გამო, მახსოვს, როგორც საშინელება. მასწავლებლის ხელმოკლე ოჯახი, არავითარი ხვნათესვის შანსი ჩვენ არ გვქონდა, არ ვიცოდით მე და ჩემმა ძმამ, მამა ხეიბარი იყო, დაპატიმრებული იყო 1924-ში, 1931-ში და 1937-ში და დაინვალიდებული იყო, ჯოხით დადიოდა. დიდი ოჯახი ვიყავით, ოთხნი ვიყავით შვილები, დეიდა, რომელიც მაკალათიაზე იყო გათხოვილი და მისი მეუღლეც, ნიკო მაკალათია, შესანიშნავი, განათლებული პიროვნება, ცნობილი ეთნოგრაფის, სერგის ძმა, გადასახლებული იყო ჩემი დედი ძმის – ლადო ბალიაურის შენახვისათვის. 14 წელი მოიხადა. მისი ოჯახი, ბებიას ოჯახი, ყველა ეს ჩვენ უნდა გვერჩინა, მე და ჩემ ძმას. წარმოიდგინეთ, მე შვიდი კლასი მქონდა დამთავრებული, ჩემ ძმას ათი კლასი და ვისწავლეთ თიბა, შეშას ვეზიდებოდით, ქირაზე ვთიბდით და იმდენს ვმუშაობდით, მესამე წელს, ყველაზე მეტი საქონელი ჩვენ გვყავდა. ვისწავლე ეს ყველაფერი და ესეც სასარგებლო აღმოჩნდა. რაღაც სერიოზულობას შევეხეთ და თიბის გარდა, შეშის გარდა, სხვა სოფლის საქმე ვერ ვისწავლე, არც დამჭირვებია და ნორმალურად ვინახავდით აი, ამხელა ოჯახს, ფაქტიურად სამ ოჯახს. იმდენად, რომ 1945 წელს, ომი რომ დამთავრდა, თბილისში, მე უნივერსიტეტში, ჩემი ძმა აკადემიაში მოხვდა. პატიმარი იყო დედი ძმა, დეიდაჩემის მეუღლე და გაჭირვება ისევ ისე გრძელდებოდა, ჩვენ უკვე მხატვრები ვიყავით, რომ ისევ ვთიბდით და ისევ შეშას ვამზადებდით. გვიჭირდა და თან პატიმრებს მოვლა უნდოდათ. მე 1945 წლიდან ჯერ ციხეში დამქონდა (ქართული სახელი არ მინდა ვთქვა) და „პერედაჩი“ უნდა ერქვას ქართულადაც მაგ საქმეს. აი, ეს „პერედაჩების“ მიტანა ჯერ 37-ში მახსოვდა, დედას დავყვებოდი, მამასთან დაგვქონდა, შემდეგ ჩემ დედი ძმასთან, ჯერ თბილისში, მერე იგოეთის ინვალიდთა კოლონიაში (დაპატიმრების დროს დაიჭრა მუხლებში და ინვალიდთა კოლონიაში იყო), შემდეგ გადაასახლეს შუა აზიაში და იქ ვუგზავნიდით ყველაფერს. 1954 წელს დაიღუპა იქ. ნადირობის დროს დაიხრჩო წყალში. ჯერ დაეჭვებულნი ვიყავით, რაიმე განზრახვა ხომ არ იყო, მაგრამ გამოჩნდა, რომ არა. ხეიბარი კაცი იყო და 1954 წელს დაიღუპა. მე წავედი, ჩემი დის მეუღლე წამყვა (ჯერ არ ჰყავდა შერთული ჩემი და), ნეშტი უნდა მოგვეპარა, აკრძალულ ზონაში იყო და უნდა ჩამოგვესვენებია. ღ. ბ-მ გაგვაჩერა და მოსკოვიდან დაგვაბრუნა. ნიკო მაკალათიამ, გადასახლებიდან რომ დაბრუნდა, ეს უკვე 1956 წელს შესძლო, მარტომ, ხნიერმა კაცმა. მისი გულისთვის მოიხადა 14 წელი და მაინც მან მოიპარა ეს ნეშტი, ჩავიდა შუა აზიაში, ჩემოდნებით ჩამოასვენა და შუაფხოში დავკრძალეთ. ამ ამბებს გაჰყვა

მთელი ჩემი ბავშვობა და ყრმობაც. 1953 წელს დავამთავრე აკადემია და ეს უკვე სხვა ცხოვრებაა.

ი.ჯ. – ბ-ნო გოგი! ცნობილები არიან თქვენი წინაპრები, ბებია, ბაბუა, დედა და მამა. მამაზე ბრძანეთ, რომ იყო მასწავლებელი. ხაზგასასმელი ისაა, რომ ის იყო პირველი მასწავლებელი ხევსურეთში, ისევე, როგორც ბაბუა – პირველი ექიმი.

გ.ო. – მთლად ასე არ არის. ბაბუა – მამის მამა იყო ერთ-ერთი ცნობილი დასტაქარი, მაგრამ პირველი არ იქნებოდა. დასტაქარი იყო, ტრეპანაციებს აკეთებდა თავის ქალაზე, აღწერილია ლიტერატურაში. თედორაძე იყო ასეთი, ექიმი, ძალიან კარგი ინტელიგენტი, დაწერა ბრწყინვალე წიგნი „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“. თვითონ იცნობდა და აღწერა ის და მგელიკა ლიქოკელი. ბაბუა ძალიან ცნობილი ექიმი იყო, მამა მასწავლებლობის გარდა ეთნოგრაფიულ ჩანაწერებს აკეთებდა. დედაც, მამაც, დეიდაც ჰონორარებს იღებდნენ ივანე ჯავახიშვილისგან. დიდი ივანე ჯავახიშვილის კორესპონდენტები იყვნენ. აღმოჩნდა, რომ იმდენი ჩანაწერი გააკეთეს და იმდენად მნიშვნელოვანი, რომ დამოუკიდებელი ღირსება აღმოაჩნდა ამ ჩანაწერებს. მანამდე ამაზე არც მამა ფიქრობდა და არც დედა. მამა მოესწრო თავისი ერთი წიგნის გამოცემას და შემდეგ კიდევ გამოვიდა სამი წიგნი, საკმაოდ კარგი რეცენზიებით და დედას ჩანაწერებიც ეთნოგრაფიის ინსტიტუტისათვის, გიორგი ჩიტაიას და ვერა ბარდაველიძის უშუალო, ძალიან ახლო კონტაქტებით.

უფროსი და ბოტანიკოსია, მომდევნო დაც ეთნოგრაფიის გზაზე წავიდა. ცალკე წიგნად გამოვიდა დედას „სწორფრობა ხევსურეთში“. უკვე ხნიერი, ღრმად მოხუცებული დედა ჩემთან ცხოვრობდა, ვერ ისვენებდა აქ და რომ გამერთო, ვთხოვე, ჩემთვის ჩაეწერა, რაც გაახსენდებოდა, ამას არაფერი სხვა დანიშნულება არ ჰქონდა. მიყვარდა, რასაც მიამბობდა და ჩამიწერა. ამასაც აღმოაჩნდა ლიტერატურული ღირსებები და გამოიცა წიგნად, ძალიან კარგი რეცენზიებით. დედა ამას ვერ მოესწრო, რა თქმა უნდა. ძალიან ნიჭიერი ქალი იყო. დედის მამა

— თათია ბალიაური — დიდი ოჯახის მამა, გარდაიცვალა ჩემი დაბადების წელს, 1927 წელს. ძალიან ღირსეული კაცი ჩანს. ჩემი დედი ძმა — ლადო ბალიაური, რომელიც ჩემთვის დღესაც მაგალითია, მისი გაზრდილი იყო. თომა ბალიაურიც. 1924 წლის მერე ჩვენებს შეაფარა თავი და იქ ცხოვრობდა, არხოტში, ჩემ ბებიასთან და ბაბუასთან. შეურიგებელი იყო 1934 წლამდე, როცა მოკლეს და მათ გამზრდელად ითვლებოდა ეს ბაბუა და ძალიან საინტერესო რამ წავიკითხე, ლიტერატორი წერდა, ღირსების დამადასტურებელ სამაგალითო ეპიზოდს ბაბუაჩემზე, არ ვიცი, საიდან იცოდა, არ ამბობდა რატომ მოიკლა თავი, არ იცოდა, ვერ გაეგო ბოლომდე სინამდვილეში რა იყო. ბაბუა ძალიან სახელოვანი, ამაყი, გამჭრიახი და რჯულის კაცი იყო. გარეგნულად ხმელი, სხვანაირი გარეგნობა ჰქონდა, ფოტოებში მინახავს და მოგონებებით ვიცი. თუ ეს ბაბუა — მამის მამა, დასტაქარი, კეთილი, ძალიან ღვთისმოსავი და რბილი კაცი იყო, მეორე ბაბუა — თათია ბალიაური — ძალიან ამაყი და ფიცხი კაცი იყო. 1927 წელს, უკვე ბოლშევიკების დროს, ვერ ეგუებოდა ამ სიტუაციას, რაც ხდებოდა, როგორ ირყვნებოდა და იცვლებოდა ხალხი და იქაც შეაღწია ამ უზნეობამ, უზრდელობამ. ერთხელ, შარაზე, არხოტში (ჩვენი სოფელი ახიელა შეღმართზეა) ადიოდა და შეხვდა ვიღაც უბრალო კაცი (დამავიწყდა მისი სახელი, დედაჩემი კი მეუბნებოდა ხოლმე. არაპატივსაცემი, უბრალო, ბრიყვი კაცი), ბაბუაჩემმა რაღაც უთხრა, იმან სიტყვა შეუქცია, ამან კიდევ გაოცებით რაღაც უთხრა, იმან უკვე უზრდელად შეუბრუნა სიტყვა და შუადღისას ბაბუამ ბებიაჩემს დაუძახა და უთხრა: — იქამდე რომ მიხვალ, ასეთი კაცი სიტყვას შეგიბრუნებს, ცხოვრება აღარ ღირსო. დარიშხანი დალია და საღამომდე იცოცხლა. მთელი სოფელი შეიყარა, ყველამ იცოდა, რომ მი ღებული აქვს ლიერი საწამლავი და არაფერი შველის. ყველას არიგებდა, ასწორებდა საქმეებს.

ბებიაჩემი მიყვებოდა: — მე მითხრა, შენ მაპატიე, რომ ამ შვილებს გიტოვებო. ბებია მყავდა ძალიან ამაყი და ვკითხე: რა უთხარი-მეთქი. — ვუთხარი, რომ არ გაპატიებო. ბებიას არავითარი სენტიმენტალობა არ ჰქონდა, ისე იცხოვრა ბოლომდე.

მამის მხრიდან ბიძა მყავდა კიდევ ძალიან ცნობილი ხევსური — გარსია ოჩიაური, მასზეც სამი ნოველაა დაწერილი. ერთი ჩოხელმა დაწერა, ორი ახალგაზრდა ნატროშვილმა. მოიკლა იმანაც თავი, ახალგაზრდობაში ცნობილი მოჩხუბარი იყო. ხევსურეთში მოჩხუბრობა ჰქვია იარაღის ხმარებას და გარსია ოჩიაური ძალიან ცნობილი იყო თავისი ნიჭით, ჩხუბის უნარით და საინტერესოა, რომ ბაბუაჩემმა მას სთხოვა, თვალები შენ დამიხუჭეო, ეს იმიტომ, რომ, როდესაც ჩემი დედი ძმის ლადო ბალიაურის ქორწილი იყო, მაშინ გარსია განზრახ არ დაპატიჟა ქორწილში, ჩხუბს ატეხავსო. სიკვდილის წინ კი სთხოვა მას, დაეხუჭა თვალები და მართლაც, მან დაუხუჭა. ეს დიდი პატივია. ასეთი ბაბუა მყავდა, მაგრამ მე დასტაქარი ბაბუა უფრო მახსოვს. დედაჩემი, მისი რძალი, სულ ლოცულობდა, ქრისტე იყოო, ისეთი კეთილშობილი, რაღაც საოცარი, კეთილზე კეთილი კაცი და იუმორით სავსე იყო თურმე, სამაგალითო იყო ქცევითაც. ამიტომ, ჩემს ოჯახში, ძალიან ბევრი რამ, მერე და მერე, სულ მოიხსენიებოდა. ერთხელ, არხოტში მივდიოდით ბევრნი, სალოცავად ყოველ ზაფხულს დავდიოდით არხოტში, ათენგენობაზე. ხელისვაკეა სოფელი და იქ დავდექით ღამის სათევად. ბევრნი ვიყავით, მთელი ოჯახი, ჩემი დედი ძმაც იყო — ლადო, ახალგაზრდა ცოლი ჰყავდა მაშინ — ქეთო ჭელიძე, მეორე ცოლი იყო მისი. ამ ჭელიძის და და ორი ძმაც სამანელების შეთქმულებაში დაიღუპნენ. ჩემი დედი ძმა რომ გაიქცა, ის დახვრიტეს. აი, ეს ქეთო ჭელიძეც მოჰყავდა ლადოს და ღამის სათევად რომ დავდექით, ჩემი დედი ძმა მთხოვა, რომ სოფელში სამი სახლი დგას, მიდი და წყლის ჭურჭელი თხოვე ღამისთვისო, უთხარი, რომ თათიაიშვილი ხარო. თვითონ ძალიან სახელოვანი იყო ხევსურეთში და კი არ თქვა. კაი სისხლის აღება იცოდა, თომა ბალიაურის მკვლელი მაგან მოკლა, ძალიან სახელოვანი იყო, მაგრამ თავისი სახელით კი არ გამაგზავნა, ასე უთხარიო და ისინიც დიდი პატივით თვითონ ჩამოვიდნენ და თათიაიშვილი მოიკითხეს. ასეთი ბაბუა მყავდა.

ი.ჯ. — <u>ერთი ესეც ვთქვათ, თქვენ და თქვენი დედმამიშვილი, ყველანი სახელოვანი, ღირსეული ქართველები ბრძანდებით, თქვენს საქმეში ყველანი გამორჩეულები. როგორ თვლით, რამ განაპირობა ყველა თქვენგანის ეს გამორჩეულობა?</u>

გ.ო. — იცით ვანო, კარგი რა იყო ჩვენს ოჯახში და საერთოდ? ნამდვილი, კულტურული ქართველი საზოგადოებისათვის, ხევსურეთი ყურადღების ცენტრში იყო და კარგი ინტელიგენტების მოგზაურობა ხევსურეთში ხშირი იყო. ძალაუნებურად, ყველას მასპინძლები იყვნენ, ან დედული ჩემი ან მამის ოჯახი და ეტყობა, ბავშვობიდანვე, პირველი წერა-კითხვის შემტანი, პირველი უმაღლესი განათლებით ბალიაური იყო, თომა ბალიაურის ძმა — ერასტი ბალიაური — პირველი ექიმი ხევსურეთში და ეტყობა კულტურისაკენ მიდრეკილება ამან განაპირობა. ასე ზუსტად ძნელია მაგის ახსნა, რამ განაპირობა. ამ კარგ ინტელიგენტებთან ურთიერთობამ, რომელიც შემდეგაც დარჩა, მათმა კეთილმა, მაღალზნეობრივმა კვალმა. თითქმის ყველა სახელოვანი ინტელიგენტი ნამყოფი იყო ჩვენთან სახლში. რაღაც უცნაური, კარგი ბედი იყო. ალბათ, ამანაც განაპირობა ჩემი მშობლების დიდი სურვილი და სწრაფვა განათლებისაკენ, არხოტიდან მათი წამოსვლაც, ფშავში დასახლება და საოცარი გაჭირვებაც, ოღონდ შვილებისათვის განათლება მიეცათ, ამის დასტური იყო. ჩვენ იმათი ნაყოფი ვართ.

1997 წლის 4 იანვარი (გაგრძელება იქნება)

ლიტერატურული კრიტიკა

ბუნაზ ბვალია

ჯუბა ღებელის ლირიკა

ცხოვრების ორომტრიალი ვნებათაღელვის ერთი უწყვეტი აქტია. მასთან გამკლავება დიდი ნიჭია, ღვთივ ნაბოძები. ბუნებრივი კანონიკური სრბოლის მთავარი მახასიათებელი სიყვარულია ფართო ასპექტით. მრავალი გენიოსი ჩაძირულა მის შარბათში, მრავალი დაბნეულა და მასში ხორციელს მოუკლავს სულიერი. მოკვდავთაგან უმრავლესი, სიყვარულის გარგანჩიაში, ინტიმურის ალში მოხრუკულა და აღგვილა პირისაგან მიწისა.

მოუხელთებელი გრძნობების ამოფრქვევაა შემოქმედება პოეტისა. ის ხილულსა თუ უხილავს, სულიერსა თუ უსულოს, ნივთიერსა თუ უნივთოს ემოციების ყალიბში აქანდაკებს, სულს შთაბერავს და ამ ქმნილებით აღტაცებული ვერანაირი სიტყვიერი ვნებით ვერ იოკებს სულის სულში დატრიალებულ ცეცხლს აღმაფრენისა. ასე, ნელი-ნელ, ლირიკულ განცდათა ოკეანეში თავგამეტებით ებრძვის მოძალებულ შტორმს სიყვარულისას ჯ. ღებელი. ერთ სხეულქმნილი სულ-ხორცის ჰარმონია აღავსებს მას შეუცნობელი გზნებით.

„ნუ შემეკითხები, ძვირფასო, სად ვიყავ“, — მუდარაცაა და განცდაც იდუმალი წარსულის მიმართ. სულიერი ჩაღრმავება ცხოვრებისეული დეტალების მიმართ რთული, მაგრამ ერთადერთი გზაა მართალი დინებისათვის. ამქვეყნიური კაცის მეტაფორა — „ბნელი ქუჩების ბინადარი“ გონშეუღწეველ ლაბირინთებში მკვიდრობის აღიარებაა. „თქეში“ და „სეტყვა“ კი წუთისოფლის მუდმივა.

გრძნობათა მონაცვლეობა, ისევე, როგორც დროთა, ბუნებრივი კანონიკაა. ვერაფერი იხსნის ადამიანს ამ კატაკლიზმებისაგან, თუკი მისივე რწმენა სიყვარულით არაა გაჯერებული. პოეტისათვის ლექსებია ურთიერთგამომრიცხავი, თუ ურთიერთშეჯერებული მოვლენების პასუხი. ლექსშია ხსნა. ბნელში რომ ნათლის სვეტს ჩაეჭიდები ხოლმე, ისე ებღაუჭება ლექსებს ჯუბა ღებელი და მასთან იდუმალ შეერთებას სხეულითაც კი გრძნობს: „სულით და სხეულით შენი ვარ მთლიანად“.

ყოველი, რაც შეუცნობელ სვლებთანაა დაკავშირებული, ვერ მისახვდომია, ისევე, როგორც ძილის შემთხვევაში იდუმალი სამყარო.

„ნუ შემეკითხები, ძვირფასო, ნურაფერს,
გზად შენსკენ ჩამთვლიმა, ღრმა ძილში ვიყავი,
ცრემლივით ლექსები მელაგა სუფრაზე
ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარდი!.“

ადამიანი თვლემს, მახსოვრობა გამორთულია, უზენაესი კი უდანაკარგოდ აღასრულებს მისიას. დღემდის ვერ ამოვხსენით ძილის საიდუმლო, გარდა იმისა, რომ ძალების მოკრების, ენერგიის აღდგენის, განახლებული ყოფის ელექსირია. პოეტმა კი, მას გასაღები სწორად მოარგო და ხილულიდან უხილავისკენ მიმავალ შეუცნობელ გზას სიყვარული უწოდა. „ძალიან მიყვარდი“ ძილის საიდუმლოში წვდომის სურვილს უმძაფრებს მკითხველს.

ბუნდოვანებაშია პოეტი საყვარელ ადამიანთან შეხვედრამდე. შეწუხებულია, ვერ ხსნის მასში „ძვირფასო“-ს აღმოჩენის საიდუმლოს. არ უნდა, რომ ბეცად მიიღოს ეს ბანალური მომენტი ცხოვრებისა. ასეთ განცდაში ის მთვლემარეა სულიერად. ცდილობს, რომ ამ რთული ამოცანის საიდუმლო ამონახსნი ლექსში იპოვოს და აცხადებს: „ცრემლივით ლექსები მელაგა სუფრაზე.“ მიწიერი მრავალპლანიანი არსებობის ერთ-ერთ სიმბოლოზე — „სუფრა“, ავტორმა შეგნებულად დაახვავა ლექსები — ცნობები ზეციერიდან, მაგრამ პასუხმიუღებელს ისევ ჰგონია, რომ თვლემს.

არ ნიღბავს შინაგან ტკივილებს ჯუბა ღებელი ხორციელი და სულიერი ცხოვრების წესის მოთვინიერების მცდელობისას. ეს ადამიანური ქვენა გრძნობა კაცობრიული განცდაა. ამ განცდასთან სულიერ-სხეულებრივი დუელი კი ძლიერი ინდივიდების შესაძლებლობაა მხოლოდ. „სიყვარულს ვეძებდი და შემაგვიანდა“ ქალისა და ლექსის შერწყმის პოეზიაა. ამ აზრობრივი რითმით იგი, პირადულზე ამაღლებული, ქვენა და ზენა სიყვარულის ერთსხეულქმნაში პოულობს გამოსავალს და ღვთის სამსახურში სულიერ-ხორციელი ერთბუნებოვნებით აგნებს ლირიკის ღადარს.

ხელოვანს შეუძლია შექმნას სილამაზე, სიმშვენიერე, დახატოს, გამოძერწოს, გამოქნას, ფერთა სხივები შეასხუროს, თავისი სული შთაბეროს და ასე უკვდავყოს ნახელავი. შედევრების მსოფლიო კულტურაში ზებუნებრივი ნიჭით შთაგონებული ნიმუშები ადამიანის უფალთან წილდებული ნიჭიერების დასტურია. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ჯუბა ღებელის დამოკიდებულება მშვენიერებად გამოსახექალებულ ტილო-შედევრთა მიმართ. მათ დაიპყრეს კაცობრიული ესთეტიკის სფერო, მაგრამ ვერ შეანაცვლეს ბუნებით, თვითნაბად პირველწყაროს ქალის მშვენებისას ხელოვნური სილამაზე.

შინაგანი ინტუიციით ჯუბა ღებელი მოუხმობს არა ვინმე კონკრეტულ ქალს, არამედ, ზოგადად, ქალს ბუნებითს. ინტონაციური აღქმაც მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მას მარტო ხელოვნების ნიმუშების მიმართ კი არა აქვს გართულება, როგორც გაყალბების აქტისა ნამდვილის მიმართ, არამედ რეალურ ცხოვრებაშიც. ყოველი ქალის სილამაზე უნდა აღემატებოდეს ხელოვნურს, რამეთუ ის სულიერია და ბუნებითია. გაუყალბებელი მშვენიერებაა პოეტის იდეალი:

„დაგეძებ ყველგან და გეძახი,
როდის მოხვალ შინ,
შინ ანუ გულში,
ჩემი გულის
ბატონ-პატრონად“!..

„ფერი წაართვი მონალიზებს,
სიქსტის მადონებს,
მე მინდა შენგან ეს ფერები
მოვიყაჩაღო,
გროშად არ მიღირს
დრო და წლები,
რაც მოვანდომე,
შენს აღმოჩენას –
სიყვარულის
უჭკნობ ყაყაჩოს!“

ზეციურისა და ცხოვრებისეულის ნატურა ბუნებრივი მონაცემებით გულშია დავანებული. გული ვერ იტანს სიყალბეს. და „უჭკნობ ყაყაჩოს“ შეჰხარის. ასეთი მკაცრი მაძიებელი პირველქმნილი მშვენიერებისა, ყაჩაღადაც კი იქცევა, ოღონდაც შეძლოს ხელოვნური ფერების გატაცება და სილამაზისათვის პირველსახის დაბრუნება.

ფიზიკურ ურთიერთობებს ნაყალბევი სილამაზე იდუმალი კავშირის სიდიადის ხიბლს წარსტაცებს ხოლმე და ადამიანის შინაგანი მე სულ მარტო რჩება.

/„შენ ხარ ჩემში, ჩემს სხეულში, ჩემს ოთახში/ და მაინც მარტო ვარ./“

მისწრაფება ნატურალური ყოფის მიმართ ხილვითი ასპექტებისადმი მიჯაჭვულობას უვითარებს მას, რაც გარანტია პოეტის სიმშვიდისა. ამიტომაც, გათენება და რეალობისათვის თვალგასწორება უჭირს ძალიან. ვაი, თუ დაკარგოს სათუთი გრძნობა:

„თუნდ იყოს გრძნობა ვერახსნილი,
სიტყვა – ვერთქმული,
მზე რომ მოწყვიტო, კიბე არა,
გული სჭირდება,
შენ წევხარ გვერდით თეთრი,
როგორც თოვლში თეთნულდი,
გათენდება და უშენობა გამიჭირდება“!

პოეტი გულწრფელია. მას ხელოვნების ნიღბების ცხოვრებაში ტარება ვერ აუტანია, ამიტომაც ვირტუალური წარმოსახვით, სადაც შესაძლებელია ნატურალურთან ზიარება, უფრო ბედნიერია. მშვენიერების, სიწმინდის, ქალური სინაზის, სისპეტაკის ბუნებრივი ტილო „თეთნულდი“ უფრო ამძაფრებს პოეტის პირად შეხედულებას პირველქმნილი, უბიწო სილამაზის მიმართ: „შენ წევხარ გვერდით თეთრი, /როგორც თოვლში თეთნულდი“,/გათენდება და უშენობა გამიჭირდება.”/

სიცხადე და უბრალოება, მაშინაც კი თვალში საცემია, როცა მისტიკურობის განცდა ჩრდილივითაა განფენილი ჯ. ღებელის სტრიქონებში. „შენ ერთადერთს გწერდი,“ ჟამთა მონაცვლეობის, მასში ადამიანის მუდმივ წილობის, გარდასულ, აწმყო და მომავალ დღეთა მითოსურ ლაბირინთებში ჩაკარგვის ანარეკლია და გონმიუწვდომელი სივრცეების – საიქიოთა შეუცნობელი საიდუმლოს შეცნობის შინაგანი სწრაფვის გამოხატულებაა:

„ჩვენ დავშორდებით დროით და წლებით,
როგორც კერპები ჟამთა მითოსთა,
მთელი ცხოვრება ერთადერთს გწერდი
და ქროდნენ ქარნი საიქიოთა.“

ამ ლექსში „შენ“ ტრფიალების მარცვალნაცვალსახელია, მას დიდი შარავანდედი მოსავს, როგორც – „არცთუ უბრალო პოეტის მუზას“.

„შენ ახლა ისეთ მდინარეს შემრთე,/არ გააჩნია, რომლის გემს ღუზა./“

მდინარე მთელი ცხოვრებაა. გემი ცხოვრების მიმართულება, ხოლო ღუზის არქონა ნიშნავს, რომ ცხოვრება თავისი კალაპოტით მიემართება. გარეშეთა წესები მასზე გავლენას ვერ ახდენენ. „შენ“ ბედისწერის კოდია განუშორებელი არსებობასთან.

დგება მომენტი, როცა პოეტის სიტყვა ჩაგაფიქრებს, გაუკვალავი საზრისების გამორკვევას მოგთხოვს და შენც სიტყვის შინაგანი მაგიისა და ენერგეტიკის ძალით უნდა მიუხვდე მას. ლექსის ნაპირთან მდგომს სიტყვათა ფარული სხივი სიღრმისაკენ გიზიდავს, მაგიურ ფერხულში ისე აგიყოლიებს, რომ პოეტის ჩანაფიქრის თანამონაწილე ხდები და სიამემოგვრილი გადმოსცემ იმას, რაც წიაღისეულია და არა ნაყალბევი.

ქალური მშვენიერებაში დანახული მთელი სამყაროსგან ჯ. ღებელი სიყვარულს ითხოვს. ინტონაცია სტრიქონებისა – /„ვარდები შენი მთვარეა ორი,/ თმები სხივებად გაშლილი მზეა“/...

გასცემს შიშს არ დარჩეს გარიყულად. შერწყმისა და მთლიანობის აღქმაშია ნეტარება, პირველქმნადობის სიცხადე, რისკენაც მთელი არსებით მიისწრაფვის პოეტი: /„იქნებ ვერ გავხდე მე შენი ქმარი, მაშასადამე, ვერ ვიყო ცოლიც,/სიყვარულს როცა ღიაა აქვს კარი, სიყვარულია გიშერიც, ბროლიც./“

არსებობა, ხილვა, რეალობა, სინამდვილე სიყვარულის განცდაა, მისი უნიკალურობის ჰარმონიაა, ურთიერთშეცნობისა და ერთურთის დაფასების საწინდარია. ეს ყოველივე თითოეული ჩვენგანის ისეთივე მახასიათებელია, როგორც პოეტისათვის ლექსები. უბრალოება, თანაცხოვრების მუდმივაა და მისი გაუყალბებელი შენარჩუნება ადამიანური ვალია: /„მე მეყვარება ალბათ ის ქალი,/ქალი, რომელიც კი არ წერს ლექსებს,/ ნაგუთნისდედარ ხნულში და კვალში,/ლექსის დაბნეულ მარცვლებად შემკრებს./“

გულუბრყვილობის, გულწრფელობის, სუფთა სულიერების, შეულახავი ღირსების გაუყალბებელი გადმოცემით ჯ. ღებელი ადამიანური ფილოსოფიის – „გიყვარდე ისეთი, როგორიც ვარ“ – პირველმყოფად სიცხადესთან თანაზიარს გვხდის და სულიერ სიმშვიდეს გვაზიარებს.

ქალისა და კაცის ურთიერთობამდე დაყვანილი სამყაროული კერპის – სიყვარულის ფენომენი – ჟამთა ცვლის ლაბირინთებში შეყრისა და გაყრის მუდმივაა, პოეტის თვალით დანახული და სახელშერქმეული:

/„ჩვენ დავშორდებით დროით და წლებით,/ როგორც კერპები ჟამთა, მითოსთა/...“

მიუხედავად ცხოვრების დინამიკურობაში მოვლენათა ცვალებისა, გრძნობათა შეხლა-შემოხლისა, ფორიაქისა, სიყვარული, როგორც, არა მხოლოდ კერძო, არამედ ზოგადი ფენომენი, მაინც უწყვეტი და სრულყოფილია: „არ მიატოვებს ხე თავის ფოთოლს, /თუ ის ფოთოლმა არ მიატოვა.“

ხე სიმბოლოა სიყვარულის სრულყოფილებისა და მუდმივობისა, ფოთოლი კი მისი დროებითი მშვენება. „ჩვილივით თოთო“ სიყვარულის უბერებელი სიწმინდის განსაზღვრებაა: „და სიყვარულიც ჩვილივით თოთო,/ უშენოდ ჩემთვის მაინც მარტოა“.

„უშენოდ“,– აცხადებს პოეტი და ვის მიმართავს, არ არის გამოკვეთილი, თუმც პირადი სიყვარულის ობიექტი გასხეულებულია იმ ერთადერთში, უნივერსალურში, რომლის გარეშეც არც არაფერი არსებობს. გიყვარს ვიღაც, ეტრფი მას, ესე იგი, გიყვარს ჯერ ღმერთი და ამიტომაც შეგიძლია გიყვარდეს სხვაც, ასეთია პოეტის მრწამსი.

სისრულის, მთლიანობის ისე გამოხატვა, როგორც ამას ახერხებს ნაცვალსახელი „შენ“, არცერთ სხვა ნაცვალსახელს არ შეუძლია. „შენ“ არის „მეს“ შემადგენელი ნაწილი, მისგან გამონთავისუფლებული, მაგრამ არა დამოუკიდებელი. ანუ, თუ არ არსებობს „მე“, არც „შენ“ არსებობს. „მე“ გარანტია „შენ“ – ის სავარაუდო, მოსალოდნელი არსებობისა. ვავითარებ იმ აზრს, რომ შეიძლება იყო თავისუფალი, მაგრამ არა დამოუკიდებელი, რადგანაც არსებობა მისტიკური თავისუფლებისა და უხილავთან მარადიული დამოკიდებულების აქტია. ცხოვრება „მე“-დან „შენ“-ის გამოსვლის უწყვეტი პროცესია. იშვიათია პოეზიაში ამ ფილოსოფიური საზრისის ისე ღრმაზროვნად წარმოჩენა, როგორც ეს ჯ. ღებელმა მოახერხა „სევდის აპოლოგიაში“. „შენ“-ის „მე“-სთან შეყრისა თუ გაყრის გრძნობა წვიმისფერთანაა შედარებული, რაც სევდის სიმბოლური ასპექტია და თან სდევს ყოველთვის მოვლენათა ცვალებადობა-მონაცვლეობას: „უჭირს ხეს, როცა უხმება ტოტი / და როცა თოვლი უზნექავს რტოებს,/ წვიმისფერი აქვს ყოველთვის მოტივს,/ როცა მოდიხარ, ან როცა მტოვებ.“

იგრძნობა პოეტის შინაგანი დაძაბულობა შეუცნობელი ბუნების წინაშე, ასევე სულიერი დრამაა პოეტისათვის შეგნება იმისა, რომ მუდმივი სულიერი მარტოობის დაუძლეველობა მისი ადამიანური სისუსტეა. გულწრფელი აღიარებაა სწორედაც აპოლოგია პოეტისა, პოეტისა, რომელიც თავის თავს სევდას ადარებს. ჯ. ღებელი, როგორც პოეტი, სევდაა, ხოლო ეს ლექსი ამ სევდის აპოლოგია: „გადამიყვანა ჭკუიდან ფიქრმა, /ხან მინდა და ხან, არც მინდა გნახო,/ სადაც დამტოვე, უფალო, იქ ვარ, მიწასთან შორს და ზეცასთან ახლოს“.

უცებ, შორეულ ექოს მოაქვს ხმა აკაკისა – „არც მიწისა ვარ, არც ცისა.“ სევდის იგივეობა, მაგრამ პოეტური სულის ახლებური განწყობა, გამოხატვის საკუთარი ხმა, სუფთა ხედვა და ალალმართალი აღსარება ღებელისეულია.

რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი გამოცხადდა

კონკურსზე ნაწარმოების წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერი ასაკის პირს. კონკურსზე არ დაიშვება გარდაცვლილ ავტორთა ნაწარმოებები. კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ნაწარმოები – მოცულობით არაუმეტეს 5 (ხუთი) პირობითი ნაბეჭდი გვერდისა.

საპრემიო ფონდი შეადგენს 1000 ლარს.
I პრემია – 500 ლარი; II პრემია – 300 ლარი; III პრემია – 200 ლარი;

კონკურსის მონაწილეები 1 სექტემბრიდან 10 ნოემბრამდე აგზავნიან გამოუქვეყნებელ (შესაძლოა, იყოს გამოქვეყნებულიც, ოღონდ არა უახლოესი 2 წლის განმავლობაში) საკონკურსო ნაწარმოებს ელფოსტაზე: aneuli@mail.ru.

ფსევდონიმით გაგზავნილი ნაწარმოები არ განიხილება. ნაწარმოები არ უნდა იყოს პრემირებული.

თითოეული მონაწილისგან მიიღება ერთი ნაწარმოები, რომლის თემატიკაც არ არის შეზღუდული. განსახილველად დაიშვება მხატვრული ჟანრის (ნოველა, მოთხრობა) ნაწარმოები, რომელიც აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს.

საკონკურსოდ „ანეულის“ რედაქციაში უნდა გადაიგზავნოს ნაწარმოები, ავტორის მოკლე ბიოგრაფია, ფოტოსურათი, მისამართი და ტელეფონი. ასევე მითითებული იყოს კოდური სიტყვა, რომლითაც (უგვარ-სახელოდ) ნაწარმოები გადაეგზავნება ჟიურის წევრებს.

რევაზ ინანიშვილის სახელობის ერთი მოთხრობის კონკურსში გამარჯვებულებს პრემია გადაეცემათ ყოველწლიურად, 20 დეკემბერს, რევაზ ინანიშვილის დაბადების დღეს. წლეულს კონკურსი მეშვიდედ ტარდება.

კონკურსი იმართება თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით.

პოეზია

ბაჩსელი

რექვიემი

ვერ ვერევი ხასიათს, ვერ ვაძინებ ურჩხულებს,
თვითონ, როცა ბეზრდება, თავსაც მაშინ მანებებს,
სიკვდილისთვის ერთია – დანტესი თუ პუშკინი,
დღემდე ქარის წისქვილებს,
ებრძვის და მე ზმანებებს.

მაგრამ მაინც კულტურა აირჩევდა მეორეს,
მეორე ხომ დარდებით მიმზიდველი უფროა,
გამარჯვებამ რა იცის, დაცემულის მუხლები,
ტრაღედიის გოდება – ზულუქისთვის უცხოა.

შემომცქერის შექსპირი, უძილობის სარკმლიდან,
არ უყვარდა არავის, ისე, როგორც ის თვლიდა,
ბოლოდროის ფიქრები ცხენებივით გავხედნე,
როცა სულის საზღვარი პეიზაჟებს იცვლიდა.

გულში დარგულ მუხებთან ჩერო ამოვიჩემე,
და სიმშვიდის მაგიას მართებულად იქ ვჩემობ,
დრო ამდენი ხსენებით უკვე ვაჭაღარავე,
არ ყოფილა არასდროს, დროში წამი უჩემო.

ახლა ლექსის წერისას დამჩხავიან ყვავები,
მე კი ენა არ მესმის, ვხვდები სევდას კენკავენ,
და ყვავები დამექცნენ ფერად საღებავებად,
ეპოქების ზარები ჩემს ყურებში რეკავენ.

* * *

ქილა გატყდა მაწვნის და ცაზე მთვარე დაიქცა,
და ძირსნაყარ ოცნებებს მთელი ღამე ვსანსლავდი,
კუჭი ამოვიყორე, აბა, მეტი რა მინდა?!
იმედებიც ჩამიწყდა, რასაც ეშხით ვმალავდი.

ქარი გვიდა უმწეოდ
ღმერთდაპნეულ ვარსკვლავებს,
ფეხი როცა გიცურავს – რწმენა მაშინ დაბადე,
პლანეტების შრომაში არსი გავასულსრულე,
მზეს ღარები დასჩემდა, ჩანდა, მგავდა, გავბარდე.

საიდან სად მოვედი, დიაღ, სწორედ სე ლა ვი,
გაჭირვება მითხარი, გიკვირს, ან ეს მე რად და,
ზუსტად ვერც რას გაიგებ, ბედია და ბორბალი,
თუ ლოგიკის მონა ხარ, კვაზი და ესმერალდა...

5.8.2015 18:42 მერკური

* * *

ჰაერი შემოდის ოთახში ნასვამი,
და ვსუნთქავ არაფერს...
უჟანგბად სამოსელს ფხიზელი ატარებს,
ქორია ან სვავი.
ორია, და მაინც
ფიქრები შორია,
სახელებს იბრალებს,
მაჰატმა მორია,
მაჰატმა კუთხუმი,
ვერაფერს ვერ ვხვდები,
გველი და ხორთუმი.
სულ მაღალ ყელიან
აზრებში ნავარდი –
ძნელად თუ გელიან,
ეს რატომ, ან რისთვის,
თემ-გარე – შველია.
სარკმელში ტვირთებად ოლარი ფორმები,
მეჩხერად დაჰქრიან მისტიკურ განგებით,
ცის თვალი ყურს გვისევს ზე-ცათა გაგებით
და მტვრიან ღამეში ელავენ ყორნები.
ცა ისევ მჭრელი და მთვარება ცელია,
ვრცელია ნავარდი, ირემი წერს ისევ,
ეს ისე, უნაკლო მეჯლისის მცველია.
ჰაერი ჰქვია და უბრალოდ იბრალებს, –
ბრალიან ალუბალს, კუნწულა ბალია,
ვფიქრობ და სულიერ წიაღში იმრავლებს...
მელიან, მელიან,
ღმერთს, მუდამ ელია,
მელანი პერგამენტს და ეშხი ელამი –
მელანზე მწველია, ეს რა ვი, –
სე ლა ვი, –
ფურცელი სველია...

5.7.2015 3:35 მზე

* * *

ისე გავხმელანდი სული მაქვს თუ არა,
ფიქრის საკითხია,
აღარც შენ გიხსენებ, აღარც ვიღიმი და
აღარც მზეს არ ვწველი,
ისე ამაოა ახლა ყველაფერი, ფერი რაღა არის,
მართლა ამიხსენი,
ალბათ გროვით გლოვა გამიჭაღარავდა,
აღარ დამაქვს წვერი.

ვწევარ უხსენებელს, ქარში კალიების,
ესეც მომბეზრდება,
მოვალ ისევ შენთან, მერე, მერე ვნახოთ,
რა მზეს დავიდარებ,
რა ხასიათიც მაქვს ამას გავუძლო და
ფერებს გადავაწყობ,
ფიქრებს მიუყვება დინჯი დილიჟაბრი,
წამად არ ვიდარდებ.

კანონს გავუხეთქე საზღვრის ბუშტები და
ფრენენ ჟირაფები,
წყევლით მახინჯია შამფურს წამოცმული
აზრთა ნაპრალები,
დიაღ, გაფრენაა იმის სიჭკვიანე, რაც კი ეგი-
ჟებათ,
ჩემი შემხედვარე ფრთოსან ფრინველებმა,
შესვეს აპრილები.

არ შეგუებული ვთოხნი სარკოფაგებს,
ალბათ კიდეც მოვთქვამ,
ისეთ უფსკრულში ვარ, ძაფიც აღარა ჩანს
სხივის საწვეთარი,
ზებრას გადავასხი ვეფხვის არსებობა,
ისე გადავჭრელდი,
გადაღლილობაა, მობეზრებაცაა,
მკვდარო, ასწი თავი.

ფიქრზე ალეწილი მშრალი მელანი ვარ,
აზრის მოქანდაკე,
ქარში მედუღება სულის ამბოხება,
ზღვა ცის იოტია,
უიმედობაა, როცა იმედებში
დამხრჩვალს მიპოვნიან,
შეუძლებელია! შეუძლებელია?!
აჰა, შემიძლია, ფაქტი ჯიუტია...

13.8.2015 20:24 იუპიტერი

* * *

სული არ ეტოლება არანაირ სივრცეებს,
იმედია – ღმერთამდე აზიდული ბანაკი,
პოეზიის გარეშე, ვემსგავსებით ციხეებს,
ტრფობას ძაფზე აკინძულს, ან უარი, ანდა კი.

* * *

შუბლზე შემხმარი ნატყვიარი, ფიქრი მატყვია,
დარბილებული დებილები როგორ იგებენ?..
ნაომარია ყეფვით კეფა, ვმოსავ იებით,
ავზე მარხვა მჭირს, გადაცდენით, უკვე წამია,
თუ არ განაღვლებს, ჩამოლპობა, კოცნით მიები.

ფერქარიებში ვიგანგლები ფიქრის მოხდენით
და ოთახებში მიკიდია მე წყლის ფარდები,
ვინც აჯანყდება ჩემთან ერთად, უკვე ორია,
ურთიერთობას რომ არა აქვს წინა სამზერი,
კოცნას გიგზავნი, მას არა აქვს პრე ისტორია...

27.8.2015 21:45 იუპიტერი

* * *

პოეზიის გარეშე არ ღირს ჩვენი სუნთქვები,
ეს ამდენი ამბოხით გული გადამერია,
მენატვრება ბავშვობის მურაბული ამბები,
ბამბები რომ ერია, სიფაფუკის ნირია.

გროტესკიდან – პროტესტი, ალესილი ცელია,
რექვიემი ვუწოდე: ამ ლექსს ნაოჭებიდან,
მხარბეჭიან იმედებს ბედი თუ მიჩხრიალებს,
ყველა დამხრჩვალ ოცნებას, ვეტყვი: ამო ჭებიდან!

ღმერთო, ხშირად ვბრაზდები, ჩემზე, შენზე, იმაზე,
განწყობების წესია – ფრენა, მერე ვაება,
გული ჩემზე კი არა, სხვებზე უფრო შემტკივა,
ბუმერანგის ბუნებით მებარება ღვთაება.

დაწრეტილი სურიდან ზღვა ამომაქვს გემებით,
მუზა მწიფედ მახურებს შთაგონების ნაბადებს,
ვკოცნი პორტრეტს ჩემი გზის,
რაც არ უნდა ვიარო,
დილა ისევ ღამეებს ბარტყებივით დაბადებს.

მეზიზღება სამყარო!.. – პოეზიის გარეშე,
მზეს თვალებად ავინთებ, ბედი მინდა უვალო,
ვისაც სულის საზრისი არ ეყოფა ფიქრისას,
ის უბრალოდ ცოდოა, იცი, იცი, უფალო...

14.7.2015 16:02 მარსი

უბედობაც ბედია, გაი-ცა-ცხრა-ნაკეცე,
თუ სამყაროს ისევე, ღმერთებივით აღმიწერ,
სიბნე-ლეში წასულა, ტკივილი და სამხეცე,
პოეზია მკვდარია... საფლავიდან მაინც ვწერ!..

7.7.2015 16:07 მარსი

ოთარ-თორღვა თილიბაური-ანატოლიელი

წუხელ მესიზმრა ნიკალა

წუხელ მესიზმრა ნიკალა,
ათრთოლებული სახითა,
დარდები გადამიშალა,
სევდამორეულმ, ნაზ-ხმითა.
ჩანდა ნატანჯი, ბეჩავი,
ბიჯებსა სდგამდა კავითა,
ფუნჯით ტილოზე მხატავი,
ლაპარაკობდა ჯავრითა:
— მშიერ-მწყურვალი ვიყავი,
ცხოვრებას ვწევდი დარდითა,
ათას ფიქრების მზიდავი,
თავს მძლივს ვიჩენდი ხატვითა.
თორღვა! არ ვიწყებ ტირილსა,
ნაღველ სავსე მაქვს მწარითა,
შენ გეტყვი გულის ტკივილსა,
არა ძაგების ხმარითა.
დრო არის ბედის მქარგავი,
თეთრის, ხან შავი სახისა,
ზოგისთვის იღბლის დამრგავი,
ზოგისთვის დამგებ მახისა.
მანამ ცოცხალი ვიყავი,
ჟამმ, უბედობა მაღირსა,
ჩემ თავს, სუ ქროდა ნიავი,
მუდამ მომტანი მარცხისა.
მაინც მადლობელ ვიყავი,
მიწის და მაღლა ღმერთისა,
ამდენ ტანჯვების მზიდავი,
გამათბო, გამახალისა.
მჯეროდა გავბრწყინდებოდი,
იმედი მქონდა ხვალისა,
ფიროსმნად წარმოვჩნდებოდი,
გამვლები სწორი კვალისა.

არ დამიკარგავ სვინდისი

არ დამიკარგავ სვინდისი,
მით სიყვარულ მაქვს ძმისია,
ჩემი მშობლების და დისი,
შინშების... შვილთა მისია.
განა ეგეცა დავლაჩრდი,
ფერი, რო მედოს მკვდრისია,
თუმც-კი მაქვს ფიქრი და დარდი,
ვიცი თავის და სხვისია.
ქვეყნისა ჭირი, ვარამი,
ბეჭს ხურჯინივით მკიდია,
მტრის ლუკმა-პური, არამი,
პირს არროს არ ჩამიდია.
წაქცეულ კა ყმა-ც მინახავ,
ზურგზედა მომიკიდია,
გულში კი — ვარამს ვინახავ,
ჩუმად ვარ ვითარც მინდია.
არ მიყვარს დიდი-პატარა...
კაცთ მოდგმის, ორგულ, ფლიდია,
ჭკვა თხელი, კურდღელ ცანცარა,
მამულ რო ფეხზე ჰკიდია.
თუ, ვისმ უქნია სიკეთე,
ასმაგად გადამიხდია,
კაც გქვია? ბეჩავთ მიხედე,
რო ბუდობს ჩემში, მივხდია!

უჯარმიდან გორგასალის კოშკები

ლეჩაქივით გამჭვირვალე ბურუსი,
მოჰფენია ივრის ჭალა, ხეობას,
გედებივით თეთრი ნისლნი მცურავნი,
ჩერდებიან, აქ იძენენ მხნეობას
იალნოდან, დიდი მთების მწვერვალნი,
უცინიან, არ აკლებენ ფერობას,
ივრის წყლისა სიყვარულის მძლევალნი,
არ იშლიან ანცობას და სერობას.

ჟატის ტყიდან გამოშლილი ირმები,
მოილხენენ სამებისა დღეობას,
მეხატოვნეს დასწყვეტია სიმები,
უჩონგუროდ აგრძელებსა მღერობას.
უჯარმიდან გორგასლისა კოშკები,
იგონებენ პართელების მტერობას,
ერთი ათთან რომ იბრძოდნენ ლომები,
მისტირიან მათ გმირობა, ქველობას.

ჰაი, რომ ბევრი დარდი მაქვს!

ჰაი, რომ ბევრი დარდი მაქვს!
არ მსურს, ვისმ გადავუშალო,
გულს ჩაკირული თან დამაქვს,
არ მსურს ცალ-ცალკე დავშალო.
ან ჩემი ვაი-უშითა,
სხვებ ვაწრიალო, ვაწვალო,
თავს ვეტყვი, იყავ ჭკუითა,
დაბადებიდან საწყალო.
მარტო შენ არ ხარ ამ დღეში,
ბევრია, ბედ რომ არ სწყალობს,
შარ ებლანდება ფეხებში,
ტანჯული, სიმწრისგან წვალობს.
ფეხზე დგას, ვითარც დიდი მთა,
ბედს ეგუება, არ ნაღვლობს,
გულსღა იმშვიდებს ემითა,
ალალსა ღმერთი რო სწყალობს.
დარდი ყველასთან იჩოქებს,
ბევრის გულს სევდითა ალბობს,
სუსტებსა სჩაგვრავს, იმონებს,
მათ ტანჯვას არროს არ ნაღვლობს.

რად გავიწყდება, ვისი გორის ხარ!

რად გავიწყდება, ვისი გორის ხარ!
შენი აკვანი აქ რო დაირწა,
სხვათა ერებში ღმერთის რჩეულ ხარ,
ღმერთის ნაჩუქარ გაქვის ეს მიწა.
უცხო მხარეში გადახვეწილხარ,
მშობლიურ მიწა რამ დაგავიწყა,
რით ვერ გაიგე, მანდ ეული ხარ,
აქ-კი შენ ცოდვით მამული ირწა.
ნეტა, როგორ სძლებ სხვათა მხარეში,
არ გენატრება? შენი მთაწმინდა,
ან არ მოგწყინდა სხვაგან თარეში,
დაბერდი, წლები უცბათ გაფრინდა.
ან თუ არ გესმის მიწის ყივილი,
გეძახის, სურს, რომ გულში ჩაგიკრას,
თუ ვერ შეიგნე, ვაი სირცხვილი,
მაშინ კი ვიტყვი, არც დედა გიყვარს.
დედა, მამული, ნეტა რამ გაყო?
ორივ აღმრზდელი, ღვიძლი შენია,
სადაც-კი დახვალ, უნდ იამაყო,
თუ-კი ნამუსი შემოგრჩენია.

ქება რად უნდა ხევსურსა

ქება რად უნდა ხევსურსა,
მას ხევსურობაც ეყოფა,
ვითარცა მამა ზეციერს,
ქვეყნიერების მეფობა.
მუდამ იქ იდგა, სადაც კი,
მამულის ბედი წყდებოდა,
მტერსა მტრულადა, მოკეთეს,
როგორც ძმას ის ხვდებოდა.
ომში, ხელჩართულ ბრძოლებში,
განზე არადროს დგებოდა,
არ თმობდა ერთ გოჯ მიწასა,
ციურ მეხსავით ტყვრებოდა.
მისი მოკლია გორდაი,
მტერს სასიკვდილოდ ხვდებოდა,
გუდანის ხატის მედროშე,
ამ სიამითა ტკბებოდა.
უშიში, ვითარც კლდის ვეფხვი,
ერთი ათს ერკინებოდა,
მაკვდითა ურჯულოებო!
მაძახარს ელიმებოდა.

ვერ დამაჩოქებ, სევდაო

ვაი, რო ვეღარ გიშორებ,
სევდავ, მომდგარო გულზედა,
გეტყვი, ვიბრძოლებ, ვიშრომებ,
არ დაგიდგები მუხლზედა.
ერთგულ ვარ ჩემი მამულის,
დამეფიცება პურზედა,
ჰობია, ენა ქართვული,
მიწერილ ქრისტეს რჯულზედა.
გთხოვ, სევდავ, მარტო დამტოვო,
მოარულ კუთვნილ გზაზედა,
მირჩევნავ, ზეცამ მათოვოს,
ვიმღერდე მთებურ ხმაზედა.
შვილი ვარ ხევსურეთისა,
მავალი პაპათ გვარზედა,
მათ სული, ჩემ სულსა ერთვის,
ყოველ ჟამზს, დილის სარზედა.
ვერ დამაჩოქებ, სევდაო,
ვერ დამსვავ ცოდვილთ კარზედა,
არ გემონები ბეჩაო,
მიტომ ვარ ამა აზრზედა.

„დღეს ჩვენ ყველა დიდი ღირებულების გაუგონარი ნიველირების ხანაში ვცხოვრობთ“...

ინტერვიუ მწერალ ჟაკლინ სირაძესთან

ქალბატონი ჟაკლინ სირაძე გავიცანი სწორედ იმ პერიოდში, როცა დაიწყო ჩემი პატარა ჟურნალისტური კარიერა, მახსოვს ფოტორეპორტაჟებზე ვმუშაობდი, როდესაც ცნობილი არ ხარ, ძნელია, ინტერვიუ ჩაწერო, ან გადაიღო სიუჟეტი ისეთი ადამიანის შესახებ, რომელიც უკვე წარმატებულია, მაგრამ ქალბატონმა ჟაკლინმა მიმასპინძლა თავის სახლში. სწორედ მაშინ ვეზიარე მის შემოქმედებას, რომელიც თანამედროვეობითა და მარტივი ენით გამოირჩევა, ზუსტად ის არის, რაც დამახასიათებელია პოსტმოდერნიზმის ეპოქისათვის. მე ბევრს არ ვისაუბრებ, თქვენ თავად მიხვდებით, ამ ადამიანის შემოქმედებას რომ გაეცნობით.

ახლა კი გთავაზობთ მასთან გულწრფელ ინტერვიუს, რომლითაც შეძლებთ, უკეთ გაიცნოთ, თუ როგორი პიროვნებაა თანამედროვე მწერალი, ქალბატონი ჟაკლინ სირაძე.

— თქვენ თავად რას ურჩევდით ახალგაზრდობას განათლებასთან დაკავშირებით? უფრო ზუსტად კი, როგორ და რა უნდა ისწავლოს ახალგაზრდობამ თანამედროვე ხელოვნებისაგან?

— სამწუხაროა, თუმცა რეალობაა, რომ დღეს ადამიანი ცხოვრობს რაღაც საზარელ, რაღაც კოშმარის მსგავს ფიქტიურ სამყაროში. ამიტომაც შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ ჩვენი მუდმივი თანამგზავრია არა ამაღლებული გრძნობები, არა დიდი ღირებულებები, არამედ ადამიანის სულისათვის ასე შეურაცხმყოფელი გრძნობები და აზრები.

ახლა მეტისმეტად გამოიკვეთა, რომ დღევანდელ საზოგადოებაში, ყველა ღირებულების განმაქიქებელ ეპოქაში შეინიშნება შეფარული, მაგრამ დაუნდობელი და სასტიკი ამბოხი გონების, განსაკუთრებით კი ადამიანის პრაქტიკული გონების, ანუ ნებისყოფის წინააღმდეგ.

ამიტომაცაა, რომ, სამწუხაროდ, დღეს ასე კომიკურად ჟღერს გერმანელი ფილოსოფოსის, იმანუელ კანტის ცნობილი სიტყვები, რომ ადამიანის არსება მის ზნეობაში მდგომარეობს, ან, ჭაბუა ამირეჯიბის ასე უზომოდ გახმაურებული რომანის „დათა თუთაშხიას“ მიხედვით, დათა თუთაშხია, როგორც პიროვნება თავისი არსებობითა და ქმედებით იმ იდეალურ კაცობრიობას ქმნის, რომელიც შესაბამისობაში მოდის მისი მაღალი ზნეობის მიერ დასახულ წესთან (კანონთან).

ამას პირდაპირ აცხადებს დათა თუთაშხია: „ჯერ წესია წესი და შემდეგ საქმეა საქმე“.

და როგორც ვიცით, გერმანელი ფილოსოფოსის იმანუელ კანტის მიხედვითაც ადამიანის საქციელი მხოლოდ იმ შემთხვევაშია მორალური, თუ ის ასრულებს მოვალეობას მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობის გამო.

ან, სხვაგვარად ნებისყოფა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება კეთილად (რომანის ენით ადამიანის მოქმედება მაშინ მიიჩნევა ზნეობრივად), თუ ადამიანი აღასრულებს ამ საქმეს მის მიერ დადგენილ კანონთან შესაბამისობაში.

თუმცა თანამედროვე ტექსტებშიც იწერება ვითომცდა ინდივიდის სულიერი გზის შესახებ, მაგრამ მასში ჩვენ ვერსად აღმოვაჩენთ იმ პატივისცემას, რომელიც ადამიანის მაღალ, დიადი მისიისაკენ მიემართება და რაც მის ღვთაებრივ წარმომავლობაზე მიანიშნებს.

ამიტომაც განათლებაზე საუბარი თითქოს ღია კარის მტვრევას მოაგავს. მე მახსენდება ინგლისელი ფილოსოფოსის, ფრენსის ბეკონის სიტყვები: „განათლება ადამიანის გონებიდან განდევნის ველურობას, ბარბაროსობასა და სისასტიკეს, თუმცა კნინი და ზერელე განათლება სრულიად საპირისპირო შედეგის მომტანია“.

ამ განმარტებაში ყველაფერია მოცემული. ჯერ ერთი განათლებული ადამიანი სულიერად დახვეწილია, ფაქიზია და რაც მთავარია, მას თანაგრძნობის განსაკუთრებული უნარი გააჩნია, რაც თავის გაცნობიერების ყველაზე სრულყოფილ

მდგომარეობას წარმოადგენს, რადგან ადამიანს ადამიანი მხოლოდ მაშინ შეიძლება ეწოდოს, როცა ის თავისი ეგოიზმის ვიწრო წრეს, თავის „მე“-ს გადალახავს და შეუძლია სხვაც ისე შეიყვაროს, როგორც თავისი თავი.

მაგრამ პირიქით, განათლება, რომელიც ჩვენი სულის ზრდას არ იწვევს, განათლება, რომელიც არ გარდასახავს ჩვენს სულს და არ აიძულებს სრულყოფილების უსასრულო გზას დაადგეს, უსარგებლო განათლებაა. ასეთი ცოდნა საშიშია, რადგან ის ადამიანის სულის თვისება-ღირსებად კი არ იქცევა, არამედ მასში პატივმოყვარეობის, ქედმაღლობის გრძნობას აღვივებს და ასე თავისუფლება დაკარგული ის, უფრო და უფრო მეტად იკეტება თავისი სუბიექტური ეგოიზმის ვიწრო ჩარჩოში.

ამიტომაც დღეს ასე უზომოდ დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ლიტერატორს, შემოქმედს, ხელოვანს სამყაროში. მას ხომ სამყაროს გარდასახვის სულიერი ნიჭი აქვს ბოძებული, თუმცა დღეს სულ საპირისპიროს ამტკიცებენ.

თანამედროვე ხელოვანისათვის მოდად იქცა თამაშის წინა პლანზე წამოწევა. არსებითი გახდა ტკბობა ამ თამაშით, ხოლო სათქმელს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. ისიც ხომ უეჭველია, რომ მშვენიერებას მსუბუქად, ფრენა-ფრენით, ზეამაღლებული თამაშით უნდა აღწევდეს ხელოვანი. ჯერ ერთი, ეს „თამაში“ ამაღლებული უნდა იყოს და მეორეც, ამ ამაღლებულობას უნდა ეტყობოდეს, დამღად აჩნდეს ის მოწამეობრივი გზა, რაც ხელოვანმა უკვე დაძლია.

დღევანდელ ხელოვნებაში უარყვეს ამბის თხრობაც. ეს დიდი შეცდომაა, რადგან ამბავი არის ადამიანის მიწიერ სამყაროში იმ გამოცდის ჩაბარების მცდელობა, რომელიც მას თავის ჭეშმარიტ სახეს „დაანახვებს“. უხილავ სამყაროშია განთავსებული უმაღლესი სამჯავროს სარკე და ჩვენ ხშირად არც კი გვახსოვს, რომ გაკვეთილს ვაბარებთ. არადა, ჩვენი ნებისმიერი ქცევა, აზრი, ფიქრი აისახება ამ სარკეში. საბოლოოდ კი სიკვდილის შემდეგ ჩვენი ცხოვრება ამავე სარკეში ასახული შეჯამდება. ამბავი მიმდინარეობს. ეს არ არის, როგორც ეს თანამედროვეობამ აიხირა რაღაც გართობა, ან ძირითადიდან არაარსებითზე თხრობის გადატანის საშუალება, არამედ ეს არის მეტაფიზიკური მოვლენების ასახვა მიწიერი სამყაროს მეშვეობით.

ალბათ ამიტომაცაა, რომ გოეთე ხშირად ხაზგასმით იმეორებდა: „ყველა ჩემი ლექსი შემთხვევითობის პირმშოაო“. ამ შემთხვევაში ის გულისხმობდა ცხოვრებაში გარდახდენილი ამბის ნაჭდევს, მის ერთ-ერთ ნაწყვეტ — ფრაგმენტს.

— რას ურჩევთ ახალგაზრდობას, საზოგადოდ, წიგნთან დაკავშირებით? უფრო ზუსტად კი, რას ნიშნავს იყოს მკითხველი?

— ლიტერატურა ჩვენ გვაზიარებს იმ იდეალურ სამყაროს (არა აქვს მნიშვნელობა შედევრის შინაარსს), რომელშიც წიგნის პერსონაჟები თავიანთი ცხოვრებით ჩვენც გვაზიარებენ სხვა ცხოვრებას, ჩვენ მათთან ერთად გავდივართ მათ სულიერ გზას. ეს აღმტაცი და აღმაფრთოვანებელი მდგომარეობაა.

მე სულაც არ მავიწყდება, რომ დღეს ჩვენ ვიმყოფებით უაღრესად რთულ პერიოდში. ერთი მხრივ, სიტყვიერად ითქვა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა, თუ, საზოგადოდ, მთელი საზოგადოება წიგნისკენ, განათლებისკენ უნდა მიბრუნდეს. მაგრამ ეს არამცთუ ძნელი საქმეა, არამედ უძნელესზე უძნელესი. მე მახსენდება რომელიღაც სატელევიზიო გადაცემაში წამყვანი ქუჩაში ტოვებს სკამზე წიგნს, იმ იმედით, რომ მკითხველი მან უკვე იპოვა. მაგრამ, მე ვფიქრობ, საქმე საზოგადოდ, და მით უფრო ჩვენს გარემოში ბევრად რთულია. მე მახსენდება დიდი გერმანელი პოეტისა და მეცნიერის გოეთეს სიტყვები: „სიბერეში ძლივს ვისწავლე კითხვა“. წარმოიდგინეთ თვით ისეთი ბრძენი, როგორიც გოეთეა ამბობს, რომ სიბერეში ძლივს ისწავლა კითხვა, რაც უკვე იმაზე მიანიშნებს, რომ კითხვა არანაკლებ რთული პროცესია, ვიდრე წერა და აზროვ ნება. რადგან წიგნის კითხვას მაშინ შევძლებთ, მკითხველი მხოლოდ მაშინ გავხდებით, როცა წიგნის კითხვისას სულიერ გარდასახვას განვიცდით. ჩვენი ცხოვრების განმავლობაში ალბათ ყველა ჩვენგანში ძევს ის „მეამბოხე ადამიანი“, ვინც ადამიანის მთლიან გამოღვიძებას ეწინააღმდეგება. წიგნის კითხვა არის ერთგვარი ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ხელახლა, თავიდან ვისწავლოთ და შევიცნოთ ჩვენი თავი. ეს არის სულიერი გზის განვლის ერთ-ერთი პირობაც, რადგან კითხვისას ჩვენი სული იღვიძებს, გრძნობს, აღტაცებულია ან შეწუხებული. მაშასადამე სული თავისთავში მოგზაურობს, მაგრამ უმთავრესი მაინც ის არის, რომ აზროვნების უნარს გამოგვიმუშავებს. ამაზე არაერთი მოაზროვნე წერდა. მე განსაკუთრებით მომწონს საფირის სიტყვები: „აზროვნება — ეს სულის სუნთქვაა“.

ცნობილია ფრანგი ფილოსოფოსის რენე დეკარტის სიტყვები: „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“, ან პასკალის აზრი: „ადამიანის სიდიადე — ესაა მისი აზროვნების უნარი“.

მაშასადამე, ადამიანის სიდიადე, — მისი ღირსება, მისი სულის ამაღლებული და მღვიძარე მდგომარეობა სწორედ აზროვნებას უკავშირდება, იმას რაც მას გონიერ არსებად დაადგენს.

მაგრამ დღეს, საზოგადოდ, მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი საქართველოში იგრძნობა გონების წინააღმდეგ კარგად შეფარული ჯანყი. შედეგი კი წიგნის უარყოფაა, და უფრო ზედაპირულად ინტერნეტში მოძიებული მასალით დაკმაყოფილება.

წიგნის გარეშე ვერც დიდ ლიტერატურას ეზიარები, ვერც სიღრმისეულად იაზროვნებ და მაშასადამე, შენი სულის გამოღვიძებასაც ვერ შეძლებ.

— ძალიან მაინტერესებს, რა გაძლევთ სტიმულს წერისას, რადგან მე პირადად მუზების არსებობის არ მჯერა.

— წერის შესახებ მე უკვე ვისაუბრე. მაგრამ მე მივაქციე ყურადღება თქვენს სიტყვებს: „მე პირადად მუზების არ მჯერა“. ჩემთვის, პირადად, ეს თავზარდამცემი აზრია. თქვენ ჯერ კიდევ ასე ახალგაზრდა ხართ, მაშასადამე, ჯერ იმდენად მნიშვნელოვანი და ტრაგიკული არც არაფერი გარდაგხდენიათ, რომ არ გწამდეთ, ადამიანს ღვთაებრივი ძალა, ღვთაებრივი ნება წარმართავს, როცა ის ქმნის, როცა ის თხზავს ნაწარმოებს.

როცა გერმანელი ფილოსოფოსი თეოდორ ადორნო მეორე მსოფლიო ომის საშინელებით, სისასტიკით, ფაშისტების გაუგონარი დანაშაულებრივი საქმიანობით გულშეძრული კითხულობდა: „რაღა საჭიროა ფილოსოფია?“.

რაშიც უდაოდ ისიც მოიაზრებოდა, რომ პოეზიას იქ ადგილი არა აქვს, სადაც ადამიანმა თავისი სისასტიკით, თავისი ამორალურობით დაამტკიცა, რომ მას უფლება არა აქვს, იწოდებოდეს იმ არსებად, რომელსაც ღვთაებრივი ნება წარმართავს.

მაგრამ რატომ არ გაქვთ თქვენ, უფრო ზუსტად, დღევანდელ ახალგაზრდობას რწმენა მუზებისა, შთაგონების ღვთაებრივი ბუნებისა. ეს მე ძალიან მაფიქრებს.

მე ისევ გავიმეორებ თქვენს სიტყვებს: „მე, პირადად, მუზების არ მჯერა“. ეს ჩემთვის თავზარდამცემი აზრია. მარტინ ჰაიდეგერი, თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსი, რომელიც გოდების ტექსტს ქმნის იმის შესახებ, რომ დედამიწას ღმერთები ნელ-ნელა ტოვებენ, როცა გენიალურ გერმანელ პოეტს ჰიორდელინის შემოქმედებას განიხილავს, წერს: „პოეტურად ცხოვრება ნიშნავს ღმერთებთან პირისპირ დგომასა და საგანთა სიახლოვით გათანგულობას“.

ეს ნიშნავს, რომ პოეტი თვითონ კი არ წერს, არამედ ის თავისი შთაგონების ჟამს ღმერთის წინაშე დგება, მისი ღვთაებრივი გზნებით ივსება და ამ ძალის კარნახით შეიგრძნობს, ეზიარება იმ იდუმალებას, რასაც ყოველი საგნის ხელახლა, ახლიდან ჭვრეტა-დანახვა ჰქვია. ამიტომაც კანონზომიერია, რომ ჩვენ დაუჯერებლად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ადამიანმა დაწერა მაგ. „ვეფხისტყაოსანი“. უფრო მეტიც, ფიქრი იმის შესახებ, რომ რუსთაველი ჩვეულებრივ ცხოვრობდა, რომ ის მიწიერი ცხოვრების ორომ-ტრიალში მონაწილეობდა. ამიტომაც, როცა გალაკტიონი წერს: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი“ ჩვენ თავზარი გვეცემა და განვიცდით თრთოლვას იმ ფაქტის წინაშე, რომ ის რუსთაველი იდუმალი კავშირით გალაკტიონთან არის დაკავშირებული, რითაც გალაკტიონი თავის ღვთიურ წარმომავლობას დაგვიდასტურებს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ადამიანს, მის შიშველ გონებას ძალა არ შესწევს, დაწეროს არც „ვეფხისტყაოსანი“ და არც გალაკტიონის „სილამაზე, ანუ ვარდი სილაში“.

— თქვენ უკვე ისაუბრეთ, რომ წერისას შემოქმედს ღვთაებრივი ძალა მიუძღვება და ალბათ, აქედან გამომდინარე, საინტერესოა ვისაუბროთ ლიტერატურაზე, როგორც საზოგადოების ერთ-ერთ განსაკუთრებულ და განმსაზღვრელ ძალაზე.

— იმისათვის, რომ განვმარტოთ ხელოვნების, ლიტერატურის განმსაზღვრელი როლი, საზოგადოებისათვის იკმარებდა იმის გახსენება, რომ ერთ დროს (აღარ მახსენდება პირველად თუ ვინ თქვა ეს), საქართველოს ერთიანების, მისი იდენტობის საზომი საუკუნეების განმავლობაში იყო „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც თავის თავში მოიცავდა და ატარებდა ქართული ფენომენის საიდუმლოებას — მის ენას, როგორც მარტინ ჰაიდეგერი განმარტავს — მისი აზროვნების სახლს.

ასე იყო და ასეც იქნება მარადჟამს. მწერლობა ყოველთვის იყო ენის ეროვნულ საზღვრებში მოქცეული აზროვნების სახლის განმკარგავი, და მისი გასაღები. მას უპყრია ხელთ და მხოლოდ მას ხელეწიფება გახსნას ამ სახლის საიდუმლო კარები თავისი გენიითა და აზროვნების განუმეორებელი უნარით.

ნამდვილი მწერალი ყოველთვის ახერხებს მოიპოვოს ეს გასაღები, რათა საზოგადოება თავისი აზროვნების სახლში დააბრუნოს.

— როგორი უნდა იყოს, თქვენი აზრით, სტუდენტთა ჩართულობა მწერალთა შემოქმედებაში? ვგულისხმობ თუნდაც მწერალთა სახლის საღამოებში აქტიურ მონაწილეობას.

— კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში მუდამ იცვლებოდა ღირებულებები. მაგ. კონფუცისთვის, დიდი ჩინელი მოაზროვნისათვის, სულიერად აღელვებული ადამიანი დაბალი რანგის ადამიანად ითვლება, ხოლო სულიერად აუღელვებელი კეთილშობილ ადამიანად.

ამის საპირისპიროდ შექსპირის „ჰამლეტში“ ვკითხულობთ, რომ ადამიანის სიდიადე მისი შეძრწუნების, სულიერი აღელვების უნარში მდგომარეობს. როცა ჰამლეტს მისი აწ გარდაცვლილი მამის აჩრდილი ეცხადება და მოუთხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ვერაგულად მოკლა ის მისმა ძმამ საწამლავით,— ჰამლეტი სულიერად იმდენად იტანჯება, იმდენად თავზარდაცემული და შეძრწუნებულია, რომ შეშლილობის ზღვარზე დგება. სწორედ ამ სულის მღელვარებას უწონებს გარდაცვლილი მამის აჩრდილი ჰამლეტს და ეუბნება, რომ ის ამ ამბის მოყოლის შემდეგ ძრწოლას რომ არ აეტანა, დაემსგავსებოდა იმ უსულო ბალახს, ლეთას მდინარის სანაპიროზე სიმსუქნისაგან რომ ლპება.

ეს არის მაგალითი იმისა, რომ ჩვენ დროით განპირობებულნი ვაფასებთ ადამიანის საქციელს.

მაგრამ დღეს ჩვენ ყველა დიდი ღირებულების გაუგონარი ნიველირების ხანაში ვცხოვრობთ. ეს ეტყობა ჩვენს საუბარს, ჩვენს აზროვნებას, ჩვენს საქციელს. ჩვენ აღარ, თუ ვეღარ ვსაუბრობთ, ჩვენი სამეტყველო ენა დაკნინებულია. ჩვენი საუბარი არაფრისმთქმელი შორისდებულებით აიგება, რაც თანამედროვე ადამიანის სულის გაბერწებას ამჟღავნებს. ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ,

უფრო ზუსტად კი – ფხიზლად. ეს კი ყველაზე მეტად ახალგაზრდებს შეეხებათ, რადგან მათ უნდა შეძლონ, ლიტერატურული პროცესები, რომლებმაც ასე არასწორი მიმართულება შეიძინეს, კარგად გაიაზრონ და შეაფასონ, რადგან თანამედროვე ქართველი ლიტერატორის უმრავლესობა სწორხაზოვნად უარყოფს ყველა დიდ ღირებულებას და შესაბამისად, თანამედროვე ქართველი ლიტერატორი ნიჰილიზმის, ადამიანის ღირსებისათვის დამაკნინებელ, უაზრო თამაშის გამოსახვით არის შეპყრობილი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. უფრო ღრმა უნდა იყოს ჩვენი აზროვნება. თუ ვუარვყოფთ ღირებულებებს, უნდა ღრმა იყოს და არგუმენტირებული ჩვენი უარყოფის მიზეზიც და ამ უარყოფის გამომხატველი ნაწარმოებებიც.

– ახლახან გამოიცა თქვენი კრიტიკულ-ესეისტური წიგნი – „ეთიკის გაკვეთილი რჩეული ვირთაგვაჭამია“, რომელიც ფილოსოფიურ ჭრილში განიხილავს ჭაბუა ამირეჯიბის რომანს, „დათა თუთაშხიას“. და რომელსაც ასეთი დიდი რეზონანსი აქვს ჩვენს საზოგადოებაში. მაინტერესებს, რა გსურდათ, გეთქვათ მკითხველისათვის ამ წიგნის მეშვეობით?

– ახლა არ მახსენდება, თუ სად ამოვიკითხე, რომ თანამედროვე ხელოვნების მესვეურები, და მათ შორის ფილოსოფოსები, პოეტები, თუ მწერლები თავზარდაცემულნი კი აღარ არიან თანამედროვე XX–XXI საუკუნეში მყოფი ადამიანის სულიერი დაკნინებითა და დაცემით, არამედ ისინი ერთგვარი ტკბობაშეპარული აღტაცებითა და კმაყოფილებით აღწერენ და საუბრობენ ამის შესახებ.

მაშასადამე, დაიკარგა ის განცდა, – ის მთავარი, რის გამოც მოხდა ადამიანის დაცემა, არადა სწორედ ამ განცდასა და სასოწარკვეთაში იდო კიდეც ამ დაცემის გამართლების მიზეზი, მაგრამ თუ ის დაიკარგა, თუ ადამიანი სრულიად უსაგნოდ დარჩა და ასე იქცა უაზრობის მსხვერპლი, ის, თავისდაუნებურად კაცობრიობისა და საკუთარი თავის მტერიც შეიქმნა.

და თუ წარსულში კაცობრიობა ბეჯითი მოსწავლის სახით ყურადღებით უსმენდა წარსულის დიდ მასწავლებლებს, და მათ სასკოლო საგნებს: – რელიგიას, ეთიკას, ფილოსოფიას, ისტორიას, ლიტერატურას, ლოგიკას და ა.შ და ა.შ დღეს კაცობრიობა მარტო ხელოვნების მაგალითი რომ მოვიყვანოთ, ურჩი მოსწავლე აღმოჩნდა და „შატალოზე“ გაიქცა. ასე აღმოჩნდა ის ხან ბოლო მერხზე ჩამომჯდარი, ხან ქუჩის ლაზღანდარა და უსაგნო საუბრის მონაწილე, ხან სასიყვარულო ურთიერთობების მოწმე, ხან სად და ხან სად. რადგან, მას ამ შატალოს პერიოდში დრო აღარ რჩება სერიოზულად ჩაუღრმავდეს რაიმე საკითხს, მაგრამ განა მას, თანამედროვე ხელოვნებას, მწერლობას არ აკისრია განსაზღვროს მომავალი კაცობრიობის ბედი? და მე ასე მეჩვენება, რომ მან ხელახლა უნდა იკისროს და სერიოზულად გაიაზროს ის პრობლემები, რომელსაც ასე დაუდევრად და ფუქსავატურად უგულებელყოფდა ამდენი ხნის განმავლობაში.

თუ ზოგადად დღევანდელ კაცობრიობაზე ვისაუბრებთ, საგანგაშო ის არის, რომ „შატალო“ დიდხანს გაგრძელდა.

ხოლო რაც შეეხება ქართველ მწერალს, ჭაბუა ამირეჯიბს, ის არ წასულა „შატალოზე“ და ისევ ერთგული დარჩა წარსულის დიდი მასწავლებლებისა. ამიტომაც მისი რომანი „დათა თუთაშხია“ ერთ-ერთი განსკუთრებული გამონაკლისია, რომელიც ცდილობს, უპასუხოს იმ მარადიულ კითხვებს, როგორიცაა:

– რა საზრისი აქვს ცხოვრებას დედამიწაზე? არსებობს თუ არა ღმერთი? არსებობს თუ არა მარადისობა? არსებობს თუ არა სულის უკვდავება? ანუ, არსებობს თუ არა მიღმური სამყარო, რომელშიც ბოლოს და ბოლოს აღსრულდება უზენაესი სამართალი, რომლის თანახმადაც ყველა არსება თანხმობაში იცხოვრებს.

მაგრამ რადგან ეს კითხვა ჩაისვა იმ ინტერვიუში, რომელშიც საუბარი მიმდინარეობს იმაზე, თუ რა როლი აქვს განათლებას ახალგაზრდობასთან მიმართებაში, ხაზგასმით ვიტყვი, რომ ეს წიგნი უნდა ისწავლებოდეს სასკოლო პროგრამაში არა შეკვეცილი სახით, არამედ მთლიანად და საფუძვლიანად. მე მჯერა, ახალგაზრდა ამ წიგნის წაკითხვისა და გააზრების შემდეგ სულიერად გაიზრდება.

– თქვენ უკვე ისაუბრეთ წიგნის „ეთიკის გაკვეთილი – რჩეული და ვირთაგვაჭამია“ შესახებ განათლებასთან მიმართებაში. თუ შეიძლება უფრო კონკრეტულად, რა არის მთავარი საზრისი რომან „დათა თუთაშხიასი“?.

– მე მინდა ამ წიგნის, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ მეშვეობით კაცობრიობისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან თემაზე ვისაუბრო, – ეს თემა გახლავთ სიბრმავე.

მე არ ვსაუბრობ, ცხადია, ფიზიკურ სიბრმავეზე, რადგან მოგეხსენებათ, ეს არ გახლავთ ლიტერატურის, არც ფილოსოფიის კუთვნილება, არამედ ის მედიცინის ვიწრო სპეციალობის პრეროგატივაა.

არა, მე ვსაუბრობ სიბრმავეზე, ეგზისტენციალური მდგომარეობის თვალთა ხედვიდან გამომდინარე, როცა ადამიანი ერთი შეხედვით არსებობს, ერთი შეხედვით ხედავს და მაინც, ეგზისტენციალური თვალთახედვის მიხედვით ის არ არსებობს და, ცხადია, ვერც ხედავს. მაშასადამე, ის სწორედაც ეგზისტენციალური თვალთახედვის თანახმადაც არ არსებობს.

უფრო ზუსტად, ეგზისტენციალური სიბრმავე არის მდგომარეობა, როცა ადამიანმა არ იცის, რომ ის არსებობს.

კაცობრიობას, როგორც მოგეხსენებათ, ქმნიან მღვიძარე ადამიანები, ხოლო სიბრმავე წარმოადგენს ერთგვარ დანაშაულს, ერთგვარ უარყოფას საკუთარი თავისა და, თავისთავად ცხადია, კაცობრიობისაც.

მოგეხსენებათ, რომ ქრისტიანული რელიგიის გამოცდილება თავისი ნებისმიერი დოგმატის საფუძველში ადამიანის სულიერი თვალის ახელას სიყვარულში მოიაზრებს, რომელიც სულის უმაღლეს საფეხურზე აღსვლას ეთანადება.

მაგრამ განა სიყვარულის უნარი შეიძლება შესწევდეს ადამიანს, რომელსაც სულიერად არ ღვიძავს?

ან, შესაძლებელია, რომ სულმა გაიღვიძოს, ავიდეს სულის მაღალ საფეხურზე, და არ უყვარდეს, ანუ არ ჰქონდეს თანაგრძნობა და თანაცნობა სხვა ადამიანებისა, ისევე როგორც საკუთარი თავისა?

და ისეც გამოდის, რომ ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ კაცობრიობის იმ ტრაგედიაზე – ეგზისტენციალურ სიბრმავეზე მოგვითხრობს.

ბრმა ადამიანი ამ ქმნილების მიხედვით ვირთაგვაა. ადამიანი, რომელმაც ვერ გადალახა თავისი სულიერი სიბრმავე, ანუ თავისი ბუნებითი მოცემულობა – თანშობილი ბოროტება, ადამ და ევას შეცოდება სამოთხეში ყოფნისას და ვერ შეიქმნა, ვერ დადგინდა პიროვნებად.

მე ისევ გავიმეორებ: ამ წიგნის დედააზრია ადამიანის მისია სამყაროში – რატომ იბადება ადამიანი დედამიწაზე? რა უნდა გააკეთოს მან? რას წარმოადგენს ის, როგორც არსება?

როგორც უკვე აღვნიშნე, „დათა თუთაშხიას“ მთავარი საზრისი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი სულიერად გაიღვიძოს, სულიერი თვალი აეხილოს, ანუ წიგნის ენით, ის არ იყოს ვირთაგვა – ვირთაგვაჭამია.

ადამიანის სულიერი გაღვიძების, გამოცოცხლების თანამდევია სიკეთისა და ბოროტების ურთიერთბრძოლა მასში. ეს მისი გაღვიძებული სულის მდგომარეობაა და ის სიკეთეში მყოფობისთვის იბრძვის. რადგან სიკეთე შეიძლება მხოლოდ მაშინ მოვიპოვო, თუ ჩემში დავძლევ თანშობილ ბოროტებას, ანუ ადამისა და ევას შეცოდებას.

ეს იმასაც ნიშნავს, რომ დავძლიო საკუთარი თავი. აკი ფრანგი ფილოსოფოსი რენე დეკარტი წერდა: **„უმთავრესია მოვიპოვო საკუთარი თავი, ვიდრე დავიპყრო მთელი ქვეყნიერება“.**

ესაუბრა მარიამ ქარცივაძე,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის
ჟურნალისტიკის ფაკულტეტის
მე-4 კურსის სტუდენტი

ჯუმბეი ჯიშკარიანი

უჩვეულო დღე

(ფრაგმენტი წიგნიდან „ჩვენი ოტია“)

ერთი არაჩვეულებრივი შეხვედრის შესახებ

ნიქოზისა და ცხინვალის მთავარეპისკოპოსი მეუფე ისაია მრავალი წლის წინ ბატონი ოტია იოსელიანის ოჯახში გავიცანი. ის დაუვიწყარი დღე აღვწერე წიგნში „ჩვენი ოტია“. ახლახან, სულთმოფენობას, რადიოში მოვისმინე მეუფე ისაიას შესახებ, რომელმაც ამაფორიაქა. მეუფე ისაია ახალგორში დარჩენილა მცირერიცხოვან თანამოძმეებთან ერთად, რადგან თუ ახალგორს დატოვებს, უკან ველარ შებრუნდება.

ერთხელ ჩემმა მეგობარმა, გეოლოგმა და ჟურნალისტმა ივანე ჯაფარიძემ ტელევიზიის პროგრამა „ირაოს“ გადამღები ჯგუფი ჩამოიყვანა წყალტუბოში. მღვიმის გადაღება სურდათ. ცხადია, ბატონ ოტიასთან შეხვედრის შანსს როგორ გაუშვებდნენ ხელიდან.

მოდით, დილით ადრე მივიდეთ. სანამ მასპინძელი გაიღვიძებს, სახლს და ეზოს გადავიღებ. თან ინტერვიუს ჩასაწერად ადგილს შევარჩევ, – გვთხოვა რეჟისორმა რეზო შალიბაშვილმა.

დილის სისხამზე ჭიშკარს რომ მივადექით, კუნაპეტივით შავი, მოზვერივით ნაგაზი გამოგვენთო. სახელი რომ დავუძახე, ბუხუიამ მიცნო, დაწყნარდა, მშვიდად შეხვდა სტუმრებს.

ჟურნალისტები განცვიფრდნენ, – ბატონი ოტია შარვლის ტოტებაკარწახებული, უკვე ყანაში იდგა და სიმინდს მარგლიდა.

ბიჭები დაფაცურდნენ, — აპარატურა გაამზადეს, — ბარემ აქვე გადავიღებთო, უკეთეს ნატურას ვერც ვინატრებდითო...

— ვინ დაიჯერებს, რომ ეს კადრები დადგმული არაა? — თავს იქნევს ვანო ჯაფარიძე.

გადაღება რომ დაასრულეს, ბატონმა ოტიამ ჟურნლისტები სუფრასთან მიიწვია. ბევრ რამეზე ვისაუბრეთ. ისინი გაოცებას ვერ მალავდნენ, — წინა დღით თბილისიდან ჩამოსულ სტუმრებს დედაქალაქის ახალ ამბებს უყვებოდა მასპინძელი...

ყველაზე უფრო ის მიკვირს, მთელი დღის ნაჯაფარი, წერას როდისღა ასწრებს? არადა, ქალბატონი ნანა მისი ხელნაწერების ბეჭდვას ვერ აუდის...

— უკვე ყოველღამ ველოდები მეუფე ისაიას ჩამობრძანებას, — მითხრა ბატონმა ოტიამ დამშვიდობებისას, — გული მიგრძნობს, მალე უნდა ჩამობრძანდეს.

მისი ყოვლადუსამღვდელოესობა, მეუფე ისაია ნიქოზისა და ცხინვალის მთავარეპისკოპოსია. ჯერ არ შევხვედრილვარ, მაგრამ ბატონმა ოტიამ იმდენჯერ მიხსენა, ისეთი პატივისცემით საუბრობს მასზე, რომ მეც მოუთმენლად ველოდები.

ბატონი ოტიას სახლიდან სანატორიუმ ,,საქართველოს" კოტეჯამდე, სადაც დროებით ვცხოვრობ, ხუთი წუთის სავალია. კოტეჯში შუაღამეს დავბრუნდი.

დილაადრიან კვლავ ბატონ ოტიასთან მივდივარ, როგორც წუხელ დავთქვით. ეზოში უცხო მანქანა შევნიშნე.

— მეუფე ისაია ჩამობრძანდა მორჩილთან ერთად! — მახარა ბატონმა ოტიამ.

სასტუმრო ოთახიდან მთავარეპისკოპოსი გამობრძანდა. ბატონმა ოტიამ წარმადგინა. ხელზე ვეამბორე. პირველივე წუთებიდან მოწიწებით აღვივსე. მეტად უშუალო ბრძანებულა.

— წუხელ გვინ ჩამოვედითო, — ბრძანა მეუფემ, — ალბათ, პირველი საათი იქნებოდა, ზარი რომ დავრეკეთ. ბატონი ოტია აივანზე გადმოდგა.

— მეუფე ისაია ვარ-მეთქი.

— ოჰ! აგაშენოთ ღმერთმა! — თქვა და გამოგვეგება. გელოდებოდითო!

— აქ ყოველთვის გვიან გვიწევს ჩამოსვლა, მაგრამ ბატონი ოტია მუდამ გულთბილად, სიხარულით გვხვდება; ამიტომ ჩვენც მასთან მოგვიხარია, — ბრძანა მეუფემ.

— მოზარდებს პატრაობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ღვთის სიყვარული, ათი მცნება, რათა ჯანსაღი სულის ადამიანებად ჩამოყალიბდნენ, — ბრძანებს მეუფე; ბატონი ოტია მთელი სიცოცხლე ამას ქადაგებს. უფრო სწორად, თავისი ცხოვრების წესით ამკვიდრებს, რომ გიყვარდეს სამშობლო, გიყვარდეს შრომა, გიყვარდეს ადამიანი..

ბატონი ოტია სასტუმრო დარბაზში, საუზმეზე გვეპატიჟება. მეუფე ისაიამ სუფრა აკურთხა. ჩემს ცხოვრებაში მეორედ ვზივარ უმაღლესი მღვდელმთავრის ნაკურთხ სუფრასთან.

რამდენიმე წლის წინათ ბატონმა ოტიამ, მისმა მეგობრებმა და თანამდგომებმა იავარქმნილი გვიშტიბის ეკლესია აღადგინეს, რომელიც ქუთათელ-განათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ აკურთხა. მასპინძლებმა ეკლესიის კურთხევაზე მობრძანებული მრევლის პატივსაცემად ტრაპეზი გამართეს. სუფრაც მეუფე კალისტრატემ აკურთხა.

— ეროვნულ ცნობიერებაწაშლილ, ვიღაც ჯგერენაიებს, ჭიაბერაშვილებს, ტიკიბერაშვილებს თუ სხვა ათასი ჯურის შვილებს იმ სუფრაზე დასწრების პატივი რომ ჰქონოდათ, თავად დარწმუნდებოდნენ, თუ რატომ უწოდებენ ქართულ სუფრას აკადემიას, თუმც ეს სხვა საუბრის თემაა...
ის დღე სამუდამოდ დამამახსოვრდა.

დღესაც, ირგვლივ, ყველაფერი უჩვეულოდ მეჩვენება. ამ ვრცელ დარბაზში ბევრჯერ შევსწრებივარ ხალხმრავალ სუფრებს ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეების, მეცნიერების, ხელოვნების მუშაკების, მაღალი რანგის უცხოელი სტუმრების მონაწილეობით, მაგრამ დღევანდელი დღე ჩემთვის გამორჩეულია, განსაკუთრებული....

ბატონი ოტია ჩაცმა-დახურვისადმი და კოპწიაობისადმი გულგრილია, მაგრამ დღეს ახალი ფეხსაცმელებითა და შარვალ-ხალათით გამოგვეცხადა...

მე და მორჩილი ხმაგაკმენდილები ვსხედვართ სუფრასთან. ჭარმაგი გვიშტიბელი მინდია და ახლაგაზრდა, ერთ-ერთი უმაღლესი მღვდელმთავარი, რომელსაც სახეზე ნათელი გადასდის, დინჯად საუბრობენ ქვეყნის სატკივარზე....

გლობალისტები გააფთრებით უტევენ მართლმადიდებლობას, რომელსაც უკანასკნელ ზღუდედ მიიჩნევენ ერთიანი მსოფლიოსკენ მიმავალ გზაზე, მაგრამ ამაოა მათი გაწიწმატება, — დღეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ძლიერია, როგორც არასდროს! იგება ახალი ტაძრები, მონასტრები, ღვთის სახლები მორწმუნე მრევლს ვერ იტევს. არსდება ახალი ეპარქიები, რაც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის მოღვაწეობას უკავშირდება.

საუბარში ისეთ ურთიერთპატივისცემა იგრძნობა სული სიამით მევსება....

მას შემდეგ თითქმის ხუთი წელი გავიდა, მაგრამ ვიდრე სული მიდგას, ის უჩვეულო დღე არასოდეს დამავიწყდება.

თამარ მეტრეველი

მიყვარხარ ცამდე...

მიყვარხარ ზღვამდე... მთვარემდე... მზემდე...
და ჩემს სიყვარულს არ ჰქონია შენამდე კიბე...
ასე მიყვარხარ დაკიდული მიწიდან ცამდე,
ო, მზეო ჩემო, მთვარევ ჩემო, რაღა ვთქვა კიდე...
არც ბეწვის ხიდი მიძებნია აქამდე ვიდრე,
ვერ გითხარი და სინანული ხურჯინით ვზიდე...

თუ მომეფერები...

გათიბულ ბალახსაც სწყურია სიცოცხლე,
სათიბსაც, მთიბავსაც, მიწასაც სწყურია...
ყოველი წუთი და განვლილი თითო დღე,
ღვთისაგან დათვლილი საგანძურია...
გავქრებით მიწიდან და წავალთ ნისლებად,
დარჩება სახელი და ჩვენი ქმედება,
ნეტავ, მე ამ ქვეყნად რამდენ ხანს ვიქნები,
ანდა მე იმ ქვეყნად რა ბედი მექნება...
იები ამოვა ჩემს ნატერფალებზე,
გათიბულ ღიღილოდ მეც მოვიცელები,
მე ჩემ წილ ყვავილებს წავიღებ საგზალად,
უკვდავი ვიქნები, თუ მომეფერები...

ყველას ჯინაზე...

წავალ და ისევ მიგატოვებ დელგმა წვიმებთან,
მინას აკრულმა ჟრუანტელით
კვლავ რომ მინატრო,
გაგახსენდები გადარეულ მარტის ღამეში,
გულდაწყვეტილი თავს ჩაღუნავ,
ვიცი, მოვა დრო...
და გავუყვები იმ გზას, სადაც ქარები ჰქრიან,
ვერხვის ფოთლები ათრთოლებით
მიწას სუნთქავენ,
სადაც სიყვარულს ალიონზე
ცრემლებით ხსნიან,
და შემცივნულებს იხუტებენ, მკერდში
იკრავენ...
მე შენ მიყვარხარ... ყველაფრის და
ყველაზე ძლიერ,
თავს არ ვზოგავდი, რომ გენახა ჩემში სინაზე,
მე წავალ, სადაც თავს იყრიან
შლეგი წვიმები...
და მიგატოვებ ყველაფრის და
ყველას ჯინაზე...

ნუ იგვიანებ...

გაუსაძლისი... რამ გახადა ნეტავ ეს ღამე,
ან მოგონებებს ვინ ახადა თავი სკივრიდან,
შენი ამბორის მოლოდინში მივნაბავ თვალებს,
ჩურჩულით ნათქვამ ჟრუანტელებს
ვკრეფავ ფიქრიდან...
დავეკიდები მთვარეს ფიქრით შეშლილი შენზე,
და ღელავს გული... ვეღარ უძლებს,
აღებს დარაბებს,
ამ მონატრების მოლოდინი მადნება კანზე,
და შეგნებულად ვაღებ კარებს...
ვკარგავ გასაღებს...
ნუ იგვიანებ, ცამ მტრედისფრად იცვალა ფერი,
მეც სასთუმალთან მოსულ მთვარეს
ვაჩუქებ ლოცვას...
გზა გაგინათოს, არ იტკინო მტირალა ნეკნი,
ბედნიერი ვარ, მიყვარხარ და გიყვარვარ როცა...

საოცარია...

ვთამაშობთ ჭადრაკს...
შენ აირჩიე რაინდობა, ხარ გაბედული,
ბრძოლა არ არის უთანასწორო, იდუმალია...
და პაიკებიც განწირულნი ტოვებენ მინდორს...
დედოფალიც ხომ დაცვის გარეშე
ისეც მკვდარია...
რატომ დაიწყე ეს თამაში, იმ მიზეზს ვეძებ...
ორთაბრძოლაში აღმოგაჩინე, საოცარია...

თეონა მეტონიძე

ძველი ლექსი

იცი, როცა უნებურად შემოგხედე,
თითქოს დამსეტყვესო ქარიშხალში,
თითქოს მზეები ჩამომექცნენ,
თითქოს გათოვდაო წვიმიანში.
იცი, როცა უნებურად შემოგხედე,
ლოთივით დავეწაფე წითელ ღვინოს,
გავხდი გალაკტიონივით მეოცნებე,
მთვარეს დავემსგავსე, ბევრს რომ ფიქრობს.
იცი, როცა უნებურად შემოგხედე,
ღამე გამითეთრდა ცისქვეშეთში,
ასე ნეტავ რატომ შემომხედე?
რატომ ამირიე ჩემი ბედი?...
იცი, როცა უნებურად შემოგხედე,
თითქოს დამსეტყვესო ქარიშხალში,
თითქოს მზეები ჩამომექცნენ,
თითქოს გამითოვდა წვიმიანში...

მე, შენ, მთვარე და ღამურები

მოდი, ჩვენ მთვარეზე ლექსი ვწეროთ,
მოდი, გადავეშვათ ალუბლებში,
მოდი, კვლავ ძველი დრო გავიხსენოთ,
მოდი, ერთად ვხატოთ ღამურები...
მოდი, სიყვარული დავიჯეროთ,
ერთმანეთს ვუცქიროთ დამუნჯებით,
თბილმა წვიმამ სულ მთლად დაგვასველოს,
ერთად ავიწყვიტოთ მავთულები...
ბრონეულებსაც გავუგოთ ისევ გემო,
გავიტკბილიანოთ ლაყუჩები,
ნულარ დამშორდები, სუნთქვა ჭირს უშენოდ,
ყელზე მე მაბია სქელი მარწუხები.
აღარ მიმატოვო, წასვლას ნუუ ჩემობ,
გამიღიმე, მოიშორე ბავშვური გაბუტვები,
მოდი, კვლავ მთვარეზე ლექსები ვწეროთ,
ქსელიდან ჩვენ ვიყოთ მუდამ გასულები...
შენ ჩემს სიყვარულს, მე კი შენს თავს ვჩემობ,
დროა ცრუ ომის დასრულების,
რადგან მე ვარ შენთვის მზის გულზე ჩერო,
შენ კი ჩემთვისა ხარ გულის ამულეტი.
როცა შორს მიდიხარ, მზე აღარ მზეობს,
აღარსად ჰყვავიან თეთრი ალუბლები,
მოდი, დღეიდან ჩვენზე ბევრი ვწეროთ,
ერთმანეთს გავანდოთ გრძნობა გაუმხელი,
მოდი, სიყვარული ისევ დავიჯეროთ,
ერთად ვაფერადოდ შავი ღამურები...

მ ი თ ი

ცხოვრება მშვიდია
ზოგჯერ კი გიჟია
ბეწვის ხიდია
ხანდახან ფლიდია
ცხოვრება მშვიდია
ხანაც ცივი და ხანაც თბილია
ცხოვრება თოვლია
თეთრი თოლია
ცის ლურჯი ფონია
ხანდახან ჭორია
წამები წუთები სადღაც შორს მიჰქრიან
მივყვებით გაცრეცილ ქუჩებს წვიმიანს
და ვეძებთ ცხოვრების მეგზურად იდეალს
იდეალი კი ლამაზი მითია...

ფეისბუქცხოვრება

ცხოვრება წააგავს ფეისბუქსტრიქონებს,
ზოგი გაიგნორებს, ზოგიც გიწონებს,
რითმები ბავშვობენ, მერე კი დიდობენ,
წლები მიფრინავს და შეარს გიტოვებს,
ცხოვრება იგერიებს მეგობრის ვირუსებს,
ყური ტვინს აწვდის ბრმა და ცხელ ნიუსებს,
ფეისბუქპოსტები გვიცვლიან დღიურებს,
ჩვენია სამყარო, მსოფლიო გვიყურებს,
ძილის წინ ზღაპარი ყველასთვის სელფია,
ვთამაშობთ ქაუნთერს, მოგვწონს, რომ გვესვრიან,
ახლა დედამიწას ინტერნეტღმერთი ჰყავს,
აქ სიმართლის მთქმელს ათასი მტერი ჰყავს,
თუ დავბოლდებით, ჯილდოდ გვაქვს ლაიქი,
მეფე ვართ ყველასთვის, ბევრი გვყავს პაიკი,
ცხოვრებაც გადის თამაშით, კაიფით..
თენდება...სიცოცხლე, გრძელდება ლაივში.

ალექსანდრე კალანდაძე – 100

ლეიზა ბოჩკოვა-ხვიჩია

კაცი – ლეგენდა

საფრანგეთის ანტიფაშისტური მოძრაობის მაკიზარი

ალექსანდრე კალანდაძეს ბობოქარი ცხოვრება არგუნა ბედმა, მაგრამ მაინც შემოქმედის ბედნიერი ცხოვრებით იცხოვრა. ბატონმა ალექსანდრემ თავად გამოჭედა თავისი ხვედრი. თუკი მოწიფულ ასაკში დიდი ცხოვრება ჭაბუკური ოცნების განხორციელებაა, მაშინ ალექსანდრე კალანდაძე ის ბედნიერი ადამიანი ყოფილა, რომელმაც ოცნება აღისრულა – მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის აკადემიკოსი.

ბევრი დრო დაკარგა – ჯარი, ტყვეობა, გადასახლება... ამიტომაც ყოველ წუთს უფრთხილდებოდა, არ შეეძლო, არ ეშრომა. ამგვარ მუხლჩაუხრელობასაც უნდა ვუმადლოდეთ ესოდენ დიდ მემკვიდრეობას – თხზულებათა ოცამდე ტომს.

მონაწილეობდა ქვეყნის ისტორიის უკიდურესად დრამატული პერიოდის ყველა მოვლენაში. 1939 წელს ჯარში გაიწვიეს. სამხედრო სამსახურს დასავლეთის საზღვარზე, ბრესტის ციხესიმაგრეში იხდიდა. 1941წლის 22 ივნისს მოხდა პოლიტხელის პირველი საბრძოლო ნათლობა. ახალგაზრდა ოფიცერს შაშხანა ხელიდან არ გაუგდია, ვიდრე დაჭრილი და გონებამიხდილი მტერმა ხელთ არ იგდო. დაჭრილს აწამებენ ჯერ ბიალაპადლიასკის საკონცენტრაციო ბანაკში, შემდეგ – ლუბლინის ციხეში. ბოლოს კი, სხვა „საშიშ დამნაშავეებთან“ ერთად, სადღაც, დასავლეთისკენ აგზავნიან. გზაში ალექსანდრე კალანდაძე და მისი მეგობარი ნიკოლაი ლუნინი ლოძის მახლობლად ახერხებენ გაქცევას. ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა შეიფარეს. მათივე დახმარებით იატაკქვეშელ პოლონელ ანტიფაშისტებს დაუკავშირდნენ.

ფლობდა რა ევროპულ ენებს, ალექსანდრე კალანდაძემ თავი გერმანელად (ფოლსკდოიჩედ) გამოაცხადა და წარმატებით გაიარა ე.წ. რასობრივი შემოწმება. მისი პარტიზანული სახელი გახლდათ „ფაუსტი“.

1944 წელს ალექსანდრე კალანდაძემ საფრანგეთში ქართველ ტყვეთა ბანაკში შეაღწია და ავჯანყება მოაწყო. იგი ტულუზის ომით ცნობილ საფრანგეთის ინტერნაციონალური სახალხო პოლკის კომისარი გახდა, მონაწილეობს ქალაქების – კარმოს, ალბის, კასტრის, როდეზის, ტულუზის განთავისუფლებაში. შემდეგ კი, როგორც საბჭოთა სამხედრო მისიის მეკავშირე ოფიცერი პარიზიდან ოკუპანტების განდევნის ოპერაციაში მონაწილეობს. პოლონელთა დახმარებით, ქალაქ კარმოს ტყვეთა ბანაკში ავჯანყებამ იფეთქა. ტყვეებმა მცველები დახოცეს, იარაღი გაიტაცეს და გაიქცნენ. ჟუკევილის მახლობლად, ტყეში რამდენიმე რაზმი მოგროვდა. ასეულის კომისრად ერთხმად აირჩიეს ალ. კალანდაძე. ორიოდე დღის შემდეგ ასეულმა მძიმე ბრძოლა გაუმართა დამსჯელ ექსპედიციას. ათასობით ქალმა და მოზარდმა თავი ტყეს შეაფარა, რათა გერმანიაში არ გაერეკათ. დამსჯელებს განზრახული ჰქონდათ მკაცრად გასწორებოდნენ მათ, მაგრამ პარტიზანები გმირულად დაუხვდნენ ფაშისტ ჯალათებს. იყო მსხვერპლიც. მეორე დღეს საძმო საფლავმა საფრანგეთის თავისუფლებისთვის დაღუპული ათობით მებრძოლის ნეშტი მიიბარა.

წინ ახალი ბრძოლები ელოდათ. რაზმი ბატალიონამდე გაიზარდა. კომისარი ალ. კალანდაძე გახლდათ. 1944 წლის 4 ოქტომბერს გაზეთი „პრავდა“ იუწყებოდა, როგორი აღფრთოვანებით შეხვდნენ ფრანგები თავიანთ განმათავისუფლებლებს. ალ. კალანდაძე პირადად იცნობდა საფრანგეთის ლეგენდარულ პრეზიდენტს – შარლ დე გოლს, ფრანსუა მიტერანს – იმხანად მათ თანამებრძოლს, შემდეგ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს. იქ, ჟუკივილის ტყეებში ერნესტ ჰემინგუეის შეხვედრია.

პარიზის ყოფილი სამხედრო გუბერნატორის, საფრანგეთის შინაგანი ძალების სარდლის – კენეგის 1945 წლის 5 ივნისის 293 ბრძანებულებით, ალექსანდრე კალანდაძე, როგორც მამაცი ოფიცერი, უმაღლესი საბრძოლო ორდენით („ომის ჯვარი ვერცხლის ვარსკვლავით“) დააჯილდოვეს. იგი საფრანგეთის პარტიზანულ მოძრაობას „მაკის“ შეუერთდა.

ბატონი ალექსანდრე აქვე, საფრანგეთში დაქორწინდა უმშვენიერეს ქალბატონ ჟულიანა ვიშეზე. შეეძინათ ვაჟი, თამაზ კალანდაძე, რომლის ნახვას მამა ვერ მოესწრო. საქართველოში დაბრუნების საშუალება რომ მიეცა, ბატონმა ალექსანდრემ გეზი უყოყმანოდ სამშობლოსკენ აიღო, თუმცა, იცოდა, იქ რაც ელოდა. ბატონმა ალექსანდრემ ცოლ-შვილი არ წამოიყვანა, რომ მოსალოდნელი საფრთხე აერიდებინა მათთვის. თბილისში დაბრუნებული ალ. კალანდაძე დააპატიმრეს და შორეულ ნორილსკში გადაასახლეს. 1953 წ. საქართველოში დაბრუნდა.

ბატონი ალექსანდრე კალანდაძის ვაჟი, პროფესორი თამაზ კალანდაძე საფრანგეთის ქალაქ ტულუზაში ცხოვრობს. იგი ორჯერ ეწვია მამის სამშობლოს, საქართველოს და უზომოდ ბედნიერია ახალშეძენილი ნათესავების გაცნობით.

ბატონი ალექსანდრე კალანდაძე ეცადა მძიმე მოგონებებისაგან განთავისუფლებულიყო. იგი პირველთაგანია ქართულ პროზაში, რომელმაც ბრესტის ლეგენდარულ დაცვას, პოლონეთის ანტიფაშისტ იატაკქვეშელთა მძიმე ბრძოლებს და საფრანგეთის წინააღდეგობის მოძრაობას დოკუმენტური ანტიფაშისტური ტეტრალოგია მიუძღვნა – „დღეები ბრესტის სიმაგრეში“, 1958წ.; „პიასტის ნამუხლარზე“, 1967წ. „მაკიზარებთან“, 1969წ.

ფარ-ხმალი არ დაუყრია ამ ზღაპრულ, საკვირველ, მოუღლელ ოპტიმისტს. სიწმინდის მაგალითი გვიჩვენა. ეთიკური რწმენა ცინიკოსების საზოგადოებაშიც კი მხოლოდ ვაჟკაცობით შეინარჩუნა. ჯიუტი იყო, მხოლოდ საკუთარ კანონებს ემორჩილებოდა და ამან გადაარჩინა.

ზოგჯერ მკვახე სიტყვა, რომელიც სხვას გადარევდა, მისთვის კედელზე შეყრილი ცერცვი იყო. ჩვევად ჰქონდა, უაღრესად სერიოზული საკითხიც კი ცოტაოდენი იუმორით შეეკმაზა. ამან გადაარჩინა...

ყველას როდი უწევს მასწვლებლის გვერდით მუშაობა, მაგრამ მე ბედმა გამიღიმა. იმაზე სასიამოვნო რა უნდა იყოს, როცა მასწავლებლის კარი მუდამ ღიაა მოწაფეებისათვის, როცა ყოველთვის შეიძლება მასთან დაკავშირება და რჩევის მიღება. ჩვენ, მისი ასპირანტები კი თექვსმეტნი ვიყავით. უფალს მადლობას ვწირავ, რომ ბატონ ალექსანდრე კალანდაძესთან შემახვედრა.

1960 წ. მოიპოვა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, 1966 წ. – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხები. 1995 წ. აირჩიეს საქართველოს აკადემიის ნამდვილ წევრად.

ყოველი ახალი წარმატება ახალ სურვილს ბადებდა. ბატონმა ალექსანდრემ დროის ფასი იცოდა. შრომისმოყვარეობასთან ერთად სათნოებას აფასებდა, განსაკუთრებით – ხასიათის სიმტკიცეს.

1977-1987 წლებში დასტამბა „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის ხუთტომეული“, რითაც პირველად შეიქმნა ამ დისციპლინის მეცნიერული კურსი, ფუნდამენტური ლიტერატურათმცოდნეობითი გამოკვლევები – „ქართული კლასიციზმი, ქართული სენტიმენტალიზმი“, 1972 წ.; „გემოვნების კრიტიკა“, 1976 წ.; „კრიტიკა, პოლემიკა“, 1986 წ.; „გვაქვს საგანძური“, 1986წ.; „ბიოგრაფიული რომან-გამოკვლევების ციკლი – „ნეიშნის ფიცი“, 1977წ.; „შარავანდედი“, 1981წ.; „გარდამოხსნა“, 1982წ.; „ცეკვა ხანჯლებით“, 1988წ.; „ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრების რომანი“, 1991.; რომანები – „მწვანე შტო“, 1979წ.; „ბორბალი“, 1986წ.; „წყვდიადში ჩახედვა“, 1989წ.; „ვამპირთა ღრეობა“, 1990წ.; „არჩევანი“, 1991წ. და სხვ.

რაც მოასწრო – განსაცვირებელია, რაც ვერა – დასანანი.

ბატონო ალექსანდრე, გმადლობთ ყოველივე იმისათვის, რაც ჩვენთვის გააკეთეთ.

ჩესელან ღვინეფაძე

სპარტის მეფის, ტინდარეოსის მეუღლე, მშვენიერი ლედა, ერთი ღამის განმავლობაში შეეუღლა არა მარტო თავის ქმარს, არამედ ზევსსაც, რომელიც მას თეთრი გედის სახით მოევლინა. ცხრა თვის შემდეგ ლედამ შვა კლიტემნესტრა, ელენე და ტყუპი ძმები – კასტორი და პოლიდევკესი, შემდგომში დიოსკურებად ცნობილნი. კლიტემნესტრა და კასტორი ტინდარეოსის შვილები იყვნენ, ელენე და პოლიდევკესი კი – თვით ზევსისა. ასე გვიამბობს მითის ერთ-ერთი გავრცელებული ვარიანტი.

პოეზიისა თუ სახვითი ხელოვნების არაერთი ქმნილების შთაგონების წყაროდ ქცეულა ეს ცნობილი მითი. მათი შედარებისას კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ სახვითი ხელოვნების უმაღლესი კანონი მშვენიერებაა, პოეზიისა კი – სიმართლე. „მცდარია მხატვრობის იდეალის პოეზიაში გადატანა“,– გვმოძღვრავს თავისი დროის ახალი ესთეტიკის ფუძემდებელი ლესინგი, „იქ სხეულთა იდეალია, აქ კი მოქმედებათა იდეალი უნდა იყოს“... სცენა, ასე იდილიურად რომ გამოუსახავთ თავიანთ ტილოებზე დიდ მხატვრებს – მდინარე ევროტის ხეებით მოჩრდილულ ნაპირზე გედი ნისკარტით ლედას ბაგეებისაკენ მიიწევს – საოცარი სიმძაფრითაა აღწერილი უილიამ ბატლერ იეიტსის ლექსში „ლედა და გედი“. და თუ ტილო მხატვრის მიერ საგანგებოდ შერჩეულ ერთ მომენტს აცოცხლებს, ლექსის ექსპრესიულ პოეტურ სახეებში ამ უჩვეულო ადიულტერის საბედისწერო შედეგების მთელი ჯაჭვი გაიელვებს ჩვენ თვალწინ.

მთარგმნელი

უილიამ ბატლერ იეიტსი

თარგმანი

ლედა და გედი

ანაზდეული გამოქროლება: ფრთების ნამქერი
ხარბი ალერსით დააცხრება
დიაცის გულმკერდს,
და გაფოფრილი ძალმომრეობა თავხელაღებით
ღონიერ ნისკარტს მსხვერპლს უმწეო
ქეჩოში უჭერს.

შესწევდა განა იმის ძალა, რომ უკუეგდო
გაშმაგებული შემოტევა სუსტი მკლავებით?
მერყევ ჭიდილში დიდებულ ფრთებთან
შეძლებდა ეგრძნო
იმ უცხო გულის უეცარი შეფართქალება?

და ცხოველ ვნებით ათრთოლებულ
ზიარ წიაღში
ისახებოდა აოხრება ციხე-ქალაქთა,
სისხლის წვიმები, განწირული აგამემნონი...

მაგრამ მძლეველი გამარჯვებით
თრობის იმ წამში
ხედავდა განა მოსალოდნელ გორებს ზვარაკთა,
ვიდრე არ დაცხრა ქალის გვემით
მასში დემონი?

ლედა. ლეონარდო და ვინჩი.

თამაზ შაიშმელაშვილი

ძვალზე ფერწერის საიდუმლო...



სკოლა ქარელის რაიონის სოფელ კეხიჯვარში დაამთავრა. ხატვა ბავშვობიდან უყვარდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ რადიოტექნიკოსის სპეციალობას დაეუფლა. ქარელის კულტურის სახლში ხმის რეჟისორად მუშაობდა. ამჟამად სამშენებლო ფირმის დიზაინერი და რესტავრატორია.

დავით ჭაბუკაშვილს ცხოვრებაში დალხენილი გზებით არ უვლია, ეროვნულ მოძრაობაშიც აქტიურად იყო ჩაბმული და დევნილობის წლების სიმძიმეც იწვნია საკუთარ თავზე.

– სკოლის პერიოდიდან გიტაცებდათ სახვითი ხელოვნება. საინტერესოა, რატომ აღარ გააგრძელეთ ამ მიმართულებით სწავლა?

– უცნაური რამ მოხდა მაშინ – ქარელის სკოლაში სამხატვრო წრეზე დავდიოდი და მასწავლებელმა სამიანი გამომაყოლა ხატვაში. შეიძლება ითქვას, რომ ხატვა შემაძულა. დავანებე თავი. 1992 წლამდე, 31 წლის ასაკამდე ისე მივაღწიე, არაფერი დამიხატავს.

მერე ისევ დავიწყე ფიქრი ლიტერატურას ჩემით ვყიდულობდი, ტექნოლოგიაც – ყველაფერი ჩემით ვისწავლე. ჩავიკეტე და ხელოვნებაზე ფიქრი დავიწყე. ღამეებს ვათენებდი, დიდი მხატვრების ნაშრომებს ვეცნობოდი, ვაკვირდებოდი ლეონარდო და ვინჩმა „მონა ლიზას“ დახატვას 4 წელი მოანდომა, „საიდუმლო სერობას“ – 10 წელზე მეტი. შინაგანი წვდომის უნარი მეხმარებოდა ფერწერის გემოვნების გამომუშავებაში, ასე ჩამომიყალიბდა ფერთა ხედვა.

ეროვნული მოძრაობის წლებში ჩეჩნეთში, გროზნოში 7-8 თვე დავყავი. შემდეგ კი დაღესტანში, მახაჩყალაში 7-8 წელი ვიმყოფებოდი. იქ ვხატავდი, თან ფიზიკურად ვმუშაობდი. კავკასიის მხატვართა ფერწერული ნამუშევრების გამოფენაში მივიღე მონაწილეობა, 120-მდე მხატვარს ჰქონდა ნამუშევრები წარმოდგენილი. სამმა ნახატმა გაიმარჯვა, მათ შორის იყო ჩემიც. „დაისი – მზის ჩასვლა“, – ასე ერქვა ნახატს და სიმბოლურად მზის ჩასვლა საქართველოს რეალობას დავუკავშირე.

2002 წელს კი საქართველოში დავბრუნდი. სამხატვრო საამქროში დავიწყე მუშაობა. დავიწყე ტექნიკურ ძვალზე ფერწერა დენით და გერმანული პიგმენტებით. დენით იხატება ღია ყვითელიდან შავამდე, პიგმენტებით კი ფერები. ეს იშვიათი ტექნოლოგიაა, რომელსაც არცერთ ქვეყანაში არ მისდევენ. ასევე ჭიქური მინანქარი, რომელიც შესასრულებლად ძალიან რთულია. შემდეგ 2 წელი ესპანეთის ქალაქ კორდობაშიც დავყავი, რომელიც უმნიშვნელოვანესი ხელოვნების ცენტრია, სადაც ყოველი მეორე ხელოვანია. ვაცნობდი მათ საქართველოს, როგორც დიდი ისტორიის მქონე ყველაზე უძველეს ქვეყანას ევროპაში.

– თქვენ ფერწერული ნამუშევრების გარდა სახარებაც გააფორმეთ...

– ჩემთვის უძვირფასესია ეს სახარება. ნახევარმეტრიანია. ეს წიგნი მელხიორში ჩასმულია და მეუფე იობს აქვს და მეორე – მოოქროვილი სახარებაც გავაფორმე, 4 მახარებლის და აღდგომის ხატის ფერწერა ძვალზე დენის ამოსაწვავით შევასრულე.

– ამჟამად რას აპირებთ, რა გეგმები გაქვთ?

– ძვალზე ფერწერით მინდა შევქმნა გაერთიანებული საქართველოს მეფეების, სულ 25 მეფის კოლექცია. თუ დამაფინანსებს კულტურის სამინისტრო ან მხატვართა კავშირი, მაშინ უსასყიდლოდ გადავცემ ამ კოლექციას. ეს პროექტი შევთავაზე მხატვართა კავშირის თავმჯდომარეს, ქალბატონ ცისანა მჭედლიძეს, რომელმაც თანადგომის სურვილი გამოხატა. ასევე ვაპირებ, ძვალზე ფერწერით მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანების კოლექციის შექმნასაც.

– ოჯახში თუ გყავთ თქვენი გზის გამგრძელებელი?

– შვილიშვილი ელენე 8 წლისაა. ახლახან შოთა რუსთაველის პორტრეტი დახატა, ხოლო მისი ნამუშევარი „თაგვების ქორწილი“ უკვე ჟურნალ „კარუსელშიც“ დაიბეჭდა.

მეუღლე ლელა ბაქრაძე დიასახლისია. შვილები: მარიამი გერმანული ენის თარჯიმანია, ლაშამ კი ტურიზმის განხრა აირჩია.

– რომელ ფერს ანიჭებთ უპირატესობას?

– უფრო თბილ ფერებს. ძალიან მიყვარს ბურუსის და მინების ხატვა. რთულია, მაგრამ კარგი დასახატია ჩემთვის.

ამბობს, რომ განუმეორებელია ფიროსმანი, უყვარს ლეონარდო და ვინჩიც, რომელიც იმდენად დიდია, მის ნამუშევრებში მთელი სამყაროა ჩატეული. მისი ხედვა ძალიან ღრმა, იდუმალი და მისტიკურიაო. ეს მისტიკა დავით ჭაბუკაშვილის ნამუშევრებშიც არის, მთელი გული და სული ჩაუდვია მხატვარს

მენანება ის წლები, როცა არ ჰქონდა ხატვის საშუალება მისმა თაობამ, მრავალმა ხელოვანმა, მხატვარმა, მეცნიერმა საკუთარ თავზე იწვნია სამშობლოს ბედუკულმართი დროება, დევნა და ტკივილი, ზოგი შორსაც გადახვეწეს და მაინც, არ შეუწყვეტიათ სამშობლოს სიყვარული და ერთგულება.

იმედია, არც სამშობლო შეწყვეტს მათზე ზრუნვას და ასეთ ოსტატებსაც სათანადოდ დააფასებს ჩვენი დრო...

თენგო ხუსიშვილი

ჩემო საქართველო, როგორ მებრალები

ჩემო საქართველო, როგორ მებრალები,
ასე ვინ მიგაგდო საჯიჯგნად მტრებში,
შენში ისე ძრწიან, როგორც წურბელები,
თანაც ნეტარებით უხორცო ძვლებში.
გულით გეუბნები, დიდი შენანებით,
ასე რომ დაგტოვეთ, გაგიშვით ხელი,
ლოცვით დამინთია ხატთან კელაპტრები,
შენს წინ დაჩოქილი შენდობას ველი.
იქნებ გვაპატიოს ჩვენმა აფხაზეთმა,
მისი მიტოვება უაზრო სისხლი,
ვიცი, სამაჩაბლოს დედა ენატრება,
მალე გადიყრება შავბნელი ნისლი.
ძლიერ მიყვარხარ და მუდამ მენატრები,
მაგ წმინდა გულ-მკერდს გაგითბობ კოცნით,
ცოტა დავმდაბლობით, დიდი შემართებით,
შენს ყველა მთა-ველს მოვივლი ჩოქვით.
როგორც რიგითი ერთი ქართველი,
წილად მეც მერგო შენი შვილობა,
არ შევარცხვინო შენი სახელი,
ბავშვივით მინდა ხელვყო გმირობა.
შენით ვამაყობ, ჩემო სამშობლო,
შენა ხარ ჩემი დასაფიცარი,
ზურგს ლახვრის ჩარტყმა თუ მოგინდომეს,
მე მივუშვირო გულისფიცარი.
და თუ მოვკვდები, ჩემზე ბედნიერ,
არვინ იქნება, არ ვარ ჯაბანი,
შენგან შექმნილი, შენად ვიქცევი,
გადამახურე მიწის საბანი!

* * *

ჩემო უფალო, არ გემალები,
ეს მერამდენე დღეა უმზეო,
დათარეშობენ ღრუბლები ცაზე,
და სული ჩემი, როგორც უმწეო,
ხელგამოწვდილი აგდია გზაზე.
ვიცი, ეს ქარი რასაც მიპირებს,
უღვთოდ დათოფილ ცოდვილ მაჯებზე,
მჯერა, ოდესღაც ვინმე მიტირებს,
არ შეაშრება ცრემლი ღაწვებზე.
ნელი ნაბიჯით ვსერავ ბილიკებს,
არ მინდა, მიწას რამე ვატკინო,
წვიმა კი ისევ შოლტავს ტირიფებს,
მთვარე კვლავ ცდილობს, ღამე ატიროს.
ციხედიდს რეკენ ტაძრის ზარები,
ძაფებმა ტანზე გაიძრეს ცვილი,
– ჩემო უფალო, არ გემალები,
შენთან მოვდივარ უძღები შვილი!

ძმას – ილიას...

არ გეგონოს, რომ დამავიწყდი, ძმაო ილია,
არ გეგონოს, რომ არ შემისვამს მე ძმობის თასი,
დღეს წუთისოფლის განსაცდელი უფრო დიდია,
იცოდე ჩვენთან გამარჯვების არა აქვს შანსი!
კვლავ ძველებურად, უღიმღამოდ, მიდის ცხოვრება,
ყოველ განთიადს, მზე მოდის და
კენკავს ვარსკვლავებს,
და ყოველ ღამე, უმოწყალოდ, მერი თხოვდება,
მისთვის დღეები ემსგავსება უკვე ნაწამებს...
უწინდებურად, მტკვარი ისევ ისე დუდუნებს,
და დედობრივი სიყვარულით გულს იკრავს არაგვს,
ვიწრო ქუჩებში, მაწანწალა ქარი ზუზუნებს,
თითქოს მუქარით, თითქოს ხვეწნით,
გვიყვება არაკს...
ბაგინეთის მთას ნისლი ადევს, თეთრი წვერივით,
გალობასავით, ისმის რეკვა ტაძრის ზარების,
და ზედაზენის მუდამ ფხიზელ მლოცველ ბერივით,
სამშობლოს დარდმა დამიღარა
ცრემლით თვალები.
დღეს სვეტიცხოვლის გალავანთან
მომინდა ლოცვა,
ღმერთო, ეს გული მომინდვია,
მხოლოდ შენ მართე,
გაბრიელ ბერის, წმიდა ტერფებს, დავუწყე კოცნა,
და სული ჩემი, საბრძოლველად, ისევ შევმართე!

ისე მენატრები

ისე მენატრები ღმერთი მარტოობის,
როგორც იასამანს ქარის სითამამე,
ისე მეშინია, ვით ტოტს ურტოობის,
რომ გულს დამიკაწრავს მაგ თვალთ სიკამკამე.
არა, ვერ ვიხსენებ როდის შემიყვარდი,
როდის გავათიე ღამე შენზე ფიქრით,
თითქოს დამელია ერთად ყველა დარდი,
ყველა ოცნებაში ცაში ერთად მივქრით.
ღრუბლებს ეფარები, იცი? – მენატრები,
უშენოდ არ მსურს დაფნა და დიდება,
ლოცვით დამინთია ხატთან კელაპტრები,
თუმცა გულს მიკლავდა შენი გარინდება.

„მცირე პროზა" „ანიოლის" ფორულებზე...

თბილისის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმმა (დირექტორი ნანა ელიზბარაშვილი), თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის თანადგომით, ჩაატარა ტრადიციული, მეცხრე ლიტერატურული კონკურსი სტუდენტებისთვის „მცირე პროზა".

კონკურსი ყოველწლიურია და დაარსების თარიღად ითვლება 2005 წელი.

კონკურსი ძალზედ აქტუალურია, ემსახურება ქართული მწერლობის პოპულარიზაციას, ახალი სახელების წარმოჩენას ქართულ მწერლობაში, მწერლობის ამ ჟანრის განვითარებას.

კონკურსი ტარდება მხოლოდ სტუდენტებისთვის, რადგანაც მიზნად ისახავს ახალგაზრდების პროზაული ნაწარმოებებით დაინტერესებას, მათ მხარდაჭერას და წახალისებას ფულადი პრემიებით, დიპლომებით და სამახსოვრო საჩუქრებით. კონკურსანტებისთვის დიდი სტიმულია გამარჯვებული ნაწარმოებების გამოქვეყნება ლიტერატურულ ჟურნალებში.

დიდია კონკურსში ახალგაზრდობის ჩართულობა და ინტერესი ამ კონკურსისადმი, რაზეც მეტყველებს მონაწილეთა მზარდი რიცხვი. ყოველწლიურად მაღლდება შემოსული ნაწარმოებების მხატვრული დონე, იხვეწება ლიტერატურული ენა.

წლევანდელი კონკურსი ატარებდა ქართველი პროზაიკოსის, ოტია იოსელიანის სახელს.

გამარჯვებულებს გადაეცათ მწერლის სახელობის პრემია.

ლიტერატურულმა კონკურსმა „მცირე პროზა" ლიტერატურულ სივრცეში განსაკუთრებული და შეუცვლელი ადგილი დაიჭირა.

გთავაზობთ 2016 წლის გამარჯვებული ავტორების: ხატია ჭანიშვილის (პირველი ადგილი), მარიამ ჭუმბურიძის (მეორე ადგილი), იაგო თვალაბეიშვილის (მესამე ადგილი) ნაწარმოებებს.

გა(უცხო)ება

ხატია ჭანიშვილი

ეს ამბავი მთლიანად ერთ გოგოზეა, რომელიც ახლა კომპიუტერის წინ ზის და კლავიატურას აწვალებს, რათა შესაფერისი სიტყვები მოძებნოს...

არასდროს ვიცი, როგორ უნდა დავიწყო...

ამიტომ მოდით, შესავლის გარეშე...

ერთხელ ჩემმა მეგობარმა მკითხა, რომ გთხოვონ, საკუთარ ცხოვრებაზე მომიყვეიო, პირველად რა გაგახსენდებაო, რომელ ამბებს მოყვებოდიო, ჰოდა, მეც დავფიქრდი და სულ რამდენიმე ამბავი გამახსენდა, რომელთა მოყოლაც მომინდებოდა, თუკი მსგავს სიტუაციაში აღმოვჩნდებოდი... მაგრამ არავის უთხოვია, ამიტომ გაგრძელება აღარ იქნებოდა, რომ არა გასული ორშაბათი, როცა ლექციაზე ვიჯექი საღამოს 8-ზე... არცთუ ისე კარგი მახსოვრობის გამო არ შემიძლია, დაწვრილებით მოგიყვეთ ლექციის მიმდინარეობა, თუმცა საკმაოდ საინტერესო იყო და იქამდე მივედით, რომ ადამიანის ელემენტებად დაშლა შეუძლებელიაო და მე მივხვდი, რომ არ შემეძლო ამაზე დათანხმება...

— ჩვენ ხომ ელემენტთა სიმრავლე ვართ? გრძნობების ერთობა, თუმცა, დიურკჰემისა არ იყოს, ჩვენ, როგორც ერთი მთლიანობა, გაცილებით მეტი ვართ, ვიდრე ამ ელემენტების ჯამი... მაგრამ რომ არა ინდივიდი, ვერ იქნებოდა საზოგადოება და რომ არა ისინი, რაც ადამიანებად გვაქცევს, ჩვენც არ ვიქნებოდით ისეთნი, როგორიც ვართ... თუმცა, თუ ჩვენ ვინმე ნაწილებად დაგვშლის, აბსტრაქტული თვალსაზრისით, შეიცვლება ადამიანის არსი, რადგან ცალკე აღებული ელემენტი სხვა ელემენტების გარეშე შეიძლება უფუნქციო აღმოჩნდეს....

— მაგალითსაც ხომ ვერ მოიყვანდით?

— სიყვარული თუნდაც... შეიძლება არსებობდეს სიყვარული აბსტრაქტულად? თუკი გამოვყოფთ და დავშლით მას, როგორც ცალკეულ ელემენტს, შესაძლებელია მისი არსებობა? მე განსხეულებული, დანახული სიყვარულის მწამს, სხვა გრძნობებზეც იმავეს ვიტყოდი...

— მაგრამ თქვენ ახლაც არ შეგიძლიათ თქვენს განსხეულებულ სიყვარულზე საუბარი, რადგან მე რომ გითხრათ, ამიხსენით თქვენი ეს გრძნობა, შედით საკუთარ თავში და აღმიწერეთ იგი, ვერ შეძლებთ, რადგან ფსიქოლოგიაში ცნობილია მსგავსი მეთოდი და როგორც კი თქვენ დაიწყებთ ამაზე ფიქრს, სიყვარული გაქრება, თქვენ ვეღარ დაინახავთ მას....

— სისულელეა... მე შემიძლია ზუსტად მოგიყვეთ ჩემს გრძნობებზე, აღგიწეროთ იგი და, უფრო მეტიც, მე შემიძლია დავაკვირდე მის ცვალებადობას,

დინამიკას, მე შემიძლია საკუთარი თავის მიღმა შევხედო ჩემს გრძნობებს და გითხრათ მათ შესახებ და საერთოდ, მე თუ არ მინდა მათი გაქრობა, ისინი ვერსადაც ვერ წავლენ... რადგან ისინი მე გამოვიგონე... უბრალოდ, თუკი ამას ვიზამთ, ეს გრძნობები დაკარგავს, ასე ვთქვათ, იმ ღვთაებრიობას, რომელიც მივაწერეთ მათ, ჩვენ კი გვინდა, რომ არ ვისაუბროთ მათზე, როგორც რაღაც მიღმიურზე, მაგრამ „არსა“ და „ვერს“ შორის დიდი განსხვავებაა...

ლექტორმა ცოტა ირონიული სახით შემომხედა და თემას ავცდითო... მე კი მგონია, რომ სწორედ ეს არის ის, რაც მაშინ მეგობარმა მითხრა, რა ამბავს მოვყვებოდი...

ამბავი №1

ვიდექი სადარბაზოში, მესამე საფეხურზე... ჩემ წინ იდგა 3 საფეხურით დაბლა და, მიუხედავად ამისა, სულ ოდნავ მაღალი ვიყავი მასზე... თუმცა ადრე ეს ძალიან მომწონდა, თითქოს შეეძლო ერთი მუჭში მოვექცია, გადავეფარე, თუკი ჩემ წინ დადგებოდა... მე მაშინ 17 წლის ვიყავი და ის 20 სანტიმეტრით მაღალი იყო ჩემზე... და მეც თითქოს დაცულად ვგრძნობდი თავს მანამ, სანამ იმ საფეხურებს ავივლიდი, რომლებიც დარჩენილი იყო ჩემი ბინის კარამდე... ვიდექი და ვუყურებდი ჩემ წინ მდგომს, რომელსაც არანაირი საერთო არ ჰქონდა იმასთან, ვისაც მანამდე 5 წლით ადრე ვიცნობდი.... გაუგებრად ლაპარაკობდა, სიტყვებს უაზროდ ისროდა და მეც ვიდექი გაუნძრევლად, ემოციაგამოცლილი და არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა ამ ბიჭისთვის... ის კი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, არ მახსოვს რას, მაგრამ არ ჩერდებოდა, თითქოს ახლა უნდა ეთქვა ყველა სიტყვა, რომ მერე გაჩუმებულიყო და უკანმოუხედავად წასულიყო... მოულოდნელი იყო, როცა გავიგე, რომ საუბრის დამთავრების შემდეგ მიბრუნდებოდა და უბრალოდ წავიდოდა... და თუ წავიდოდა, აღარ დაბრუნდებოდა, ეს არ უთქვამს, მაგრამ არსებობს მზერა, როდესაც ხვდები, რომ ადამიანი ბოლოჯერ გიყურებს, ამ ბოლო მზერაში არის რაღაც, რაც მიგახვედრებს, რომ მეტი ასეთი აღარ იქნება... მე მაშინ მივხვდი, რომ ეს გარდაუვალი იყო, მივხვდი და მომენტალურად მინდოდა ჩამოვსულიყავი იმ საფეხურებიდან და გადამეკეტა სადარბაზოს ხის კარი, რომელიც უკვე 20 წელი აღარ იკეტებოდა სიძველის გამო, მივხვდი, რომ მზად ვიყავი, ვმჯდარიყავი კარის წინ და არასდროს ავდგებოდი იქიდან, ოღონდ არ წასულიყო, მივხვდი, რომ შემეძლო დამევიწყებინა საკუთარი თავი, მაგრამ არ შემეძლო მისი დავიწყება და ვიფიქრე, რომ დავმარცხდი... არაფრის თქმას არ ვაპირებდი, როგორც მჩვევია ხოლმე, ყურადღებაც ხომ გამიმახვილა, გიჭირსო გრძნობების გამოხატვა და იმ 1 წამში მივხვდი, რომ რა თამაშსაც გეთამაშებიან, იმის წესებს უნდა მიჰყვე... მე შემეძლო, სიტყვებით ამეხსნა ჩემი მდგომარეობა იმ წუთას, მეთქვა ყველაფერი, რასაც იმ მომენტში ვგრძნობდი... ასეთი იყო წესი... და როცა გაჩუმდა და აპირებდა სადარბაზოდან გასვლას, დავუძახე და მივხვდი, რომ ამ ხმას ისევ უყვარდა მისი სახელი და არ შეეძლო ეყვირა ან გაელანძღა, ან ეთქვა, რომ სიძულვილის მეტს არაფერს გრძნობდა... ჰოდა, მივუშვი, მე ვიდექი სადარბაზოს კუთხეში და ვუსმენდი ჩემივე სიტყვებს, რომლებიც ისეთი მართალი იყო, ისეთი ნამდვილი იყო... ყოველი სიტყვის შემდეგ მე ვხედავდი, როგორ გაიზარდა მე-3 საფეხურზე მდგომი გოგო, თითქოს გვირგვინი დაადგესო თაფლისფერთმიან თავზე... რომ შემძლებოდა, ტაშსაც დავუკრავდი... ეს არ ყოფილა დიალოგი იმასთან, ვინც იდგა მის წინ, ეს დიალოგი იყო საკუთარ თავთან, ეს საკუთარი თავისთვის წაკითხული მონოლოგი იყო, რომ დაგვემტკიცებინა მთელი სამყაროსთვის, რომ ჩვენ გამოვხატავთ, ჰაერს ვატანთ სიტყვებად გადაქცეულ გრძნობებს, რომლებიც სწყდება სხეულს, მაგრამ არსადაც არ იკარგება, რჩება შენში და ახლაც შემიძლია უბრალოდ მოგიყვეთ მათზე... და მე არ ვიცი, რას გრძნობდა იმ წუთას ჩემ წინ მდგომი, მის ფერდაკარგულ სახეზე მხოლოდ ის ამოვიკითხე, რომ არ ელოდა მსგავს დასასრულს, მე მას ვუყვებოდი ჩემს გრძნობებზე მის მიმართ და როცა ყველაფერი ვთქვი, ზუსტად მაშინ გავაცნობიერე, თუ რამხელა ტკივილს მომაყენებდა მისი წასვლა, მისმა ნერვიულად ნათქვამმა სიტყვებმა, მისი წასვლით გამოწვეულმა შიშმა კი არა, საკუთარ თავში არსებულმა აბსტრაქტულმა, თითქოსდა გაცნობიერებულმა განცდებმა, გრძნობების სიტყვებად ქცევამ და ამ სიტყვების გაგონებამ მიმახვედრა მისი წასვლით გამოწეული ტკივილის სიმძლავრე, რომლის ატანაც შეეძლო ჩემს სხეულს, მაგრამ არ ჰქონდა ამის სურვილი... თუმცა ყველაფერს რომ იტყვი და წერტილს რომ დასვამ, მაშინ ხვდები, რომ წასვლის დროა, ორივეს წასვლის დროა და არაფერი ყოფილა იმაზე რთული ჩემს ცხოვრებაში, როგორც დარჩენილი 79 საფეხურის ავლა საკუთარი ბინის კარებამდე, თანაც გამართული ასვლა და ამ დროში გავუძელი ყველა იმ ემოციას, რომლებიც თითქოს ცდილობდნენ სიმებივით ჩამოეწყვიტათ ნერვული დაბოლოებები, მაშინ არ მიფიქრია ამაზე, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ იმ წუთას საკუთარი თავის ისე მჯეროდა, როგორც მანამდე არასდროს... იმ წუთას ისეთი ძლიერი ვიყავი, როგორც მანამდე არასდროს... მაგრამ ძალიან ძნელია ამის გააზრება მაშინ, როცა ყოველ ავლილ საფეხურზე ტოვებ საკუთრი თავის ნაწილს, გგონია იშლები, ვეღარ გრძნობ სამყაროს შენ გარეთ, ვერც საკუთარ თავს გრძნობ, არაფერი შეედრება საკუთარი ადამიანურობის მორღვევის პროცესით გამოწვეულ ტკივილს და რა ირონიაა, როცა ეს უზარმაზარი ამბავი, რომელსაც თითქოსდა უნდა გიყვებოდეთ ჩემს ცხოვრებაზე, თაბახის ფურცლის გვერდ-ნახევარში ჩაეტია...

ამ ფიქრებში გაილია ლექციის დრო, ფიქრებით გაბრუებული მივლასლასდი ავტობუსის გაჩერებასთან და, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 4 წელი გასულიყო მას შემდეგ, არ შემეძლო ამის დავიწყება და არც მინდოდა, რადგან ეს ჩემი ცხოვრება იყო და იმ წუთას რომ ეკითხათ, რამ შეგქმნა ადამინადო, იმ ადამიანად, რომელიც ახლა ვარ, ვუპასუხებდი, რომ სწორედ ამ რამდენიმე ამბავმა შემქნა, ჩამომაყალიბა და გამაცნო ყველაზე უცხო ვიღაც, რომლის გასაცნობადაც, ალბათ, ცხოვრების ბოლომდე არ მეყოფა დრო და ეს უცხო მე ვარ. უცხო ვარ, რადგან ხშირად არ ვიცი, რას გავაკეთებ იმ წუთას, იმ გადამწყვეტ მომენტში, ჩამოყალიბების პროცესში... და მჯერა, რომ სხვა ადამიანების გაცნობა შეუძლებელია, რადგან ყველა საკუთარი თავის გაცნობის პროცესში ვართ და ჩვენი

ცხოვრებაც ეს არის – საკუთარი თავის გაგება სამყაროს უსასრულო ინტერაქციაში სხვებთან...

ვიჯექი ავტობუსში და მესმოდა დაჟანგებული ძრავის ხმა, ვგრძნობდი ადამიანების სუნს, ერთმანეთში არეულს, მესმოდა მათი ხმა და ვაკვირდებოდი მათს სახეებს, რამდენი ამბავი ჰქონდათ ნეტა ისეთი, რომელსაც მოყვებოდნენ, მეგობარს რომ ეკითხა მათთვის... ხალხი ირეოდა ავტობუსში და მოულოდნელად თვალი მოვკარი ადამიანის სილუეტს, რომელიც ძალიან ნაცნობი იყო და აი იმ მომენტში, თითქოს გული უფრო ჩქარა რომ გიცემს, თითქოს გულზე ვიღაცამ ხელი მოგიჭირაო, სუნთქვა რომ გიჭირს და ჰაერი რომ აღარ გყოფნის, როცა გინდა, რომ გაქრე და თან არც, როცა გინდა, რომ ის იყოს და თან საშინლად არ გინდა, როცა უბრალოდ არ გინდა შეგეტყოს, რომ ნერვიულობ, მაგრამ გგონია, რომ ყველას ესმის შენი გულის აჩქარებული ცემა და ეს ყველაფერი ზუსტად ერთი წამი გრძელდება, თუმცა გგონია, რომ დიდი ხანია, ასე ხარ და კიდევ რომ 1 წამიც გაგრძელდეს, გული გაგიჩერდება, დაჟინებული მზერა სხვაზე ვერ გადავიტანე და სილუეტიც შემობრუნდა, შვებით ამოვისუნთქე და იმ წამშივე ვიგრძენი, როგორ ჩამწყდა სხეულში მისი არყოფნით გამოწვეული გრძნობების შეკვრა.... სწორედ იმ მგზავრის მსგავსის შესახებ უნდა ყოფილიყო მეორე ამბავი...

ამბავი №2

20 წლის ვიყავი და შემოდგომა იყო... და არსებობდა ბიჭი, რომელიც ჩემ ირგვლივ არავის მოსწონდა ჩემ გარდა... ალბათ იმიტომ, რომ ცოტა უცნაური იყო, უფრო სწორად, ჩვენ ერთად ვიყავით უცნაურები და ჩემი მეგობრებისთვის სრულიად გაუგებარი იყო, რატომ უნდა გველაპარაკა ჩვენს პირველ პაემანზე, და არა მარტო, გაგების თეორიაზე ან ფენომენოლოგიაზე, ან პოსტმოდერნიზმის გამოვლინებებზე ლიტერატურაში... მაგრამ ასე იყო... და მე და ეს ბიჭი შემოდგომის იმ თაფლისფერ დღეს 2 დღით კიდევ 5 ბიჭთან ერთად მივდიოდით ლაშქრობაზე, დიდი ჩანთებით, კარვებით და კიდევ დაუგეგმავი მომავლით... და ეს 2 დღე მე ვიყავი ზღაპრის მთავარი გმირი... ჩვენ ვიარეთ ბევრი, ძალიან ბევრი... სამყაროს სრულიად მოწყვეტილნი აჭრელებული ხეების რიგს მივუყვებოდით და თითქოს თვითონ შემოდგომა ყვაოდა თითოეულ ფერშეცვლილ ფოთოლში და ვუყურებდი მათ და საკუთარი საქციელით გაოცებული უხმოდ ვეკითხებოდი იმ უცხოს ჩემს შიგნით, რას აკეთებდა... რატომ მიჰყვებოდა სადღაც, სამყაროს მიღმა არსებულ შემოდგომით აჭრებულ ხეების რიგში ბიჭს, რომელსაც სულ 2 თვეა იცნობდა... მაგრამ იყო ამაში რაღაც ამაღელვებელი... მერე ვიპოვეთ ადგილი, სადაც გავშლიდით კარვებს... საღამო იყო და ვუყურებდი კარვების მიღმა შეჭედილ ფერად ტყეს, რომელიც თანდათან იპარავდა დღის სინათლეს და ბოლოს, სულ ჩაყლაპა... ჩვენ ვისხედით კოცონის ირგვლივ და ვიხსენებდით საშიშ ამბებს, რომელთა უმეტესობაც ჩვენვე გამოვიგონეთ იმ წუთას... სასაცილო იყო... ამბები კი არა, ჩვენი მცდელობები, საკუთარი ფანტაზიის ნაყოფით სხვების შიში გაგვეღვიძებინა... ჩუმად ვაპარებდი ჩვენი კარვისკენ თვალს, რომელიც ისეთი პატარა იყო, წარმოუდგენლად მეჩვენა უცებ 2 ადამიანისთვის, გამახსენდა სხვების მოყოლილი საშიში ამბებიც და მომენტალურად მომინდა გავქცეულიყავი ამ მიყრუებული ადგილიდან და ჩემს ოთახში შევკეტილიყავი, გულამოვარდნილს დიდხანს მეტირა ჩემს უაზრო, გაუცნობიერებელ საქციელზე... მაგრამ მზერა კარვიდან ბიჭზე გადმოვიტანე და თითქოს ჩემი ფიქრებიც იმ ტყემ წაიყოლაო სინათლესთან ერთად.... ხელზე ხელი მაგრად მოვუჭრე, გამომხედა, თითქოს მიხვდაო და წამოდგა, ავდექი მეც და ვიარეთ ბევრი, ასე უხმოდ, უთქმელად... მერე აცივდა... კოცონთან დავბრუნდით, ყველანი კარვებში შესულიყვნენ... მე არ მეძინებოდა, ან რა დამაძინებდა... ჰოდა, მივუსხედით ნაკვერჩხლებად ქცეულ კოცონს და ვთამაშობდით „მჯერა-არ მჯერას“ და ვწრუპავდით კონიაკს... ბოლოს ნაკვერჩხლებმაც გვიმტყუნეს და კარავში შევედით... ვიწექით ერთმანეთთან ძალიან ახლოს და თუ არსებობდა სიყვარული, ბედნიერება, მშვენიერება იქ, იმ ერთ პატარა კარავში იყო... შეუძლებლად მეჩვენებოდა ძილი, და ეს უხერხული სიჩუმეც ისეთი აუტანელი გახდა, უაზროდ დავიწყე ლაპარაკი და მოვყევი სულელური ამბები, ვილაპარაკე ბევრი, ის მისმენდა, ჩუმად იყო, არ ვიცოდი, რამდენი ხანი გასტანდა მისი სიჩუმე და მეც არ ვჩერდებოდი, ერთმანეთს არ ვუყურებდით, თითქოს სივრცეს ვუყვებოდი იმ მომენტისთვის გაუგონრად შეუფერებელ ამბებს, ბოლოს გავჩერდი, მშვიდად სუნთქავდა, მეგონა, ჩაეძინა და თავი ოდნავ მივატრიალე მისკენ და ისე ახლოს ვიყავით, შეუძლებელი იყო კოცნის გარეშე ჩაევლოამ ერთ პატარა მოძრაობას, სრულიად გაუაზრებელი იყო და თან მოსალოდნელიც... ჩემს შიგნით მყოფი უცხო გამოვუშვი და მე შევწყვიტე ფიქრი, იმას ეფიქრა, იმას გადაეწყვიტა ქმედებების ჭეშმარიტება თუ მცდარობა.... მაგრამ ის უცხო ჩემზე ძლიერი იყო, ვიცოდი, ამიტომაც მივუშვი... თითქოს გამოვცადეო, რას იზამდა... წამიერი იყო ჩვენი გათიშვა... და თითქოს გაჩერებული სამყარო ისევ ამოძრავდაო, სახე ისევ სივრცისკენ მქონდა, მაგრამ აღარ ვლაპარაკობდი და მოულოდნელად გამახსენდა კუნდერას „ყოფის აუტანელი სიმსუბუქე“ და ფრაზა: Muss es sein? (ასე უნდა იყოს?) Es muss sein! (ასე უნდა იყოს!)... და ხმამაღლა ვთქვი... ისეთი სიმშვიდე იყო იმ ჩვენს პატარა კარავში... ისმოდა ბუს ხმა... და ჩვენ ვლაპარაკობდით ყველაფერ იმაზე, რაც „ასე უნდა ყოფილიყო“... ასეთი იყო შემოდგომის ღამე.... ჩემი საუცხოო შემოდგომის ღამე პატარა კარავში... და ჩვენი „უცხოების“ პასუხი: Es muss sein!

ავტობუსიდან ჩამოვედი და სახლისკენ აღმართს ავუყევი... ზოგჯერ, საღამოობით სახლში რომ ვბრუნდები, ერთი გაჩერებით ადრე ჩამოვდივარ და ფეხით მივუყვები ხოლმე გზას... ამ დროს თითქოს ფიქრის დრო დამიდგაო, ყველაფერი ერთდროულად მახსენდება, მაგრამ აურზაური არასდროსაა, ნელ-ნელა ავდივარ აღმართზეც და ფიქრების მწვერვალებზეც და იქიდან რომ გადმოვხედავ ხოლმე განვლილს, უკვე განცდილს, უკვე ნანახს, დაღლილი, ზოგჯერ გულაჩქარებული მაინც ვგრძნობ, რომ ღირდა...

თბილოდა სახლში... მაგიდაზე ჭიქაში ესხა ცოტაოდენი წითელი ღვინო... ბოლო დროს შემომეჩვია ხოლმე, როგორც ქარი შემოეჩვია ამ ბოლოს ქალაქს... სავარძლში ჩავესვენე დაღლილი და დატო-

ვებული ღვინის რამდენიმე წვეთი გამოვცალე... მერე ახალი დავისხი... ზოგჯერ ვფიქრობ, რომ სახლში ზედმეტად სენტიმენტალური ვხვდები, მარტოობას დავაბრალებ და სარკეში ჩემს თავს ველაპარაკები ხოლმე, ვუყვები საკუთარ ამბებს, იმ ამბებს, რომლებიც არ მინდა, რომ ოდესმე დამავიწყდეს... თუმცა ზოგჯერ ჩუმად ვარ, სარკის წინ ჩუმად ვზივარ და ამ დროს იცის სარკემ, გრძნობს, როგორ ირთვება ადამიანური თავდაცვის ინსტინქტი, თავი ავარიდოთ ტკივილს, მოვისროლოთ სადღაც, სადაც ხელს ვერავინ შეახებს, ვერავინ გაგვახსენებს, მაგრამ არის მომენტები, როცა თვალში მოულოდნელად და სრულიად უადგილოდ შეგვეჩეხება რაღაც შავპლედ მოფარებული დიდი გორა, ვხვდები, არ უნდა გვეცეცებინა გონების თვალები ტვინში, მაგრამ გვიანაა...

ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო... ზოგჯერ ისე ხდება ხოლმე, რომ ორი კარგი ადამიანი ერთმანეთს გადაეყრება და იქამდე სხვა გზებით მისულნი, ერთ ხაზზე გააგრძელებენ გზას ხელჩაკიდებულები 2 მდინარესავით, მოულოდნელად ერთ კალაპოტში რომ აღმოჩნდებიან. ლამაზი ამბავია, მაგრამ თუ დააკვირდებით, ორივე მდინარე კარგავს საკუთარ ფერს და ერთმანეთში ირევა ყველაფერი და ვიღებთ ახალს, რაც სულ სხვაა, ვიდრე ორივეს სათავეში იყო... ზოგჯერ უმჯობესია, ისევ გახლიჩო და იარონ თავიანთ ძველ კალაპოტში, თუგინდ ამღვრეულებმა, მთავრია, ერთმანეთი არ დააშრონ...

ამბავი №3

დრო იყო საკუთარ კალაპოტებში დაბრუნებისა, ვისხედით რაღაც ძველებურ კაფეში, კედლებზე ჭრელი, ლამაზი ხალიჩები ჩამოეკიდათ... ნერვიულად ვსვამდი ჩაის უშაქროდ... ნერვიულად ვიფშვნეტდი ხელის თითებს, პატარა ამბავი ხომ არ იყო, სადაცაა გახლეჩდნენ მდინარეებს... გამახსენდა როგორ ავიარე 79 საფეხური ჩემს სახლამდე და მივხვდი, რომ ყველაფერი მეორდება... ჩვენი ცხოვრება განმეორებად რეალობათა სინთეზია-მეთქი, გავიფიქრე და მინდოდა, მისთვისაც მეთქვა ეს, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ ძველებური პაემნები ჯერ ვერ განმეორდებოდა, რადგან ეს უკვე იყო განმეორება 4-წლიანი ინტერვალით...

— შენ გინდა ამ ყველაფრის დასრულება? - მოულოდნელად ვიკითხე.... გაჩუმდა... მისი სიჩუმე ისეთი გამაღიზიანებელი იყო, მინდოდა, ის სიგარეტი, რომელსაც იმ წუთას მოუკიდა, მშვიდად გამომერთმია და დემონსტრაციულად ჩამედო მის ხელის გულში, რომ ტკივილისგან მაინც ეყვირა — არა... მაგრამ რაში მჭირდებოდა ასეთი არა??? გავიმეორე კითხვა ისევ და უფრო ხმამაღლა, შემომხედა დაბნეულად... მივხვდი, რომ ეს განმეორებული კითხვა მისთვის კი არა ჩემთვის იყო, საკუთარ თავს დავუსვი, რადგან ჩვენ ჯერ კიდევ ორნი ვიყავით ერთ კალაპოტში... მე არ მინდა-მეთქი, აღმომხდა... ღმერთო ჩემო, რა მოულოდნელი ამბავი იყო... თვითონაც გაოცებული მიყურებდა... მერე ჩუმად ამოიხროტინა: მგონი გაგრძელება აღარ ღირსო და რატომ-მეთქი... თითქოს ველოდი ამ პასუხს... ვერ ამიხსნა, რას ამიხსნიდა, რაც არ იცოდა... არ უკითხავს, შენ რატომ არ გინდაო, მაგრამ მინდოდა ამის თქმა, ჰოდა, ვუთხარი, ვუთხარი, რომ მასთან ერთად კიდევ მინდოდა ზღვის ნაპირზე ცეკვა, კიდევ მინდოდა ერთად დაგველია ლუდი, ერთად წავსულიყავით საყიდლებზე, ერთად დაგვეძინა კარავში... და ეს ყველაფერი მინდოდა მასთან, რადგან იყო მასში რაღაც, რაღაც, რაც გადამირბენდა ხოლმე სახეზე ავტობუსში უამრავი ხალხით გარშემოტყმულს, ძილის წინ თვალების დახუჭვისას, უაზრო რუტინული საქმის კეთების დროს თვალების დახამხამებისას... მე ზუსტად ვიცოდი, რა მჭირდებოდა და რას ვკარგავდი ზუტად იმ წუთას, მან კი არ იცოდა, სულ არაფერი არ იცოდა ერთი რამის გარდა, რომ უნდა დაესრულებინა... აღარ დარჩა ჭიქაში ჩაის არც ერთი წვეთი და აღარც სიტყვები დარჩა სათქმელი, ჰოდა, ავდექით და წამოვედით... წამოსვლისას მაგრად ჩავეხუტე, მერე მოვშორდი, შევხედე და გაღიმებული სახით ჩავაშტერდი უცნაურ თვალებში, ეს უკვე ჩემი მზერა იყო, რომელიც მეტჯერ მის თვალებში აღარ განმეორდებოდა, რადგან ხომ გახსოვთ, არსებობს მზერა, რომელიც უკანასკნელია... ასე დაუბრუნდა ორი მდინარე კალაპოტს, თითქოს ტყუპისცალი მომგლიჯესო... უკან არ მიმიხედავს, ვიცი, არც თვითონ მოიხედავდა... ბევრი ვიარე ფეხით, ბევრი კიბის საფეხური ავიარე, ბევრი ვიფიქრე... ოჰ, რამხელა ძალას ვგრძნობდი, დიდობის, გაზრდის, ჩამოყალიბების ძალას... არსებობით, საკუთარი ქმედებების გაანალიზების შესაძლებლობების ძალას, სირთულეებთან შეხვედრის ძალას, მათთან გულახდილად საუბრის ძალას, იმის აღიარებას, რომ გვიჭირს რაღაცების დათმობა, საშინლად გვიჭირს... მაგრამ მაინც ვთმობთ... ეს შეგუება კი არაა, არც დათმობაა ვინმესთვის... ეს უბრალოდ ცოდნაა, ცოდნა იმისა, რა შეგვიძლია...

სასმელით ცოტათი გაბრუებული, პიჟამაში გამოწყობილი ლოგინში ჩავწექი და თვალები დავხუჭე...

დილით ხალხით გაჭედილ ავტობუსში ძლივს ავედი... ლექციაზე მაგვიანდებოდა... წინა დღის ფიქრები ღამეს დავუტოვე, ასე მომეჩენა დილით... კიბეებზე ავრბოდი... ლექტორი შემეფეთა, აი ის, ვერ დავშვლითო ადამიანებს ელემენტებად... მომესალმა და სრულიად მოულოდნელად მირჩია: ნუ დაშლიო საკუთარ თავს ელემენტებად... გამიხარდა და უაზროდ გავიღიმე... კიბეებზე ჩასვლა რომ გააგრძელა, დავუძახე: — ვინმემ რომ გთხოვოთ, თქვენს ცხოვრებაზე მოყოლა, რა ამბავს გაიხსენებდით-მეთქი პირველად... ამომხედა, გაეღიმა... უნდა ვიფიქროო და სახეზე გაურკვეველმა გრძნობამ გადაურბინა, მივხვდი, დაფიქრება არ სჭირდებოდა, მაშინვე გაახსენდა ის, რასაც პირველად მოყვებოდა...

დაგვიანებით შევედი ლექციაზე...

ვიჯექი და ვფიქრობდი, ამჯერადაც სალექციო თემაზე...

მაჩიკამ ჟუმბუჩიძე

სამირა

ეძღვნება ჩემს მუსულმან მეგობარს

როცა უდაბნოს ქარები დაიწყებენ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ჰაერში გაბნეული სიტყვების გადატანას, ოთხჯერ დაიზმუვლებს აქლემი, ფეხშიშველა მონები თვალებიდან ამოიწმენდენ ქვიშებს, სამირა გაისწორებს შავ თავშალს, ახედავს ცას, სხეულის მარცხენა მხრიდან ტანზე თბილი სითხე ჩამოეღვრება, შეტორტმანდება, შემდეგ ნაზად ჩაეშვება ოქროსფერ თხრილში, გაიღიმებს და ბოლო ამოსუნთქვას გონებიდან წამოსულ სიტყვებს ამოაყოლებს – „ალლაჰ ვუ ვოქოხ“...

* * *

მწკრივად დალაგებული ხუთი კარვიდან, მე-3 ყველაზე დიდია, საიდანაც შებინდებისას გამოვა, საშუალო სიმაღლის, თეთრი ქალი, მარჯვენა მხარზე შემდგარი დოქით. ჩამავალი მზის საპირისპირო მიმართულებით კოჭლობით წავა, ქარისგან აფრიალებულ კაბას გაისწორებს, სიმწრისგან ენაზე იკბენს და კიდევ უფრო მეტად აუწვავს ქვიშა წყლულს მარჯვენა კოჭთან. პატარა გუბურიდან წყალს ამოიღებს და გუმანით მიხვდება, რომ ქმარი დაბრუნდა, მარჯვენა მხარეს შესამჩნევად გადახრილი გაბრუნდებდა, კარვის აბრეშუმის ფარდას გადასწევს და ქმარს თვალს ვერ გაუსწორებს, ფეხშიშველა კაცი ოდნავ გაიღიმებს, ნაზად დაასველებს სამირა თეთრ ნაჭერს წყალში და ქვემოდან ზემოთ დაუწყებს ტერფების დაზელვას. დღეს ცივი წყალი ყოფილაო – იტყვის კაცი და შემდეგ მშვიდად განაგრძობს ქალის გამოკვეთილ ყვრიმალებზე აშკარად შესამჩნევი დარდების კითხვას.

* * *

სამირამ იცის, რომ ორი მონა აბუ და დაბადი მას არ ემსახურება, ამიტომ ყოველ დღე მარტო რჩება, ხუთ კარავთან, ამდენივე აქლემთან და ოქროსფერი ქვიშის თვალუწვდენელ ჰორიზონტთან ერთად. სანამ დაღამდება და მისი კაცი მოვა, ზის თეთრებში გამოწყობილი სამირა კარვის წინ და საკუთარი თავის დალოცვას იწყებს და ყოველ ჯერზე, როდესაც დაიწყებს თავისი კაცისთვის კეთილი სიტყვების მოგროვებას, მოდიან უდაბნოს ქარები და სამირაც იწყებს აქლემების თვალის აკვრას.

ყოველთვის, როდესაც ბნელდება ქალს გამოაქვს ნაბანი წყალი და ქვიშაში აქცევს, ამ დროს უდაბნო იწყებს წყურვილის მოკვლას, სამირა კი შერჩენილ წყლის წვეთებს წინა ღამის ძილიდან გამოყოლილ მარტოობის სიზმრებს ატანს და შემდეგ თითო ღამით კვლავ უბრუნდება თავის კაცს.

* * *

პირველად სუნით მიხვდა, რომ ვიღაც მარჯვნიდან მოდიოდა, გაოცდა და კარავში მიიმალა, ცოტა ხნის შემდეგ წყვილმა მწველმა თვალმა გადააწევინა კარვის ფარდა. სხვანაირი იყო ის კაცი, უფრო მაღალი, მზისგან გახუნებული თმითა და ზღვისფერი თვალებით, ხელში წიგნები და რუკები ეჭირა, მოგზაური ვარო უთხრა ქალს, აქლემი დამირწყულო იქნებო. მორჩილი ქალი იყო სამირა და როდესაც დასიცხულმა სტუმარმა მაისურის ორი ღილი შეიხსნა, სამირა მიხვდა, რომ თავისი მარტოობა დღეიდან უკვე გამოლოცვილი ჰქონდა.

კაცი მეორე დღესაც მივიდა და თან მიიტანა ბევრი ყვავილი, ჯვარედინად დააწყო კარავთან, ქალს მაჯებთან ნაზად მოჰკიდა ხელი და ქალის გრძელმა თითებმა დიაწყო მოყოლა, თუ როგორ შეიცვალა მისი სიზმრები, როგორ სხვანაირად დაიწყო თმის ვარცხნა, ნელ-ნელა მიიყვანა კაცმა ქალი ქვიშაზე გაშენებულ მინდორთან, ერთდროულად ჩაიმუხლეს და დაიწყეს მზის სხივების თვლა. სამირა ხედავდა, როგორ მცირდებოდა მანძილი მისი სახის ნაკვთებიდან, კაცის გაუხეშებულ წვერამდე, ცხელი, უცხო სუნთქვა თავბრუს ახვევდა და როცა სახეზე იგრძნო გახურებული ხელის შეხება, თვალები დახუჭა, თითები გადაჯვარედინა და, სანამ კიდევ შეეძლო აზრებისათვის თავის მოყრა, პატიების ლოცვა სირცხვილჩაბრუნებულმა გონებაში წაიკითხა.

* * *

ხუთი დღის შემდეგ სამირას ქმართან მოვიდა უდაბნოს ჭირი და თან სახეზე ბევრმა წითელმა ლაქამ დააყარა. იდგა სამირა ავადმყოფის ლოგინთან და უცვლიდა გახურებულ საფენებს, თან ჩუმად თვალი აბუსკენ და დაბადისკენ გაურბოდა, რომლებიც ვითომ შემთხვევით მოსულ მოგზაურს გზას ასწავლიდნენ და ამ დროს ყველა ფიქრიდან, რომელიც ქალის თავში ტრიალებდა, მხოლოდ უდაბნოს ჭირის დალოცვა იყო, რომ წაეყვანა მისი ქმარი, კაცი, რომელმაც მამამისის ქარავნიდან ორას აქლემად იყიდა და მარტოობის გალიაში გამოამწყვდია, ხოლო, როცა ავადმყოფი ქმრის კვნესისგან თავატკიებული ჩაძინებას ცდილობდა, ძილ-ბურანში ხედავდა, როგორ მოდიოდა მასთან მოგზაური და მოჰქონდა ზეთისხილის რტო და ყვავილების ყლორტები.

* * *

უდაბნოს ჭირი რომ წავიდა,სამირას ედგა ყოველ თვეში ნანატრი ის ერთი კვირა, როცა წითლად შეეძლო შეეღება ფრჩხილები და თან ქმრისგან ცალკე, სხვა კარავში ეძინა, სადაც ჩუმად ინახავდა მოგზაურის ნაჩუქარ ნივთებსა და ყველა იმ სიტყვას, რომელიც არასდროს უთქვამს მისთვის კაცს, რომელიც ამ დროს აქლემების თვლით ირთობდა თავს და თან გაკრული ხელით ნაწერ კალენდარში დღეებს ითვლიდა,ხაზავდა და თან გულში ცოლის წითლად შეღებილი ფრჩხილები სძულდა.

* * *

იმ საღამოს კაცი მუშტებშეკრული დაბრუნდა, მარტო ვეღარ დაგტოვებო, ჩვენს მოპირდაპირე მხარეს გაშალა კარავი მოგზაურმაო,წყევლის ლოცვას უგზავნიდა უცხო კაცს და მცველად მეორე დღეს აბუ დაუტოვა.

ზნე ჰქონდა ასეთი აბუს, მზე, როცა კარვის წვერს გაუსწორდებოდა, ჩაეძინებოდა ხოლმე და იმ რამდენიმე საათში მანძილი სამირასა და მოგზაურს შორის ისევ ქრებოდა, გადაიწევდა ხოლმე ქალი კაბას და ცხელი ქარები უწვავდა სხეულს და იწყებდა სამირა საკუთარი თავის მოსმენას და აქამდე შეუცნობელის შეცნობას, გრძნობის, რომელსაც მოგზაური სიყვარულს ეძახდა

* * *

ოქროსფერი კაბა შეიკერა სამირამ,ზურგზე ოთხი ყვითელი ვარსკვლავით და როცა მოგზაური იწყებდა სათითაოდ ვარსკვლავების თვლას, სამირა ხუჭავდა თვალებს და საკუთარი თავის მოსმენას იწყებდა. ფიქრები და გრძნობები ჰარმონიულად ერწყმოდა ერთმანეთს, არცერთი ნერვული დაბოლოება აღარ უკრთოდა, აღარც ცახცახებდა. თავი მოგზაურის მუხლებში ედო, თვალებში უყურებდა და ხედავდა ხიდს, გრძელს, მზისფრად მოელვარეს, რომელიც ალაგ-ალაგ ჩამტვრეული იყო და ამ დროს გაელვებული ყველა ფიქრიდან, არცერთი ეძახდა უკან, თავისი კაცის კარვისკენ,უ ფრო მეტად უჭერდა ხელს მოგზაურს და ნაპოვნ სიყვარულსა და პირად თავისუფლებას ჩუმად ჰიმნს უმღეროდა, და როცა საკუთარ შიშველ სხეულს მზეში არეკლილს ხედავდა, ამ დროს ქარს მიჰქონდა ყველა სირცხვილი და სინანული და უდაბნოს შუაგულში აღმართულ ქვიშის გორებში ღრმად და სამუდამოდ მარხავდა.

* * *

და, როცა ჭამის დროს ტრადიციულად ქვიშაში ისხდნენ, კანონიერად შეუღლებული კაცი და ქალი, ქმარი ვერ გრძნობდა, რომ ჰაერში ღალატის სუნი იდგა და ხარბად იყნოსავდა ჩრდილოეთიან დაბერილ ნოტიო სიოს. ამ დროს ვეღარ ძლებდა ხოლმე სამირა, თავის ტკივილს იმიზეზებდა, სავსე თეფშს ქვიშაში აპირქვავებდა და კარავში ქრებოდა. მივიდოდა ხოლმე კაცი ვნებამორეული,მოკიდებდა ხელს და ამ დროს იმდენად შორეული ხდებოდა ქალი, შემკრთალი უნებურად უშვებდა ხელს და მთვარეულივით აქლემების გარშემო იწყებდა ბორიალს, ვერ გაეგო, რა უფრო აბრაზებდა – მოუკვლელი ჟინი თუ წინააღმდეგობა ქალისა, რომელიც მის ყოველ ქუსლის ხაზს იცნობდა.

* * *

ორი თვე გადაბმოდა ერთმანეთს,რაც ვეღარ იღებავდა ქალი წითლად ფრჩხილებს, იძულებული იყო, ვითომ გარეცხილი ნაჭრები მზის გულზე ეფინა და ეშრო, მარტო ყოფილიყო გვერდზე კარავში და წითელი საღებავის არ ქონა მოემიზეზებინა. ხოლო, როდესაც ერთ საღამოს ფეხებს ჰბანდა კაცს,ქმარმა შეხედა,თვალი გაუშტერდა, როგორ მოსუქდიო,გაოცებულმა უთხრა და მიმავალ ქალს თვალი გააყოლა. ამოუტივტივდა გონებაში შეუღებავი ფრჩხილების დანახვა და სამჯერ მოტანილი საღებავის უნებლიეთ გაქრობის ამბავი და ამ დროს, როდესაც აზრებს ერთმანეთზე აბამდა, ქარმა შემთხვევით გადასწია კარვის ფარდა და კაცმა დაინახა მოპირდაპირე მხარეს წერტილივით განათებული კარავი მოგზაურისა და იგრძნო, როგორ ძლიერად აეწვა კეფა.

* * *

მეორე დღეს, ჩაძინებული აბუ ტკივილმა გამოაღვიძა, პატრონი ედგა თავს და ქვიშაში ჩამხობილი მისი ცოლი სათითაოდ იგლეჯდა თმას,შორს ჰორიზონტზე მოჩანდა მშვიდად მიმავალი მოგზაური და მიხვდა აბუ რომ კარვების აშლისა და ხანგრძლივი მოგზაურობის დრო მოსულიყო.

* * *

შავებში იყო ჩაცმული სამირა, კარვები ერთმანეთზე დაწყობილი უსიცოცხლოდ გამოიყურებოდნენ, აქლემები მწკრივში ჩამდგარიყვნენ, კაცი ოდნავ გამოწეულ მუცელზე უყურებდა, სახე არ უკრთოდა, მშვიდი იყო, მაგრამ ქალისთვის სიკვდილის ფერი ჰქონდა, ჩაეცვა თეთრი და თავისით დაებანა ფეხები, სახეზე დაყრილი ნაოჭებიდან მოდიოდა ბოროტება და მოჰქონდა სამირასთვის სასჯელი. მზე როდესაც ჩადიოდა, სიმშვიდე იდგა უდაბნოში, ოქროსფრად ლივლივებდა ქვიშათა ჯარი და სამირას ეჩვენებოდა, რომ ყოველი მზისფერი მარცვალი თავისთან ეძახდა, ბუნდოვნად გაარჩია, როგორ ასწია მარჯვენა კაცმა და თანაბარი, ჰარმონიული, მაჟორული ბგერებით გამოთქვა – „ალლაჰ ვუ ვოქობ“ – შემდეგ კი ტყვიაჩარჩენილ სხეულს, ორი ხელის მოძრაობით მიაყარა ქვიშა და გაბრუნდა პირით დასავლეთისაკენ, ცას ახედა, წამით მოეჩვენა, რომ ვარსკვლავები გამქრალიყვნენ, უკუნეთი იდგა, თავისდაუნებურად თვალები დახუჭა და ჩაიმუხლა.

იაბო თვალაბეიშვილი

გემის კურსი ჯერაც უცვლელია

— დაარტყა?

იტანტულამ უარყოფის ნიშნად გაიქნია თავი. ბებერმა ბადულამ, რომელსაც სახე ათას ერთი ნაოჭით დაღარვოდა და გრძელი, ჭაღარა თმაც აქა-იქ თუღა შემორჩენოდა პიგმენტური ლაქებით დაფოთლილ თავზე, იატაკის წმენდა განაგრძო გაჭუჭყიანებული სველი ჩვრით, რასაც დროდადრო ჩარეცხავდა და ჩააწურავდა ხის ტოტებივით ხმელი ხელებით იმ სათლში, კოჭლა-კოჭლაობით რომ დაათრევდა თან.

— არაფერია? — იტანტულას ჰკითხა დოდომ, მაღალმა, გაძვალტყავებულმა, წელში სამად მოკეცილმა, რომელსაც სახის მარჯვენა მხარეს იმხელა ტყლირპი ავჯდა, ლამის მთელ ლოყას უფარავდა და მგონი რომ ამის გამოც, თვალები რაღაც ამოუცნობი შემზარაობით ამოშავებოდა და ჩაყვითლებოდა კიდეც, მაგრამ შესაძლოა, ამის მიზეზი არა ტყლირპი, არამედ ნაღველი ყოფილიყო ან იქნებ თავად ღვიძლიც.

იტანტულამ ხელი აიქნია. დოდომ გულის შორეული წიაღიდან დაიწყო ამოხვლება, რაც გაუჭიანურდა და ასე, ყრუ ხველა-ხველით მიუახლოვდა ქიმზე ამოზრდილ, მსხვილ ანძას, რომელზეც შემოხვეულ თოკს ხსნიდა და გაჭირვებით იხვევდა მარცხენა მკლავზე.

— მგონი, დაარტყა,— ანძიდან წამოაყრანტალა ფიფომ, რომელიც იმდენივე იყო სიმაღლეში, რამდენიც სიგანეში. მისი სიმახინჯე იმ ზღვაში მობინადრე ყველა არსებას აფრთხობდა და ალბათ ამიტომაც იყო, ანძიდან რომ არასდროს ჩამოდიოდა. ეკიპაჟის წევრებიც, შეიძლება ითქვას, გაგებით ეკიდებოდნენ ამ ყველაფერს. საერთოდაც, პირდაპირ თუ ვიტყვით, მათაც ეს სურდათ და არავინ იყო ისეთი, ერთხელაც რომ აჰხედავდა მას. ხელსაც უწყობდნენ: ღამის ქოთანს უცვლიდნენ ხოლმე. საჭმელსაც აწვდიდნენ და სასმელსაც,— დაარტყა ბიჭო, იტანტუ, დაარტყა, — გაჰკიოდა თავისი შესაზარი ხმით ფიფო და ამ ხმაზე მეზღვაურებს ჟრუანტელი უვლიდათ ხოლმე ტანში. თითქმის ყველაფერს გაიღებდნენ, ოღონდ არც ეს ხმა გაეგოთ. ფიფო ყველაზე საშინელი რამ იყო ქვეყნის გულზე. გემზე იმასაც ამბობდნენ, ზღვაში რომ გადავაგდოთ, ზვიგენიც ვერ მიეკარება, ხოლო უდაბნოში — ასპიტი არ დაგესლავს და ტყეში — ლომი არ გაბრდღვნისო. ფიფო ისეთი იყო, რომ ღმერთის შექმნილისა ამას არაფერი ეტყობოდა. არაო, ამბობდნენ ხოლმე გემზე მეზღვაურები, ეს ან თავად ღმერთია ან კიდევ რამე ეგეთი, თორემ ამისი ყოფნა, სხვანაირად ვერ აიხსნებაო. ღმერთებიც რომ არ არსებულიყვნენ ამქვეყნად და არც იმქვეყნად, თვითონ ბუნებაც კი არ იკადრებდა ასეთის შობას და დაბადებასო, — იტანტუ, დაარტყა, მგონი, და ჩამოვიდე თუ არა?! — არ ცხრებოდა ფიფო.

ქიმის თავში, იქ, სადაც წესით გემი ტალღებს უნდა შებრძოლებოდა და ალბათ ებრძოდა კიდეც ისე, როგორც შეეძლო, წამქეზებლად მკვეთრად გადახრილი ქანდაკება იდგა, რასაც, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, გაურკვეველი მიზეზების გამო, თავიც წასცლოდა და წინ გაწვდენილ ხელში ამავე ტალღებთან საბრძოლველი იარაღიც გადასტეხოდა. თუმცა მაინც, იყო ამაში სულ მცირე მშვენიერება და მეთევზე იტანტულას მოსწონდა კიდეც ეს. სახელიც დაარქვა: პოსეო, დულსეო, სოსეო თუ რაღაც ასეთი, არადა კიჩს უფრო ჰგავდა. იტანტულა არასდროს ჩაკიდებდა ანკესს, თუკი ერთხელ მაინც არ გამოელაპარაკებოდა უსახო კაცს. მივიდოდა ყოველ დილით, ქიმზე გადაეკიდებოდა, ხელს კაი ძმაკაცივით გადახვევდა, ტალღებს დახედავდა და ჰკითხავდა, წუხელ როგორ გეძინა, ძმაო. კიჩი არ პასუხობდა. ალბათ იმიტომ, რომ უსახო იყო. იტანტულა ამას არ იმჩნევდა. თავს დაუკრავდა, ერთ-ორ თბილ სიტყვას ეტყოდა კიდე და მერე, იქვე, ფეხებთან ჩამოუჯდებოდა, საიდანაც ტივტივისთვის თვალის დევნება შეეძლებოდა და იყო ასე, უსახო კაცთან ერთად. ხანდახან წამოდგებოდა, მაშინ, როცა ტივტივა ქიმის ქვეშ შეიმალებოდა, ხელს ფერდზე დაადებდა და მკვეთრად გადაიხრებოდა, რათა დამალული დაენახა. ახლაც ასე მოხდა. ტივტივა შეძვრა, შეიმალა და იტანტულაც წამოიმართა, კიჩს დაეყრდნო და მასთან ერთად ჩახედა ტალღებს. ანკესის ტივტივა უშფოთველად ირწეოდა ნაზ ტალღებზე, ჯერ ზევით და მერე უკვე ქვევით, ისე, როგორც რიგი და წესია. დაარტყა არა ისო, თავისთვის ფიქრობდა იტანტულა და ფიფოსთვის პასუხი ენანებოდა. არადა, არც ის ივარგებდა არ ეპასუხა, რადგან ფიფო კვლავ განაგრძობდა თავისებურად და შეაწუხებდა ყველას და ყველაფერს. იტანტულა და ყველა აქ, ამ ხომალდზე მყოფი, ფიქრობდა, რომ ამდენი ხნის ანძაზე ყოფნამ ფიფო ერთიანად დააბმავაო, მაგრამ კითხვით ამას არავინ ეკითხებოდა. არ აინტერესებდათო, ვერ იტყვი, ძალიანაც აინტერესებდათ, ერთი უბრალო, ადამიანური ფაქტორის გამო, რასაც ცნობისმოყვარეობა ჰქვია, თუმცა შეიძლება მთლად ასეც არ ყოფილიყო. მხოლოდ იმას ამბობდნენ, უკეთესი ისიქნებოდა, დამუნჯებულიყოო. მეანძე ფიფოს სიბრმავე ამ გემზე ისეთივე უმნიშვნელო იყო, როგორიც კომეტების უაზრო ხეტიალი — სამყაროსთვის.

— თუ დაარტყა... ამოიღე... შე კაცო, გვეშველოს... იქნება... — წვალებ-წვალებით ამოილუღლუღა გემის საჭეზე გადაკიდებულმა კაპიტანმა ლუპემ, რომელსაც სასმლის ლაქებით დასვრილ-დათითხნილი, აქა-იქ შემოხეულ-გარღვეული თეთრი მუნდირი ეცვა, თაქვზე კი ერთი, ჩვეულებრივი, რიგითი მეზღვაურის ჭუჭყიანი, რაღაც უფორმო, ქუდი ეხურა და პირზეც მუქი დორბლი ჩამოსდენოდა, ყავისფერი თუ ლურჯი, მწვანეში ნარევი, რომელიც გადაყუდებულ მდგომარეობაში მყოფს, თვალის უპეში ჩაუდიოდა.

— არა, კაპიტანო, არაფერია, იტყუება რაღაცას, — უთხრა საჭეზე გადაკიდებულ კაპიტანს კაპიტნის თეთრქუდიანმა, შავკანიანმა დიპემ, რომელიც იქვე

ახლოს ჩამომჯდარიყო დაბალ სკამზე და თევზს ჯერ თავს აჭრიდა, მერე ფატრავდა, ასუფთავებდა და ალუმინის ქვაბებში ანაწილებდა: ცუდს — იქეთ და კარგს — აქეთ.

კაპიტანი აზრზე მოდიოდა. საჭეს ხელები დაავლო და წამოიწია. ქუდი, მთელი ღამე რომ თავიდან არ გამძვრალა, ძალით წამოიხადა და თევზის გამსუფთავებელ დიპეს მიუგდო ფეხებში. ისიც სისხლიანი ხელებით გადასწვდა, აიღო და უბეში ჩაიჩურთა. ისე განაგრძო საქმე, კაპიტნისთვის, რომელიც გაზუნტყლულ თვალებს იწმენდდა, აღარ აუხედავს. კაპიტანმა ლუპემ მიიხედ-მოიხედა. საჭესთან დაყრილ ცარიელ ბოთლებსაც შეავლო მზერა. მხრები აიჩეჩა. გაზეპილ თმებში შეისრიალა ხელები და შეიშმუშნა. წუხელ ბევრი დაელია, იმდენი, რამდენიც ბოლოს მაშინ, ვიდრე გუშინდელი დღე დადგებოდა ანუ გუშინ წინ. კაპიტანი ბევრს სვამდა და ეს ძალიან აწუხებდა, უფრო სწორად, აშინებდა, იმიტომ რომ, ბოლოს და ბოლოს, იმ რომის კასრებსაც გამოუჩნდებოდათ ფსკერი და მერე რაღა ეშველებოდა?! კაპიტანი ლუპე დიპეს მიუახლოვდა, თავი დაუკრა და კუთვნილი ქუდი, რომელიც ამ მეზღვაურს წამომხობოდა თავზე და რაც, მოდი, პირდაპირ ვთქვათ, ზედვე აკვდებოდა (ალბათ ფერთა კონტრასტის გამო), ფრთხილად ახადა და თვითონ დაიფარა. გულის ჯიბიდან ამოღებულ, მომცრო, დაბზარულ სარკეში ჩაიხედა და ისე შეისწორა ქუდი. მიტრიალდა, მოტრიალდა და მერე, მოულოდნელად, დაბალ სკამზე მჯდომს ისეთი სილა გააწნა ტლიპინა თავზე, რომ ოფლი წვეთებად გააყრევინა. დიპემ ამოიკნავლა და ცრემლებიც გადმოსცვივდა, თუმცა თავწაცლილი თევზისთვის ხელი არ უშვია. უბრალოდ მერე, როცა კაპიტანი თავის საჭეს მიუბრუნდა, თევზის სისხლში ამოსვრილი ხელებით ამოიწმინდა ისედაც ჩასისხლიანებული თვალები. კაპიტანმა ლუპემ ამაყად დაიკავა თავისი პოზიცია საჭესთან და მთელი ძალითაც დაატრიალა იგი, მაგრამარაფერი შეცვლილა. კურსი მაინც უცვლელი იყო. ეს ალბათ იმის გამო, ადრე რომ რიფზე შედგნენ შემთხვევით. მაშინ დიდი შიში ჭამეს. ეგონათ, ჩავიძირეთ და ესაო. გადარჩნენ. მერე კიდევ ერთხელ შედგნენ რაღაც უზარმაზარ რიფზე, რამაც უფრო მეტად დააშინა მეზღვაურები, თუმცა აქაც არ უმტყუნათ ფორტუნამ. არაუშავდა, ჭკუას მაინც ისწავლიდნენ და შეეცდებოდნენ, დიდი რიფებისთვის მაინც აერიდებინათ თავი. მერე უკვე პატარ-პატარა რიფებს თუ დაეჯახებოდნენ. ეგ იყო და ეგ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმას დაზუსტებით ვერავინ გეტყოდა, თუ როდის გამოვიდა საჭე პირველად მწყობრიდან ან საერთოდ, მუშაობდა თუ არა ოდესმე, ერთხელ მაინც.

— დაარტყა? — მიამიტურად, ბავშვივით იკითხა პიპოკომ, რომელსაც ხელებზე ათად დაკეცილი თეთრი, ღუნღულა აფრა დაედო და წინ და უკან მოუსვენრად დაბიჯებდა გემბანზე.

— არაფერსაც არ დაურტყია, ბიჭო, პიპო, და ჯობია შენს საქმეს მიხედო! — ურჩია კაპიტანმა ლუპემ, ხომალდის საჭეს რომ ჯერ აქეთ და მერე იქეთ ატრიალებდა და როგორც ჩანს, კმაყოფილიც კი იყო თავისი მოვალეობით, პასუხისმგებლობითა და ვალდებულებით, რომლებსაც არც თუ ისე ცუდად ართმევდა თავს. მაგრამ შემდეგ, როცა დაინახა, ბრძანებას პიპოკო უარესად დაებნია, ადგილზე გააქვავა და აქეთ-იქეთ უაზრად დააწყებინა თვალების ცეცება, სავარაუდოდ, მშველელის მოსაძებნად, დაამატა: — აფრებზე გეუბნები, პიპო, აფრებზე, დაკიდე!

— იქ? — ხელი მაღლა ასწია პიპოკომ და რომ არა მისი ახალგაზრდული მოქნილობა, აფრა ჭუჭყიან იატაკზე დაუვარდებოდა.

— ჰო, ჰო!

— იქ რო ფიფოა?!

— ჰო, იქ ფიფოა, მარა, ფიფოს გამო აფრები არ უნდა გავშალოთ?!

— როდის გაგვიშლია რო?! - გულწრფელად დაინტერესდა პიპოკო.

— ო-ო, და ანძები?!

— ერთი, ორი, სამი... ისიც მეოთხე. ოთხია, კაპიტანო.

— რისთვისაა-მეთქი.

— საყურებლად.

— ჰო, საყურებლად. საყურებლადაც, მარა კიდე?..

— კი, კი, მართალია, — თავი დაუკრა პიპოკომ, — მახსოვს, გამახსენდა, მაშინ, ერთხელ, ერთადერთი აფრა რო დავკიდეთ. ო, რა ლამაზი იყო. მარა ეგ პატარა აფრა არ იყო? და ისიც წინ, თუ უკან, კიჩოზე. სადღაც იყო. მგონი, ბორტის თავზე, საშუალო ანძაზე. მაშინ მოქულა მღვდელმა თქვა, ქარი იქნება და ჯობია დავწვათო. მგონი და ჩამოვხსენით, არა?!

— კი არ ვთქვი, ვიწინასწარმეტყველე, ლენჩო, — კბილებში გამოსცრა მოქულა მღვდელმა პიპოკოს.

— ჰო, მეც ეგ ვთქვი, იწინასწარმეტყველე, ქარი იქნებაო და ჩამოვხსენით. ორი წუთი იფრიალა და ისეთი ლამაზი იყო, თვალები მომწყვიტა.

— ლამაზი კი იყო, ისე, — დაეთანხმა მოქულა მღვდელი, რომელიც ბორტკაბინის წინ, ერთ შემაღლებულ ადგილას იდგა, რომლის მოაჯირები ოქროსფრად შეეღება და თავისებურადაც შეელამაზებინა, იატაკი ნაირ-ნაირი სიმბოლოებითაც მოეხატა, ხოლო კუთხეში მაგიდა დაედგა, რაზეც ადამიანის ქანდაკებიდან მოტეხილი თავი და სპილენძისფერი სამკაპა ჩანგალი დაელაგებინა, — ლამაზი იყო, დამწვარი უფრო... უ-უჰ, უფრო ლამაზი, კოხტა, ნეტარი, წმინდა. უ-უ, გამაჟრჟოლა. ლამაზიო, მარა, რო დაარტყას, ამისთვის ლოცვაა საჭირო, ისედაც განრისხებულია და ამიტო არ არტყმევინებს, თქვენი ცოდვების გამო ისჯებით. და არც დაარტყამევინებს, მარა მე ავიღებ მაგ თქვენს ცოდვებს, გამოვისყიდი და დაარტყამს, — ამბობდა მოქულა მღვდელი.

— მოქულა მღვდელო, დღეს არ დაარტყამს?! — დაინტერესდა პიპოკო და მოაჯირის ღერძებს შორის შეჰყო ცხვირი.

— დაარტყამს, აგერ ახლა ლოცვასაც დავიწყებ და მერე დაარტყამს, — თქვა მოქულა მღვდელმა და ის-ის იყო ასანთის ღერი კანდლისთვის უნდა შეენთო, რომ პიპოკოს ცხვირმა მოსტაცა მზერა: — გაწიე, შვილო, ეგ გრძელი რაღაც, თორე ჩაგარტყი ეს ჩანგალცმა და წაგაგდებინე! მომინდომა აქ. ტუტუცი ეს, — ქოთქოთებდა მოქულა მღვდელი და თან კანდლის ანთებას სცდილობდა, რომლის ჭურჭელი რომით ჰქონდა სავსე და რამდენჯერაც ვერ აანთებდა, იმდენჯერ მოსვამდა კანდლიდან სასმელს.

— მგონი საწვავი აღარაა, დაილია, — უთხრა პიპოკომ მაშინ, როცა მღვდელმა მოქულამ მეათე ცდის მერე კანდლის ანთებაზე ხელი ჩაიქნია.

— რა იქნება, რა, ერთხელ მაინც რო დაარტყას? — ჩამოისმა ფიფოს ხმა ზემოდან, — ხო ჩამოვიდოდი, ა? ჩამოვიდოდი, უჰ, ჩამოვიდოდი. გახსოვთ, გუშინ რო კინაღამ დაარტყა? ცოტა მაკლდა კინაღამ გადმოვხტი. რა ტყლაშანს გავადენდი ძირს. აფსუს. კაი კიდე არ დაარტყა, თორე გადმოვხტებოდი. მარა,

ნეტა დაერტყა. ხო ჩამოვიდოდი, ა?

— ნეტა დაარტყას და ამასაც ავიტანდით აქ, — სევდიანად განაცხადა დოდომ, რომელმაც ბაგირი, დიდი ხნის განმავლობაში მკლავზე რომ იხვევდა, უწესრიგოდ მიაგდო გემის იმ ნაწილში, რაც ღუზის ბაგირისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

— ბიჭო, იტანტუ, ხო არ დაურტყია? — გასძახა კაპიტანმა მეთევზეს.

დაარტყა არა ისა კიდეო, გაიფიქრა იტანტულამ და ხელიც აიქნია, ნიშნად იმისა, რომ არა, არაფერსაც არ დაურტყამსო. ზღვა ისევ მშვიდი იყო. მზეც უნდა ყოფილიყო სადღაც ცაში, მაგრამ არ ჩანდა. არც ღრუბლები იყო. ალბათ მალე დაღამდებოდა. ამის იმედით იღვიძებდნენ მეზღვაურები და ამის იმედად ლევდნენ დღეებს. ღამეც რომ წაგერთმია მათთვის, ყველა ერთად გადახტებოდა ღია ზღვაში. დაღამდებოდა — დაიძინებდნენ, გათენდებოდა — გაიღვიძებდნენ და იკითხავდნენ:

— დაარტყა? — ისევ ბადულამ ჰკითხა ეს და როდესაც მეთევზემ არაფერი უპასუხა, თავი ჩაქინდრა და იატაკზე დამჩნეულ ლაქას დაუწყო თითით ჩიჩქნა, თუმცა როცა მიხვდა, ასე ვერ მოაცილებდა, ხელი ჩაიქნია და ისევ იმ ადგილს მიადგა, წეღან რომ წმენდდა ჭუჭყიანი ჩვრით.

— გახსოვთ, გუშინწინ რო ლამის დაარტყა იმ დალოცვილმა? — ზემოდან იკითხა ფიფომ და მოაჯირზე შემოაწყო თავისი ბოტოტა თითები, — კინაღამ არ გადმოვხტი, ბიჭო. კაი კიდე რო თქვით, იტანტუს შეეშალაო, თორე მართლა გადმოვხტებოდი და მერე აქ რაღა ჯანდაბა ამომიყვანდა თავიდან? ვფიქრობ ხოლმე, რო ჩამოვიდე, მანდ რა გავაკეთო მერე? აქ რო ვარ, რაღაცას მაინც ვაკეთებ, ვდგავარ და ვზვერავ გემს, ვუთვალთვალებ გემბანს, ვუყურებ, ვუცქერ, მე რო არა, რა გეშველებოდათ, ა? თუ დაარტყა და ამოიყვანეთ ეგ დალოცვილი, მერე მეც კი ჩამოვალ.

— ოღონდ ფიფო არ ჩამოვიდეს და, სულ ნუ დაარტყამს! — ლოცვასავით აღოხდა შავკანიან დიპეს, რომელსაც თევზების გასუფთავება დაესრულებინა და ახლა უკვე, უსაქმოდ დარჩენის შიშით შეპყრობილმა, თევზის კბილებს ზომების მიხედვით ოვალებად დაამწკრივება დაუწყო ხის კუნძზე, რაც სისხლით წითლად გადაღებულიყო.

— რას ამბობ, ბიჭო?! — გადაულაპარაკა კაპიტანმა, — ოღონდ ის ჩამოვიდეს და... არა, დაარტყას და მერე ჩამოვიდეს, კაცო, მერე რაღა გვიჭირს, მანამ იყოს მანდ. ოღონდ იმან დაარტყას, ოღონდ იმან... — კაპიტანი დადუმდა, მეთევზეს გახედა, უკვე რომ ფეხზეც წამომდგარიყო და ჯიბეებში იჩხრიკებოდა, — ბიჭო, — გასძახა, — იტა, ბიჭო, იტა, შემთხვევით, ხო არ დაურტყია?!

— არა, კაპიტანო, არ დაურტყია, თუ დაარტყა, გეტყვი, — გამოსძახა იტანტულამ და მერე, როცა ჯიბიდან სასურველი რამ ამოაძვრინა, ქიმზე, იმ თავმოტეხილი გამოსახულების გვერდით ჩამომჯდა, მასვე მიეყრდნო მოუხერხებლად და თავის თავს ბანქოს თამაში გაუბა ათი ქაღალდით, რომელთა უმრავლესობა წინდაწინვე დაენიშნა და ამდენად, თამაში როცა დაიწყო, მოწინააღმდეგეს იქამდე უგებდა, ვიდრე ათივეს ჩამოარიგებდა.

— მგონი, ღამდება, ხო არ დაგვესვენა?! — იკითხა ტყლირპიანმა, რომელიც ამჯერად პირდაპირ გემბანზე აჭედებდა ლურსმანს.

— ის თუ გახსოვთ, იმის წინ რო კინაღამ დაარტყა? — კითხულობდა ფიფო ზემოდან, — ეგ იყო მაგარი, იტანტუმ რო დაიძახა, მგონი დაარტყაო. გადმოვეყუდე და ერთი სული მქონდა, გემზე ჩამოვმხტარიყავი. ცალი ფეხი ძლივს გადმოვადგი, მოქულასი არ იყოს. ძაან მაღალია ეს მოაჯირი, დასწყევლოს ეშმაკმა. ჰოდა, იტანუმ რო ამოათრია და... ისა, გარშოკს გამომიცვლით?!

ამის გაგონება და ცივზე-ცივი ჟრუანტელი ერთი იყო, თმები დაეძაგრათ, მთელ სხეულზე დაბურძგლათ საწყლებს. ყველა გაისუსა და უფრო მეტად ჩაძვრნენ თავიანთ საქმეებში. კაპიტანმა ცოტა ითმინა, საჭე ასოთხმოცი გრადუსით გადახარა და მერე, ხმა რომ არავინ გაიღო, ვინც ყველაზე ახლოს ჰყავდა, რაც შეიძლებოდა რისხვით, გასძახა:

— ბიჭო, გამოუცვალე!

— თევზს ვასუფთავებ, — უპასუხა შავმა დიპემ.

— ბიჭო, ე, დოდო, გამოუცვალე!

— ლურსმანს ვაძრობ, კაპიტანო.

— პიპო, ადი, ბიჭო, გამოუცვალე იმას გარშოკი, თორე მოისაქმა ჩვენზე და ეგაა.

— მერე აფრები, კაპიტანო?! — გაიკვირვა პიპოკომ.

— ჰო, ჰო, აფრები, სულ დამავიწყდა, — ქუდი შეისწორა კაპიტანმა ლუპემ, — ეი, ბადულა, მოდი აქ, მოდი, შე ბებერო, ადი იმასთან და გამოუცვალე, თორე გადმოგვაფსა სადაცაა.

— ლაქას ვწმენდ, კაპიტანო. აი, აქ, ნახე, რამხელაა. იქაცაა მოსაწმენდი, აგე, იქეთ. არა, მანდ არა, ცოტა იქეთ. ჰო, ჰო. მანდ. სულ სანაგვედ იქცა აქურობა.

— კაი, ჰო, კაი, — ქუდი მოიხადა კაპიტანმა ლუპემ, სული შეუბერა, უჩინარი მტვენი გადაწმინდა, ისევ დაიხურა, თვალები დაიჩრდილა და გასძახა: — იტანტუ, ბიჭო, იტანტუ, მოდი აქ და მიხედე ამას, თორე წაგვიხდა საქმე.

— საცაა დაარტყამს, კაპიტანო.

— ხო არ დაარტყა?

— არა, ჯერ, მარა თუ დაარტყა, გეტყვი.

— დაარტყამს, დღეს თუ არა, ხვალ მაინც, ხვალ მაინც დაარტყამს, ვიცი, გული მიგრძნობს, — ჩაილუღლუღა კაპიტანმა და მორიდებით, ქუდს ქვემოდან, ფარულად გააპარა თვალი შემაღლებული ადგილისკენ, სადაც მოქულა მღვდელი იდგა და ქანაობდა. კაპიტანმა ტუჩები აცმაცუნა, ერთი პირობა გაიფიქრა ის, რაც არ უნდა გაეფიქრებინა და ინანა კიდეც, ბოდიში მოიხადა გუნებაში და მერე, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, საჭე სამას სამოცი გრადუსით დაატრიალა, — ეს საჭე რომ არა, მე თვითონ ავიდოდი და გამოვუცვლიდი გარშოკს, მარა... ეჰ... ოღონდ ეს არ ჩამოვიდეს, რას არ ვიზამ, მერე...

კაპიტანი ლუპე თავის თავთან საუბრით იყო გართული, როდესაც გემბანზე შემოსასვლელი კარები ვიღაცამ ფეხით შემოანგრია, რამაც ცალი კარი ანჯამიდან მოწყვიტა და იატაკზე ხმაურით დაანარცხა. მომხდარით და უფრო მეტად, მოულოდნელობით გაოგნებულმა კაპიტანმა თავი შეატრიალა. დიპეც იგივენაირად მოიქცა, მაგრამ მერე უცებ გაახსენდა და კვლავ თევზის კბილებს დაუწყო თვლა. დანარჩენებს ამისთვისყურადღება არ მიუქცევიათ, ვინაიდან თითქმის ყოველთვის ასე ხდებოდა. ეს იყო ბიბო, ერთი მაღალი, მხარბეჭიანი, ლამაზი კაცი, ოქროსფერი დალალებითა და კარგად მოვლილი წვერით, ნატიფი თითებით, რომელსაც, თითქმის რომ, ყოველთვის, კოხტად ეცვა და ჩექმებიც, თითქმის რომ, მარადჟამ გაპრიალებული ჰქონდა. გაღიმებული ჯერ არავის ენახა ბიბო, თუმცა არც მოწყენა იცოდა სახალხოდ. მხოლოდ თუ გამწარდებოდა, მაგრამ

თავისთვის და ისიც ცოტახნით. დაირცხვენდა და ესეც სულ ცოტა ხნით. ამბობდნენ, ამაყი და ამპარტავანიაო, ხანდახან იმასაც ამბობდნენ, მთლად ამპარტავანიც არაა, არც ამაყიაო. მოკლედ, ხან რას იტყოდნენ და ხანაც რას. საქმე ის იყო, არ იცოდნენ, ზუსტად რა უნდა ეთქვათ და ამიტომაც, რაც პირზე მოადგებოდათ, იმას ამბობდნენ. ერთი ეს ჰქონდა ყველაზე ცუდი ჩვევა, კარის ანჯამიდან ამოგდება რომ იცოდა, რაც დოდოს აწყვეტდა ნერვებს და დამატებით საქმეს უჩენდა: მაშინვე გაეშურებოდა დაცემული კარისკენ და ანჯამებზე ხელახლა დაყენებას შეეცდებოდა. ახლაც ასე მოხდა. ბიბო ამაყად მოაბიჯებდა გემბანზე, წინ გაწვდილი ცალი ხელით, რომელშიც სქელი, ტყავისყდიანი წიგნი ეჭირა, თავიც უკან გადაეგდო და მეორე ხელი უკან, ქამრისკენ წაეღო.

— „To be, or not to be, I there's the point, To Die, to sleep, is that all?" — ხმამაღლა, შთაგონებით, დიდი მხატვრულობით კითხულობდა ბიბო წიგნიდანდა თან თვალს აპარებდა ეკიპაჟისკენ, განსაკუთრებით მღვდელი მოქულასკენ, — ხომ არ დაურტყამს? — იკითხა ბიბომ, თუმცა პასუხს არ დალოდებია, ისე განაგრძო: — ეს ერთი და ახლა ეს ნახეთ, ძვირფასებო, მ' სიე დიპე, თქვენც მოისმინეთ, გთხოვთ, თქვენც, თქვენც, მ'ლორდ მღვდელო, გამოფხიზლდით, გთხოვთ, ყური მიგდეთ: — ოდნავ ხმამაღლა მოუწოდა ბიბომ მღვდელს და იმანაც თვალები გაახილა, ქანაობა შეწყვიტა და გაბოროტებული, რისხვით სავსე თვალები მიაშტერა წიგნით მოარულს, რომელმაც ასე განაგრძო: — „To be, or not to be, that is the question, whether 'tis nobler..." არა, ეს არ ვარგა, მ' სიე სერკაპიტანო, არ მომწონს. და მესამე, ნახეთ, შეაფასეთ: „To be, or not to be, that is the question: ..." — მგონი, ერთნაირია, - თავი აიღო ბიბომ, — მხოლოდ გრამატიკული სხვაობა, მოითმინეთ. — „... Whether 'tis Nobler in the minde to ſuffer The Slings and arrows …"

— დავწვათ რა, კაპიტანო, გეხვეწები, დავწვათ რა, ეს ლენჩის მოდგმა, — გაისმა მოქულა მღვდლის ხმა სამლოცველოდან, — ადრე არც კი გკითხავდი, მარა ახლა, გეხვეწები, დავწვათ რა იქნება ეს კაცი, დავწვათ და მერე დაარტყამს.

— ბიბო, მოდი აქ! — ნაძალადევად იღიმებოდა კაპიტანი, თან ცდილობდა, მწიგნობრისთვის მზერა როგორმე აერიდებინა. როდესაც ბიბო იმ იმედით, რამეს მირჩევენო, მცირედ კმაყოფილი იერით მიეახლა კაპიტანს და კაპიტანმაც მას შემდეგ რაც მხარზე მზრუნველად დაადო ხელი, წიგნიც ჩამოართვა, ფერებ-ფერებით დახურა, მერე თვითონ ბიბოს დალალებზეც ჩამოუსვა ხელი და კიდევ ერთხელ გაუღიმა, უთხრა:

— ადი იმასთან და გარშოკი გამოუცვალე!

— კი მაგრამ, მ'სიე სერ კაპიტანო, ვკითხულობ.

— ჩემს გემზე, უსაქმურთა ადგილი არაა, — წიგნი გულზე მიიხუტა კაპიტანმა, — ახლავე ადი და იმას, სანამ და-გვა-კუკ-ავ-დეს, გარშოკი გამოუცვალე!

— თქვენთვის ხმაარ გაუციათ, მ'ლორდ მღვდელო?

— არა, ჯერ არა, — ცალყბად მიუგო მოქულა მღვდელმა, — მარა გამცემენ.

ბიბომ მოკრძალებით დაუკრა თავი მღვდელს და ქიმის ანძისკენ გაემართა მორჩილად. — ჯერ ხომ არ დაურტყამს, მ'სიე იტანტულ? — გასძახა ბიბომ მეთევზეს, ვიდრე ანძის კიბეზე შედგამდა ფეხს.

— არა ბიბო, ჯერ არ დაურტყია, თუ დაარტა, გეტყვი შენც.

— დიახ, მეტყვით მეც, აბა რას იზამთ. მანამ ელოდეთ, ელოდეთ, არადა, რამდენი საქმეა მაგის გარეშეც, ღამის ქოთნის გამოცვლაც კი საქმეა, თუმცა თქვენ ელოდებით, ელოდებით, ელოდებით, ჰ... ელოდებიან... The blind, deaf cripples, they're waiting. The miserable ones, they're — თავისთვის ლაპარაკობდა ბიბო და საფეხურებსაც დინჯად, სისტემურად, აუჩქარებლად მიუყვებოდა მაღლა, სადაც მოაჯირზე გადმოყუდებულიყო მრგვალი ფიფო და მოუსვენრადაც ცქმუტავდა ნეტარი წამის მოლოდინში. ხანდახან ანძის კიბის ხვრელიდანაც ჩამოიჭყიტებოდა. მანაც და ყველამ აქ, ამ ხომალდზე, იცოდა, რომ ბოლოს, იქ, ვიდრე ფიფოს სამფლობელოს მიადგებოდა, ბიბო სუნთქვასაც შეიკრავდა და თვალებსაც დახუჭავდა. ვერასდროს მიეჩვია და ვერც მიეჩვევა, ვერავინ, საერთოდ ვერავინ, ფიფოს ანძის სიმყრალეს, თავად ფიფოს ჯერარნახულ, შემზარავ სიმახინჯეზე რომ არაფერი ვთქვათ. ეს კი ფიფოს ძალზედ უხაროდა, სიმახინჯე კი არა, არც ის სიმყრალე, რაც მის სამფლობელოში გამეფებულიყო, არა, ეს ვერ გაახარებდა, იგი ვერც კი ხვდებოდა, ასეთი რამ თუ იყო. მას უბრალოდ სტუმრის ასვლის პროცესი ახარებდა. უხაროდა თავისებურად და ცქმუტავდა. ამიტომაცაა, დღეში რომ ორჯერ ითხოვს ღამის ქოთნის გამოცვლას.

— მომაწოდეთ, მ'სიე ფიფო, თქვენი ღამის ქოთანი, თუ შეიძლება, — სთხოვა ბიბომ კიბის ბოლოს, ვიდრე ანძის ოვალური ფორმის სამეფო საზღვარი დაიწყებოდა.

— ამობრძანდით, ბიბო ბატონო, ამოდი, ამოდი, საჭმელიცა მაქვს და სასმელიც, — შესთავაზა ფიფომ, თუმცა მანაც მშვენივრად იცოდა, რომ ბიბო მასთან ვერ ავიდოდა, ეს უბრალოდ თავაზი იყო, ცარიელი თავაზიანობა და მეტი არაფერი.

— არა, მ'სიე, ფიფო, გთხოვთ.

ფიფო წამომსკდარი სიცილის შეკავებას სცდილობს. მაგრამ მაინც ვერ ახერხებს ბოლომდე. ჯერ ამოისლუკუნებს, იფხუკუნებს, იფხუკუნებს და იფხუკუნებს. ბოლოს ამოხეთქავს კიდეც შესაზარი ნაკადი ღნავილნარევი სიცილისა. ისევ ისე, თავისებურად, მუცელზე ხელებს იხვევს და იჭაჭება ჩვილი ბავშვივით; სახის ფერის სიწითლეს სიმწვანე ენაცვლება. ძლივს მშვიდდება. როგორც იქნა, სულს ითქვამს. პირთამდე სავსე ღამის ქოთანს იღებს და როცა ბიბოს დაბლა აწვდის, შემთხვევით ფეხი უცდება რაღაცაზე, ისეთზე, ჩვეულებრივ შემთხვევაში ფეხის დაცდენა რომ რთული იქნება და ბიბოს თავზე ავლებს ნაირ-ნაირი ფერებით დამშვენებულ ფეკალიების მთელ ულუფას, რის შედეგად, უკვე ამას შეჩვეული ბიბო, სიმწრისგან იმანჭება და მდუმარედ იტანს იმ სასჯელს, რომელიც მას ჰგონია, რომ დაიმსახურა კიდეც. ქვემოდან კაპიტანი ლუპე როხროხებს. მოქულა მღვდელი ტაშს შემოსცხებს და ახითხითდება. მას ჰყვება თევზის გამსუფთავებელი დიპე, მეაფრე პიპოკო, მეთევზე იტანტულა, დამლაგებელი ბადულა, შემკეთებელი დოდო, საერთოდ ყველა, უკლებლივ, ვინც გემის ეკიპაჟს შეადგენს, მათ შორის თავად ფიფო და ასე, უეცრად, სრულიად შემთხვევით, მხიარულების ტალღა უვლის ამ შუა ზღვის ტალღებში მოცურავე გემს. ხარხარებს ყველა და მათ ბედნიერებას საზღვარიც არ აქვს ამ ზღვებივით. მხოლოდ ბიბოა დარცხვენილი და ბედს დამორჩილებული. იგი მაინც ართმევს ღამის ქოთანს ფიფოს, რომელსაც ამჯერად მხოლოდ ცალი ხელით უჭირავს მუცელი და ისე

იცინის. ბიბო ქოთანს ჩახედავს. რწმუნდება, რომ ცარიელია, რომ სრულად გადასცალეს მის თავზე და ისევ უკან უბრუნებს. ფიფოც იბრუნებს და ბიბო ქვემოთ ბრუნდება, თუმცა დასვრილია, დასვრილზე უფრო მეტია, მისი კოხტა ტანისამოსი და ოქროსფერი დალალები, წვერიც კი, რომელზეც რაღაც ყვითელი მსუყე ბურთებივით რაღაც დაჰკიდებია, სულაც არ არის ისეთი,როგორიც რამდენიმე წუთის წინ,დიახ,წუთის წინ. ბიბო კაპიტანს თავის წიგნზე ანიშნებს, მაგრამ კაპიტანი, თითქოს აქ არავინაა ისეთ გამომეტყველებას იღებს,იცქირება წინ,სადაც ჰორიზონტი უნდა ყოფილიყო და ცხვირის ნესტოებზეც ხელს იჭერს,ვითომ ამ დროს ასეა საჭიროო. წიგნს გემბანზე აგდებს და ისევ საჭეს უბრუნდება, რომელსაც ჯერ აქეთ გადაატრიალებს და მერე უკვე იქეთ,გემი კი კურსს არ იცვლის,მისი კურსი კვლავაც უცვლელია. კაპიტანი ამ დროს ცდილობს, არ ისუნთქოს,მაგრამ ენერგია არ ჰყოფნის და მთელი მკერდით ანახლებს სუნთქვას.

— ხო არ დაურტყია, იტანტუ? — გასძახა კაპიტანმა მეთევზეს.

— არა ჯერ, მარა დაარტყამს და გეტყვი, როცა დაარტყამს.

— ეს სიბნელე მიშლის, ვერ ვითვლი, — დაიწუწუნა შავმა დიპემ, რომელიც რიგით მეათედ მაინც ცდილობდა დაეთვალა თევზის კბილები.

— ჰო, გვიანია ისე უკვე,დღეს არა,მარა ხვალ კი დაარტყამს,— აღიარა კაპიტანმა და კიდევ ერთხელ დაატრიალა გემის საჭე.

ბიბომ, ვიდრე წიგნს აიღებდა, ხელები ტანისამოსის იმ ნაწილზე შეიწმინდა, სადაც დასვრილი არ იყო, რის შემდეგ წიგნი მოწიწებითა და რიდით აიღო და უკვე შეკეთებულ კარში გაუჩინარდა. არავის არ გაუყოლებია მისთვის მზერა. მღვდელ მოქულასაც კი, რომელსაც ოქროსფერ მოაჯირზე მიყრდნობა უკვე მოესწრო და ისე ქანაობდა, ყოველ წამს იყო მოსალოდნელი გადაყირავებულიყო და გემბანს დასკდომოდა. კაპიტანი უშფოთველად იდგა საჭესთან და თვალებს იჩრდილავდა ცალი ხელით, თუმცა დასაჩრდილიც არაფერი იყო, რადგან უკვე ზღვიდან ბინდი ამოწოლილიყო და მალე ისე დაღამდებოდა,მეტად რომ აღარ შეიძლება. ანძიდან ფიფო გადმოეყუდა. კმაყოფილი,კმაყოფილი ამ დღითაც და გადმოსძახა ეკიპაჟს:

— მგონი, დღეს აღარ დაარტყამს და აღარ დამაძინებთ? თუ გინდათ,თქვენ წადით და მე მივხედავ ანკესს.

— ოღონდ ფიფო ასე არ ჩამოვიდეს,— ჩაიბუტბუტა დოდომ, გაგუდულად ამოახველა, ყრუდ და ანძაზეც მიაჭედა ლურსმანი, რომლის ამოძრობა იმ დღეს, ყველაზე მეტად გაუჭირდა, ამოძრობის პროცესში კი, ისევ ის გაიმეორა, რაც წეღან თქვა,ოღონდ ამჯერად ისე, კაპიტნის ყურებს რომ მისწვდომოდა.

— არა, ფიფო, არა,— თქვა კაპიტანმაც,— შენ არ შეწუხდე, იყავი მანდ და ქოთანს ხვალაც გამოგიცვლით. დავიძინებთ მალე. დღეს კი არ მთავრდება ყველაფერი შე კაცო. ხვალაც გათენდება და დაარტყამს, არა, იტანტუ?

— დაარტყამს,კაპიტანო,დაარტყამს,აბა,რა ჯანდაბას იზამს?!

— ღუზა ამოწიეთ, ვიძინებთ! — გასცა ბრძანება კაპიტანმა.

— ღუზა?! — გაიკვირვა დიპემ.

— ეგ ხომ არც არასდროს გვქონია,კაპიტანო?! — შეახსენა მეაფრე პიპოკომ, რომელიც ისევ წინ და უკან დადიოდა დაკეცილი თეთრი აფრით.

— ჰო, მართალია, არც არასროს გვქონია და მე თუ მკითხავთ, არც იყო საჭირო და მაგიტომ. რაც საჭიროა, ყველაფერი გვაქვს. მაგალითად... მაგალითად, აი, რომი კი გვაქვს, წავალ, დავლევ, ან გამოვიტან და ისე დავლევ, თორე გავიყინები... ღამე. უკვე სიცივეც იჭერს. ატყობთ?! აქ უნდა ვიყო. საჭეს ვერ მივატოვებ. არ შეიძლება,კაცო,არა,საჭის მიტოვება ისეთია, როგორც... როგორც... მოკლედ, კაპიტნის მოვალება ესაა: იყოს საჭესთან, დღეც და ღამეც. იტანტუ, გეყოფა, ამოსწიე ანკესი აწი. დღეს აღარ დაარტყამს, ხო უნდა მიხვდე,არა? ამ დროს როდის ერთხელ დაურტყია? მართალია, ჯერ არც დილით დაურტყია, მარა ხვალ დაარტყამს, დილით თუ არა, საღამოსკენ უეჭველი; დაარტყამს... გული,ოჰ,ჩემი გული,— გულზე მოიკიდებს კაპიტანი ხელს,— ეს გული მიგრძნობს. შედი შენსას, იტანტუ, დაიძინე. ბადულა, შე ბებერო შენა, ჰა, ჰა, ჰა, რას დაჩირიკობ რო დაჩირიკობ,ა? შენც მორჩი აწი წმენდას, შედი და დაიძინე, დროა. დოდო, რას აკაკუნებ მანდ?! მოასვენე ეგ კაცი თუ კაცი ხარ და დაისვენე შენც, თორე საცაა დაგახრჩობს ეგ ხველა. ლურსმანი ხომ არ გადაგეღუნა? გაასწორე თუ გადაღუნე. პიპო, პიპოკო, შენ რას დადიხარ წინ და უკან? გეყოფა. შეიტანე ეგ აფრა და გადააფარე მაგიდას და დაიძინე. დიპე, მორჩი თევზების გასუფთავებას? კარგი ხარ, კარგი. კბილი რამდენი იყო თუ დაითვალე?! რა უშავს თუ აგერია, მაინც სულ გერევა, მერე იქნებ შენც ისწავლო თვლა,არა უშავს, ხვალ, სანამ დაარტყამდეს,დაითვლი და ეგ იქნება. ახლა აკრიფე ეგ ყველაფერი, შედი და დაიძინე. ფიფო, ფიფო, გესმის?! ასე უცებ დაგეძინა?! შენი თავის პატრონს საერთოდ რა გაძინებს ნეტა,ა? შენს ადგილზე სულ არ დავიძინებდი. მაგრამ კარგია რომ გძინავს. შენს საქმეს აკეთებ შენც. აბა, ხვალამდე ჩემო მეზღვაურებო. მე აქ ვიქნები, საჭესთან. ოღონდ, დიპე, დიპე, ჰო, ჰო, შენ, რომი ამომიტანე ერთი, თორე ღამე აქ ისეთი სიცივე იცის, ძვალსა და რბილში ატანს, ძვლებს გიჭამს,ძვლებს. ჰა,ჰა,ჰა. მიდით, ყოჩაღ, ყოჩაღ ჩემო მეზღვაურებო. ჰო,მართლა,იტანტუ,ბიჭო, ერთი ბიბოსთან ჩადი და მისი სანთელი მომიტანე. ტყულად ხარჯავს მაინც. დღისით იკითხოს,უთხარი, მე კი აქ გამომადგება. ბოლოს და ბოლოს, მესაჭე აქ მე ვარ.

მეზღვაურებმა, თითქმის ყველამ,ყველაფერი ის, რაც ხელში ეჭირათ, იატაკზე დაყარეს და ბორტის კარებისკენ სირბილ-სირბილით გაქანდნენ ისე, თითქოს ერთმანეთს დასწრობანას ეთამაშებიანო. პირველი, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე შორს იდგა, მეთევზე იტანტულამ მოახერხა შიგ შესვლა. წესით პიპოკოს უნდა მოესწრო, მაგრამ ის იყო ერთადერთი, რომელმაც ხელების გათავისუფლება ვერ შეძლო, ვინაიდან აფრის მაგიდაზე გადაფარება ჰქონდა ნაბრძანები. მან ბოლომ შეაბიჯა ბორტზე და კარიც გაიხურა. არც ქარი, არც მთვარე, არც ვარსკვლავები, არც ტალღების ხმა. მხოლოდ ფიფოს ხვრინვა ისმოდა ზემოდან და ამდენად, კაცი ვერ იტყოდა, ესაა ჭეშმარიტი სიმყუდროვე თუ მდუმარებაო.

— კაპიტანო, მე?! — ქანაობა შეეწყვიტა მღვდელ მოქულას.

— შენ რა?

— მე რა ვქნა?

— ა, შენ? მე რას მეკითხები, მაგათ ჰკითხე.

— ღამეა, სძინავთ უკვე.

— როცა ეღვიძათ, რაო?

— ჯერ უნდა დაარტყასო.
— ხვალ ხო დაარტყამს? — ჰკითხა კაპიტანმა ლუპემ.
— აბა, რას იზამს!
— ესე იგი, დაარტყამს.
— მე რა ვქნა?
— მე რა ვიცი. ისედაც იმდენი... ვილაპარაკე. არ მეგონა... გამომრჩი? არადა მქონდა შენთვისაც რაღაც. რაღაცა მქონდა, ვაი, თავი, უ,— ქუდი მოიხადა კაპიტანმა, თმებში შეისრიალა ხელი, — ამტკივდა. დავიღალე. ვერაფერს ვამატებ. შენ რა, მარტივი ხო არ გგონია... ლაპარაკი?! ყველა სიტყვა გამოვცალე. მეც რა ერთიანად მივაყარე.
— იქნებ გაიხსენო, კაპიტანო.
— ვერ ვიხსენებ. არადა რაღაცაში მჭირდებოდი. ოჰ, მეხსიერება, თავი. არადა რაღაცას კარგს გიპირებდი და რანაირად დამავიწყდა, შე, კაცო?!
— მე გეტყვი...
— არა, იყოს,— ხელი აღმართა კაპიტანმა, ჩაფიქრდა და მერე თქვა: — იცი, რა? აი, მაშინ მოდი, სანამ გამიხსენებია, რომი შენ ამოიტანე და გუშინდელივით დავლიოთ საჭესთან, მე და შენ, მოქულა მღვდელო.
— ფიფო?!
— ფიფო, რა?
— ხვრინავს.
— მერე რა? ეგ სულ ეგრე არ ხვრინავს?!
— დავწვათ რა, კაპიტანო.
— ჯერ დაარტყას და მერე დავწვათ.
— ბიბო?
— მაგასაც მერე დავწვავთ.
— ეჰ, — მეოცნებე ოხვრა აღმოხდა მოქულა მღვდელს, რომელიც ანაფორის შავ კალთებს იკეცავდა და შიშველი ფეხებით ცდილობდა, მოაჯირს გადმოვლებოდა.

რამდენჯერმე შეანაცვლა ფეხი მღვდელმა მოქულამ. რაღაც ხელს უშლიდა გადმოსვლაში. ადრე ამას მარტივად შეძლებდა. ყოველი წარუმატებელი მცდელობისას, იგი იხსენებდა იმ ძველ დროს, როცა ყველაფერი კარგად იყო, როცა არავის არაფერს ეკითხებოდა და საერთოდაც, იმ ბედნიერ წუთებს იხსენებდა, დარტყმის გარეშეც რომ ახერხებდა იმას, რაც გულით ეწადა. ახლა კი ყველაფერი შეცვლილიყო. არადა ამბობენ, არაფერი იცვლება, ყველაფერი ისევ ისეა, როგორც მაშინ იყოო. მღვდელ მოქულას ამაში ვერავინ ვერასდროს ვერ დაარწმუნებს. მას ჰქონდა ბედნიერი წუთები, ასე სწამს და ასეც ეწამება, და კიდევ იმისიც სწამს და ეწამება კიდეც, რომ კვლავ დადგება ასეთი წმინდა და ამაღელვებელი წუთები. მოქულა მღვდელს მოაჯირიდან გადმოსვლაში კაპიტანი ეხმარება. ადრე არავის დახმარება არ დასჭირდებოდა. ადრე არც ამხელა სტომაქი და ღაბაბი ჰქონია. ხანდახან დარდიც ასუქებს ადამიანს.

ქოგორები

ლელა ანჯაფარიძე

ბიძაჩემი ზურაბ ანჯაფარიძე

„ბოლოსთვის შემონახული“ ზურიკოს საიდუმლო...

როგორც მოგეხსენებათ, ოპერების შემქმნელ კომპოზიტორებსა და ლიბრეტოს ავტორებს, ძალიან დაჩაგრული ჰყავთ ტენორები: როგორც წესი, მათ ყველაზე ლამაზ და რთულ პარტიებს ასრულებინებენ და ბოლოში აუცილებლად კლავენ... (ეტყობა, თვლიან, ასეთი არიების შემდეგ, ცხოვრებას არავითარი აზრი აღარა აქვს)... ჰოდა, ზურიკოც, თითქმის ყველა ოპერაში „კვდებოდა“ და შესაბამისად, ეცემოდა. ჰოდა, არასდროს მინახავს, ვინმე (მითუმეტეს ამხელა კაცი) ასე იოლად, მჩატედ და უხმოდ ეცემოდეს... რაღა თქმა უნდა, მაია პლისეცკაიას „მომაკვდავი გედის“ ცეკვას თუ არ ჩავთვლით... ბუნებრივია, ზურიკოს ქჰონდა თავისი „საიდუმლო დაცემა“. ჰოდა, მე როგორ შევეშვებოდი, სულ დავსდევდი და ვთხოვდი: მასწავლე შენსავით დაცემა-მეთქი, და ერთხელაც... შინ მარტო რომ დავრჩით, მასწავლა. (რა თქმა უნდა, მე არ ვაპირებ ანჯაფარიძეების საიდუმლოს გამხელას, ერთს ვიტყვი მხოლოდ, ბუმბულივით რომ დაეცე, უნდა იცოდე ზუსტი კუთხე, ფეხის ამოდების დრო და აუცილებლად უნდა გქონდეს იუმორის გრძნობა).

მოკლედ, ვისწავლე თუ არა „ფირმენი“ დაცემა, ყველას გული გავუწყალე, ბებია სახლში შემოსვლისთანავე ხომ შევაშინე, ჯუმბერ პატიაშვილის არაჩვეულებრი მეუღლე - თინაც ხომ ავაკივლე და ავაკივლე, სტუმრად მოსული ნათესავებიც გადავრიე.

დღის ბოლოს, ბებიაჩემი იმდენად შეეჩვია, რომ სულ იატაკზე ვიყავი გაშხლართული, ყურადღებას აღარ მაქცევდა, წყნარად მაბიჯებდა და საქმეს აგრძელებდა. მაგრამ, მთავარი ინტრიგა, რისთვისაც ვემზადებოდით და მე ზურიკო (ზურიკო... მგონი, ჩემზე კიდევ მეტად იყო მოწადინებული) დედაჩემი - გალიჩკა იყო: მისი მოსვლის წინ, კიდევ ერთხელ გავიარეთ გენერალური რეპეტიცია და კარზე ზარიც

დაირეკა: სცენარის მიხედვით, მეტი ეფექტისათვის, ზურიკოს გალიჩკა როგორმე დიდი ოთახში უნდა შემოეყვანა, რაც არც ისე იოლი იყო, რადგან დედა შემოსვლისთანავე ბებოსთან გარბოდა სამზარეულოში, მაგრამ ზურიკომ მიზანს „მაინც მიაღწია“: გალიჩკა შემოვიდა. მე სამამდე დავითვალე, გულზე დემონსტრაციულად ხელი მივიდე, წამოვიკივლე და დავეცი.

მერე აღარაფერი მახსოვს! რადგან ტელევიზორის მაგიდის კითხეს ჩამოვარტყი თავი: გონს რომ მოვედი, ვიწექი ზურიკოს არაბულ ტახტზე. ბებია და გალიჩკა ბესალომის დედასავით და და – მარეხივით ტრაგიკულად ჩახუტებულები იდგნენ ტახტის ერთ მხარეს, ტახტის მეორე მხარეს კი „საშინლად დამნაშავე“ სახით იდგა ზურიკო.

თვალები გავახილე თუ არა, ყველა მომმვარდა და ქალებმა დუეტში დაიწყეს: კარგი რა, ზურიკო, ეს ბავშვია, ჯერ ჭკუა არ მოეკითხება, შენ ამხელა კაცს, ეს როგორ მოგივიდა... მეტი ვერაფერი ვერ ასწავლეო? თან ბოლო ფრაზას მისამღერივით, იმეორებდნენ.

ზურიკომ ითმინა-ითმინა და ბოლოს გამოაცხადა: იცით, რას გეტყვითო, ეს ბავშვი ჩემზე ჭკვიანიაო! რაც ამას ერთ დღეში ხუთიანები მოაქვს, მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ „შემიგროვებიაო“, მათემატიკაც ჩემზე კარგად იცის და წერა-კითხვაცო ... სიმღერას მაგას ვერ ვასწავლი, აზრი არა აქვს, ჰოდა ერთი ბოლო საიდუმლო მქონდა ჩემთვის შემონახული და ისიც მაგას ვასწავლე და რა გინდათ ჩემგანო?!..

საბჭოთა საიდუმლო და კლიმატური ანომალია...

სიგიჟემდე მიყვარს მატარებელი... მთელი ცხოვრება ვოცნებობ, ერთი 10-დღიანი მარშრუტით ვინმემ სადმე წამიყვანოს. განსაკუთრებით „ზედა კოიკა“ მიყვარს, წვანე, მყუდრო ნათურით, რომლის შუქზეც, ბავშვობაში ზღაპრებს ვიგონებდი.

ერთხელაც, მე და ზურიკო მივდიოდით მოსკოვში „მეჟდუნაროდნი“ კუპეთი... ადრე ეს სხვანაირად იყო მოწყობილი: ორსართულიანი იყო და დიდი ძველი სავარძელები იდგა. კუპესა და კუპეს შორის კი, პატარა „რუკამოინიკიანი“ ოთახი იყო განთავსებული...

ახლა უნდა გაგანდოთ საბჭოთა კავშირის (რომელშიც სექსი კი არ იყო) ერთი საიდუმლოც, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ მალავდნენ ადიულტერებსა და ეს სამარცხვინო რამ იყო, „მეჟდუნაროდნი“ კუპეები ძალიან დიდი პოპულარობითა და მაღალი მოთხოვნით სარგებლობდა, რადგანაც ეს პატარა ოთახები, სინამდვილეში კუპეებს აკავშირებდა... შევიდოდნენ ქალი და მამაკაცი ცალ-ცალკე კუპეებში და „იძინებდნენ“...

მოკლედ, მატარებლის „ნაჩოსიანმა“ სტიუარდესამ, როგორც ზურიკო ეძახდა „პროვოდნიცას“ შემოგვიტანა ოდნავ ნესტიანი ზეწრები „პოდსტაკანჩიკებიანი“ ჩაით. ზურიკომ დამიგო ლოგინი ზევით და ცოტა ხანში თვითონაც დაიძინა, მაგრამ რაკი ზაფხული იყო და საშინლად ცხელოდა, გამოაღო კუპეს კარი და ჯაჭვით დაამაგრა.

გამთენიას კივილმა გამომაღვიძა. თურმე ღამით ქურდი ამოსულა, ხელი შემოუყვია და... დახვეული გაზეთით ჯაჭვის მოცილება სდომნია, ზურიკომ კი კუპე მოკეტა და კინაღამ ხელი მოსტეხა. მერე მილიციაც გამოიძახეს და ზურიკო კი ისე მიამიტად ყვებოდა... მე რა ვიცი, გამოვიღვიძე, ისეშ ემცივდა, ისე შემცივდაო, რომ კუპე დავხურეო... მაგრამ თვალები ეშმაკურად უციმციმებდა...

ბარიტონი და ფანჯარა...

ოპერაში ერთი ბარიტონი მუშაობდა, ამბობდნენ, კარგი ხმა ჰქონია, მაგრამ ეს მხოლოდ გადმოცემით, რადგანაც მისი სიმღერა ცოტა ვინმეს თუ მოესმინა. როგორც ჩანს, სცენის შიში ჰქონდა, გარკვეული ემოციური ბარიერი. ზურიკო სერიოზულად განიცდიდა ამ ამბავს: დანიშნავდნენ სპექტაკლს და ეს მომღერალი წინა დღეს ცივდებოდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, თოვლჭყაპიანი, უგემური ზამთარი იყო, თუ ნუშებაფეთქებული გაზაფხული. სახურავებ გავარვარებული ზაფხული თუ ბადაგივით მადლიანი შემოდგომა, ეს კაცი სულ გაციებული იყო, მუდამ კისერზე შარფშემოხვეული დადიოდა... ერთხელაც ზურიკო ესტუმრა და კინაღამ გაიგუდა, ივლისშიც კი ფანჯრები ჰქონია ჩარაზული. ზურიკოს ძღვენი მიუტანია და სანამ მასპინძელი შეიპატიჟებდა, დერეფანში დალოდებია. კედელზე სურათი შენიშნავს: სურათზე გამოსახული იყო ფანჯრებღია, მყუდრო ოთახი, ლამაზი, ინტერიერით, თანაც ზამთარში, ჰოდა... ეს უნდოდა ზურიკოს? დაუძახა მასპინძელს და მთელი სერიოზულობით შეეკითხა: ეს სურათი დიდი ხანია გიკიდიაო? იმან კიო, ბავშვობიდანო! ზურიკომ: ფანჯარას ხედავო? იმან: კი, როგორ არაო! ჰოდა, მიგეკეტა მაგ ფანჯარა დროზეო, ნაღდად მაგის ბრალია, სულ ასე რომ ცივდებიო!...

ზურიკომ ეს ამბავი შინაც მოყვა, ბებომ – ალექსანდრამ – ბიჭო, ხომ არ ეწყინაო?, ასე რომ უთხარიო? ზურიკომ კი შენიშნა: რა ეწყინაო, საშკა (ბებოს ასე უძახდა შინაურობაში), იმდენი იცინა, იმდენიო, შარფი დაერღვაო!

(გაგრძელება იქნება)

ანზორ სიფრაფშვილის ახალი მოთხრობა —
„სოფლის გოლოს ნაპოვნი სიტყვები"

სალომე გოგოლაძის მოთხრობა —
„Terra nostra (ჩვენი მიწა)"

გიორგი ჩქარეულის პოეზია

ზვიადა ლოლაძის —
„ცის ფარფატანდილი" ციკლი

ციური პაროზა „ანეულის" ფურცლებზე —
სატირა ფანიშვილი, ფარიკან ფუფაზარიძე,
ბაგრი თევლიაშვილი

ლელა ანჯაფარიძე —
ამბავი ზურაბ ანჯაფარიძე

ლეონა გოგიჩაიშვილი —
„ალექსანდრე ჯაფარიძე — 100"

ივანე ჯაფარიძე —
შეხვედრა ამორგი ოჩიაურთან

შალიკო ბაბლეარ ციკლი „ლეონ და ბეონ" —
ილარიონ რუსაძეზე ლეონეფაძეს

ანეული — ეროვნული ნაციული